

114  
1945/2



# მნათობი

10

---

თბილისი  
1945



# ენათმეცნიერება

სრულიად-საქართველოს საშჩეთთა შწერლუჲის  
კავშირის ყთჲულთჲიერი სალიტერატურით,  
სასჯულთჲნი და საბოტკადოჲშიფ-საპილიციუთ  
ქჲრნალი

წილიწადი ოცდაშეორი

190655

## 10



19 — ოქტომბერი — ნახევარი

45  
საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
ქართული  
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეჯი

აბაშიძე ირაკლი  
ოსათიანი ლევან  
გამსახურდია კონსტანტინე  
ქალაძე კარლო  
მუზაშვილი ალიო (პეგ. რედაქტორი)  
მოსაშვილი ილო  
ტაბიძე ბალაბტიონ  
ბიაჩელი ლეო  
შენგელაია დემნა

---

ზელმოწერილია დასაბუდოდ 7/1-46 წ. ნაბეჭდ ფორმათა ჩაოდენობა 8 $\frac{1}{2}$ .  
ში 00702. შეკვეთის № 2005. ტირაჟი 5000.

---

რედაქციის მისამართი: მარაბლოს № 13, შუერალთა კვანძი. ტელეფ. 3-04-64.  
საბეჭდამის ბეჭდვითი სიტყვის კომპონატი. თბილისი, ფორესის ქ. № 5.

პეტრე შარია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტ. მდივანი პროპაგანდის დარგში.



ქართული  
წიგლისწამბის  
კავშირები

## დიდი ქართველი პოეტი

შესრულდა ასი წელი ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებლის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან. ხალხმა მას შოთა რუსთაველის შემდეგ პირველი ადგილი მიაკუთვნა. მისი ნაწარმოებები მტკიცედ დამკვიდრდნენ ხალხში, და იშვიათად მოიძებნება ისეთი ქართველი, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს პოეტის თუნდაც ერთი ლექსი.

აი როგორ ახასიათებს ბარათაშვილის მნიშვნელობას მისი ღირსეული მემკვიდრე ილია ჭავჭავაძე: „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს ჰეროვანებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე არ არას ბარათაშვილს ნაწარმოებთა რამდენადმე დამაკმაყოფილებელი რუსული თარგმანი, თუმცა ცდა არა ერთი ყოფილა. არსებული თარგმანების მიხედვით შეუძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ პოეტის სიღრმეზე. ბარათაშვილის ნაწარმოებები მტკად მწელი სათარგმნია. აქედან არ შეიძლება გამოიყვანოთ დასკვნა, თითქოს ბარათაშვილი მხოლოდ ნაციონალური პოეტია. ყველა ქართველი ლიტერატურისმცოდნისა და კრიტიკოსის, პირველ რიგში ი. ჭავჭავაძის ერთსულოვანი აღიარებით, სწორედ ბარათაშვილმა გამოიყვანა ქართული პოეზია განვითარების თანამედროვე ევროპულ გზაზე, გაათავისუფლა იგი აღმოსავლური, უმთავრესად ირანული გავლენისაგან, რამაც ფესვი გაიდგა საქართველოს სახელმწიფოს დასუსტების პერიოდში, მონღოლთა და თურქ-ირანელთა მიერ დაპყრობის შედეგად.

დამახასიათებელია, რომ ქართულ პოეზიაშიც ბარათაშვილის ნაწარმოებები უნიკალური რჩებიან განსაკუთრებული სულისკვეთებითა და რიტმით. უზადლო მუსიკალობითა და ექსპრესიის უდიდესი ძალით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბარათაშვილი განცალკევებით დგას ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. მეტრისა და ფორმის მიხედვით ბარათაშვილის ლექსები, მიუხედავად დიდი მრავალფეროვნებისა, საბოლოო ანგარიშით მიეკუთვნებიან ქართულ პოეზიაში წინათ გამოუმუშავებულ ნიმუშებს (რუსთაველი, ჩახრუბაძე, შავთელი, ბესიკი, გურამიშვილი და სხვ.). მაგრამ, როდესაც დედანში კითხულობ მის ლექსებს ან გონებაში იმეორებ მათ, გგონია, რომ ეს თავისი ფორმით რაღაც სრულიად ახალი და განუმეორებელია.

ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს ისტორიის რთულ პერიოდს ემთხვევა.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ გამოიწვია არა მარტო სახელმწიფო-ადმინისტრაციული მმართველობის ახალი ბიუროკრატიულ-ფორმების შემოჭრა საქართველოში, არამედ მას აგრეთვე მოჰყვა მოწინავე რუსული კულტურის შემოჭრაც. ცნობილია, რომ საქართველოში რუსების შემოსვლის

პირველი ათეული წლები დაემთხვა რუსული ლიტერატურის მატარებელ აყვავებას. პოეტების ბრწყინვალე პლეადამ — პუშკინმა, ჟუკოვსკიმ, რილევმა, ვიაზემსკიმ, ბარატინსკიმ, ლერმონტოვმა — თითქოს ერთი კვანძებით გაიყვანა რუსული პოეზია მსოფლიო სივრცეებში, აიყვანა ფრეზიანად, პოეზიის მწვერვალზე. ბევრი მათგანის შემოქმედებისათვის, განსაკუთრებით პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებისათვის, კავკასიამ მისი დიდებული ბუნებით მცირე როლი როდი შეასრულა.

აქ, კავკასიაში, საქართველოში, მეფის ენდარმები გადმოსასაზღვრდნენ სოლომე თავისუფლად მოაზროვნე პოეტებს და სხვა პროგრესულ კულტურულ მოღვაწეებს, რომლებსაც, სძულდათ რა მეფის დესპოტური ძალაუფლება, სძულდათ მისი კოლონიური ჩაგვრაც. მაშინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე ელემენტებზე ამ ადამიანთა კეთილშეიშვითი გავლენა უშედეგოდ ვერ დაჩნებოდა.

მოწინავე პროგრესული რუსული კულტურის გავლენამ ქართული პოეზიიდან და ლიტერატურიდან იწყო აღმოსაგულურ-ირანული ელემენტების განდევნა. ქართულ პოეზიაში ახალი, სოციალური და მოქალაქეობრივი მოტივები აყვარდა.

მეფის თვითმპყრობელი ხელისუფლებისა და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლამ გააერთიანა არა მარტო პროგრესულ-დემოკრატიული ელემენტები რუსებსა და ქართველებში, არამედ მათკენ მიიზიდა საქართველოს არისტოკრატიული დიდგვარობის წარმომადგენლებიც, დიდგვარობისა, რომელიც იცნებობდა აღედგინა საქართველოს სამეფო ტახტი და მასთან ერთად თავისი დიქარგული პოლიტიკური მდგომარეობა. „იყო... ეგრედ წოდებული თავად-აზნაურების „ნაციონალური კითხვა“, როცა — „საქართველოს რუსეთთან“ შეერთების შემდეგ, ქართველმა თავად-აზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროსა ქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. (ი. სტალინი).

აი რატომ იყო, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი წარსიადგენდნენ უცნაურ კონგლომერატს — სახელგანთქმულ რაზნოჩინელ სოლომონ დოდაშვილიდან ბრწყინვალე თავად ორბელიანებამდე. საქართველოში გადმოსასაზღვრელი დეკაბრისტების მიერ მოტანილი მძლავრი პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური ნაკადის შერთება ქართველი არისტოკრატის ნაციონალისტურ მისწრაფებებთან საწინააღმდეგო პირობებს უქმნიდა იმ პეჩიოდის საქართველოს საზოგადოებრივი შეგნების განვითარებისათვის.

სწორედ ამ პირობებში იზრდებოდა და ვითარდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. იგი დაიბადა 1817 წელს დიდგვარიანი თავადის ოჯახში. მამამისი პელიტონ ბარათაშვილი საკმაოდ განათლებული და გავლენიანი კაცი იყო, კარგად იცოდა რუსული ენა და აფასებდა პოეზიას. ნიკოლოზის ბავშვობა უზრუნველ ფუფუნებაში მიმდინარეობდა. მამის ფართო ცხოვრება, რომელიც ხშირად მართავდა მეჯლისებსა და წვეულებებს, შთაბეჭდილებიან პავსეს შეახვედრებდა ხოლმე იმ დროის მოწინავე ადამიანებთან. იგი ხიზად ისმენდა მათ საუბარს და აღრე მიხვდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაღაც არასასიკეთო ხდებოდა, რომ სამშობლო უღელქვეშ იტანებოდა.

ბავშვის ბუნდოვან წარმოდგენას ნათელი მოეფინა, როცა იგი ვიწარზიანაში შევიდა და მისი მასწავლებელი გახდა სახელგანთქმული მეცნიერი და პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე სფლოპონ დოდაშვილი. (ს. დოდაშვილი რუსეთში ცნობილი იყო რეფორმის მომხრე მეგარსკი. 1826 წელს პეტერბურგში მან 22 წლისამ გამოსცა ლოგიკის წიგნი, რაც წარმოადგენდა პირველ ნაწილს ავტორის მიერ განზრახული ფილოსოფიური სისტემისა, რომელიც ცდილობდა დაეძლია კანტიანელობა მისსავე პრინციპებზე დაყრდნობით). დოდაშვილი არა მარტო მთლიანად იზიარებდა დეკარტისტა იდეებს კონსტიტუციის შემოღების შესახებ, არამედ მათზე გაცილებით უფრო შორსაც მიდიოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციის მხრივ და ამასთან მხოლოდ კონსტიტუციური რეფორმების მომხრედ რჩებოდა. დოდაშვილის გაყენებით ახალგაზრდა ბარათაშვილი განამსკვალა პროგრესული იდეებით, უწინარეს ყოვლისა პუშკინისა და ნაციონალური თავისუფლების იდეებით.

შეთქმულების შემდგომმა ჩაფუშვამ, აგრეთვე შეთქმულთა ერთ-ერთი ლიდერის დოდაშვილის დაპატიმრებამ და გადასახლება მარათაშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს.

შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ გამეფებულ შავბნელ რეაქციასთან დაკავშირებულ მძიმე განცდებს ზედ დაერთო მამის ფაქტიური გაღატაკება, რომელიც ვალებში ჩაფარდა შემოსავალთან შეუსაბამო ფართო ცხოვრებას გამო. ბუნებით მზიარულმა, აქტიურმა ახალგაზრდამ, რომელიც ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობდა, პირველად იგრძნო, რომ მისი ოცნებები დაშორებული იყო სინამდვილეს. გარდა ამისა, კარიერის გზაზე მას სხვა დაბრკოლება გადაეღობა: ერთხელ, ვიწარზიანაში თამაშობის დროს, ორივე ფეხი დაიზიანა და დაკოკლდა. ამით მისთვის დაიხურა სამხედრო კარიერა, რომელიც ყველაზე მიზნადეული იყო იმ დროის არისტოკრატი ახალგაზრდობისათვის. აღარც საუნციერსიტეტო განათლების მიღება შეეძლო სახსრების უჭირლობის გამო. და აი ვიწარზიანის დამთავრების შემდეგ ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული, ენერგიითა და წარმატებით მისწრაფებებით აღსავსე ახალგაზრდა ბარათაშვილი, რომელიც ამჟამად გრძნობდა თავის მძალე მოწოდებას, იძულებული გახდა ჩაფლულიყო კანცელარიის კაობში, რომ ცოტათი მაინც დახმარებოდა გაღატაკებულ და დასწელებულ მამას. ამ კაობიდან თავის დაღწევა მან ვერ შესძლო თვით სიკვდილამდე. რამაც მას მოუსწრო უცხო მხარეში, ნათესაეებსა და მეგობრებს დაშორებულს.

თავისი შემოქმედების იდეურ-მხატვრული შინაარსით ბარათაშვილი კუთვნიის იმ ფართო ლიტერატურულ მიმართულებას, რომელმაც მიიღო საერთო სახელწოდება — რომანტიზმი. როგორც ცნობილია, ამ სახელწოდებით ზოგიერთი ლიტერატურული კრიტიკოსი აერთიანებს პოეტებს, რომლებიც სმირად სულ სხვადასხვანაირი თაფიანთი იდეურ-მხატვრული მისწრაფებებითა და ტემპერამენტით. დაუცხრობელი ბაირონის სახელთან ერთად წარმოსთქვამენ ბნელეთის მოციქულ კლერიკალ ნოვალისის სახელს. სენტიმენტალური ფრანგი პოეტების სახელებთან ერთად — პუშკინისა და ლერმონტოვის სახელებს. სწორედ ამან მისცა საბაზი დიდ გორკის გაემიჯნა პასიური და აქტიური რომანტიზმის ცნებები, ხაზი გაესვა პირველის რეაქციულ კონსერვატიული ხასიათისა და მეორის რევოლუციურ-ბუნტარული ხასიათისათვის.

ბარათაშვილის რომანტიზმი სწორედ მეორე გვარის რომანტიზმის აქტიური რომანტიზმი. ადამიანის შინაგან სამყაროს, მის გრძობებსა და აზრებს იგი ხდის თავისი პოეტური შემოქმედების მთავარ შინაარსს. ჩვენი პოეტისთვის არა იმისთვის, რომ ვაემოჯნოს რეალურ სინამდვილეს, ჩაიკეტოს სუბიექტური განცდებისა და იდეების სფეროში, არამედ მოუღებელი გარემო სინამდვილის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. საქმე სრულებითაც ის არ არის, დეკლარატიულად მოუწოდებს პოეტი ამ სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ თუ არა, არამედ ის, თუ პოეტის მიერ მხატვრული ფორმით გამოთქმული გრძობები და იდეები რამდენად უბილავენ სხვებს თვალს სინამდვილეზე, უღვიძებენ მათ პროტესტისა და ბრძოლის სულისკვეთებას.

ბარათაშვილმა XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში პირველმა აღამაღლა ადამიანის გრძობისა და გონების ხმა დამყაყებელი, სულის შემხუთველი სინამდვილის წინააღმდეგ. მისი შემოქმედების რომანტიკული პათოსი მას სრულებითაც არ უშლიდა ხელს ნათლად დაენახა და გაეგო რეალური ურთიერთობანი და საესებით რეალისტურად გამოეახა ისინი (პოემა „ბუდი ქართლისა“, ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ და სხვ.).

ზერეულე კრიტიკოსები ბარათაშვილის პოეზიის პესიმიზმურ ტონს ხსნიდნენ ან მისი პირადი უბედობით (პოეტის უიღბლო სიყვარულის ჩათვლით). ან გარეშე გავლენით (ლერმონტოვის, ბაირონის, მიცევეჩის და სხვ.). რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარყვით გარეშე გავლენა, განსაკუთრებით რუსული პოეზიის გავლენა ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების ჩამოყალიბებაზე. მისი მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ მას წაკითხული ჰქონდა რუსი პოეტების ნაწარმოებნი, გატაცებული იყო ლერმონტოვით (ერთ-ერთ წერილში მას მოჰყავს ამონაწერი ცნობილი ლექსიდან „И скучно, и грустно“). იგი იცნობდა აგრეთვე დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა, კერძოდ ბაირონის, პოეზიას.

პოეტის მსოფლმხედველობასა და მსოფლმეგრძნებას განსაზღვრავდა სხვა, უფრო სერიოზული მიზეზები. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა არ შეიძლებოდა მიხედ არ განეცადათ მოწინავე წარმომადგენლებს იმ ხალხისა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე სისხლით იცავდა თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მრავალრიცხოვან და ძალების მხრივ ქარბ მტრებთან ბრძოლაში. ბარათაშვილი ღრმად ვანიცდიდა ნაციონალური თავისუფლების დაკარგვას. მიიჩნდა რა ნაციონალური აღორძინების საწინდრად კულტურისა და განათლების ზრდა, მას არ შეეძლო გულსტკივილით არ ეცქირნა გარეშე მყოფთა, მათ შორის ბევრ ნათესავისა და მახლობლის, ფუქნავატური გატაცებებისათვის. პოეტის სულიერი მარტოობა, რამაც მას დააწერინა განთქმული ლექსი „სული ობოლი“, განსაკუთრებული ძალით არის გამოხატული ახლო მეგობრისათვის მიწერილ მის ერთ-ერთ ინტიმურ წერილში: „კიდევ მაშინაა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ... შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მამქულეზია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მღვდმარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალი მონათესავენი ღა მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ საესე და ერცელს სოფელში“.

ბარათაშვილი იცნობდა თავად-აზნაურობის ბევრ წარმომადგენელს, რომლებიც ვიწრო წრეში მზად იყვნენ გამოეჩინათ ნაციონალურ-განმათავისუფ-

ღებელი იდუის ტრფიალი, მაგრამ თბილი ადგილების, ჩინეთისა და ორდენების მიღებით გატაცებულნი არა მარტო ურიგდებოდნენ მეფის სატრაპებს, არამედ მლიქვნელობდნენ მათს წინაშე, ქვეყნის მფლობელსა და საკეთილდღეოდ მიმართულ ყოველგვარ მფლობელსა და ახალგაზრდობიდანვე ბევრს და მწარედ ფიქრობდა საშობლოს ბედზე და ოცდაორი წლისამ დასწერა თავისი განთქმული პოემა „ბედი ქართლისა“. რომელიც რუსთაველის უკვდავი პოემის შემდეგ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში. თუმცა რომანტიკული ფორმით, მაგრამ განსაკუთრებული სიმართლითა და სიმწვავეთ არის დაყენებული პოემაში კარდინალური საკითხი საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ-განვითარებისა XVIII საუკუნის დამლევს. ავტორი ამართლებს მეფე ირაკლის გადაწყვეტილებას, როგორც ისტორიულად აუცილებელს, თუმცა ამასთან ერთად მეფის მსაჯულის ლეონიძის პირით გამოსთქვამს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის მთელ სიმწარეს.

ბარათაშვილის უდიდეს ისტორიულ აღღოს და გამჭვრეტელობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ მან პირველმა სრულიად დამოუკიდებლად გამოაყალიბა ის აზრი, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება თუმცა ბოროტება იყო, მაგრამ ნაკლები ბოროტება, რამდენადაც იგი უზრუნველყოფდა ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენას სასტიკი მტრების წინაშე, რომლებიც საქართველოს მოსაპოვებლად უქადდნენ აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან, და ამასთანავე რუსულ და დასავლეთ ევროპის კულტურასთან ურთიერთობის გზას უხსნიდა ქართველ ხალხს.

დღეს, როცა სსრ კავშირის ხალხთა ოჯახში, რომელსაც დიდი რუსი ხალხი შეთავრობს, ქართველი ხალხი თანასწორუფლებიან მდგომარეობაში იმყოფება და აყვავებული. საბჭოთა საქართველო სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელია, პირდაპირ წინასწარმეტყველურად გაისმის პოეტის სიტყვები, მიმართულნი მეფის ირაკლისადმი (ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“). პოეტის ეს სიტყვები გვიჩვენებენ, თუ რამდენად გაუსწრო მან თავის თანამედროვეებს საქართველოს ისტორიული განვითარების პერსპექტივების გაგებაში. სწორედ ეს გაგება არბილებდა მის პესიმიზმს, უნერგავდა მას ბრწყინვალე მომავლის იმედს. პოეტი შემთხვევით როდი წინასწარმეტყველებდა, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდას ის განანათლებს!“ („შემოღამება მთაწმიდაზედ“).

ბარათაშვილის ლირიკა უმთავრესად ფილოსოფიურია და, ლერმონტოვის ლირიკის მსგავსად, ზმირად გადადის სამოქალაქო ლირიკაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“.

ბარათაშვილის პოეზიის მოქალაქეობრივი მოტივები შემდეგ განავითარეს მისმა სახელოვანმა მემკვიდრეებმა ილია ქავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ბარათაშვილის თვით ინტიმური ლირიკა, მის ფილოსოფიურ ლირიკასთან ერთად, ზოგადკაცობრიულ პრობლემებამდე აღის. „მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა. მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია“... (ი. ქავჭავაძე). ბარათაშვილის რომანტიკული პოეზიის აქტიური, ქმედითი ხასიათი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატულია მის გენიალურ ლექსში, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ შედევრში — „მერანში“, სადაც ავტორი ილაშქრებს თვით ბედისწერის წინააღმდეგ, რათა



ყოველივე იმის ფასად, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია, და ~~თავის~~ სიცოცხლის ფასად გაუადვილოს შთამომავლობას ცხოვრება და ბრძოლა.

„შერანის“ მძაფრ რომანტიკულ პათოსში გამოხატულა ~~ქვეყნის~~ ავტორის უღრმესი ჰუმანიზმი, მისი შინადაყოფნა შესწიროს კუთვნილობის კეთილდღეობას. „შერანის“ ეს მგზნებარე პათოსი აღადრთოვანებდა ათასობით და ათიათასობით ქართველ მებრძოლს, როცა ისინი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში თავდადებულად იბრძოდნენ კაცობრიობის კულტურისა და თავისუფლებისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა რაოდენობრივად დიდი არ არის. ოცდამეცხრეტი ლექსი და ერთი პოემა — აი ყველაფერი, რაც პოეტისაგან დაგვრჩა. მაგრამ უდავოდ დამტკიცებულია არსებობა მრავალი სხვა ლექსისა და თვით მთელი ისტორიული პოემისა „ივერიელი“. მათი დაკარგვის მიზეზი გასაგებია. ბარათაშვილის სიცოცხლის დროს არავითარი ბეჭდვითი ქართული ორგანო არ არსებობდა. პოეტი ხელით გადასწერდა ხოლმე და მეგობრებს ურიგებდა მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მას უკვე დამთავრებულად შიანდა (მას უყვარდა თავისი ნაწარმოებების გულმოდგინედ, რამდენჯერმე გადასწავება). დღემდე არ არის ნაპოვნი პირადი არქივი პოეტისა, რომელიც გარდაიცვალა განჯაში 1845 წლის 21 (9) ოქტომბერს. შესაძლოა მომავალში ვიპოვოთ ბედნიერი შემთხვევით გადარჩენილი ბარათაშვილის სხვა ნაწარმოებები. მაგრამ პოეტის ის ნაწარმოებებიც, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობია, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ახალი სულისკვეთება და ახალი რიტმი, ახალი იდეურ-მხატვრული შინაარსი, რაც ბარათაშვილმა ქართულ პოეზიაში დანერგა, პროგრამად გამხდარიყო ქართველი მწერლების მომდევნო პლუადისათვის ი. ქავჭავაძისა და ა. წერეთლის მეთაურობით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნეში არ ყოფილა და არ არის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქართველი პოეტი და მწერალი, რომელსაც თავის თავზე არ განეცადოს ბარათაშვილის პოეზიის კეთილმოყოფელი გავლენა.

ბარათაშვილის ბედი ძლიერ წააგავს ლერმონტოვის ბედს. ბიოგრაფიული გამოკვლევების თანახმად, ბარათაშვილმა იცოცხლა მხოლოდ 28 წლის ასაკამდე (1817-1845 წლ.). მართალია, ბარათაშვილი ტყვეით არ მომკვდარა, მაგრამ უდროოდ მოჰკლა იმ პირობებში, რომლებშიც იგი მეფის სატრაპებში ჩააყენეს.

მაგრამ თუ პირად ცხოვრებაში ბედმა უმუხთლა პოეტს, შემდგომი ისტორია, რომლის კონტურებსაც იგი წინასწარმეტყველურად სჭერებდა, მისდამი უფრო სამართლიანი აღმოჩნდა. დღეს, ჰუმანიზმისა და კულტურის გამარჯვების პირობებში, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად ძმურ ოჯახში, რომელმაც ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით უდიდესი გამარჯვება მოიპოვა შავი რევოლუციისა და ბნელეთის ძალებზე, ზემოთ აღნიშნავს თავისი საყვარელი პოეტის გარდაცვალების ასი წლისთავს. ქართველ ხალხთან ერთად სსრ კავშირის მოძმე ხალხები პატივს სცემენ დიდი პოეტის ხსოვნას, რომელიც თავის შემოქმედებაში გამოხატავდა მისწრაფებას სინათლისა და გონების გამარჯვებისაკენ.

მოვანეს თუხანიანი

## ბარათაშვილის საუბრეთა

თავს რად დაგადგა, საქართველოვ, ღრუბელი თაღნად,  
გმირს რად გემჩნევა ესოდენი მოწყენილობა?  
მგოსნის დაფერფლილ ძვლებს მიწიდან რომ იღებ ახლა,  
მოეშუშარი კვლავ გაიხსნა შენი კრილობა:

რადგანაც ხედავ, რომ პოეტის სამარე ბნელი,  
ობოლ სულისთვის აქაც ღრმაა და უღმობელი.

თუმც შენს დიდ მგოსანს ხელმეორედ მიწას აბარებ,  
მისი მშფოთვარე გრძნობებისთვის, რაც გზნებით უთქვამს,  
არც სიკვდილია ქვეყანაზე და არც სამარე,  
ო, არასოდეს არ შესწყვეტენ ისინი სუნთქვას.

მისი გრძნობების დიდი ცეცხლი დაგეზმარება,  
ფერფლად აქციო ყველა ტანჯვა და მწუხარება.

და საფლაეიდან საფლაეში რომ გადაგასვენეს,  
ხალხის მგოსანო, ხალხის კენესა რომ განიცადე,  
შენს გულს ეყოფა, რა დარდებმაც იგი დასერეს,  
აწ განისვენე წყნარად, მშვილად უკუნისამდე.

1893 წ.

თარგმანი ღაბით ბაჩიჩილაძისა.

## მთაწმინდის ღირება

მთაო, მთაო, დიდებულო, ოცნებათა კერავ,  
 კვლავ განახე და სიყვარულით გულმა იწყო ძვერას!  
 მუხლმოდრეკით ვემთხვევოდი შენს უბრალო მტვერსაც,  
 ოღონდ ძეგლებს ნუ შეუცვლი მაგ ელვარე ფერსა!  
 შეღამებით ვეპყრება ცის სპეტაკი ცვირი,  
 ხარ ფიქრების სამფლობელო, მთა ხარ სანუკვარი.



მთაო, მთაო, საქართველოს არწივების ბუდე,  
 შენს ბრწყინვას და შთაგონებას ვინ დაუღოს ზღუდე!  
 გახსოვს, ერთი სულობილი აქ ვიდოდა თბლად,  
 ლექსის ალში იწებოდა დარდის გაუჭრობლად,  
 ბულბულის ხმით გიმღეროდა მარტოობის მწყემსი,  
 ბულბულს სძინავს. ლექსიდან კი მერნის ქოთლეა გესმის.



გესმის მერნის თქარათქური ბედგანწირულ მგონისს,  
 კლდეს გადიელის, წყალს მიაპობს, ქარი ფაფარს ჰკოცნის.  
 შორს მიაფრენს მიუსაფარს, და მამულის გარეთ  
 განჯის მიწას ჩაახუტებს თვით სიკვდილი მწარე.  
 ჩუმად, განჯის ნიაგქარო, საფლავის წინ შესდექ,  
 ბარათაშვილს მოუსმინე საუკუნის შემდეგ:



— მთაო, მთაო, სხივოსანო, შთაგონების ბინავ,  
 ცა-ფირუზის განთიადით კაშკაშებ და ბრწყინავ,  
 შენ შემამარე ცხარე ცრემლის თვითთელი წვეთი.  
 სიუბუტყემ რა მარგუნა მწუხარების მეტი!  
 ახლა ხალხის ლამპარია ჩემი ლექსი ყველა,  
 საქართველოს ვენათები ლექსის ცისარტყელა! —



მთაო, მთაო, მშვენიერო, ჩირალდანო ერის,  
 სღუმხარ, მაგრამ შენს ღუმელშიც მთაწმინდელი მღერის.  
 ღამით ბილიკს შეციმციმებს მთვარე ირმის თვალი,  
 დღისით მზისგან შუქმფინარობს ტატოს ნატერფალი.  
 მისი ძეგლის შარავანდედს მეც ფიქრებით ვრევი,  
 ვთხოვ, ტრფობაში ჩამიფერფლო ანთებული გული!

## დაკარგული ღეხსი



ქართული  
ლიტერატურის

დღემდე არ არის აღმოჩენილი ნ. ბარათაშვილის  
შესანიშნავი სატრფილო ლექსი „ასტრა“.

საით გაიქვრ, ლექსო კეთილო, სად წარიტანე ამდენი ნატვრა,  
ვარდის ცრემლის წინ ატირებულა და უგზო-უჯვლოდ გამქრალა „ასტრაე!“  
სად გაფანტულან წმინდა ბწყარები შენი თბილისის ცის-ფეროვანი,  
წრფელ სიყვარულით ნაელვარები, სულით სპეტაკი, პაეროვანი!  
სად ავინთია ტრფობის ლამპარი, სად გინდა მწარე ნაღველი ლესო,  
ბარათაშვილის დიდი გულიდან ამოფრენილო პატარა ლექსო!

ეგებ შენც იყავ ციციანათელა, გზიბლავდა შორით წვა და ნათება,  
შთაწმინდის კალთებს შეციმციმებდი უბრწყინვალესი მგოსნის ბატება!  
ღამით ვარსკვლავი გიკაშკაშებდა, გესალმებოდა დილით სუშბული,  
ხან კი კაეშნით აკენესებული შტოდან გიტყვენდა ნაზი ბულბული:  
— რამ დაგაობლა, რამ გაგარინდა, საშშობლოს ძაზილს რად არ გებულობ,  
უმისამართოდ ლტოლვილო ლექსო, პეპელას სუნთქვით შთაგონებულო?

რად დაივიწყე ვარდი მწუხარი, რად შიატოვე ტატოს კრებული,  
რად არ აფღერდი უკვდავების ხმით ლამაზ ასულზე შეყვარებული!  
იქნებ მღუშარე მგოსანთან ერთად განჯის საფლაფში ჩაეშვით ორნი,  
ან იქნებ სადმე, არჭივის მტვერში, დარღობ მარტო და გეძებენ დრონი!  
დროა გამოწნდე, გაიზაფხულო, ნაზო ცა-ფირუშ ქვეყნის დარობა!  
ვინ გაიფონა საქართველოში ლექსის თბლობა, უსახლკარობა!

შინც სადა ხარ გვდახვეწილი, ლექსო უბედო და უჩინარო!  
გვითხარი, მიწავ, ეს საიდუმლო, გვითხარ, ყვაეილო, მტკვარო, ჩინარო!  
ხომ უპოვნიათ ტურფა ნესტანი დატყვევებული, გადაკარგული,  
როგორ გახმება შთაგონების ხე საკაცობრიო ბაღში დარგული!  
შენც აგვიმღერდი, აგვიხმატკბილდი, ამოანათე, ოცნების მწყვეშო,  
ბარათაშვილის დიდი გულიდან ამოფრენილო პატარა ლექსო!

## სისუჰი თვალები

თვალებში მშვენიერს  
ვეტრფი მე ცისა ფერს.  
ნ. ბარათაშვილი.

წამწამთ ჩეროში, ჩემო ცისთვალავ,  
ნაზი ზობობი შეგფარებია.  
გულმა მალამო შემოგიტვალა,  
შენდამი ტრფობა შეჰპარებია.

ვერ გუბნები: ნეტავ ვისი ხარ,  
ვის ეყოლები დარდის გამთელად?  
ხანძრის გამჩენად გულში მიზიხარ  
ერთი პატარა ციციანთელა.



შენს გასართობად ვთხოვდი იაღონს  
შტოდან ესტენია: მთვარე ბადრია!  
გულს სათქმელი ჩიტს ვინ შიანდოს,  
თორემ ვეტყოდი, რაც მინატრია.

თუ კი მოგიტანს სიტყვას ფრიწველი  
სიტყვების მეტი რა შაბადია!  
გულს შიდაგავდა ტრფობა პირველი,  
აბლა ახალი ცეცხლი მწაღია.

ვითარ ვუმღერო ლამაზ „ცისა ფერს“,  
თვალში ლაქვარდი თუ ჩაგფენია!  
გულს სიყვარული ვისთან შიაფრენს,  
შენთან, ძვირფასო, რადგან შენია.

თუ ეს ფიჭრებიც ხსოვნას გაპყვება,  
როგორც ბავშვობის ოჭროს დღეები,  
გულს ტრფობის ძეგლად შეენახება  
წიგნში დამწყნარი ორხიდეები.

ვიდრე ანთებულ გულით გდარაჯობ.  
შწავს მოციმციმე შენი თვალები.  
გშენის წამწამთა ტყე სადღურაჯო,  
მეც ამ ოცნებით შიგ ვიმალები.

## საყურის ჩრდილი

ოქტომბრის ღამე, ფეხაკრეფით შემოპარული,  
მის სასთუმალთან სდგას პირქუში და სევედიანი...  
სდუმს. მხოლოდ გარეთ, მოუსვენრად, ჩუმში შრიალით  
მოსთქვამენ ხენი მწუხარებით გულდაღარულნი.

„რა წამებაა?! ამ სიცხისგან არ სჩანს საშველი“...  
შფოთავს პოეტი, სნეულებით საწოლს მიკრული...  
ხან ძვირფას ბიძას, ხან სანატრელს შესჩივის გულით:  
„ო, გამიყვანე გზა ფართოზე, მომეცი ხელი!“

და ეჩვენება: ვისაც გულით შესტრფოდა მარად,  
გადმოიხარა მისკენ სევდით თვალებდახრილი,  
შველას ჰპირდება ნაზი ყელი — ბროლივით თლილი,  
თვისკენ ეძახის ამ სიცხისაგან თავშესაფარად...  
მაგრამ, ო, ნუ თუ ის პატარა საყურის ჩრდილი  
დამძიმდა ასე? და... თვალებზე გადაეფარა?!

---

იოსებ ნონეშვილი

## გაკათაშვილის სუკათი

მისი სურათი ნაპოვნი არი.  
მოღლილი სხივი გვიანი მთვარის,  
მამადავითზე ობლად რომ ტყდება  
და ამომავალ მზეს ეგებება,  
ეს მისთა თვალთა, შავი ზღვის დართა,  
უძირო სევდის ნათელი არი.  
მისი სურათი ნაპოვნი არი!..

როს საარაგვოს დაჰბერავს ქარი  
და მთვარიანში მცხეთამდე ისმის,  
რა ნაღვლიანად შრიალებს ისლი,  
ქარი კი არა, მტკვარი კი არა,  
ეს შორეული სუნთქვაა მისი.  
მისი სურათი ნაპოვნი არი!..

როს სვეტიცხოვლის ტაძარში მდგარი,  
ერეკლეს საფლავს მადლობით უმწერ  
და ნათლის სვეტი გაცემა გულზე,  
მგონის ფიჭვი და ხმა იღუმალი  
შენში გადმოდის უხილავ ძალით.  
მისი სურათი ნაპოვნი არი!..

მოზარნიშული სატევრის ტარი  
ქართულ ქულავის კალთაზე ბრწყინავს.  
ვინა სთქვა, თითქოს საფლავში სძინავს,  
ისიც იბრძოდა კავკასის მთებთან,  
მისი სიტყვებით გულს გვინათებდა.  
მისი სურათი ნაპოვნი არი!..

განა მსოფლიოს დიდი მხატვრები  
ასჯერ, ათასჯერ არ ინატრებენ  
მისებრ დასტოვონ ამ ქვეყნად კვალი —  
შესძლონ დახატონ თავისი თავი,

რომ სჩანდეს სული. და ფიქრთა დეღვა,  
 ვით შესძლო მგოსნის ჯადოსნურ ხელმა?!.  
 მისი სურათი ნაპოვნი არი!...



ქართული  
 ენციკლოპედია

ვარსკვლავთ ჩემო, მთაწმინდის ზემოთ,  
 განთიადზე რომ დაიწყებ ციმციმს  
 და თითქოს ჩემი ოცნებით იწვი, —  
 მგოსნის ობოლი სული ხომ არ ხარ?  
 შშობლიურ ცაზე მარტოდ რად დახვალ?!

მისი სურათი ნაპოვნი არი!...



ალიო ალაშია

## ნაკერძები

ქართლის მთებზე სილაყვარდე გადმოსულა,  
არ წაშლილა წინაპრების გვალი:  
მთაწმინდაზე გაზაფხული არ მოსულა,  
რომ საშენოდ არ ეზაროს ყვავილს,  
მწვერვალებზე თეთრი ნისლი გამოსხმულა,  
დიღუბეში ია-ია ჰყვავის.

მთაწმინდაზე ზეიშია არნახული,  
შენი თვალი იმზირება ციდან;  
მთაწმინდაზე ამობრძანდა გაზაფხული  
და ყვავილებს ახლა იღარ სცივა.  
გაიღვებებს შენი რაში დარაბტული,  
უკვდავების ნაპერწკლები სცივია...

## ჭავჭავაძის ასუღივით ეღავს

ის სუმბული შენს ლექსებში ღელავს,  
სტრიქონებში მოწიწებით ჰრგავდი.  
ჭავჭავაძის ასუღივით ეღავს  
წინანდალის ეშხიანი ვარდი!

სიბნელეში აელვარდი... იღვა  
მთაწმინდიდან, უკვდავების ლანდი, —  
შენ სამარე შიატოვე, რადგან  
არ ამკობდა წინანდალის ვარდი.

გამოიჭერ ქართლის ველზე... ისმის  
შეძახილი, შეკივლება გზაში!  
მთაწმინდიდან აიხვეტა ნისლი,  
შეშრიალდა ვარდი წინანდალში.



# ბაკათაშვილის ჩვენება

1

ბაკათაშვილი ვიზილე ვუშინ,  
მე მისი ლანდი თანამდევს დღესაც.  
ხელში ეჭირა ტოტები ნუშის,  
ტანზე ცისფერი ქულაჯა ეცვა.  
თბილისის მიწას იკრავდა ვულში,  
ალამაზებდა ფიქრებით ზეცას.


უბეში ერთი რვეული ჰქონდა,  
ზედ შუჭი ედგა პოეტის სახელს.  
კაეშნიანი არას ამბობდა,  
არას უმხელდა ნათესავს, მნახველს.  
რომ მისი სევედა ზედ არ დართოდა  
შობლობურ ქვეყნის ტანჯვას და ნაღველს.

მოსდევდა თავის ოცნების ტალღას,  
მისი დუმილი უკვირდა ყველას,  
ხანგამოშვებით შთაწმინდის მადლა  
შეაჩერებდა ხეების რხევა  
და წამწამების უბრალო დახრაც  
ლურჯ ყვავილებში იწვევდა ღელვას.

მეტეხის ხილთან ტიროდა თარი,  
ქუჩებს ალბობდა ცრემლები თბილი.  
ორთავალიდან მოჰქროდა ჭარი,  
მტკვარზე ფოთლების წვებოდა რთვილი.  
არეინ იყოფა, ცრემლიან თვალით  
ეთხოვებოდა ის თურმე თბილისს.

2

იღგა, ხიბლაედა უსაზღვრო სივრცე,  
მთებში ჩასმული საშობლო მხარე.  
ო, თურმე იგი შობლობურ ცისქვეშ  
უკანასკნელად ახელდა თვალებს.  
ვერც შევეციებე, ესა მეკლავს იმე,  
რად იყო იგი ასე მწუხარედ.



1907  
4044

მინდოდა მეთქვა, რად ზურავს ნისლი,  
 რად დღუზურავს ღიმილის კარი,  
 ამერიიდან ქართველთა სისხლით  
 არ იღებება მღელვარე შტკვარი.  
 მაგრამ ვშიშობდი, ვაი თუ მისთვის  
 მე დამერღვია ოცნება წყნარი.



ქართული  
 ენციკლოპედია

## 3

ვიდექით, იყო ღუმილი ორგელი  
 და ქათქათებდა ლაქვარდი სუფთაი.  
 ვხედავდი — მთებზე შრიალა ჩირვებიც  
 ვრძნობდა სპეტაკი პოეტის სუნთქვას.  
 ისე დამცილდა თბილისთან იგი,  
 რომ მას უბრალო სიტყვაც არ უთქვამს...

ნიავე სწეწდა ნისლების ფარჩან,  
 მის კვალს ნამიან ფოთლებში ხვევდა.  
 და როცა ქართლის კარიბჭეს გასცდა,  
 აკრიფა დილამ ჩრდილები ხეთა, —  
 ნარიყალასთან კიხვინი ატყდა,  
 აღმათ შერანი ეძახდა მხედარს.

## ხეთიანის საიღუმელოება

### I

ხეთიანი სოფელია. მაგრამ ხეთიანი ეწოდება აგრეთვე ძველ ციხესაც, რომელიც მახლობელი მაღალი მთიდან ამ სოფელს თავს დასცქერის. დიდი, დიდი სამი კილომეტრი თუ იქნება მათი განყოფილი მანძილი.

არაფინ იცის დანამდვილებით, სოფლის სახელი დაერქვა ციხეს, თუ პირუკუ, ციხის — სოფელს. თუმცა სოფელი ხეთიანის მკვიდრის, მოხალისე არქეოლოგისა და ისტორიკოსის ყარამან ბედისაშვილის მტკიცებით, არ შეიძლება ამ საგანზე ორი აზრი არსებობდეს. მას უდავოდ მიაჩნია, რომ უპირატესობა ამ შემთხვევაში ციხეს ეკუთვნის.

საქმარისია, მართლაც, კაცმა შორიდანაც კი ერთხელ შეხედოს ხეთიანის ციხეს, რომ დარწმუნდეს ყარამან ბედისაშვილის აზრის სიმართლეში. თუმცა ციხე შემუსვრილია და დანგრეული, მაგრამ მისგან ნაშთი მაინც დარჩენილა, როგორც უტყუარი მაჩვენებელი მისი გარდასული დიდებისა. ეკუმულტანელია, რომ ციხე ნადარბაზევი და ნასასახლევაა. საქართველოში ცნობილ ძველ ციხეთა შორის იგი ყველაზე უძველესია, როგორც ამას ბატონიშვილი ვახუშტიც აღნიშნავს თავის „გეოგრაფიულ აღწერა“-ში.

სოფელი ხეთიანი კი მაინცადამაინც არაფრით არის ცნობილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვითონ ყარამანს, უთუოდ შესანიშნავს კაცს, მის მტკად საყურადღებო მუზეუმს, რომელიც მას საკუთარ სახლში აქვს გამართული, და სამს მის ახალგაზრდა მეგობარს, აგრეთვე ხეთიანელებს — გივის, ყარამანის ძმისშვილს, იოთამ და გოგი ძანამაშვილებს, სოფელ ხეთიანიდან გამოსულ პირველ სტუდენტებს და მთელ საქართველოში ცნობილ ძმადნაფიც მოაშველულებს. მაგრამ ეს გარემოება აქ მოსატანიც არ არის, რასაკვირველია, რამდენადაც ჩვენ მხოლოდ წარსულზე ვლაპარაკობთ და არა აწმყოზე.

მართალია, ხეთიანის ციხეს დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ ჩვენი ისტორიკოსები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მნიშვნელობა მეცნიერებაში ჯერ კიდევ ჯეროვანად დადგენილი არ არის. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ გახადა ხეთიანის დიდი პატრიოტი ყარამან ბედისაშვილი არქეოლოგად და ისტორიკოსად. ახალგაზრდობაში იგი მასწავლებელი იყო ხეთიანში, მაგრამ თავი დაანება ამ საქმეს და ხეთიანის ციხის ისტორიის კვლევა-ძიებას მოჰკიდა ხელი. თანამშრომლები და თანამოაზრეებიც გაიჩინა. ესენი იყვნენ ზემოდდასახელებული სამი ძმადნაფიცი მეგობარი, მისი ყოფილი მოწაფეები. ყარამანმა მათ მაშინ დაუწყო წვრთნა, როცა მისი მომავალი თანამემწენი ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ და აღვილობრივ სკოლაში

სწავლობდნენ. ყარაიმანს ხშირად დაჰყავდა ისინი ხეთიანის ციხეში და მონაწილეობას აღებინებდა თავის მუშაობაში.

აქედან იყო, რომ ყმაწვილებს თავიდანვე დიდი სიყვერძეული ზღაპრით ხეთიანის ციხისადმი. მათ ზრდასა და განვითარებას მოჰყვა ანტიკრესის გაფართოებაც. ეს იყო სურვილი სამშობლოს სხვა ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლების ვაცნობის და საერთოდ საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისა. ამ მიზნისთვის მოწაფეობის დროსავე მძალდ გაიფიცნენ ისინი, რაც ყარაიმანის შთაგონებითვე მოხდა.

რა თქმა უნდა, როცა ყმაწვილებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დრო დაუდგათ, მათ უყოყმანოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი აირჩიეს. აქ მთავსვლელების სახელიც მალე მოიხვეჭეს.

თუმცა ყარაიმანი ხანში შესული, ქაღარაშერეული კაცი იყო, მაგრამ ყმაწვილებს მაინც ტოლივით მეგობრობდა. არ დარჩენილიყო საქართველოს მიწა-წყალზე არცერთი შესანიშნავი ძეგლი ციხე, ტაძარი თუ სხვა ისტორიული ადგილი, რომლებიც მეგობრებს არ ენახათ და არ შეესწავლათ. კველა ექსკურსიის გეგმის დამუშავობი და სულის ჩამდგმელი ყარაიმანი იყო. მოუხედავად ხანდაზმულობისა, იგი არა თუ არ ჩამორჩებოდა თავის მეგობარ მთავსვლელებს, — მაგალითსაც კი აძლევდა მხნეობისა, გამძლეობისა და შეუზღვრობის.

მაგრამ ერთ სუსტ მხარეს მაინც ამჩნევდნენ მეგობრები ყარაიმანს, — ხაცა უნდა ყოფილიყო, რა ძვირფას ისტორიულ მასალასთან და ნაშთთან ჰქონოდა საქმე, სულ ერთი იყო, ხეთიანის ციხე მაინც არ აფიქვლებოდა და გული სულ მისკენ მიუწევდა.

— ჰეე, მაინც ხეთიანია რაც არის, მეგობრებო. ვცდებით, როცა ვფიქრობთ, რომ იგი უკვე შესწავლილია. მე კი გული იმას მეუბნება, რომ მასში დამარბული საიდუმლოების კარი ჯერ კიდევ მიუღწებელია, — ამბობდა იგი.

მისი ახალგაზრდა მეგობრები, თუმცა იზიარებდნენ ყარაიმანის აღფრთოვანებას და ეთანხმებოდნენ მას, რომ ხეთიანის ციხის შესწავლა დასრულებული არ იყო, მაგრამ საყვარელ მასწავლებელს გულში კი მაინც სწამებდნენ ხეთიანისადმი მიეკრძოებას, ხოლო ამას არ უმხელდნენ.

მეგობრების მთავარი ბინა ყარაიმანის სახლი იყო ხეთიანში. აქ ისინი ყოველ ზაფხულს იყრიდნენ თავს, გეგმას ადგენდნენ, ეშაღებოდნენ და დანიშნულ ადგილებში სამუშაოდ მიემგზავრებოდნენ.

ყარაიმანის პატარა სახლი ნამდვილ მუზეუმს წარმოადგენდა. მეგობრების რამდენიმე წლის ნამუშევარის შედეგს აქ მოეყარა თავი. სახლი ათასნაირი წარწერებიანი ძეგლებით და სხვადასხვა ისტორიული მნიშვნელობის საგნებით იყო სავსე. შესანიშნავი იყო განსაკუთრებულად ის ოთახი, რომელიც მეგობრებს სამაგალითოდ ჰქონდათ შორთული და მოწყობილი. აქ თაროებზე კობტად ელაგა შერჩეული და უკვე შესწავლილი ექსპონატები, — მთელი თუ გატეხილი ქანდაკებანი, ხეზე ამოჭრილი სახეები, ჩუქურთმების მდიდარი კოლექცია, კერამიკის ძეგლი ნიმუშები, კოლოფების

ანლაგებული ძველი ფულები და სხვა. ცალკე კუთხე ეჭირა სარკარ თუ სამუშაო იარაღებს, სამკაულებს და სხვა ამნაირ ნივთებს. დეიფილს ზედ მაკრული ჰქონდა ფირფიტა, რომელზედაც ეწერა თუ როდის, სად და სახელდობრ რომელი მეგობრის მიერ იყო ნაბოვნი და შესწავლული.

ყარამანის სახლშივე იყო დაცული დამხმარე ხელსაწყოები, რაც კი სიჭირო იყო შორი მგზავრობის დროს მთებში და ღრეებში სიარულისათვის: თოკის კბეები, რკინის ბრჭყალის მსგავსი წრიაბები, რკინის წვეტიანი ჯოხები, ბადეები, მაღაროებში სახმარებელი ფარნები, ზურგის ხურჯინები, კომპასები, სახაზავები, რუკები და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც აუცილებელ საქმეობას წარმოადგენს იმ საქმისათვის, რომელსაც ყარამანი და მისი გამოზრდილი ყმაწვილები თავგამოდებით ემსახურებოდნენ.

მეგობრებს ყველგან იცნობდნენ, სადაც კი ისინი მცირე ხნით მაინც შეჩერებულან მოგზაურობის დროს და სადაც მათი საკვირველი მუშაობისათვის თვალი მოუტყავთ. მაგრამ მათი სახელი უფრო შორსაც გაისმოდა.

ერთხელ ისიც მოხდა, რომ თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საჯარო სხდომაზე მუზეუმის ერთ-ერთმა მეცნიერმა თანამშრომელმა და მეკლევარმა თავის უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ მოხსენება სიტყვა-სიტყვით ასე დაამთავრა:

„ხეთიანად წოდებული ძველი ციხის ნანგრევებში მუშაობის დროს არულიად შემთხვევით გავიცანი ოთხი პიროვნება, რომლებს შესახებ არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვსთქვა.

მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ უცნობთა ჯგუფს ხეთიანის ციხეში უკვე დაეწყო მუშაობა დიდხინით აღრე, ვიდრე ჩვენი მუზეუმი იქ თავის ექსპედიციას მიაგლინებდა. ჯგუფი, როგორც მოგახსენეთ, შესდგებოდა ოთხი კაცისაგან. ერთი ამათგანი, ყარამან ბედისაშვილი, უკვე ხანში შესული კაცია, ხოლო დანარჩენი სამი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

კერძოდ ყარამან ბედისაშვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიული ადგილების საკვირველი მცოდნე აღმოჩნდა და, რაც ფრთხილ საყურადღებოა, შესანიშნავი წამკითხველი ძველი წარწერების.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ჩემი დიდი სახარული და აღტაცება, რაც მე მომანიჭა ამ ჯგუფის გაცნობამ, მისმა მუყაითობამ, საქმისადმი სიყვარულმა და, რაც მთავარია, მთელი იმ კუთხის ზედმიწევნითმა ცოდნამ. თქვენს ყურადღებას, სამწუხაროდ, ახლა ვერ შევაჩერებ იმაზე, თუ რა ვაუკეთებია ამ ჯგუფს. მაგრამ მწამს, სულ მალე დადგება დრო, როცა ეს საკითხი განდება ჩვენი მსჯელობისა და შეფასების საგანი. მანამ კი ნებას ვაძლევ ჩემს თავს საჯაროდ გამოვსთქვა აქ ის დიდი იმედი, რომელიც აღმიძირეს ვულში ჩვენმა სტუდენტებმა და მათმა უფროსმა მეგობარმა, — ეს ის იმედია, რომ ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დგას და ახალ და ახალ ძალებს იზიდავს. შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე ხალხურ საქმედ არის გადაქცეული. ამ მოვლენას მხოლოდნე ქართული ეროვნული მნიშვნელობა როდი აქვს, რამდენადაც იგი მიმართულია იმ წყაროების ძიებისაკენ, რომლებსაც უნდა დაემყაროს კაცობრიობის წარსულის ისტორია, და თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამ წყაროთა შორის ქართულ წყაროს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესანიშნავი ხეთიანის ცინის წყობად უნდა მივიჩნიოთ, რომ მან ჩვენი წარსულის კვლევებში საკმარისი ერთგული მუშაეები შესძინა, როგორც აღმოჩნდნენ აქ დასახლებულ პირები. ჩანს, თუ დროს შეუმსრავს ხეთიანის დიდებულებამ, როგორც შერჩენია დღემდე შთამოგონებელი და მიმზიდველი“.

## II

წლებადელი ზაფხულის შესახებ არ კმარა იმისი თქმა, რომ ჩვენი მეგობრების ცხოვრებაში იგი არაჩვეულებრივი გამოდგა.

უწინარეს ყოვლისა იგი დაიწყო ყარამანის უცნაური წერილით, რომელიც მმანდაფიცმა მეგობრებმა უნივერსიტეტში მიიღეს.

მეგობრები კითხვობდნენ ყარამანის წერილს და არ სჯეროდათ, რომ იგი მათი მასწავლებლის მიერ იყო დაწერილი. საკმარისაა, რომ წერილი თავიდან ბოლომდე გაუგებარი აღმოჩნდა. გარდა ამისა იგი არეულად იყო დაწერილი და მეტად სამწუხარო ეგვს იწვევდა. ყარამანს ყოველთვის დინჯი წერა ჩვეოდა, აზრის მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმა. ამ წერილში კი იგი თავის თავს დალატობდა. წერილი დაუმთავრებელიც იყო და იქ სადაც სოლოში ავტორები ჩვეულებრივად თავიანთ სახელს აღნიშნავენ ხოლმე, მიწერილი იყო: „თქვენი მალე“.

მეგობრების აღელვება და გაკვირება უსაზღვრო იყო. აი, ეს წერილი უცვლელად:

„მეგობრებო, ჩამოდით. შემთხვევით მოხდა, რომ თავი მივდევი. თურმე ნუ იტყვიოთ, საიდუმლოების კარზე მიმიღვია. უცნაური ხმა მესმა. იგი ნამდვილი საიდუმლო ჩურჩული იყო და ჰიდან ამოდის. გადაბრუნდა მსოფლიო, ყირაზე დადგნენ წარმოდგენანი. ჩამოდით ყარამანი. მოგვლით ყოველ საათს, წუთს, წამს და უფრო მალეც. თითქოს აღამიანი ლაპარაკობს. შორიდან. ასეა ნამდვილად და თქვენი მალე“.

ასეთი წერილის შემდეგ ყარამანის მეგობრებს ქალაქში რა გააჩერებდათ. გივის წერილის მიღებისთანავე უნდოდა გამგზავრება, მაგრამ ერთხილმა და ეჭვიანმა იოთამმა შეაყენა გულღივები მეგობარი. გოგის კი საზოგადოდ არ სჩვეოდა აღელვება და აჩერება.

— მე მგონია, მეგობრებო, რომ ეს წერილი ისევ და ისევ ხეთიანს შეეხება. ბიძა ჩემი არ ეშვება ნანგრევებს. დაუჩემებია, აქ არის რაც არის. — თქვა გვიმ.

მეგობრები ამაზე ჯერ გაჩუმდნენ. მერე იოთამმა დაარღვია სიტყმე:

— კარგია, თუ ასეა, ჩემო გივი... მაგრამ, რა დაგიშალო, მე მენიშნება რაღაც... — სიტყვა არ გაავრძელა, ორი თითი მიიტანა შუბლოთ და ათამაშა, — აქ ხომ არ მოსვლია რამე ჩვენს ყარამანს?

გოგიმ წერილი აიღო. ერთხელ კიდევ ჩუმად წაიკითხა თავისთვის.

— არც კი ვიცი, რა ეთქვა... — წარმოთქვა მან, — ასე თუ ისე ყოველ შემთხვევაში დაყოვნება არ იქნება. უნდა დღესვე წავიდეთ! უთუოდ რაღაცა ამბავია.

— თქვენ დარჩით, მე წავალ... თქვენი აზრით, ავად უნდა იყოს ბიძა ჩემი, არა? — განაცხადა გვიმ და ცდილ შეხედა ჯერ ერთს, მერე მეორეს.

— თუ წასვლაა, ყველანი უნდა წავიდეთ. მართალია, შენი ბიძაა, მაგრამ ჩვენი მეგობარია! — არ დაუთმეს გივის მეგობრებმა.

— რატომ არ შეიძლებოდა, რომ სასწაულს რამეს გადაყროდა ჩვენი ყარამანი, ისეთი რამე აღმოჩინა, რომ... — დაიწყო ისევ იოთამმა.

— შენ გინდა თქვა: ისეთი რამე, რომ ჭკუაზე შეირყაფე? — უკუგაუწყებინა გიგაჰმუსუსა.

— არა, ჭკუაზე რატომ? იქნება, ისეთი რამე აღმოჩინა შეთქი, რომ აღელვებისაგან ვერ დააღვა კარგად წერილი. ხომ იცი რანაირი ვატაცება ჩვევია? ავიწყდება ხოლმე ყველაფერი.

— მართლა, იქნება, საკვირველი რამე აღმოჩინა? — წამოიძახა გიგამ, რომელსაც არ უნდოდა, რომ ბიძამისისათვის ჭკუაზე შერყევა დაეწამებინათ.

— მე კიდევ რა მგონია, იცით, მეგობრებო? ჩვენ ვკითხვლობთ წერილს. მეტად არეულად არის ნაწერი. ყარამანი ხომ ხშირად ხმარობს ძველ სიტყვებს, რომლებიც ჩვენ არ გვესმის. მაგალითად, მე არ მგონია, რომ აქ „თავი მივდევი“ ეწეროს, აქ სხვა წერია, ალბათ, რაც ჩვენ არ გვესმის. ან „ჰიდან ამოდოდა“ ნამდვილად სხვა სიტყვებია და ჩვენ კი „ჰიდან ამოდოდა“ გვეჩვენება, — ამბობდა დინჯი გოგი და წერიალს აკვირდებოდა.

— „თქვენი მალე“ — ზე რას იტყვით? — შეეკითხა მას იოთამი, ცოტა არ იყოს, დაცინვით.

— ეს კი მართლა უცნაურია!!  
გივი წამოდგა.

— მე მივდივარ, მეგობრებო!

— გამოცდები? — შეახსენა იოთამმა.

— შემოღგომისათვის უნდა გადავდგა.

— მამ მეც მოვდივარ! — ამოუდგა გვერდში იოთამი.

— მეც, რა თქმა უნდა! — განაცხადა გოგამ.

III

სადამო იყო. ახალუხის იმარა ყარამანი ფანჯრის წინ საწერ მაგიდას უჯდა თავის ოთახში. ერთ ხელში სახაზავი ეჭირა, მეორეში მოშვებული ქალარა წვერი ჩაებლუჯა და მის წინ მდებარე, რუკასავით დახაზულს, აქა იქ აფერადებულ ფართო ქალაღს დასცქეროდა. მარჯვენა ყურზე ფანქარი ჩამოედგა, მარცხენაზე — პაპიროსი, და ფიქრს მისცემოდა.

ქალაღზე სამი მთავარი ხაზი იყო გავლებული, უსწორო, გარდი-გარდ-მო. ერთი სულ ზევით, მის ქვემოდ მეორე, ზოლო მესამე წერტილებისა და კითხვის ნიშნებისაგან შესდგებოდა.

პირველი ხაზის გაყოლებასზე მარჯვენით, მთის აღმნიშვნელი ნიშნის გვერდით, დიდი წერტილი იჯდა შავ ლაქასავით, ქვეშ რამდენჯერმე ხაზ-ვასმული. მეორე ხაზს პატარა ჯვრები ესვა ალაგ-ალაგ. პირველი ხაზის შავი წერტილის პირდაპირ ქვემოთ პატარა ოთხკუთხედი იყო მოხაზული, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ქვაბული № 2“.

ამ ოთხკუთხედიდან რამდენიმე ხაზი იყო გაყვანილი ძირს, მესამე მთავარი ხაზისაკენ, რომლის გასწვრივ მსხვილად ეწერა: „ახალი ვარაუდი“.

რუკას გაკრული, მოდილო წარწერა ჰქონდა: „ბეთიანის ახალი გეგმა“.

ყარამანი დამშვიდებული ჩანდა. სრულიად არ ეტყობოდა, რომ იგი იყო ავტორი მეგობრების ამაფორიამებელი წერილისა. ზოლო ხანდახან თავისთვის ჩაილაპარაკებდა ოღმე:



— ა? მივდევო თავი თუ არა, — და იღუმალი ღიმილი სახეს გაეჩინებოდა. თავს ასწევდა რუკიდან და სივრცეში გაიხედავდა.

თვალეები ცისფერია ჰქონდა, ღრმად მეტყველი. დღეს ძირის უწყვეტი ლავარდს მიუგავდა, ვარსკვლავების ცილით განათებულს. ჩემო მამასავით სიხარული ნაცარგადაყრილი ნაღვერდალივით გამოსკვივოდა მათ გამოხედვაში. მიუხედავად წლოვანებისა, ყარამანის სახეს ჰაბუკური იერი გადაკრავდა. პირველსავე შეხედვაზე შეეტყობოდა, რომ იგი დიდი მეოცნებე იყო.

ყარამანი ამ სიღამოს უთუოდ მოელოდა მეგობრების ჩამოსვლას ქალაქიდან. მესამე დღე იყო, რაც მათ წერილი გაუგზავნა, და ეჭვიც არ ებადებოდა იმისა, რომ ისინი დღეს ჩამოვიდოდნენ. მან იცოდა მატარებლის გავლის დრო მახლობელ სადგურზე და საათიც ჰქონდა დახიშნული, თუ როდის უნდა გამოჩენილიყვნენ საყვარელი სტუმრები მის ეზოს კართან.

ის-იყო მზე ჩაეიდა. ყარამანმა ჩამოიღო ყურიდან ფანქარი, პაპიროსი პირში ჩაიდვა, გააბოლა. მივიდა მიადგ-მოადგა, რუკაზე ერთი სქელი წიგნი დადვა, რომ ქარს არ გადაეგდო. მერე მოღიშარი დამშვიდებული სახით აივანზე გამოვიდა, ეზოში დაეშვა. ჰემსკრისკენ იტყირებოდა და ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა მას.

ყარამანის მისვლა კარებთან და ქუჩის მოსახვევებში გვივის, იოთამის და ვოგის გამოჩენა ერთი იყო.

ძმადნაფიცები სამხედრო ნაბიჯით მოდიოდნენ, წელში გამართულები და მალა თავაწეულები. ხურჯინები ზურგზე აეკიდნათ და ჯოხები დაემარტაფებინათ.

მათ დანახვაზე ყარამანს სახე გაუბრწყინდა.

— ჩემი შევარდნები! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მან, გააღო ფართოდ კარები, გავიდა ეზოდან და სტუმრებს ხმამალა შესძახა:

— ბედნიერი იყოთ თქვენი ჩამოსვლა ამ ზაფხულს, ჩემო მეგობრებო!

— გაუმარჯოს ბიძია ყარამანს! — ერთხმად უპასუხეს ძმადნაფიცებმა ყარამანს შორიდანვე და სირბილით მივარდნენ მას. სამივე თვალემოუცილებლად შესცქეროდნენ ყარამანს სახეში, თვითველ მოგანს უნდოდა ქალაქში მიღებული უცნაური წერილის ამოცანა წინასწარ ამოეკითხა მისი თვლების გამომეტყველებაში. მაგრამ არც თვალეებში, არც სახეზე იმის შორეული ნიშანიც კი ვერ შენიშნეს უფროს მეგობარს, რაც ძალაუვნებურად დასწამეს მის უცნაური წერილის წყალობით.

— ამბავი, ძია ყარამან! წერილის ამბავი მალე! — მიმართა იოთამმა, როგორც სახეზე შეწითლებულიყო სიარულისაგან და აგზნებული თვალეებიდან ნაკვერცხლებს ჰყრიდა.

— მართლა რა მოხდა, ბიძია? — შეეკითხა გვიცი.

— წერილი ძალიან უცნაური იყო, მეტი რომ არ ვთქვა! — დინჯიდ წარმოსთქვა ვოგომ.

ყარამანმა სათითაოდ ჩაიკრა ისინი გულში და მუბლზე აკოცა.

— აგქარდი მცირეოდენ და მპატიეთ, მეგობრებო! ის წერილი ნაჩქარევად იყო დაწერილი ზეთიანის თავზე. მაგრამ თქვენი სასწრაფო ჩამოსვლა მაინც აუცილებელი იყო. რაც წერილში ეწერა სულ მართალია, — უთხრა მშვიდად და შინისაკენ გაუძღვა.

— რა იყო მართლა? ჩვენ ვერაფერი ვერ ვაგვიგეთ! — მითხრებულად სთქვა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ გვიმ და ბიძას თვალები გაესწრა.

— გაუგებარი იქნებოდა ჩემი წერილი უთუოდ... მაგრამ დედაჩემი მამინდელი სულიერი მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ჩემმა აღმოჩენამ ხელახლა დააწერინოს მეცნიერებას საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი ნაწილი. მე ეს მწამს! თუმცა თქვენ ისე დედათ, რომ თუ თავიდან დალაგებულად არ ვიამბეთ ჩემი ამბავი, ახლაც ვერაფერს ვერ ვაგვიგებთ. შეიძლება შემოიღოდაც კი ჩამთვალთ. ახლა თქვენ გეტყობათ მოუთმენლობა, მე კი დამშვიდებული ვარ, როგორც დედათ. როცა წერილს ვწერდით, წინააღმდეგ, მე ვიყავი აღელვებული, თქვენ კი სრულიად დამშვიდებული იქნებოდით. ბა-ბა-ბა... მიხარია, მიხარია თქვენი ჩამოსვლა!

მეგობრები აივანზე ავიდნენ. გვიმ პირველმა მოკრა თვალი მავიდან შედგარე რუკას.

— ხეთიანის ახალი გეგმა? — ხმამაღლა წამოიკიეღა მან, — რომელი გეგმაა ეს ახალი გეგმა, ბიძაჩემო?

— ეს ჩემი ახალი აღმოჩენის მიხედვით სახელდახელოდ შედგენილი სქემაა, ჩემო ვივი, მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა ივანშემეთ, ცოცა შეისვენეთ. ძირე ვიამბობთ ჩემს ამბავს!

ყარამანის ეს წინადადება არ მოეწონათ მეგობრებს. ისინი მოითხოვდნენ მისგან ამბის დაუყოვნებლივ მოყოლას. მაგრამ ეახშმისათვის მზადებას უკვე შესდგომოდნენ მასპინძლისას. სუფრაც გაეწყოთ.

როცა მეგობრები სახლში შევიდნენ, ყარამანს ბევრი პატივი არ დასჭირვებია, — 'კამებშემოწყობილმა სუფრამ თავისთავად მიიზიდა ნამგზავრი ყმაწვილები.

ხელის დაბანა ძლივს მოასწრეს. ამ შემთხვევაში სულიერმა ინტერესმა პირველობა კუჭს დაუთმო: მოშივებოდათ ძმადნაფიცებს.

## IV

— ერთ დღეს, საღამო ეამს, შემთხვევით მოგხვდი ჩვენს ხეთიანზე, — დაიწყო ნავახშმევს ყარამანმა, როცა მეგობრები აივანზე გამოვიდნენ და ვულმკერდ შეხსნილები მოკალათდნენ ერთ გრძელ სკამზე ყარამანის პირდაპირ. ყარამანი პატარა მაგიდას მიჯდომოდა და წინ რუკა გაეშალა. ოთახის ფანჯრიდან ლამის სინათლე ირიბად ეცემოდა მაგიდას და მასზე მიმჯდარი ყარამანის სახეს ანათებდა. მეგობრები კი სინათლისაკენ ზურგით ისხდნენ. ყარამანს თვალბში შესცქეროდნენ.

— როგორც იცით, ჩვენ წელს ხეთიანის ციხისათვის არ ვაპირებდით მოცლას. აზრად გვქონდა რაქვაში გამგზავრება. ეს ზაფხული ხეამლის ქვაბულისათვის უნდა შეგვეწირა გეგმით. მეც ამისათვის წინასწარ ვამზადებდი მასალებს. ხელახლა ვეცნობოდი წყაროებს... ჰოდა, შემთხვევით იყო, რომ ჩვენს ციხეზე ავიდი. დღის პაპანებით დასიცხულს მესიამოვნა ხეთიანის გრილი ფშვნა. განსაკუთრებული საამო ნიავი მოჭკროდა სამხრეთიდან. ამ მხრით, მოგხსენებთ, ხეთიანის მადლობა ჩამოჭრილიკითაა და მისი კლდის შვეული კედელი პირდაპირ ვადაწყურებს ხეობას. სწორედ ამ მხრით მოდიოდა განსაკუთრებული საამო სიო. ერთი კლდის ძირში დიეჯექი ნიავის პირდაპირ.

— უნდა გაუწყოთ, რომ იმ საღამოს არაჩვეულებრივი ხელნაწი განწყობილება მქონდა. ალბათ, ხეთიანის საამო ნიავის წყალობა იყო, რომ სული ჩემი უჩვეულო სიხარულით იყო აღსავსე. ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი წუთი, როცა მისი სული აღტაცებულად და რაღაც უნებურად ფრთოვანება მოიცავს მთელ მის არსებას... უცნაური აზრები ფუსფუსებდნენ ჩემში. ისე შეჩვენებოდა, რომ რაღაც დიდი გახარების მოლოდინში ვიყავი. ათას რამეს ვფიქრობდი ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ჩემი მთავარი ფიქრი მაშინაც ჩვენი ხეთიანის გამოუცნობელ წარსულს თავს დასტრიალებდა, როგორც ყოველთვის...

უცნაურია, მეგობრებო, ისტორია! ჩვენი, ქართული, განსაკუთრებულად აიღეთ, თუ გინდათ, ხეთიანი. მე ციხის ნანგრევებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, და არა სოფელს. რა არის იგი? რა იყო წინათ? ჩვენ ხომ თითქოს შევისწავლეთ ეს ნანგრევები, გამოვიკვლიეთ ვითომ მისი ისტორიაც, მაგრამ სინდისის ქვეშა სთქვით, რომელს ჩვენგანს შეუძლია ამის თქმა, თუ რა არის ნამდვილად იგი? ვარაუდებია მხოლოდ. ჰე, რა საცოდაეები ვართ ჩვენ, მეგობრებო, როცა ვდგევართ ჩვენი ისტორიის მუნჯი ნაშთების წინაშე და ვცდილობთ მათ სახეებში ამოვიკითხოთ ქამთა ფარდით დაფარული საიდუმლოება წარსულისა!

რატომღაც თავში გამიელვა: ეს ზაფხულიც ხეთიანის შესწავლას უნდა შევწირო, რადგანაც გული კვლავ მისკენ მეძახის მეთქი. ასე გავიფიქრე ჩემთვის, თუმცა რაც გადაწყვეტილი გვქონდა, იმის გადაფიქრება არ განმიზრახავს.

იქვე კლდესთან ამობურთული ადგილი შევნიშნე. იგი კოხტა მუთაქას ჰგავდა, ისე იყო მოყვანილი. მიმიზიდა. მივწევი და იმ მუთაქისნაირ ადგილზე თავი მივდევი.

მივდევი თავი თუ არა... უცებ საკვირველი რამ ხმა ჩამესმა ყურში, თითქოს ვისმე საიდუმლოდ დაეძახოს ჩემთვის. გამიკვირდა. თავი აეწიე. მივიხედ-მოვიხედე.

ვინ არის რომ მეძახის მეთქი?

არაგინ იყო. არც ხმა ისმოდა.

უთუოდ მოპეჩვენა მეთქი, გადავწყვიტე და ესევე იმავე ადგილს მივწევი. თავის დადება კლდის მუთაქაზე და საიდუმლო ძახილის გაგონება ერთი იყო. ამ კვალობაზე შთაბეჭდილება ისეთი დამჩნია, თითქოს ხმა კლდიდან გამოდიოდა, თითქოს კლდის შიგნით ხმიანობდა რაღაც.

ტყვიანაკრავივით წამოვდექი.

რა სასწაულია მეთქი?

აივყურე. არავითარი ხმა.

ექვი არ იყო, ის ადგილი ხმიანობდა, სადაც თავი მქონდა მიდებულნი.

მუხლებზე დავეშვი და ახლა ყური მივადევი მუთაქას. კვლავ იგივე ხმა გამოდიოდა.

ჩემი გაკვირება უზომო იყო. რა მექნა ან რა მეფიქრნა, არ ვიცოდი.

დიდხანს არ მომიშორებია ყური მუთაქისათვის. ალბათ, მეგონა, რომ იმ ხმიანობაში სიტყვას რასმე გავარკვევდი, გავარჩევდი. ისე ვიყავი დაძაბული, რომ მთელი ტანის სიმძიმითაც ვაწეებოდი ქვას. უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ მუთაქა მიწოლისაგან შეინძრა. მერე უცებ ყრუდ ჩაიხშაურა და ადგილი გამოინაცვლა. ისე სწრაფად მოხდა ადგილის გადანაცვლება, რომ

თავი ძლიერ შევიკავე, კინალამ გადავყვევი. დავხედე: მუთაქის ადგილას მრგვლად ამტკრილი ნამღვლი გვირაბის თავი დავინახე, რომელშიც ადამიანი თავისუფლად ჩავიდოდა. ჰის თავს ჰგავდა. გვირაბიდან უცნაური საიდუმლო ხმობის მსგავსი ხმა ამოდიოდა. აი, ჩურჩულიდან უცნაურ ხმობენ ხოლმე ერთმანეთს საიდუმლოების გასაძიებად, იმნაირი იყო.

ჩაეხედე, შიგ ბნელოდა. დღის სინათლეს ჯერ კიდევ ჰქონდა ძალა და მისგან გვირაბის სიღრმეში სულ ვერაფერი გვაჩვენებდა. ჩოხა გავიხადე. თავზე ფართოდ ჩამოვიფარე და ამ სახით საკვირველ გვირაბში ჩავიჭვრიტე: ჩურჩული ვრძელდებოდა, ხოლო თვალთ კი ამ კვალობაზედაც ვერაფერი დავინახე.

ერთ ხანს შემდეგ ავდექი. მინდოდა გამომერკვია ადგილი იმ გვირაბის თავისა. გამოანგარიშებამ მათიჭრებინა, რომ იგი ჩვენი ნაცნობი პირველი ქვაბულის პირდაპირ ხაზზე იმყოფებოდა. ამ გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ალბათ, ვახსოვთ: ჩვენი ძველი გეგმით ხეთიანი ორ სართულს შეიცავს. ქვემო სართულში ქვაბულებია მოთავსებული, ხოლო ზედა ნაწილი ქვიტყირით ნაშენები ციხისა თუ რომელიმე სხვა შენობის ოანგრეულ კედელს და გაღაგანს უჭირავს. ზედა ნაწილიდან ან სართულიდან ქვემო სართულამდე ან ქვაბულამდე ჩვენი გამოანგარიშებით 80-100 მეტრია პირდაპირი ხაზით.

აქედან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ გვირაბი წარმოადგენს ქვაბულების საიდუმლო ჩასაფარს. ხოლო, რადგანაც მისი თავი პირველი ქვაბულის პირდაპირ ხაზზე იმყოფებოდა, უთუოდ ამ ქვაბულში უნდა ჩადიოდეს მეთქი. რაც შეეხება ხმას, ამ დასკვნის მიხედვით, იგი უნდა ყოფილიყო ორი ქარის შედეგზე: გამკრავი ქარის ახმაურება და ქროლვა ვიწრო გვირაბის კედელთა შორის.

ამ ჩემს მიხედვრას ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ პირველ ქვაბულში ყოველთვის ორი ქარის მსგავსად მოძრაობს ჰაერი. თუ მოვიფიქრონებთ, ამ მოვლენას არა ერთხელ გავუკვირებოდა. თუ არ ვცდები, მგონია ერთხელ ითამამაც კი სთქვა: — ამ ქვაბულს უთუოდ მეორე კარიც უნდა ჰქონდეს სადმე დატანებულიო. მაგრამ იგი არსად არ აღმოჩნდა.

ასეთმა მოსაზრებებმა სრულიად დამაწყინარეს და საიდუმლოების ფარდა ჩამოხხადეს როგორც გვირაბს, ისე მის ხმაურობას. მივანებე გვირაბს თავი და ძირს დავეშვი. შევედი პირველ ქვაბულში: უკვე ბნელოდა გარეთ, ქვაბულში კი დამე იყო დამკვიდრებული. თვალთ ვერაფერი ვერ გავარკვეე, ხოლო ახლა უფრო ცხადად ვიგრძენი, რომ ქვაბულში უთუოდ ორი ქარი მოძრაობდა; ასე წარმოვიდგინე, რომ ჰერში, ალბათ, იმ საიდუმლო გვირაბის დასაწყისია, რომელიც თხემზე ამოდის მეთქი.

უთუოდ საინტერესო და ახალი რაიმე იყო ეს აღმოჩენა.

გადავწყვიტე, დილით ამოვსულიყავი, წამომეღო ჩვენი გვირაბების გასაზომი ასმეტრიანი თოკი, კარგად გამესინჯა პირველი ქვაბულის ჰერი და შემდეგ თოკი ჩამეშვა აღმოჩენილ გვირაბის თავიდან და ამნაირად გამეზომა იგი.

მეორე დღეს ახალ გათენებულზე, თოკით, ფარნით და ზოგი სხვა მოწყობილობით ავედი ხეთიანზე.

ერთხელ კიდევ დაკვირვებით გავსინჯე პირველი ქვაბულის ჰერი. დაამბუნებული ვიყავი, რომ სადმე აღმოვაჩენდი გვირაბის თავს თუ არა.

ჭუჭრუტანას მაინც, რომელიც შეერთებული უნდა ყოფილიყო ახალი აღმორჩენილი გვირაბის ზედა თავთან. ზედმიწევნითმა დათვლილებამ ამ შემთხვევაშიც სასურველი შედეგი არ მომცა. მტკაველის უღუნა ადგილიც კი არ დამიტოვებია ჰერზე გაუსინჯავი, არსად არ აღმოჩნდა კედლების ნიშანიც კი იმისა, რომ კედლები და ჰერი სადმე გაბზარული ყოფილიყო. — ეს იყო, რომ გვაოცებდა ყოველთვის წინადაც, თუ მოიგონებთ.

დავლონდი. მეორე ქვაბულზე არც მიფიქრია, რადგანაც იგი სხვა არეში იმყოფებოდა და, როგორც იცით, პირველისაგან დაშორებულია.

ავედი ზევით, გვირაბის თავზე. ხმაურობა ახლაც სრულიად უცვლელად მომდინარეობდა გვირაბიდან.

ბევრი არ დამიყოვნებია, გავშალე ჩვენი თოკი, მის ბოლოში მიბმულ პადის ჩანთაში კარგა მოზრდილი ქვა ჩავდევი და გვირაბში ჩავეშვი.

## V

— თოკი თავისუფლად ჩასრიალდა გვირაბში. გამიკვირდა მხოლოდ, რომ უკვე ოციოდე მეტრზე უფრო ღრმად ჩავიდა თოკი და ქვა არსად არ შემჩრებულა, არაფერს არ მოდებია, არც კი შექანებულა.

ოცდამეხუთე მეტრზე კი ქვის დაქანების ძალა უეცრად შეწყდა და ხმაინობაც გაჰქრა, რომელიც გვირაბიდან ამოდითდა.

— ოჰო, მეთქი! — წამოვიძახე. მაგრამ უშალვე ისევ მაგრად დამქანა ქვის სიმძიმემ და ხელში ვიგრძენი, რომ თოკმა მიმართულემა გამოიცვალა. ეს იყო ერთი წამის საქმე. იმავე წამში საიდუმლო ხმაც მყისვე განახლდა ისევ, როგორც კი თოკის ქვამ კვლავ სვლა იწყო.

შევაყენე თოკი.

— ეს რა უნდა იყოს მეთქი? — ახლა თოკი ჩემსკენ მოეწიე. სწორედ იმავე ოცდამეხუთე მეტრი სიგრძეზე თოკმა ისევ შემიქანა ხელი, თითქოს მიმართულემა გამოიცვალაო, და იმავე წამში ხმაც შეწყდა, ხოლო მეორე წამში კვლავ განახლდა, როგორც კი თოკი ოცდამეხუთე მეტრს ჩემსკენ ვადმოსცილდა.

კვლავ ჩავეშვი თოკი. ოცდამეხუთე მეტრზე კვლავ განმეორდა ზემოაღნიშნული მოვლენა. ვერაფერი ვერ მოვისახრე. ძალიან გავკვირებულნი კი დავრჩი. ახლა აღარ შემიკავებია, მივეუწვი თოკი. მიშეებულმა თოკმა თავისუფლად განაგრძო სვლა. სამი მეტრის სიგრძელა შემრჩა ხელში. აქ ქვის სიმძიმეც უცბად გამოიცვალა ხელიდან და თოკის სიმჩატემ თავისთავად ხელი შემიყენა. ეს იყო თოკის ოთხმოცდამეჩვიდმეტე მეტრის სიგრძეზე. ჩანდა, ბადიანი ქვა სადღაც დავარდა. იქვე, კლდის ერთ წვეტიან ტოტზე მივაბი თოკის თავი და განჩარებული დავეშვი ძირს ზეთიანის ფერდობით. ყოველ შემთხვევისათვის მივაშურე პირველ ქვაბულს. იქნება, რა ვიცი, თოკზე მიბმული ქვა იქ ჩავიდა მეთქი, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რა იქმა უნდა, ჰერს ჭუჭრუტანაც არსად ჰქონდა დატანებული და ქვა საიდან უნდა ჩავარდნილიყო?

ასეც მოხდა; პირველ ქვაბულში ვერ აღმოვაჩინე ჩემი თოკის ქვა. მეორე ქვაბულს მივაშურე.

თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: — შეველ ამ ქვაბულში თუ არა, მაშინვე დავინახე ჩემი თოკის ქვა. იგი იატაკზე ეგდო, შუა ადგილას.

როცა ავადი თვალი თოკს, შევხედე, რომ იგი ქვირიდან იყო დაშვებულ-  
ლი. გაბსოვთ, ალბათ, რომ ამ ქვაბულის ქერს ბევრგან ღრუები აქვს დატა-  
ნებული. უცნაური ისაა, რომ ამ ქვაბულში ჰაერი დახშულია სწორადოდ.  
ჰაერის არაფითარი მოძრაობის ნიშანწყალიც იქ არ არის. ეს იქნებ უნდა  
ყოფილიყო; რაჯე მისი ქერის ღრუები შეერთებული აღმოჩნდა ჩემ მიერ  
აღმოჩენილი გვირაბის თავთან, რომელიც ახლა დია იყო. ზედ კლდის მუ-  
თაჲ არ ეხურა.

უპკველი იყო, რაღაც გაუგებარ მოვლენასთან მჭონდა საქმე.

ხელუხლებლად დაეტოვე ბადიანი ქვა ქვაბულში და ისევე დაეუბრუნდი  
უცნაური გვირაბის ზედა თავს.

გვირაბის ოცდამეხუთე მეტრის სიღრმეზე რომ მოვლენას ადგილი პჭონ-  
და, ახლა ის იქცეოდა ჩემს ყურადღებას. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ თუ  
იყო რამე საიდუმლო და ღირსშესანიშნავი მთელ ამ ისტორიაში, მისი ამო-  
ცანა სწორედ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც თოკი თითქოს მიმართულებას  
იცვლიდა და ხმა საკვირველად წყდებოდა.

ამოვწიე თოკი, ადვილად დამნებდა. ოცდამეხუთე მეტრზე მე თვითონ  
მანდოდა შემეჩერებინა, მაგრამ თოკმა დამასწრო. ხელი მაგრად შემიჭანა  
და წამით შეჩერდა. ამ დროს ხმაც შეწყდა. ვიგრძენი, რომ ქვა რამდენ-  
ჯერმე შეინძრა ერთსა და იმავე ადგილას, თითქოს გვერდიდან ხელი  
პკრესო.

არ ვიცი, მომეჩვენა, თუ მართლა მოხდა, მხოლოდ მკაფიოდ ვავარკვიე,  
რომ ახლა გვირაბის თავიდან უფრო მევეთრი ხმა ამოვიდა. წარმოიღვინეთ,  
განსაზღვრული ბგერა მომესმა, სიტყვის მაგვარი რაღაცა.

ყური მივაყარ და სმენად გადავიქეცი.

მე თქვენ კარგად მიცნობთ, მეგობრებო, და არ მგონია, დამწამოთ აჩქა-  
რება, ზერელე დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენასთან. ავად თუ კარ-  
ვად ჩემს მოსაზრებებს ყოველთვის ფაქტებზე ვამყარებ ხოლმე.

ჩვენი საყვარელი საქმეც ასეთ მეთოდს მოითხოვს. ძალიან სახიფათოა  
ხოლმე ფანტაზიის აყოლა და განყენებული მსჯელობა.

ისიც ვიცი, რომ ბუნებაში ერთგვარი კანონზომიერება არსებობს, რო-  
მელიც ჩვენ, ადამიანებს, შეძლებას გვაძლევს შევისწავლოთ მისი მოვლე-  
ნები. კიდევაც რომ არ არსებობდეს ეს კანონზომიერება ჩვენს გარეშე, ასე  
ვთქვათ ობიექტურად, და ჩვენ ვიყოთ მისი შეპტანი ბუნებაში, მაინც იგი  
ერთნაირი ღარია, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომლითაც მიმდინარეობს  
ჩვენი აზროვნება და რომლის გარეშე შეუძლებელია აზრის დაწყობილად  
გამართვა. ამის მიხედვით, ჩვენ ვიციან წინასწარ, რა არის შესაძლებელი და  
რა არის შეუძლებელი ბუნებაში.

მე სასწაული არ მწამს. მწამს მხოლოდ, რომ ადვილად შესაძლებელია  
ადამიანი მოტყუდეს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი შემცნობი ორგანოები სრულ-  
ყოფილნი არ არიან... არ ვიცი მოვტყუვდი, არ ვიცი, მომეჩვენა, ისიც არ  
ვიცი, ეს ჩემმა ოცნებამ დაბადა, თუ მართლა იყო, მაგრამ ვიცი, რომ ერთ  
წამში შეუძლებლობის საზღვარი გაირღვა ჩემი ცნობიერების წინაშე. ჩემი  
ჯულის საიდუმლო სმენის კარება შეარღვია ხმამ, რომელმაც საკვირველი  
ნიშნებით მაცნობა, რომ სწორედ ამ ოცდახუთი მეტრის სიღრმეზე არის ის  
ადგილი, რომელიც უტყუარად მიგვიყვანს ჩვენი ბეთიანის საიდუმლოების  
კარავდე.

მეცნობა თუ არა ეს, ჩემი სული ისეთმა სიხარულმა მოგვცა, რომ ცას ვეწიე. ასე მეგონა, რომ უკვე იმ საიდუმლოების კართან ვიმყოფიდი და არაფერი შეიძლებოდა ამ ქვეყნად ყოფილიყო, რისი შეცნობაც არ შეეძლო.

გვიგზავნიან

ზამალა წარმოვთქვი:

— ამა, ჩემო ხეთიანო, მხოლოდ ახლა დაგაკატუნე შენი საიდუმლოების კარზე! მომელოდე ჩემი მეგობრებითურთ! — ვსთქვი თუ არა ეს, ამოვიღე ფანქარი და ქალაღი ჯიბიდან და იქვე დავწერე ის წერილი, რომელმაც მე დააჩქარა თქვენი ქალაქიდან ჩამოსვლა.

## VI

აქ შესწყვიტა ყარამანმა სიტყვა. დიდხანს სიჩუმე არ დარღვეულა. მეგობრები ჯერ კიდევ თვალგმოუცილებლად შესცქეროდნენ ყარამანს, თითქოს მის აღფრთოვანებულ სახეზე უცნაური ამბის გაგრძელებას ეთხოვებოდნენ.

— შე ყოველთვის მეგონა, რომ ჩვენი ხეთიანი რაღაცა უფრო დიდი იყო ვაცილებით, ვიდრე ჩვენ გვჭონდა წარმოდგენილი. — სთქვა ბოლოს დინჯმა ვოგიმ. — ვწუხვარ, რომ დიდი დრო დარჩა გათენებამდე, და ღამეა. მოთმინება არ მყოფნის. როდის გათენდება!

— ამ უთუოდ დიდი ამბავია! — მძიმედ ჩაილაპარაკა გივიმ და ისე ამოიბრა, თითქო მხოლოდ ახლა შეასვენაო დაქიბული ყურადღება.

— რა თქმა უნდა, დიდი ამბავია მაგრამ ხვალინდელი დღე უფრო ბევრ რამეს გვეტყვის... მე ექვი არა მაქვს, რომ ყარამანს სწორი მიხეედრა აქვს. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ არ გაუმართლდეს აზრი და ის გვირახი მხოლოდ უბრალო ჩასავალი იყოს მეორე ქვაბულში და სხვა არაფერი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში, როცა დიდ რასმეს მოველოდით და იმედი გაგვცრუებია, — სთქვა იოთამმა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — თითქოს გააწყვეტინა მას სიტყვა ყარამანმა, — მაგრამ ეს შემთხვევა სულ სხვანაირია, მეგობრებო. ახლა ჩემი რწმენა უტყუარია! ზღალ რომ გვირახის თავზე იქნებით და მოისმენთ იმ ხმას, იქნება, თქვენც გენიშნოთ ის, რაც მე გენიშნა..

ცოტა ხანი კიდევ გავიდა ასეთ საუბარში. მერე ყარამანმა რუკაც გაღუშა და მეგობრებს, აჩვენა ხეთიანის ახალი გეგმა, რასაც მოჰყვა ხვალინდელი დღის მუშაობის გეგმის შემუშავება.

გეგმა არ იყო რთული, მეგობრებმა ერთხმად გადასწყვიტეს ჩასულიყვენ ყარამანის მიერ აღმოჩენილ გვირახში და თავიდან ბოლომდე დაეთვალიერებინათ.

## VII

ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, როცა ყარამანი ადგა. გავიდა ეზოში, დაიბანა ხელ-პირი და სამზადისს შეუდგა. სანამ ძმადნაფიცები აღგებოდნენ, საჭირო ხელსაწყო შეკრიბა, ჩაალაგა ხურჯინში და ვირს აპკიდა. გარდა ჩვეულებრივი იარაღისა, რაც ყოველთვის დაჰქონდა ხოლმე სამუშაოზე, მან ორი პატარა ლომიც მოათავსა ხურჯინში. დატვირთული

ვირი იქვე ეზოში ბალახზე მიუშვა. მერე ოთახში შებრუნდა და მეგობრები ფრთხილად გააღვიძა.

სახელდახელოდ ისაუბრეს და სწრაფად ვაუდგნენ გზას ბეთანისკენ. მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, როცა მეგობრებმა ავიდნენ და საიდუმლო გვირაბის თავს მიუახლოვდნენ.

პირველი ოთახი მივარდა საიდუმლო გვირაბის თავს. მაგრამ მისგან ორიოდე ნაბიჯის მანძილზე უცბად გაკვირებული შედგა. ხელის ვული უფრო მიიღვა. ვერ მოასწრო რთიშე გამოეხატა თავისი აკვირება, რომ დანარჩენებიც მიუახლოვდნენ გვირაბის თავს. გავისა და გოგისაც იგივე დაემართათ, რაც ოთახს. სამსავე მშადნაფიცს ერთნაირი სახის გამომეტყველება სქონდათ და ერთნაირად იყვნენ გაოცებულნი.

— მართლა, რა უცნაური ხმა ამოიღეს! — გამოერკვა დანარჩენებზე უფრო აღრე გივი, რომელსაც ახლა სახეზე ღიმილი უთამაშებდა და სისარულისაგან თვალები უბრწყინავდნენ.

— სწორედ უცნაური ხმაა — დაიდასტურა გოგამ.

— უცნაური?! — შეეკითხა მეგობრებს ოთახი. მას შიშვერული გაკვირება ჯერ კიდევ შერჩენოდა სახეზე. — უცნაურიო, ამბობთ თქვენ? მე ასე მგონია, ყარამანი თავიდან ბოლომდის მართალია და მისი აზრი სრულიად გამართლებულია ეს ხმა სწორედ იქიდან არის! — ეს „იქიდან“ ისე წარმოსთქვა ოთახმა, თითქოს გვირაბი თავით ბოლომდე ავლილ-ჩაგვლილი სქონოდა.

ამის შემდეგ მეგობრები მივიდნენ გვირაბის თავთან. სათითაოდ ჩაიხედეს შიგ. მერე ერთად მოქუჩდნენ და უსიტყვოდ მიაპყრეს ერთმანეთს ანთებული თვალები. გაბარებული, ბედნიერი ყარამანი თავის მხრივ თვალს არ აშორებდა მეგობრებს.

— „უთუოდ, ამათაც იგივე ენიშნებათ, რაც მე მენიშნა“, ამბობდა იგი გულში და უხაროდა.

დიდხანს უსმენდნენ ოთხნივე გვირაბიდან ამომავალ საიდუმლო ხმას. მერე ყარამანმა თოკის ბადეში ახალი ქვა ჩადგა და იმ გვირაბში ჩაუშვა.

— აი, ოცდამეხუთე მეტრზე რაც მოხდეს, იმას კარგად დააკვირდით, — მიმართა მან მეგობრებს.

სწორედ ამ ოცდამეხუთე მეტრზე ზუსტად შექანდა თოკი, თითქოს ვიღაცამ ხელი აკრათ და ხმაც უმაღვე მიწყდა, რომელიც თვალის დახამხამებაში ისევე გაისმა.

— მე ვამბობ, — ბეჯითად განაცხადა ყარამანმა, — რომ ქვა სწორედ იმ ადგილას უხვევს მეორე ქვაბულისაკენ, მხოლოდ იგი არ არის ის მიმართულება, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. იქვე უნდა იყოს სხვა გზა, რომლითაც ხმა მომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში დროა ჩავიდეთ, ყმაწვილებო, და ენახოთ! — ამ სიტყვებით ამოსწია თოკი და ქვაც ამოიღო.

— პირველად შე ჩავალ, მეგობრებო! თუ სავალი კარგი იქნა, დავიძახებთ და თქვენც მომყევით, — უთხრა ყარამანმა მეგობრებს.

— ეს შეუძლებელია! ყველანი ერთად უნდა ჩავიდეთ! — განაცხადა პროტესტი გივიმ.

— ასეთია ჩვენი წესი, ბიძია ყარამანი ყველანი ერთად, — სთქვა ოთახმა.

— სხვანაირად არ იქნება! ერთი მეორეს უნდა მიეყვით! — დაასრულა გოგამ.



დასთანხმდა ყარამანი, გახსნეს ხურჯინი და ხელსაწყო ამოიღეს. ფარნები აანთეს. რკინის წვეტიანი მოკლე ჯოხებით შეიარაღდნენ. აიღეს თოკი, მოაცილეს ქვა და წელზე შემოირტყეს რიგ-რიგად: ჯერ, ~~ფეხებში~~, მერე კოცემ, შემდეგ გვიმ და ბოლოს იოთამმა. მეთრე თავებზე ~~შეკრულ~~ შემოაყრეს იქვე ამართულ კლდეს. ყარამანმა ხელში დაიჭირა ერთი ფარანი, მეთრე ვოჯის მისცა, ხელის ღომი დამბანასავით ზურგს უკან ქამარში ვაიჭო.

— მე მგონია, ჯერ დავათვალიეროთ მხოლოდ გვირაბი თავით ბოლომდე. ხელს ნურაფერს ვახლებთ, ღომი, იქნება, არ იქნეს საჭირო და რათ დავიშქიშოთ თავი! — სთქვა გვიმი — ახლა ფარნების მეტი არაფერია არ გვინდა ჩემის აზრით!

— შერთალია! — კვერი დაუყრეს გვიმი და იოთამმა. ყარამანიც დასთანხმდა და ღომი ისევ დანარჩენ ხელსაწყოს მიუმატეს.

— მაშ, ჯერ მხოლოდ დახვერვა იყოს! — შხიარულად სთქვა ყარამანმა და პირველად ჩასდგა ფეხი გვირაბში. სუთი ნაბიჯის სიღრმეზე გვირაბის კედელზე ფეხის მისადგამის შეთხრა არ დასჭირვებია. ქვიანი იყო გვირაბის დამაწყობი. ეს გარემოება აუწყა კიდევაც მეგობრებს, რომლებიც რიგ-რიგად მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. წინ მიმავალი ყარამანი სადაც საჭირო იყო საფეხურებს თხრიდა კედელში რკინის წვეტიანი ჯოხით და თვითულ შემთხვევაში გოჯის აფრთხილებდა. გოჯი აუწყებდა გვიმს; ეს კიდეც იოთამს გადასცემდა: საფეხურია შეთხრილი და არ ასდევო.

კარგახანს იარეს მშვიდობით, ყარამანს სულ იქითკენ ეჭირა გულისყური, სადაც უნდა ყოფილიყო ოცდამეხუთე მეტრის სიღრმე, რათა იქ შემდგარიყო. ამისათვის ყოველ ჩაღვმულ ნაბიჯს ანგარიშობდა.

ის იყო მიუახლოვდა იმ ადგილს და გააფრთხილა კიდეც მეგობრები, ყურადღებით რყავითო. უცნაური ხმიანობა აქ უფრო მკაფიოდ ისმოდა, მაგრამ უცებ ოცდამეხუთე მეტრის სიღრმეზე ყარამანმა იგრძნო, რომ რაღაცა ძალამ მაგრად შეაქანა. ვერ მოასწრო თავის შემაგრება, დაუსბლტა საფეხურში შეღვმული ფეხი და ძირს დაქანდა. ის-ღა მოასწრო, რომ დაიყვირა: — შესდექით!

ჯერ მარცხნით მიეხეტქა კედელს, მერე მარჯვნივ. იგრძნო რომ გვირაბის ხაზმა მიმართულება გამოიცვალა. თუმცა ძალზე შეშინებული იყო ყარამანი, მაგრამ მაინც შენიშნა, რომ აქ საიდუმლო ხმა უკვე აღარ ისმოდა. მაგრამ ამისათვის ახლა მაინცდამაინც არ ეცალა გადაჩეხილს. ხოლო შეგნების სიღრმეში კიდევაც ეწყინა და კიდევაც გაუხარდა ეს გარემოება.

„სწორია ჩემი მიხედვა“, ჩაესახა თავში აზრი.

— მაგრად დაღექით! ყარამანი გადაიჩეხა! — იყვირა ამ დროს გოჯიმ.

— გამაგრდი! — გაისმა ვივის ხმაც, რომელსაც იმავე წამს იოთამიც გაეხმაურა:

— არ შეშინდეთ, ბიჭებო!

ამაღნაფიცებმა სულა შეწყვიტეს.

ყარამანი გადაჩეხვისთანავე მიხვდა, რომ მისი ტანის ზომივანე ყმაწვილებს ნაჭრათხეს უმზადებდა, რადგანაც თოკით იყო მათთან გადამბმული. გადაწყვეტა შეესხნა თოკი.

— ცოტა ხანს გამაგრდით, მეგობრებო, ცოტა ხანს! — ყვიროდა იგი და თოკს იხსნიდა. — აქეთ სვლა საჭირო აღარ არის... მანდ დარჩით. ხმა ოცდამეხუთე მეტრზე წყდება... დაბრუნდით უკან! — ეს თქვა და თოკიც შეიხსნა.

ყარამანი რომ პირდაპირ თავისუფლად დაქანებულყო, უთუოდ არ გადა-  
რჩებოდა. მაგრამ გვირახის კვეთილი, არც ისე ფართო იყო. კედლებს  
გვერდებით ეჯახებოდა აქეთ-იქით, რაც დავარდნის ძალას ასუსტებდა. ხე-  
ლებსაც არ ზოგავდა, იშველიებდა.

— მოგჯა ყარამანი! ყარამანი თოკს მოგჯა! — იყვირა გოგამ, რომელმაც  
პირველმა იგრძნო ყარამანის სიმძიმისაგან განთავისუფლება.

— დაიღუპა ყარამანი! — გაისმა ვივის შეშინებული ხმა.

— ღმერთი არ გაგიწყრეთ! არ შეშინდეთ, ხალხო! — დაჰყვიროდა ზემო-  
დან იოთამი მეგობრებს.

მადნაფიცებმა არ იცოდნენ, რა ექნათ.

ყარამანი ჯახანით, გვირახის კედლებზე აქეთ-იქით ხეთქებით ჯურღმულ-  
ში მიექანებოდა. ქამარზე ჩამოკიდებული ფარანი ჩაჭრობოდა, ზკინის წვე-  
ტიანი ჯოხის მომარჯვებას ცდილობდა, რათა სადმე შეერჭო და შემდგა-  
რცყო, მაგრამ გვირახის სიფიწროვე ხელების გაქანების საშუალებას არ  
აძლევდა.

— ალბათ, მერე ქვაბულში ჩავეარდები, როგორც ამასწინათ ბადიანი  
ქვა ჩაეარდაო, — ფიქრობდა და ბედს შერიგებოდა. მხოლოდ იმის მოსაზრე-  
ბაში იყო, რომ როგორმე უფრო მსუბუქად დავარდნილიყო. დამტყრევს  
ეშინოდა.

მაგრამ გვირახის ხაზი აქ უცებ ერთხელ კიდევ გადატყდა და ყარამანი  
სხვა მიმართულებით დაქანდა. ამაზე დაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ მეო-  
რე წაშში მკვრივ და მაგარ ადგილზე ბრავგანი მოადინა. მადლობა ღმერთს,  
რომ შეცვლილმა მიმართულებამ უშველა, თორემ პირდაპირი ხაზით ძირს  
დანარცხებული უთუოდ დაიმტყრებოდა.

მაგრამ დავარდნას სასწაული მოჰყვა: ის მკვრივი ადგილი, რომელზედაც  
ქვაბულის იატაკზე დაეცა, რომელიც თვალის მიმოვლებისთანავე იცნო.

გაოცებულმა მალლა ჰერისაკენ აიხედა. მის თვალწინ გარღვეული ჰერი  
ისევ დაიხურა ჩარახრახებით, თითქოს კარი დაიხურაო.

— თვალი ხომ არ მატყუებსო, — გაჰკრა თავში აზრმა.

ბიუხედავად იმისა, რომ მთელი ტანი სტყიოდა და დაბეგვილი იყო, ფეხ-  
ზე წამოდგა, მიიხედ-მოიხედა. ეკვი არ იყო, იგი პირველ ქვაბულში იმყო-  
ფებოდა. წვეტიანი ჯოხი ამართა და ჰერს მისწვდა. ისე იყო ჰერი შეკრუ-  
ლი, როგორც ყოველთვის: ჭუჭყტანის ნიშანიც კი აღარსად აჩნდა. დაავა-  
კუნა. კლდემ ყრუ ხმა გაიღო. ზკინის წვეტი შეარჭო ერთგან, მერე მეო-  
რეგან. ასე მოსინჯა მთელი ჰერი. ერთ ადგილას ენიშნა, თითქოს ჯოხის  
წვეტის შერჭობა შეიძლებოდა. ყარამანმა აქ ბურღივით დაატრიალა ჯოხი  
და შეაწეა რაც ძალა გააჩნდა. მერე მოსწია ჯოხი. ახმაურდა ჰერის შიგ-  
ნით რაღაცა. მერე ჰერი არახრახებით შუა ვაიპო, კარივით გაიღო.

წამი და ისევ დაიხშო, დაიხურა.

ყარამანი იქვე ჩაიკეცა, სადაც იდგა. თავი ჩაქანდრა და ვაქვავდა.

## VIII

ყარამანის გადაჩეხის მოწმე მადნაფიცი ყმაწვილები ერთხანს დაიბნენ,  
მაგრამ მალე გამოერკენენ. ვივის წინადადება იყო გზა განეგრძოთ, რაც  
უნდა დამართოდათ.

— თოკი მაგრად არის მიბმული კლდეზე და არაფერი დაგვიწოდება, კიდეც რომ გადავიჩეხოთ. ოღონდ მაგრად უნდა ჩაგვიდოთ ხელში და წელზედაც კიდევ უფრო მაგრად შეენასკვოთ, რათა ყარაჭაჩეფეფე უაჭროვწყდეთ, — თითქმის ყვირილით ამბობდა იგი, რომ მის ზემოდან მყოფნი იოთამს და ქვემოთ ჩასულ გოგის გაეგონათ.

ყველა თანახმა იყო გივის წინადადებისა. ყარამანის მიერ მიტოვებული თოკის ნაწილიც მოიზიდეს და ისიც დამატებით მოირტყეს წელზე. გივიმ თავისი ფარანი გოგის გადასცა, რომელიც პირველი მიდიოდა. ამ სახით დაეშენნნ ძირს.

ფრთხილად მიდიოდნენ. თუ გარეშე რასმე მოულოდნელ დაბრკოლებას, არ წააწყდებოდნენ, სრულიად დაიმედებულნი იყვნენ, რომ არაფერი მოუცილოდათ. გივი გულმოდგინედ სთხრიდა კედელში ფეხის შესადგამს და მგვობრებს ატყობინებდა.

მათ ახლა ყარამანის ბედილა აწუხებდათ. შიში ვერ გაემხილათ, თორემ ფართულად კი ფიქრობდნენ, ვაი თუ დაიღუპათ.

სწორედ იმ ადგილას, სადაც ყარამანი რაღაცა ძალამ შეაქანა და გადაჩეხა, გოგისაც მოუსხლტა ფეხი. თავი ვერ შეიმაგრა. ძირს დაქანდა და თოკზე დაეკიდა.

გივი და იოთამი ასეთი შემთხვევისათვის მომზადებული იყვნენ.

— გამაგრდით! — იყვირა გოგიმ და ფეხის ან ხელის დასაყარდობელს დაუწყო ძებნა. ბედზე ფარანი არ გაპქრობია და მის ზემოდან მყოფნი მეგობრები ზედადნენ, თუ სად იმყოფებოდა.

— არაფერს გაგიჭირებთ, გოგი, ოღონდ არ შეგეშინდეს. თოკს ჩააკიდე ორივე ხელი! ჩვენ აქ მაგრად ვართ! — ამხნევებდნენ თოკზე დაკიდებულ მეგობარს.

— ფრთხილად! იცოდეთ, რაღაცამ შემაქანა და კედელს მომწყუცატა!.. შესდექით! იცით, აქ ხმა აღარ ისმის! თქვენთან? — ისმოდა გოგის ამოყვირილი.

— აქ ისმის ჯერ კიდევ... მაგრამ, როგორ სჯობია... ამოვიყვანოთ გოგა, თუ ჩვენც დავეშვათ? — ამბობდა გივი.

— შეჩერდეს როგორმე მანდ გოგი. შესთხაროს საფეხურები, ჩვენც დავეშვათ, სჯობია, — ყვიროდა იოთამი, — გვირავი ხომ გრძელდება? თუ გრძელდება, ბარემ ბოლომდე ჩაყვეთ!

ამასობაში გოგიმ ფეხის მოსაკიდებელიც იპოვნა, ამით ისარგებლა და მეორეგან საფეხური შესთხარა კედელში, დადგა.

— ყოჩად გოგის დადექი ხომ? — მოუწონა გივიმ.

— კი, ეხლა არა მიშავს რა! მაგრად ვარ. წამოდი, ნუ გეშინია. თუ მაინც დამაინც შენც გადაიჩეხე, ფიქრი ნუ გაქვს, თავზე დამეცემი, მეტი არაფერი იქნება! დაგიჭერ სულ ადვილად! — ამბობდა გოგი.

— ჰო, იარე, გივი, მეც მოგყვები... რაც იქნება, იქნება.

გივი დაეშვა, მაგრამ იმ უცნაურ ადგილზე, სადაც ყარამანი და გოგია გადაიჩეხნ, უცნაურმა ძალამ გივიც მაგრად შეაქანა, კედელს მოგლოჯა და ძირს ჩაანარცხა.

— ნუ გეშინია! — უმაღვე მიაყვირა მას იოთამმა, რომელმაც იგრძნო მეგობრის გადაჩეხვა თოკის საშინელი და უცეხი დაქიმვით.

გივის იმდენად არ გასკირვებია, რამდენადაც გოგის. თოკზე კაპიტლების-თანავე იგი ერთი ფეხით სწვდა გოგის მხრებს და ზედ შედგა.

— დაუშვი თოკი, იოთამ! მე ვდგევარ! — შესძახა მან, როდესაც გოგიმ ახლა გივის ამოუჭრა ფეხის შესადგმელი.

— ახლა შენი რიგია, იოთამ! წამოდი! აქა ვართ!.. ხმა იქ სწყდება სწორედ, საიდანაც შენ უნდა გადაიჩეხო. ალბათ, იმ ადგილას რაღაცა ამბავია გაუგებარი... მანდიდანაც რომ გადმოიჩეხო, არაფერია, აქ დაგიპერთ! — უყვიროდა იოთამს გივი.

იოთამს არ დაუყოვნებია. დაეშვა ძირს. ისიც იმავე ბედს ეწია, რასაც დანარჩენები და გივის თავზე დაეცა.

შექმნილმა მდგომარეობამ დიდი სიცილი და ოხუნჯობა გამოიწვია ამხანაგებს შორის. უცნაურად გაისმოდა მათი ხმა ჯურღმულში. თუ არა ყარამანის ამბავის არ ცოდნა და ამაზედ წუხილი, იოთამის ოხუნჯობა სულ დაავიწყებდა მათ გასაკირს.

მალე ისევ დაეწყვნენ და სელა განაგრძეს ისე, როგორც გადაიხზამდე გზას მიიკვლევდნენ.

გაიარეს ცოტა კიდევ თუ არა, შენიშნეს, რომ გვირაბი შეეუღლად აღარ იყო დაქანებული. მას ირიბი მიმართულება მიეღო, რის წყალობითაც გოგის საფეხურების ამოჭრა უადვილდებოდა.

გივი განსაკუთრებულად სწუხდა, რომ ყარამანის კვალი ჯერ კიდევ არსად ჩანდა გვირაბში და თავის წუხილს ზშირად უზიარებდა მეგობრებს.

— სადმე ხომ უნდა გათაჭდეს გვირაბი... მივეყვით და ყარამანიც იქ დაგვხვდება ისევე უცნებელი, როგორც ჩვენ ვართ! — არწმუნებდა მეგობარს იოთამი.

— არც ისე საშიში გზაა, ზომ ზედავ, უზრალთ თავდაღმართს ჰგავს დაქანება...

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, თვალი მოჰკრეს ქვევიდან ამომავალ სინათლეს. გაუხარდათ, სამშვიდობოს ვართო იფიქრეს. მალე მიადგნენ მეორე ქვაბულის კერში დატანებულ ნაცნობ ღრუს, სადაც გვირაბი თავდებოდა. შესდგნენ. სათითაოდ შეიხსნეს წელზე თოკი და იმ ღრუში ჩაბტნენ.

— ყარამანი! — დაიძახა გივიმ და ქვაბულს თვალეზი მიმოავლო. მაგრამ ყარამანი იქ არ იყო.

— არ არის ყარამანი? — იკითხა გოგიმ.

— სად არის ყარამანი! — შეწუხდა იოთამიც.

— ალბათ, გავიდოდა ქვაბულიდან — სთქვეს სამთავემ და გასავალს მიასურეს, პაერზე გავიდნენ. მიიხედ-მოიხედეს. ყარამანი არ ჩანდა.

— ყარამანი! — დაკვივლა მაშინ გივიმ, — ყარამანი, პეუქი!

ყარამანი ამ დროს პირველი ქვაბულიდან გამოდიოდა. კოკლობდა, წვეტიან ჯოხს ეყრდნობოდა. ძახილს რომ ყური მოჰკრა, ძმისშვილის ხმა იცნო. გაუხარდა.

— აქა ვარ! აქა! — გასძახა.

მეგობრებმა დაინახეს იგი. სიხარულით შესძახეს:

— გაუმარჯოს ჩვენს ყარამანს! — და მისკენ გაიქცნენ.

— რა კარგია, შეილება, რომ არ გამომყოლინართ და ღროზედ ამოსულ-

ხართ იმ უცნაური გვირაბიდან, თორემ თქვენც ჩემსავით დაიმტკრეოდით...  
 კტლით მოქცეულხართ, რომ უკან დაბრუნებულხართ. ალბათ, ფერდობით  
 დაეშვით ზემოდან. ვიცი მეორე ქვაბულში მეძიებ უთუოდ, ვეცდები მე-  
 ვონა, რომ მეორეში ჩამოვარდებოდი, მაგრამ... წარმოიდგინეთ მოვტყუვდი,  
 მეგობრებო: ის გვირაბი თურმე პირველ ქვაბულში ჩადის და არა  
 მეორეში...

— როგორ თუ პირველში? — გაიკვირვეს მეგობრებმა, — აქი ჩვენ მეორე-  
 ში მოვხვდით! შენი თოკის ქვაც პირველად ზომ მეორე ქვაბულში ჩავარდა.

— როგორ თუ მეორეში მოვხვდით? საიდან? — გაკვირვებისაგან თვალე-  
 ბი გაუფართოვდნენ ყარამანს.

— შენ რომ ჩავარდი, ყარამან — აუხსნა იოთამმა მას, — ჩვენ უკან კი  
 არ დაბრუნებულვართ, არამედ გზა გაჩვავრძეთ, მოგყევით. საითთაოდ  
 მოეწყვლით გვირაბის კედელს იმ ადგილას, საიდანაც შენ გადაიჩნებ, მაგრამ  
 ერთმანეთი შეემაგრეთ. მერე დაეყვით გვირაბს ჩასწვრივ და, ის იყო,  
 მეორე ქვაბულში ამოვყავით თავი.

— მეორეში? — არ სჯეროდა ყარამანს.

— მაშ, რომელში? გვირაბში ჩვენ სხვა გზა არ შეგვიმჩნევია.

— მე კი პირველში ჩამოვარდი, მეგობრებო! — განაცხადა ყარამანმა.  
 მისი ხმა მისტიურს შიშს გამოხატავდა.

ერთხანს სინემე ჩამოვარდა.

— მოდით! აი, გაჩვენოთ, საიდან ჩამოვარდი! — დაარღვია ისევ ყარამან-  
 მა სინემე და პირველი ქვაბულისაკენ პირი იბრუნა.

— აბა, თუ მიხვდებით, საიდან შეიძლებოდა, რომ აქ კაცი ჩამოვარდნი-  
 ლიყო? — ჰკითხა ძმადნაფიცებს ყარამანმა და თვითონ პირველმა დაიწყო  
 ქვაბულის თვალიერება.

— აბა რას ამბობ, ბიძია ყარამან? — შეწუხდა ვივი, რომელსაც უცნაური  
 ლამარაკის გარდა, ყარამანის გაფითრებული სახე და გაოცებული თვალე-  
 ბალები არ მოსწონდა. — როგორ შეიძლებოდა აქ ჩამოვარდნილიყავი, როცა  
 ეს ქვაბული მთლიანი კლდის ჰერით არის დახურული და უბრალო ჰუ-  
 კრუტანაც კი არსად არ აქვს. შენ მეორე ქვაბულში ჩავარდებოდი ღრუდან  
 ისევე, როგორც ჩვენ. აქეთ მერე წამოხვიდოდი. გეშლება.

— შენ სცდები, ყარამან! ალბათ, არ გახსოვს. მეორეში ჩამოვარდებოდი  
 და მერე კი აქ წამოხვიდოდი. — არწმუნებდა იოთამიც ყარამანს.

— საიდუმლოებაც სწორედ ეს არის, მეგობრებო! ეს მეორე საიდუმლოე-  
 ბაა ჩემს მიერ დღეს აღმოჩენილი. პირველი ის იყო, საიდანაც გადმოვიჩე-  
 ხეთ... აი ნახეთ, თუ არ გჯერათ!

სთქვა თუ არა ეს ყარამანმა, თავისი რკინის წვეტიანი ჯოხი ამართა,  
 მისწვდა ჰერის იმ ადგილს, სადაც ამას წინათ შეარჭო, ბურღივით დაატ-  
 რილა და მერე უცბათ მოსწია.

ძმადნაფიცების გაოცება აუწერელი იყო, როცა ჰერი გაირღვა, თითქოს  
 კარი გაიღო, შეაშრილა ჰაერი, შავი ჯურღმული გამოაჩინა და ისევ  
 თავის თავად დაიხურა ჩახრიალეობით.

— აი, საიდან ჩამოვარდი! — სთქვა ყარამანმა და მეგობრებს გადახედა.  
 მათ გაოცებას შიშიც დამატებოდა. და ამ სახით ხან ჰერს შეხედავდნენ,  
 ხან კიდევ ყარამანს.

არც ერთს თავისი ფერი არ ეღდა.

## IX.



ამ დღეს მეგობრები მეტი აღარ დარჩენილან ხეთიანზე. შინ დაბრუნდნენ. ნასადილევს ყარამანს დაეძინა. მანამდე იგი სულ გულზატყვევლად იყო და სდუმდა. ეტყობოდა, მაწუხებელ ფიქრებს თავს ვერ აჩაბმეტყველავს. დიდხანს ეძინა ყარამანს. როცა გამოიღვიძა, მოიხმო ძმადნაფიცები და უთხრა:

— მეგობრებო, მე ახლა არა მიშავს რა... მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩემი ახალი გეგმა ხეთიანისა არ ვარგა, სწორი არ გამოდგა. ჯერ კიდევ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, თუ რას შეიცავს ხეთიანი შიგნით. მაგრამ ჩემი მთავარი ვარაუდი ოცდამეხუთე მეტრის სიღრმის შესახებ უთუოდ უნდა გამართლდეს. არ ვიცი მხოლოდ და ვერაფერიც ვერ მომიზარებია გვირაბის ამ მეორე მიმართულების შესახებ, რომელმაც მე პირველ ქვაბულში ჩამავდო. დილას კვლავ უნდა შევუდგეთ მუშაობას. უპირველესად ყოვლისა როგორმე უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა ზღემა ოცდამეხუთე მეტრის სიღრმეში...

— ჩვენ უკვე ვიფიქრეთ ამაზე. — სიტყვა ჩამოართვა ყარამანს გოგამ, — ჩვენ რომ თოკის კიბე ვვაქვს ოცმეტრიანი, სანამ შენ გეძინა, ჩვენ იგი დაეაგრძელეთ. კიდევ ათი საფეხური გავუკეთეთ და ახლა ვვაქვს ოცდაათმეტრიანი კიბე. ჩაფუშვით იგი გვირაბში და მივადგეთ იმ უცნაურ იდგილს. რაკა კიბეზე ვიდგებით, არ გადავიჩეხებით და გამოკვლევის საშუალება მოვეცემა. შენ როგორ გგონია, რადგანაც დაღლილი ხარ, და ფეხიც გტკივა, ჩვენ სამნი წავალთ ამ საღამოსვე, ჩაფუშვებთ კიბეს გვირაბში. ჩავალთ, ვნახავთ, რა ამბავია იქ...

— კი, ასე გადავწყვიტეთ. — მიეშველა გოგამ იოთამი — რაკი გვირაბში ბნელა, სულ ერთია, დღე ჩავალთ შიგ, თუ ღამე. ჯინი გვეპირს იმ ოცდახუთმეტრიანი სიღრმისა, რომ ასე დაგვამარცხა ამ დილას და ვერ ვითმენთ! ლამის არის ამალამ არც დაგვეძინოს. ჩვენ მხოლოდ გავიგებთ, რა ზღემა იქ იმდეთანა, რომ ხმა წყდება და კაციც ვერ დგება მის ახლოს.

— თოკის კიბეზე მეც ვფიქრობდი... კარგია, რომ გავაგრძელებით... რაც შეეხება თქვენს წასვლას, ახლა გვიანაც არის და უჩემობა ნუ გინდათ, მეგობრებო! დილას განვაგრძოთ ძიება. მე კიდევ რაღაცას ვფიქრობ და ფიქრი ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია... იცოდეთ, ამასაც მნიშვნელობა აქვს. ესეც არ იყოს, დასვენება გჭირიათ. ხეთიანი ხომ არსად არ მიდის? — ეუბნებოდა ყარამანი მეგობრებს.

ძმადნაფიცებს ეკონათ, რომ არ დაეძინებოდათ, მაგრამ როგორც კი ნავახშმევს მიდევს თავი ბალიშზე, მაშინვე ჩაეძინათ. არ გრძნობდნენ, თორემ დიდად დაღლილები იყვნენ.

ყარამანი კი დიდხანს არ დაწოლილა. იგი შუალამემდე ნელი ნაბოჯით მიმოდიოდა აივანზე და სულ ხეთიანზე ფიქრობდა. ხშირად შედგებოდა ხოლმე და ხმამაღლა შეეკამათებოდა თავის თავს.

— შორს, ძალიან შორს მიდიოდა მისი აზრი. რატომ არ შეიძლებაო, ფიქრობდა ყარამანი, რომ ხეთიანის ციხე იმდროინდელი ამბების შემცველი იყოს, როცა ქართველი ტომები პირველად შემოდდიდნენ აწინდელ საქართველოში და აქ მკვიდრდებოდნენ. რა მოიტანეს აქ ამ ტომებმა? რა კულტურა, რა განძი, რა გამოცდილება? იქნება, ხეთიანშია დაცული ჩვენი ის-

ტორიული რაობის უტყუარი მანვენებლები, რომლებიც ჯერ კიდევ მიგნებულნი არ არიან?

ბევრი სხვადასხვა აზრი უტრიალებდა თავში ყარამანს, როგორც მათგანს გაამართლებდა ხვალინდელი დღე, ძნელი გამოსაცნობი იყო ყველაფერი მკობხვევაში ერთი რამე კი ბეჯითად სწამდა მას. სახელდობრ ის, რომ ხეთიანი უთუოდ დიდ საიდუმლოებას შეიცავდა, რომლის გასაღები მას ხელთ ეპყრო.

## I

მეორე დღეს მეგობრები დილაადრიან ასულიყვენ ხეთიანზე. თოკის კიბე გვირაბში ჩაეშვათ, დაემაგრებინათ. გადაეწყვიტათ გუშინდელი რივი დღესაც დაეცვათ. პირველად ყარამანი და გოგი ჩასულიყვენ გვირაბში, ოცდამეხუთე მეტრის სიღრმის ცოტა ზემოთ ღრმით შეეთხარათ კედელი. ორი კაცის დასადგომად გამოსადეგი ბანი გამოეკვეთათ და ზედ მოთავსებულყვენ. ამის შემდეგ გივი და იოთამი უნდა ჩასულიყვენ, რადგანაც ოთხივე ერთად კედლის შეუთხრელად გვირაბში ვერ მოთავსდებოდნენ.

ასეც მოიქცნენ.

დაუახლოვდნენ თუ არა ოცდამეხუთე მეტრის სიღრმეს, წინ ჩამავალი ყარამანი შედგა. პირველ ჩასვლაზე შეთხრილი ორი საფეხური უფრო შეადრმავეა. მაგრად მოიკიდა ფეხები. მერე ზურგით კედელს მიეხვინა. მის მიერ განთავისუფლებული თოკის კიბის საფეხურზე გოგი დაეშვა.

— ჩემს ქვევით სულ ახლოს ერთი ნაბიჯის მანძილზე ის საბედისწერო ადგილია, რომელიც ახლოს არ გვიკარებს. მომინათე შენი ფარანი, გოგი. ენახო, რას წარმოადგენს იგი, — უთხრა ყარამანმა მოახლოვებულ გოგის. — რამდენადაც შეგიძლია ახლოს მომინათე.

მომიმარჯვა ხელის ლომი და ფარნის სინათლეზე შეთხრილი საფეხურების ქვემოთ გვირაბის კედელი მოსინჯა.

რკინის მიკარებისთანავე იმ უცნაურმა ადგილმა წკრიალა ხმა გამოსცა და ლომი შექანებით უკუაგდო.

— ჰა... ეს არის! — აღმოხდა ყარამანს, — მივაგენით!

კვლავ მოიმარჯვა ლომი. ახლა უფრო თამამად მოსინჯა ადგილი. იგივე წკრიალა ხმა გამოსცა კედელმა და ლომი უკუაგდო!

— მოდი, ყარამან, ერთი მაგრად დაჰკარი მანდ ლომი! — წააქეზა გოგიმ ფრთხილი ყარამანი.

— შენ, ალბათ, ფიქრობ, ჩემო გოგი, რომ შეიძლება განმეორდეს პირველი ქვაბულის ჰერის მაგალითი? ვითომ მოსალოდნელია, რომ აქაც კარი გაიღოს... — მავრამ სიტყვა არ დაასრულა ყარამანმა, ისე მოიქნია ლომი, რამდენადაც გვირაბის ფარგლებში შესაძლებელი იყო, და წინასწარ მოსინჯულ ადგილს დასცა.

ისეთი ხმა გაისმა, თითქოს აქაურობა ჩაიქცაო.

ხმა გვირაბიდან მალლა ამოვარდა. გვირაბის თავთან მდგარი იოთამი და გივი შიშმა მოიცვა.

— აფეთქდა რაღაცა! — წამოიძაბა გივიმ.

— რა უნდა მომხდარიყო? — ძლივს ამოიღო ხმა იოთამმა, — ავი გადაეწყვიტეთ, არ მიკარებოდნენ იმ უცნაურ ადგილს!

გივი დაემხო გვირაბის თავს და შიგ ჩასძახა:

— ხალხო, რა ამბავია? ცოცხლები ხართ?

— ნუ გეშინიათ! არაფერია! — იყო გოგის პასუხი გვირაბიდან.

საკვირველი სიჩუმე ჩამოეარდნილიყო როგორც გვირაბიდან, ისე გვირაბის და იოთამის ყურადღება ახლა იმ გარემოებამ მიიპყრო, რომ გვირაბიდან უკვე აღარ ამოდიოდა ის საიდუმლო ხმა, რომელმაც მთელი ეს ძიება გამოიწვია. ალბათ, დროებით თუ შეწყდა და გვირაბი ისევ ახშიანდებო, გაიფიქრეს მათ. ხმის განმეორებას დაელოდნენ.

— რა მოხდა? — ჰკითხა გვირაბში გოგამ ყარამანს, როცა ხმაურობა შესწყდა და სიჩუმე დაკვიდრდა.

— არ ვიცი! — მოკლედ უპასუხა ყარამანმა, მერე განავრძო:

— ალბათ, იმ გრიალმა დამაყრუა, რომ საიდუმლო ხმა უკვე აღარ მესმის... მითხარი, გოგი, შენ ხომ გესმის ის ხმა?

— არა. შემწყდარი უნდა იყოს. არ მესმის.

— გრიალმა, ალბათ, შენზედაც იმოქმედა... დაგაყრუა... ჩემი ხმა კარგათ თუ გესმის?

— ძალიან კარგათ მესმის, ძია ყარამან. შენ ჩემი?

— მეც.

— მაშ, ის ხმა შემწყდარია.

ყარამანი დადუმდა.

— ლომი ხომ არ გაგვარდნია ხელიდან, ყარამან? — ცოტახნის შემდეგ ჰკითხა ყარამანს გოგამ.

— არა.

— მოდი, დაჰკარი კიდევ ერთხელ.

— რომ დავკრა, საშიშია: იქნება, აულ ჩაიქცეს აქაურობა, ძლიერი ხმა იყო.

— მაგრად ნუ... პირველად, მგონია, ნამეტანი მოგივიდა.

ყარამანმა დიდი სიფრთხილით გაატარა-გამოატარა ლომი იქ, სადაც ამას წინათ მაგრად დაჰკრა. მერე უკებ, თითქოს რაღაცა დიდად მნიშვნელოვანი რამ მოაგონდაო, გოგის ლომი გაუწოდა და მოუთმენელი ხმით მიმართა:

— გამომართვი ჩქარა ლომი, გოგის! — ჰა...

გოგამ უსიტყვოდ გამოართვა. იმავე წამში ყარამანი მოწყდა თავის ადგილს და ისე გაჰქრა, რომ გოგამ თვალიც ვერ შეასწრო.

— ყარამან! ყარამან! — იყვირა შეშინებულმა გოგამ. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყარამანი ერთხელ კიდევ ჩავარდა გვირაბში.

— ჰეი! ისმინეთ, გივი, იოთამ...

უნდოდა განგავში აეტეხნა გოგის, მაგრამ ამ დროს ყარამანის სრულიად დაშვებილებულმა ხმამ შეაყენა.

— შიში ნუ გაქვს, ჩემო გოგი. აქა ვარ უვნებელი და ბედნიერი, საიდუმლოების კარი ღიაა და გზა ხსნილია.

— სადა ხარ ყარამან, რომ ვერ გხედავ?

— ძირს დაუშვი კიდევ ფარანი და შემხედავ.

დიდი იყო გოგის განცვიფრება, როცა დაინახა, რომ მთელი თავისი ტანით გამართული ყარამანი გვირაბის კედელში ოთხკუთხედად შეჭრილ შესაქალში იდგა და მისკენ მომღიმარი სახით იცქირებოდა.



ის იყო გოგი კიბის საფეხურიდან პირდაპირ უნდა შემხტარიყო იმ შესაფაღში, რომ ამ დროს კიბემ ბანდალა დაიწყო.

— ჰეი რას შერებით? — იყვირა გოგიმ.

— ჰეი და ჰეი თქვენ თვითონ რას შერებით? აქ ხალხი—<sup>მეცხრე</sup> ~~მეცხრე~~ თუ რა ამბავია? რატომ შეწყდა საიდუმლო ხმა? რა მოხდა? ჩვენც მანდ მოვდივართ. აღარ არის შეტი მოთმინება! — ჩასძახა ზემოდან გოგიმ. მას უკვე კიბეზე ჩასვლა დაეწყო. უკან იოთამი მიყვებოდა.

— მოდი! მოდი! ყველანი აქ მოდი. ჩემთან, ჩემო შევარდნებო! აქ მთელი ჩვენი სოფელიც კი დაეტყუა... მოდი და თქვენი თვალთ ნახეთ, რა ამბავია! — ბედნიერი ხმით უბზობდა ყარამანი თავის ახალგაზრდა მეგობრებს.

## XI

მეგობრებს ეგონათ, რომ ჩვეულებრივ დიდ ქვაბულში მოხდნენ. გივის თავში გაუღვლა:

— „ქვაბული ნუმერი სამი“ — აღბათ, ასე აღნიშნავს ბიბია ყარამანი ამ ქვაბულს თავის რუკაზე.

მაგრამ გაიარეს თუ არა რამდენიმე ნაბიჯი შიგ, ფარნების სინათლის წყალობით მალე გამოარკვიეს, რომ უბრალო ქვაბულში კი არ იმყოფებოდნენ, არამედ მალალთაიდან, ნახევარწრის ფორმის გრძელ ღერეფანში. რომელსაც დასასრული არ უჩნდა.

ფარნებმომარჯვებული, ხმაგაყმენდილი და ერთმანეთს მხრებით მიბჯენილი მეგობრები ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწეოდნენ წინ. აკვირდებოდნენ. ათვლიერებდნენ. ქვის იატაკი ისე იყო პირმოსწორებელი, რომ გზაზე ოდნავი ღრეც კი არსად შეხვედრიათ. კედლები და თალი ზედმიწევნით თანაბარი სისწორის აგურის მსგავსად მოჭრილი ქვით იყენენ მოპირკეთებული და მიყენებული სინათლის შექმნე ჩამოქმებულ ბრინჯაოს ფერს გამოსცემდნენ.

ერთხანს რომ ასე იარეს, უკებ შეთანხმებულებივით ერთბაშად შედგნენ, — მათი ფარნების სინათლე საშინელი სახის შავს ურჩხულს მიადგა, რომელიც ღერეფნის შუა ადგილას ამართულიყო.

შეხედეს. უფრო მჭიდროდ მიეკერნენ მხრებით ერთმანეთს.

საშინელება ოთხსავე ფეხზე წამომდგარ სფინქსს ჰგავდა. მაგრამ სახე უფრო ხარისა ჰქონდა და ფრთები გაეშალა.

— სფინქსი! — თითქოს წამოცდაო, ისე წარმოსთქვა გივიმ.

— რომ დგას? — ჰკითხა ჩურჩულით მეგობარს იოთამმა.

— ამდგარი სფინქსი ჯერ არ ნახულა. სხვა რაღაცაა, — ხმა შეუწყო გოგიმ იოთამს.

— საჭმეც ის არის, მეგობრებო, რომ დგას და მაინც სფინქსია... აბა, ჩუთიანი რატომ უნდა დარქმეოდა ამ ციხეს? — ისეთი ხმით განაცხადა ყარამანმა, თითქოს განსაკუთრებულად ენიშნაო ამდგარი სფინქსის დანახვა.

მეგობრებმა ვერ გაიგეს, რისი თქმა უნდოდა ყარამანს და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკეს:

— არაფერი გვესმის!

— საიდანაც ჩვენ ვართ მოსული, მეგობრებო, სდინქსიც იქიდან არის მოტანილი. — ვითომ განმარტა თავისი პირველი ნათქვამი ყარამანმა, ამაზე მეგობრებს ხმა არ ამოუღიათ. მხოლოდ უნივერსიტეტის დირექტორი იქნა.

— მაგრამ ეს დასაწყისია მხოლოდ, — ვიარათ! — ალტა ცხელი წყლით მოწოდდა ყარამანმა ცოტა არ იყოს დაბნეულ ყმაწვილებს.

მიუხელოვნდნენ ურჩხულს. იგი შავი მონოლიტისაგან იყო გამობერძნილი. თავით დერეფნის თავს წვდებოდა, ხოლო გამლილი ფრთები აქეთ-იქით კედლებზე მიეხვიანა.

მეგობრებმა ფრთების ქვეშ გაიარეს. ყარამანი ახლა წინ მიდიოდა. მისი სიმაღლე მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა ურჩხულს, მაგრამ ფრთების ქვეშ ვავლისას ყარამანმა მიანიც დაღუნა თავი. მეგობრებმაც ინსტინქტურად მიბაძეს მას. როცა იოთამმა მალა აიხელა ფრთებისკენ, ჩუმად გაეცინა ეს თავის დაღუნვა რაღა იყო.

შემოუარეს სდინქსს. ყველა მხრიდან მიანათეს ფარნები. შემდეგ ისევ დერეფანს გააყვინენ.

მაგრამ ოდნავ დაწინაურდნენ თუ არა, წინ ახალი მოულოდნელობა დახვდათ, — მეგობრები კედელს მიაღწენენ, რომელიც დერეფანს თავით ბოლომდე ხურავდა. იგი უფრო ხატებით მოფენილ კანკელს ჰგავდა, ისე იყო მთლიანად ათასნაირი ბარელიეფით მოქანდაკებული.

მიანათეს. ერთგან რომ გრძელწვერიანი უცხო ლეთაება გამოჩნდნა, მეხის ბორძლებითა და ორპირი ნაჯახით შეიარაღებული, მეორეგან ლომზე შემგდარი მონადირე წარმოუდგათ, სამკუთხიანი მშვილდით ხელში, მესამეგან კიდევ ხახაღაღებული ვეშაპები და უცნაური სახის ნადირნი.

დადგნენ. უცქირეს.

ყმაწვილები იმას მოელოდნენ, თუ რას იტყოდა ყარამანი. მაგრამ ყარამანი თავისი ველხათხრობილი დემილის დარღვევას არ აბირობდა. თვალების ისეთი გამოშეტყველება ჰქონდა, რომ ძნელი გამოსარკვევი იყო, უცნაურ კედელს უცქიროდა, თუ სადღაც მის იქით იმზირებოდა. თანაც ეტყობოდა, რომ სმენისათვის ძალა დაეტანებინა, ისე მოექცია პირისასე.

მერე ის იყო, რომ ხელის გული უცებ ყურზე მიიფარა და მოულოდნელად წამოიძახა:

— სუ!

მის ახლოს მდგარ გივის ხელი მკლავზე წააელო.

— სუ! — უნებურად გაიმეორეს ყმაწვილებმაც და გამოქანული თვალები ყარამანს მიაბყრეს.

და თითქოს გამეფებულმა სინემემ ხმა გაიღო, კედლის წინ ძლივს გასაგონმა ხმამ უმსუბუქესი ნიადივით ჩაიფარდა.

— ეს ის ხმაა! — წამოიძახა გივიმ.

— ის არის!

— ნამდვილად ის არის!

რიგრიგობით წარმოსტქვეს ყმაწვილებმა.

ყარამანი კი ისევ მისტიურად სდუმდა.

— საიდან მოდის, ნეტავი? — უფრო თავისთავს ჰკითხა იოთამმა და კედელს გასწვრივ გააყოლა თვალი. მერე ფარანი მარჯვენით მიანათა და შუქს მიჰყვა. გოგი და გივი მარცხნით წავიდნენ.

— შესდექ! — იყვირა უცებ მარჯვენით წასულმა იოთამმა და ცხვირანაკრავებით შესდგა. კინალამ გაუგარდა ხელიდან ფარანი. — კედელი მარჯვენა კუთხეში დაბალი, ვიწრო და დახშული კარი იყო ჩატახტებული, მის წინ იატაკზე დადრეწილი ძაღლისთავიანი ურჩხული იდგა ნივთიერებად დასაჩხვამ იოთამს შიშისზარი დასცა.

ვოგის და გივისაც ასეთივე შიში დაატყდათ თავს კედლის მარცხენა კუთხეში, ძაღლისთავიანი ურჩხულის დანახვაზე ისინიც შესდგნენ და ყვირილთ უკუიშტნენ.

ყარამანმა არ იცოდა, რომელ მხარეს წასულიყო მისაშველებლად. რაცი პირველმა იოთამმა იყვირა, მისკენ გაიქცა.

კარი რომ დაინახა კედელში, ისე გაუბარდა, რომ შეშინებული იოთამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ურჩხულს ისე ფრთხილად აუქცია გვერდი, თითქოს იგი ნამდვილად ცოცხალი ყოფილიყოს, და გივითაც მივარდა დახშულ კარს. ზედ მთელი ტანით მიაწვა.

მოულოდნელი იყო მისთვის, რომ კარი პირველი მიწოლისთანავე დანებდა. ყარამანმა თავი ვერ შეიკავა. თითქოს კედელმა ჩაყლაპაო, ისე გაღმინარდა. მაშინვე მიძყვა მის კვალს იოთამი.

გივიმ და ვოგიმ თვალი შეასწრეს ჯერ ყარამანის და მერე იოთამს გაუჩინარებას. გამოიქცნენ. ღია კარი რომ ნახეს, შიგ შეტრგეს თავი.

სხევე ერთად მოიყარეს თავი მეგობრებმა. პირველი, რამაც აქ მათი გაყვირება გამოიწვია, ეს იყო სინათლე, რომელიც ანათებდა ოთახს, სადაც ისინი ახლა იმყოფებოდნენ.

— ჩააქრეთ ფარნები! — ბრძანების ხმით წასჩურჩულა ყარამანმა ყმაწვილებს და პირველმა ჩააქრო თავისი ფარანი.

შეუტნობელი რაღაც ფერი ჰქონდა ოთახში გამდგარ სინათლეს. მისი მკრთომარება თვალის ხამხამს ჰგავდა. ძალზე მიბნედილი და მკრთალი იყო. გაუგებარი იყო, რომ ოთახს მაინც ანათებდა. მაგრამ ამაზე უფრო გაუგებარი ის იყო, რომ არსად ჩანდა, თუ საიდან შემოდისოდა ეს უცნაური სინათლე ოთახში, რომელსაც საარკმელი არ ჰქონდა.

ამ საკვირველებას მალე ისიც დაემატა, რომ სინათლის მკრთომარებაში ჩაქსოვილი აღმოჩნდა მეგობრებისთვის კარგად ნაცნობი საიდუმლო ხმა, რომელიც პირველად ყარამანს მოესმა მის მიერ აღმოჩენილი გვირაბიდან.

მაგრამ გაოცებაც ვერ მოასწრეს მეგობრებმა, რომ მათი ყურადღება მოიტაცა აღმოსავლეთის მხრით კედელზე გამოკვეთილმა ბარელიეფმა, რომელიც ადამიანის ორ თვალს წარმოადგენდა. პირისახე მოხაზული არ იყო მათ გარშემო, მაგრამ იგი უამისოდაც იგულისხმებოდა რაღაცნაირად. ძნელად წარმოსადგენი იყო ის შინაგანი ძალა, რომელსაც ეს თვალები შეიცავდნენ. არ შეიძლებოდა, რომ მას მნახველი არ მიეზივნა და არ დაეტყვეებინა.

ყარამანსა და მის მეგობრებსაც ის დაემართათ, რომ იმ თვალების დანახვისთანავე სხვა ყოველივე დაავიწყდათ, ფეხი აიდგეს და კედელს მიუახლოვდნენ. თითქოს იმ თვალებმა ანიშნესო. მხოლოდ ახლა დაინახეს, რომ ბარელიეფის წინ იატაკზე ორი ვეება ჭვის ლომი იწვა. ისინი შშვიდად იმზირებოდნენ და მალლა შემართულა თავებით მათზე დამყარებულ კვარცხლებეს შებჯინებოდნენ, რომელსაც ზემოდან ოქროსგან სხმული არწივის გამლილი ფრთები ფარავდნენ.

თითქოს გარეშე ძალამ ჩააგონაო, ყარამანმა ფრთხილად შეხარხარა ხელი ცალ ფრთას. შეხებდითანავე ფრთები თავისთავად შეიკეცნენ და კერძოდ ბიკის არე გაანთავისუფლეს. მეგობრების თვალწინ გადაიშალა ყველაფერი. ჩასმული მოკაიფე ოთხეუთხედნი ფიცარი, უცნობი მასაფრეხევი ყველაფერი. ფიცარი ფერადფერადი, უნაკლოდ გამოყვანილი საბოვანი ნიშნებით იყო მოკირწყლული. თითოეული ნიშანი თავისებურ ფერს გამოამუჭებდა, ერთსა და იმავე დროს საიდუმლო ხმასაც გამოსცემდა. აქედან იყო, რომ ოთახში ხმაშერეული სინათლე კამკამებდა.

ჯერ კიდევ არ პქონდათ მეგობრებს ამ სასწაულის ცქერითა და სმენით გული მოჯერებულა, რომ იმ წარწერებიან ფიცარს თვალი უცებ მოსწყვიტეს, და მის პირდაპირ კედელში გამოკვეთილ ორი თვალის ბარელიფის პიაქტერდნენ. ეს მოხდა თითქოს მათდა უნებურად, გარეშე ძალის ზეგავლენით.

გამაფრთხილებელი მრისხანებით შემოყურებდა მეგობრებს ის ორი თვალი, თითქოს გულის სიღრმეში წვდება და განზრახვას უსინჯავსო ოთხსავე ერთად და თითოეულს ცალცალკე.

თავი ძირს მორჩილად დახარეს მეგობრებმა და რამდენიმე ნაბიჯით, უხმოდ, მორიდებულად უკან დაიხიეს.

ერთი ხნის დუმილის შემდეგ ცოტა გულზე მოეშვათ ყმაწვილებს. გარს შემოუდგნენ ყარამანს.

— ფიცრის წარწერა უნდა წაიკითხო, ბიძია ყარამან. უამისობა არ იქნება,—პირველმა გვიმ გაბედა ხანგრძლივი სიჩუმის დარღვევა. დანარჩენებიც ისე შეყურებდნენ სახეში ყარამანს, რომ უხმოდ სთხოვდნენ წარწერის წაკითხვას.

— ამ წარწერაშია სწორედ დაფარული ხეთიანის მთელი საიდუმლოება,—უთხრა ყარამანმა მეგობრებს.—სამწუხაროა და სასიხარულოც ერთსა და იმავე დროს, რომ ის ფერადი ხმანი ნიშნები არც მხედრულია და არც ხუცური. სამწუხაროა იმიტომ, რომ გარდა ამ ორნაირი წარწერისა, სხვების წაკითხვა მე არ ვიცი. სასიხარულო კი იმიტომ არის, რომ ეს წარწერა ძველთაძველია და ჩვენებურს საუკუნოებით წინ უსწრებს. შემოძლია ესთქვა მხოლოდ ერთი: იგი საკვირველებაა ჯერ არ ნახული და არ გაგონილი.

— ის ორი თვალი რაღაა, ასეთი სასტიკი ცდით რომ შემოგვეყურებს? — იკითხა გოგიმ.

— ჩანს, დარაჯობს საიდუმლოებას...

— საკვირველ რაღაც ძალას ამჟღავნებს,—ჩაილაპარაკა იოთამმა.

— ასე მგონია, რაც თავში აზრი მომდის, ყველას კითხულობს,—სთქვა გვიმ.

— რაც ვნახეთ, ეს კიდევ ყველაფერი არ არის, მეგობრებო,—სიტყვა ჩამოართვა ყმაწვილებს ყარამანმა—მოიფონეთ გვირაბის ტოტები, პერის საიდუმლო კარი და სხვა მრავალი...

— კი, მაგრამ ახლა რა ექნათ? — გააწყვეტინეს მოუთმენელმა ახალგაზრდებმა სიტყვა ყარამანს.

— ახლა რა ექნათ? აი, რა: ხელი არაფერს არ ვახლოთ და იმავე გზით დაგბრუნდეთ უკან, რომლითაც აქ შემოვედით. მერე ფრთები გამოვიხზათ

და ღლესვე ჩვენს დედაქალაქს მივაშურათ. ვაუწყით ყოველივე რაც ვნახეთ, ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს მეცნიერებს—ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და სხვათა... ჩვენ ჩვენი გაგვიკეთეთ, ახლა სიტყვაც და საჭმეც მათ დავუთმობთ.

— უთუოდ ასე უნდა მოვიქცეთ! — ერთხმად მოუწონეს ახლი ყარაშანს მისი სიტყვით აღფრთოვანებულმა ყმაწვილებმა.

— შინაგანი საზეიმო განწყობილების გამოშხატველი იყო დღემილი, რომელიც ამის შემდეგ ჩამოვარდა.

— კი, მაგრამ რომ არ დაგვიჯერონ?.. ზღაპარს ჰგავს რაღაც... — ყველასათვის მოულოდნელად გაუბედავი ხმით წარმოსთქვა იოთამმა. მაშინვე შეეტყო, რომ მისთვისაც მოულოდნელი იყო, რაც თქვა, მაგრამ რადგანაც საერთო განწყობილებასთან შეუფერებელი ნათქვამის არც უკან დაბრუნება შეიძლებოდა და არც წაშლა, ისე გადახედა მეგობრებს, თითქოს ბოდნიში მოიხადა.

ყველანი გაკვირვებით შეაცქერდნენ მეგობარს. ჩანდა, სრულიად უცხო და მოუკარებელი იყო მათთვის იოთამის ეჭვი.

ყარაშანმა კი თავისი მეოცნებე ცისფერი თვალები უწყინრად ააბამხა და დაეჭვებულ იოთამს ასე მიმართა:

— ჩემო იოთამ, ზღაპარიც რომ იყოს, რით არის სინამდვილე ზღაპარზე ნაკლები?

## კრანისის სეზა

ამორმოცდათი წლის წინათ კრანისის  
პროლაში დაცემულთ უძღვნის ამ სტრი-  
ტონებს ავტორი.

...ახლა სხვა ნიავმა დაჰბერა. მდინარის შუელმაც ხმა შეიცვალა... დადინ-  
ჯდა, მიწელდა, თითქოს მხარი გაშალა, დაგუდულ ბანს აღარ აძლევს  
კლდე-ნაპირს.

მარტოხელა მგზავრმა ხელად იგრძნო სხვაობა.

„ალბათ, ისინი კლდეებს გაცვდი“... გაიფიქრა და ცხენს მოუწურა აღვირი,  
ყურთასმენად იქცა. შორი-ახლოდან ურმის ჭრიალი შემოესმა, გლეხურ გე-  
ლისყურს ენოთიარა გაუპოხავი და ფერსოდაძრული ურმის უნიათო ღირლი-  
ტი. მალე წამოეწია ჭრიალს...

— შვილო, კრანისის ველზე ვავედით ვანა?

— ჰოდე! ვერა ხედავ?!—უგულო პასუხი სახრის ტლამუნივით გაიკლაცა  
პაერში.

— ვერა შვილო... ვერა!—ამოთხრა ცხენოსანმა და აღვიროშეგებული  
ცხენი ნებიერ ლაფშურით მიაცოლა ჭრიალს.

მეურმე შემოუბრუნდა წამოწეულს. ვეება პაპა აღმჯდარიყო ცხენზე. კებს  
უკან ზურჯინ-ნაბადი შემოეგდო. ახოვნებაშერჩენილ ტანზე—სადა ჭი-  
ლებგამოცლილი ჩოხა ეცვა, ბოლო წელზე ბუნიკმოტენილი სატევარი ეკიდა.

თვალ-წარბი არ უჩანდა პაპას. მეცხვარის გრძელბეწვიანი ქუდი ღრმად  
ჩამოეფხატა სახეზე. ჭარბად ჭალარა წვერი ამქდავენებდა მის მოდღეგებულ  
წლოვანებას.

ტფილის-ქალაქიდან ზარისხმა მოსწედათ.

პაპამ ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაისხა.

— სიონის ზარია! შეგვეწიოს იმისი შადლი! პარაკლისი გათავდებოდა  
ალბათ...

მეურმემ პაპის შუბლზე მხოლოდ ახლა შეამჩნია ნაიარევი, რო-  
შელიც შუბლის ნიოკებს ღრმად სერავდა და მარჯვენა სათვალურთან თავ-  
დებოდა. ჭრილობას თვალის დაეზიანებინა, ჩასერილ-ჩალიბრული დე-  
ტოგებინა ბუდეში. ვაგლახად მარჯვენა თვალზეც ღილისოდენა ლიბრი ვადა-  
პკროდა მოხუცს.

— ჰო მგარამ!? ცოდო ხარ... საით ამგზავრებულხარ... აგეთი?!—სიტყვა  
ველარ მოიბრუნა მეურმემ.

— წლისთავია!—ყრუდ ჩაიდუდუნა მოხუცმა და ქუდი ღრმად დაიხურა.

— ე მანდ არსად ვადაიხეზო!



ჩამოქვეითდა ღომთათა. ქუდი მოიხადა, მაგრამ ერეკლესეული ღრუბა ვე-  
ლარა სთქვა. არც წინ და არც უკან აღარაფერი გააჩნდა... არც არცაღლაში  
ენჭარებოდა, არც შინ ელოდა ვინმე. შორიდან კი სიონის ზარის ხმა  
სწვდებოდა... გლოვის, ოღნავ დამზარული, შემძიმებულ და დუნე ზარის  
ხმა. ღომთათამ ცხენს ხურჯინი მოხსნა, მოსართავეები შეუფალხვა, აღვირი  
წაუგდო, თოკით ჯავის ძირს მიიბა და ბალახად მიუშვა. თავად წყალთან  
მიჯდა, პეშვით ამოიღო... სწყუროდა, მაგრამ არ შესვა, მხოლოდ შუბლზე  
და შუქდაკარგულ თვალების უბეებში შეისხურა, ქუდის ბეწვით შეიმპრა-  
ლა. შემდგომ ქალამნები გაიძრო, ხურჯინი მხარზე მოიგდო და ერთ წამს  
შეღვა: წყალღმა აპყოლიყო, თუ წყალღამა დაშვებულყო?

— ეჰ, სულ ერთია... აქ ყველგან კრწანისია! — ხელი ჩაიქნია და წყალის  
ელურტულს ნაპირ-ნაპირ აპყვა თავფეხშიშველი.

ხშირად ფეხს იკრავდა რიყეზე. ეკალ-ბარდშიაც და ქინწარშიაც მოხედა,  
მაგრამ მას თავი ჩაეჭინდრა, კრწანისის მიწას უშუქო თვალებით ჩაპყურებდა  
და ხელა წინ მალღობებისაკენ მიილტოდა. აქ ზევით კრწანისის ბაღებია, მე-  
რზე სეიღაბადის მალღობები, ხოლო მათ თავზე — თამორი... იცის ეს ყოვე-  
ლივე ღომთათამ, იცის... და გულისყურით თითქოს ზედავს კიდევაც. აბა  
რთგორ ვერ დანახავს — აქ საღდაც... ამ წაფერღებულ მინღორზე... ამ  
უჩინარ ღელის ნაპირზე, შარშან ამ ღროს, დღევანდელ დღეს... აღა-მაჰმად-  
ხანის შემოსევის ეამს... აქ საღდაც მოჰკლეს მისი უფროსი ვაჟი — უთრუ-  
თა... ბრვე და შემმართებელი ვაჟკაცი. მისი ვაჟკაცურა სიკვდილი უამბეს  
უბედურ მამას... მრავალი მტერი წაუძღვანებია წინ... აბა რას იზამდა ღომ-  
თათას პირშო, მისივე გამოზრდილი...

საღდაც აქ ასაფლავია მისი დაუტირებელი გვამი. იქ თამორზე კი, დავით  
ბატონიშვილთან, მისი მეორე ვაჟი — ბატატა იბრძოდა... დაიჭრა და მაინც  
იბრძოდა და გზის გაჯაფვისას მიიმედ დაჭრილი, მტერს არ დარჩა და ღელვის  
ხევში გადაიხეხა უკანასკნელ ზარბაზანთან ერთად... ხოლო მესამე — უმცრო-  
სი — ხურტა-ბიჭი... სხარტი და სხიერი, ერეკლეს რომ ახლდა ზელმსახურად  
და შიკრივად... იგიც უჯზოუკვლოდ დაიკარგა კრწანისის მარცხის შემდგომ.  
არც იგი დაბრუნებულა აქედან... არც იგი. პო და სულ მარტო დარჩა ბებე-  
რი მებრძოლი — ღომთათა ბუნეკური. სულ უძიროდ გადადიოდა ბუნეკური-  
ანთ გვარი. მარჯვენა თვალი აღრევე ბრძოლაში დაჰკარგა, ხოლო მარცხენა,  
ბოდმამ და ფარულმა ცრემლებმა თუ ჩაუღებრა. ეჰ, სიბერემ და თვალებმა  
უღალატეს, თორემ განა თავად კი დააკლდებოდა კრწანისის ბრძოლას? აქვე  
ერჩია თუნდაც სიკვდილი. შეილებთან გაიზიარებდა სამარეს. მისი დასტი-  
რებელნი აღარ იქნებოდნენ მაინც... იქნებ სულაც ვერ გაეგო მათი უღროო  
დაღუპვა... ქვეყნის წახდენა. — მისი უძღვევლ მეფის დამარცხება...

...ღომთათამ ფეხი წაიკრა დიდ ღოღზე... ჩაიმუხლა კიდევაც... ხურ-  
ჯინიც ჩამოუხსლტა მკლავზე. ხელი მოაფათურა და დასაჯღომი ადგილი  
მოსინჯა. ახალნაყარი ეკალ-ბარდი მოხედა ხელში... მოგლიჯა და გადაპყარა.

— ეჰ, ტიალო წუთისოფელო! რა მალე ამოსულო აქ ეკალი და ქინწარი? —  
მიჯდა ქვაზე და ხელი შეიფლო შიმველ ფესებაზე, მტვერი და ნოტიო  
მიწა ოღნავ აპყროდა დაბებრებულ კანს. მოხუცს ყრღ სტკიოდა ორთავე  
ტერფი... მაინც არ მოიწმინდა ლავაზი, ეს ხომ კრწანისის მიწა იყო.

— ეჰ, სად არის მათი საფლავი? — და თავად უბასუხა უმაღვე, — აქ ხომ  
ყველგან საფლავია! კრწანისია ყველგან...



უეცრივე შორიდან ცხენის ჭიხვინი მოესმა. თავის ცხენად ვერ შეიმცნო. ქარშაც რაღაც გაბმული ხმა შეიმატა.

დააყურადა... მიწას დაადო ყური და შეეგულისხმა კრწანისძის მიწასვე გარკვევით გაიგო ცხენოსანთა არული. არა, ყურთასმენა არ ჰქონდათ მის მტამას... აი თითქოს სადღაც მოკგელავენ კრწანისის მებრძოლნი, თავგანწირულ კვეთებში გუგუნად წასულნი... მთაში მერეხი იცის ასეთი, ერთ ნაპირად, ზაოქით რომ გადივლის მიდამოს...

კარგა ხანს უსმენდა ლომთათა... მას, გამუდმებულ ბინდებში წასულს, კარგად ვერც კი გაერკვია — ეს ნამდვილი ცხენოსნები მოჰქროდნენ, თუ მის გატანჯულ გულისყურში ჩაზრდილ კრწანისის მიწიდან, უეცრად ამდგარი სპანი, თავის ნაბრძოლ ძელებს არხვედნენ წლისთავზე.

უეცრივე ყველაფერი შეწყდა, დადუმდა გარემო. ლომთათა წამოიზიდა და ხურჯინს მისწვდა, თაფლის სანთელი ამოიღო. აბედი გაჩეჩა და ტალკვესი ჩამოჰკრა. არ შეშლია არც ერთი მოძრაობა... არც ხელი მოსცარვია, აბედს საძილედან ამოღებული ბამბის ქულა მიაშველა, სანთელი აანთო და იქვე ქეაზე მყუდროში მიაწება. ხურჯინიდან ბოხჩადშეკრული ჭრელი ბაღდადი ამოიღო და გაშალა, შიგ სამი მომცრო სატევარი იდო. მათ ქარქაშები გააცალა, სამივე პირი გადაჯვარა და ზედ საკმეველი დასდო. თითოთ მოსინჯა სანთლის ალი. არც გაუგია დაწვა, სანამ ფრჩხილის წვის სუნი არ იყნოსა. მერმე საკმეველს მისცა ალი. მისმა სურნელმა დააშოშმინა. ახლა ქერის პური დადო ხელსახოცზე, ხელადაც ამოიღო ხურჯინის მეორე თვალიდან. მათარის მაგივრად მცირე ყანწიც მოიღო ხელში და არაყი დაისხა.

— ღმერთო! დიდება და მადლი შენდა! დაუმკვიდრე სასუფეველი ჩვენს მკვდრებსა და ამ ველზე ბრძოლაში სხვა დაცემულთა... ერთობლივ ყველა-სა... — უფრო ხმამაღლა ახშიანდა მარტოხელა ჭირისუფალი, მერმე კი უშუალო საუბარზე გადავიდა. თითქოს ცოცხლებს ესაუბრებოდა:

— ჩემო შეილებო: უთრუთ, ბატატავ, ზუტა-ბიჭო!... — ხმა შეუთრთოლდა მოხუცს, ცალ ხელს ჯლოლიაევებდა შეილების სატევრების შიშველ პირებს და თითო სახელი და სიტყვა გულს უსერავდა სატევარივით...

— შეილნო! თქვენამც მოგივით დადგმული ტაბლა, სანთელ-საკმეველი... ბრმა მამის დალოცვა... სუფრაზედამც დაიწვევდეთ თქვენ სიკვდილის ძმებსა... უპატრონო სულებს გაიკითხავდეთ! — სული მოიბრუნა მოხუცმა, არაყის ორიოდ წვეთი კრწანისის მიწას დააცვარა და ყანწი გამოცალა.

— ამინ! — მოულოდნელად მოესმა ლომთათას, იგი მთელი სხეულით შემობრუნდა და სმენად იქცა. წელანდელ ცხენოსნების არ იყოს, კვლავ ვერ გერკვია ეს ცხადად მოესმა, თუ მხოლოდ საკეთარი სევდიანი გულის ხმა იყო.

— ხორციელი ხარ ვინმე? — მოკრძალებით შეეკითხა და იგრძნო რომ აქ ვიღაც არის. უმალ არაყი დაუსხა და საალაღბედოდ გაუწოდა.

— შესანდობარს შესვამდე! აქ დახოცილთა სულები შეიერდომოს მამა-ზეციერმა.

— ამინ! — ისევ მოესმა ლომთათას და ვილაცამ ყანწი გამოართვა. ხმამაც გააოცა ბრმა მოხუცი, არა, იგი წელანდელი შეურმის ხმა არ იყო. სიონის გლოვის ზარს მოაგონებდა. ეს ხმაც — ოდნავ გაბზარული და შემძიმებული იყო.

ლომთათა მოხუცის გუმანით მიხვდა, რომ მის წინაშეც ღრმა მოხუცი

იღვა. იქნება მასზე უფროსი. წამოიწია, ადგომა დააბირა, მაგრამ მოსულის ხელი იგრძნო მხარზე.

— იჯექ, არაგველო! — დინჯად უთხრა და გამოცლილი ყანწი ხელში ჩაუღო.

— არაგველო? არაყზე მიცან? რა უყუთ — ანწლისა — ერთგამონახადი, სუნს დაიკრავს.

— არა, შუბლის იარაზე!... ეჭ მოხუცო, მეორე ცვალებევი ლიბრი გადაგვკრია!

ლომთათამ სულ ახლოს, სახესთან, მოხუცის სუნთქვა იგრძნო, ხოლო ნაიორეუ შუბლზე კი მისი მკვრივი, მაგრამ მოვლილი ხელი. ხელს საამო ნელსაცხების სუნი ასლიოდა და ლომთათამ გარკვევით შეიცნო, რომ მოსულს რამდენიმე ბეჭედი ჰქონდა ხელზე.

— ვინ ბრძანდებით?

— ეჭ, წუთისოფლის მგზავრი ვარ!...

— წმინდა გივარგია მგზავრების მფარველი... შეგეწიოს მისი მადლი! მობრძანდი... პური გავტეხოთ, თუ მიკადრებ ღარიბ ტაბლასა.

— კიდეც ვინ უწყის, ჩვენ შორის რომელია უფრო ღარიბი? — ესმის ბრმა ლომთათას ეს კითხვა. დიდ შავ ნაღველს გრძნობს სტუმრის კილოში... თავადაც ენატება ნაღველი.

— მძიმე დარდი შემოგწოლია! აქ დაიმუხლე, აქ გგონებ ქვეც უნდა იყოს? — მოათათურა ხელი ლომთათამ, — არც მე გახლავარ მოღბენითა. წლისთავია! სამი შეილი დამიკარგავს!

— აქა?! — ყრუდ შეეკითხა მგზავრი.

— ოღონდაც... კრწანისზე!

უეცრივ ლომთათას ეჭვი შეეპარა ჩემ უცნობ სტუმარსაც ხომ არ აკლიათ თვალის ჩინიჭ?

— ამ სამ სატევარს ხომ ხედავ? იმათია... კუბუკობის დროინდელი. ამით ვასწავლე სატევარის მოქნევით... ესენი და შემრჩა დასატირებლად!... — ხმა შეუფერხდა ლომთათას... დადუმდა... სდუმდა მგზავრიც. დიდი, თავმძიმე კმუნვა გაშლილიყო კრწანისის ველზე.

უეცრივ ისევ წარმოიშვა ცხენების თქარუნი, არა ეს უგზოუკვლოდ გაქრილ რემას თქარუნი არ იყო, არამედ გეზ-და-მხარ შეწყობილი სვლა ცხენოსანთა. ერეკლეს ძველი მოლაშქრეა ლომთათა, ზეპირად იცნობს ფლოქვების ნახშაურს. აი, ახლაც, უხილავ ცხენოსანთ გეზი სწორედ მათკენ უჭირავთ... ასეთი დგაფით მოდიან... ლომთათამ იგრძნო მისი სტუმარიც შემობრუნდა. ოდნავი ნიაგი მისწვდა ბრმას, ხელი თუ გაიჭნია სტუმარმა?

გუგუნი შეწყდა... შედგა საღლაც — არც თუ შორს, მერმე იცვალა გეზი, თითქოს გაბრუნდა და მალე ჩადუმდა კიდევაც.

— ვინმე თუ იყო? — გაუბედრებლად შეეკითხა ლომთათა, — ჩემთვის სულ შავეთია ირგველივ...

— არა, არავეინ!... ყრუდ უპასუხა სტუმარმა და უფრო მწვავედ დაატანა:

— იქნებ ბედნიერიც ხარ, ლომთათავ... კარგს ვერაფერს დაინახავდი.

— ლომთათო? — გაიოცა ბრმამ, თან კმუნვით გაიფიქრა „გულმავიწყობაც შემპარვია ხეობარსა... აღარც მახსოვს როდის ვუთხარი ჩემი სახელი“... მერმე მოავონდა რომ იგი მასპინძელია და ხელი ხურჯინისაკენ გაიბრუნა.

წანდილი, ქერის პურა, დარჩეული კაკალი და ბოსტნეული ამოიღო. სტუმრის წინაშე ხელმოკლეობა მოიბოდიშა:

— საკლავი კი დავეალი, მაგრამ იქ სიონის გლახებს ჩამოვეყენებო—ქალქისაკენ გაიშვირა ხელი.

ბრმა კია ლომთათა, მაგრამ მხარი კარგად იცის. აი იქით არის ტფილის-ქალაქი... აი, ქარი რომ მოჰქრის და სიონის ზარის ხმასაც რომ მოაწვდენს ხანდახან.

— სასტუმროდ მაინც შემოვიწინახე ცოტაოდენ... — ცხერის ბეჭი ამოიღო ლომთათამ, — ინებეთ, მე კი სამარხოს არ გეახლებით, გული არ მიზამს.

— არც მე... ერთნაირი გული გვექონია, მოხუცო — ვგონებ ბედიც... — პასუხი ისეთი სევდამოსილი და ნალვლიანი იყო, რომ ბრმას გულისყური შეუძრწუნა:

— ემ! ჩემი ბედი აბა რა სახსენებელია? — ხელი ჩაიქნია უსინათლომ და დაგვიანებული ფიქრი შეეკიდა: „ნეტავ ვინ არის?“ კვლავ პირდაპირი შეკითხვა ეუბნებოდა და ირიბულად სიტყვა ჩამოუარავა:

— რა ხელობისა ხარ, ამობილო?

— ხელობისა? — თითქოს გაუკვირდა მოსაუბრეს, — ბევრი ხელობა მაწვინია ბედმა. კარგად არც კი ვიცი, უფრო კი მეომარს მეტყოდნენ მტერნიც და მოყვარენიც.

— მაშ ერეკლე-მეფის მეომარი ხარ? — გაეხარდა ლომთათას, — ჰე დედისა! მეც მისი მებრძოლი ვახლავართ... გამხარებია წმინდა გივარგის მადლმა... სანამ შემძლო გულმოდგინედ ვემსახურე და როცა წამერთვა თვალის ჩინი, ახლა ვაეები გავუზარდე... უმცროსი კი... ხუტა-ბიჭი, მას პირადლ ვახსლე...

— ხუტა-ბიჭი? — გულმძიმედ გაიმეორა სტუმარმა.

— რა? ხომ არ იცნობდი... იქნებ ბრძოლაში გადაეყარე სადმე? ავით ეოხტა და სხარტი იყო... ცეცხლი ენთო, სწორედ, თვალეში... ცეცხლი... — უბედურმა მამამ ფართოდ გაახილა და აათამაშა ჩალიბრული თვალეში.

— არა, არ მინახავს... — ოდნავი ყოყმანით უპასუხა უცნობმა, მერმე სულ ახლო მისწია სახე და თითქოს საჩუქართოდ ჰკითხა:

— შენ სამი შვილი დაჰკარგე აქა?...

— ჰოდე!

— მე უფრო მეტი... გაცილებით... ცოცხალი როგორღა ვარ? როგორღა დაერჩი იმ ბრძოლის შემდგომ?...

დაბრმავების შემდგომ სხვისი ჭმუნვისადმი უმეტესი გულისხმიერი ვახდა ლომთათა, კი არ ვაბოროტდა, პირიქით თითქოს შუქთან ერთად თვალის სიხარბეც დაეკარგა და მუდამ „შაგეთში“ მყოფს, სხვისი დარდიც — ედარდებოდა და სხვისთვის უნიშნოც — უნიშნებოდა. ახლაც თვალწინ წარმოუდგა „წუთისსოფლის მგზავრი“ ეინმე, უცხო, გულჩათხრობილი მოხუცი, რომელსაც თავი ჩაუქინდრავს და კრწანისის მიწას ჭმუნვით ჩაჰყურებს.

— განა შენც იყავ იმ ბრძოლაშია?

— ვიყავ... — დაირხა დუნე პახუხი.

— თავიდანვე? — ჩაეძია მოხუცი.

— თავიდან-ბოლომდე... ბოლომდე! — მწარედ და შინაგანი თრთოლევით გაიმეორა მგზავრმა.

ლომთათამ იგრძნო, რაღაც შინაგანი უხერხულობა ახლდა პასუხს. სიტყვა ნაკუჭივით მოდიოდა, გული კი ნაკუჭს მიღმა იყო დარჩენილი. არ ეპიანა, წინ წამოიზიდა, ხელიც კი აღმართა... ვეება, ნაბრძოლი, დაკრებულ ბელი...

ერქინეული

— მამ თავიდან ბოლომდე იყავ? სად არის მერმე შენს შუამდგომლობა მიჩვენე! კრილობა, მეომარო! — უკვე მკაცრად მოსთხოვა პასუხი, შეუტია კიდევაც. ამ წუთში მას დაავიწყდა რომ იგი ბრმა და არც თუ მანც-დამანც უფლებამოსილი. უცხო კი სდუმდა. თითქოს მას არ ეხებოდა საუბარი.

არ მოეწონა ლომთათას უცხოს დემილი. ეჭვი დაეზადა. აუცი, უნდობლობა მოეძალა... „ვინ არის?“ ისევე გაუელევა ფიქრმა, ფიცხი სიტყვა მოაწვა ბაგეზე, მაგრამ თავს სძლია, უკან ჩაიბრუნა. სიმკაცრე გაიყუჩა და დინჯად შეეკითხა:

— აქ რამ მოგიყვანა წლისთავზე?... აქ რამ?...

— კრილობამ... — იყო რთული პასუხი. ლომთათას ახლა უფრო გაეზარდა ეჭვი... ვგონებ მიხვდა კიდევაც: „ალბათ მეფე ერეკლეს მტერი იყო და ახლა იანობს!“ გაიფიქრა და ხელი მოიბრუნა, ხელადა აიღო, მცირე ყანწი ცერით ხელადის მოტეხილ ტუჩს გაუსწორა და დაასხა.

— ეს ღმერთმა ჩვენს ბატონს, მეფე-ერეკლეს გაუმარჯოს... მოყვარე უმრავლოს... მტერ-დუშმანი გაუჩანავოს!

ვადაპკრა და გაუწოდა. თანამოინახემ დაყოვნა ყანწის მიღება.

„რა თქმა უნდა — შინამტერია“, გაპკრა ფიქრმა.

— კიდევ იმისი იმედით ვცოცხლობ დედამიწაზე! — უფრო მედგრად დასძინა ლომთათამ და ყანწი კალთაში ჩაუგდო. რქამ რეხი გაიღო.

„მოკედილი ხმალი ჰქონია!“ გაიფიქრა ბრმამ, ახლა ხელადაც მიაწოდა და უსმენდა არაყის რაკრაკს... ისხამდა უცნობი. „გავიყო“ ხმით შეიმცნო ბრმამ. „გულმართალი ყოფილა!“ ერთი ნაოჭი თუ გაშალა ფიქრმა.

— გისმინოს ღმერთმა, მოყვარე უმრავლოს, მტერი უჩანავოს! — მოკლედ მოსჭრა უცნობმა, შესვა და შეცრივ შეუტია ლომთათას:

— კაცო, დამარცხდა შენი უძლეველი მეფე! მწარედ დამარცხდა მტერმაც გაწირა და მოყვარემაც! გაოხრდა სამეფო! გადაიბუგა ტფილისი! შენ რა გიჭირს — ბრმა ხარ, ვერა ხედავ...

სული ძლივს მოიბრუნა მთხრობელმა და უფრო ზიწვიანი ხმით აყვირა:

— აი აქ ზევით, ხომ გახსოვს, ყოშაყალა იყო, ახლა ქონგურ-ჩამომოლილი ნანგრევებია. თაბორზე კედლის შეტეხილი ზღუდედა დარჩენილია. აბა იქ ვიხედე — რას დაემზავსა ჩვენი მეტეხი... ნარიყალა კიდევ უარეს დღეშია... ტფილისს ხომ ნუღარ კითხულობ, შიგ ვეღარ გავჩერდი. ეს ბაღები კი... კრწანისის განთქმული ბაღები? აბა ესენი რაღაისთვის გაავერანეს? იქ ახლა სიკვდილის ძმათა სასაფლაოა...

— სადა, ძმობილო! აბა სადა? — მოლობრულ თვალებს აცეცებდა ლომთათა. — ალბათ აქაა ჩემი უთრუთაც! ალბათ აქა!

— მართო იქ ათასიოდ უთრუთა წევს, ბერიაკო! ათასიოდ!

ლომთათამ, ამ სიტყვებში, მწვავე საყვედური იგრძნო. დაირცხენია, უეცრივ გული გაეხსნა მოსაუბრის მიმართ:

— შენ მართალი ხარ... მე ვერაფერს ვხედავ... უჯილაგოდ დარჩენილ მამის გულის ბრალია... — მოიბოდიშა და დადინჯებულ კილოთი შეეხვეწა:

— ვინიერი კაცი ჩანხარ... კრწანისის მიწის მადლს ვაფიქვებ... წერილად მოხარ—ეს მარცხი როგორღა მოხდა?!—ლომთათამ შიშველი ვიყავი და მის და უცნობს მიუბრუნდა.

იგი კი სდუმდა. მამინ დაიხარა ლომთათა, დაკოყრებულს კიწა მოხვია და მოსაუბრეს გაუწოდა...

— მე დიდი დღე აღარ მიწერია... შენც ეამგადასული ჩანხარ... ვინაობას არ გკითხავ... ვიცი ქართველი ხარ და გული ვტყვივა... აი აქ... ამ ომის წლის-თავზე, ერთი ველისხმეირი სიტყვა მოხარია... თვალი ამხილევ... სამი შვილი სახლიდან გამიშვია და აღარც ერთი არ მომიბრუნდა... ვიცოდე მინდა—როგორ მოხდა ეს მარცხი... როგორღა მოხდა?! მე ერთი უთვალისჩინო კაცი ვარ... მაგრამ, რომ ვიკითხო, ამის უფლება მაქვს... ყველას ვკითხავ, მთელ ქვეყანასა... აი თავად ჩვენი ბატონი ერეკლე-მეფეც აქ რომ იყოს, ასევე ვკადრებდი. ის კი შეტყობდა... წერილად მიაბობდა თავის ლომთათასა, მაგრამ არც იმას ადგია ჩემზე უმჯობესი დღე...

— არც იმას! არც იმას!—უმალ დაუდასტურა მეორე მოხუცმა...—ეს მოვალეც იყო... მოსამართლედაც დაგისვამდა, მთელი ქვეყნის წინაშე, თავის შვილეისა და შთამომავლობის წინაშე... შენ, ძველ მეომარს, გულახდილად გეტყობდა თავგანწირვისა და ღალატის ამბავს. იცის ღმერთმა მას თავი არ დაუზოგავს, ახლაც სიკვდილს ნატრობს და სიცოცხლე არ უხარია.

ლომთათას მუჭი გაეხსნა და ცოტ-ცოტა ებნეოდა ქვიშანარევი მიწა... ისევე ებნეოდა მოხრობელს სიტყვები.

— მამ მომისმინე, მოხუცო... აი აქედან კარგადა სჩანს—სოლანლულის ვიწროები...—ლომთათა ვუშანით მიხვდა, რომ მოხრობელმა ხელი აღმო-საღლეთით გაიშვირა. თავადაც მიბრუნდა იქით.

— ათ ენკენისთვეს იქ ჩადგა დავით ბატონიშვილი თავის რაზმით. მტკვრის ნაპირსა და შენაბადას კალთებს შორის გათხარა სანჯარი. ნაშუადღევს უკვე მოვიდა აღა-მამამდი თავის ჯარითა... მაგრამ დავით მედგრად დახვდა, პირი აბრუნებინა უკან... დიდი მარცხი და ზიანი მისცა...

უმჯერდა ლომთათა გარემოს... ამოდ ახამხამებდა თვალბს... მხოლოდ მესხიერების სიღრმიდან იტვიფრებოდნენ შენაბადას ქედის მუქერები, ძე-ძეებ-შერეული ფერდები, მიჯრით რომ ჩასდევდნენ მტკვრისაკენ და აღმო-საგლეთით ზღვარავდნენ ცის კიდეს. იქ, ვიწროებში, ალბათ ახლაც მოსჩანან სანჯარების პირშენგარეული ღრუდოები და, ლომთათასი არ იყოს, ისინიც ბრმა თვალებით შესცქერიან მტკვრის მღვრიე ვერცხლგაკრულ დინე-ბას. არა, ამას ყველაფერს ხედავს ლომთათა... თვალებზე გადაეკრა ღიბრი. თორემ გუშანის თვალი უწინდებურზე უფრო უჭრის. პოდა უმჯერს ლომ-თათა ნაომარ ადგილებს და უსმენს უცნობის კრიჭაშეკრულ თხრობას...

— მაგრამ ვერაგმა ხოჯამ მთავარი ჯარი იაღლუჯიდან კუმისზე და ხატო-თვალაზე მიმართა... ქართველ მეწინაეკთა ზურგში უნდოდა გამოსვლა.

— მერმე?—გაოცდა ლომთათა,—და განა ერეკლემ არ იცოდა ესა?

— იცოდა... ვარაუდიც დაიჭირა, მაგრამ მასველი არ მოუფიქრა მეფეს... შვალეზმაც არ შეაშველეს სადროშონი, მეტი გზა არ იყო, მეწინაეკნი წაი-ყვანა და კრწანისზე შეუდგა სამზადისს...

— აქა? მაი დედასა...!

— დიას, აქ. აი იქ მომადლოდ დავითა იდგა თავის რაზმითა. ამ მდინა-რის დაყოლებით კი ოთარ ამილახვარი, შემდეგ მოხუცი მუხრან-ბატონი,

ზურაბ წერეთელი — იმერლებითა და ბოლოს ზაქარია ინტონიკა-  
შვილი... — თანდათან მხარს იცვლიდა მთხრობელი, უეცრივ სხა იდებლა,  
წყალში კენჭი ვადავლო (ეს ნათლიე გაიგო ლომითათამ) — კრწანისული

— ეს ლეღე მაშინაც ასე წყნარად დიოდა... ხოლო მერმეც კრწანისული  
განაღდა, მოდიოდა და იცვალა ფერი...

— პაი დედასა... ფერი? — ბრმაღე მდინარისაგენ მიბრუნდა და შევეთი-  
დან თითქოს ამოეონა, ამოიკლაკნა, ფერშეცვლილი მდინარე და დიოდა  
მოდიდებული და წითლად მღვრიე... ვგონებ დადუმდა მთხრობელი, ხოლო  
წითელ-მღვრიედ შეტბორებული მდინარე თუ განავრძობდა ნაღვლიან  
მხრობას...

— დამითვე დიდი ნისლი და ჯანდი მოდგა... გათენებოსას არც კი ჩანდა  
შენახადა... და როცა ნისლი გაუჩინარდა, ახლა მტრის დიდმა ურდოებმა  
დანსლეს შენაბადა... ძირს დაეშენენ მის კალთებიდან... თამამად მოდი-  
ოდნენ... ჩვენები კი სდუმდნენ. აი იმ გორაკამდე მოვიდნენ... კრწანისზე  
კი სრული სიჩუმე სუფევდა...

ახლაც სრული სიჩუმე სუფევდა კრწანისზე და ლომთათას, მრავალ ომ-  
გადახდილ ლომთათას, ეს სინამდვიე ომის წინა გარინდებად ეჩვენა უეც-  
რად...

— ერთბაშად დაიქუხეს ყომაყალის ზარბაზნებმა... მეტეხმაც ბანი მისცა...  
კრწანისის ბრძოლა დაიწყო. წინ ძლიერი მტერი იდგა, უკან კი განაბული  
ტფილისი... შემხედურ შეუტეეს ჩვენებმა... აქაც იმარჯვა დავითმა, სპარსე-  
ლებს თავზარი დასცა და გააბრუნა, ისევ შეენაბადას კლდე-ხრიოკებს შეე-  
ხიზნა მტერი. ქართველებიც უკან თავის სანგრებში მოდგნენ. ახლა დაიწყო  
ზარბაზან-ზამბულაკების თრამხრივი გრგვენივა. მეტეხიდან — მტკვრის  
ნაპირებს უშენდნენ, ხოლო ყომაყალიდან შეენაბადას ახლო მისაღვრემს.  
მალე ქედზე მტრის ახალი ურდოები ვაღმოეფინენ... ჩვენი მაშველი კი  
არსად სჩანდა.

— რათა კაცო!? რათა?! — გააწყვეტინა ლომთათამ, მაგრამ მთხრობელ  
ჩანს მას ყურს აღარ უგდებდა, თითქოს თავიდან განიცდიდა შარშან გადა-  
ტანილ ომის დუხპირს...

— აი იმ ადგილს... კვერნაჭი ტაფობად რომ ჩანს... იმ ადგილს ჩინებუ-  
ლად ვიცნობ... სწორედ იქ დადგეს ხანის კარავი... მალე თავად ალა-  
შაშამდ-ხანიც მოვიდა... ცხენზე აღმჯდარიც ჩია კაცად გამოსჩანდა... უმაღ-  
შეუძახა თავის ურდოებს... და ისევ ქრელ-ყვითელა ზეგვი დაგორდა ფერ-  
ლობზე... ისევ მოასკდა ქართველოა სანგრებს... დიდი ქაპანწყვეტა და  
ხელდახელ კიდილი შეიქნა. ჩვენებსაც ჩამშველნენ მცირე შარქაფნი. მესა-  
მედ გაუმარჯვდათ ქართველთ. ქრელ-ყვითელა ზეგვი ახლა უკან — აღმ  
აგორდა... კელაე რამდენიმე გზად შემოუტრის მომხდურებმა. ახალ-ახალი  
კუნდები მოგორავდნენ შეენაბადას ხეიმირებში... ქვევით კი ბრუნავდა კრწა-  
ნისის ომის ბორბალქარი და ფქვევდა მტერს თუ მოყვარეს. ცხარობდა შეე-  
ნაბადზე ჩია კაცი, ჰარბად უმატებდა მიბრძოლებს...

— მერმე ჩვენები?! — ლელავდა ლომთათა.

— ჩვენებსაც მისდიოდით მაშველი... ვაგლახ, მეტად დარიბად... ჯართა  
პოჯრა კი უფრო იზრდებოდა... სპარსელთა მთავარი ჯარებიც ჩაებნენ  
ბრძოლაში. ერთბაშად აქრელდა და აიძრა შეენაბადას ძეძენარევი  
უფრობი.

გაშეშებულ ლომთათას საშინელ სიციხადით წამოესახა დაძლიერებული კბენარი და თითო ბეჭეს ერანული ჩაღმა ეხვია. ყურში მკაფიოდ კმრთავდა გადასული ომის გუგუნე, თუ მოხრობელის გარბეხული ხმა.

— ჰქუხდნენ კრწანისის შემოგარენი... ზათქითა და ბოლქვევით შერრულიყო კრწანისის ზეცა... ბრძოლის ქარცეცხლში იწოდა კრწანისის მიწა... ბედის სასწორი ქანაობდა!...

— მერმე იგი სად იყო? იგი? პირველი მებრძოლი? მეფე?! — ველარ მოითმინა ლომთათამ.

— თავს იკავებდა.. როცა დაჩქუნდა, რომ აღაჩენინ მოუვიდოდა, იზოგავდა მარქაფს... აქეთ-იქით აფრენდა მცირე ჯგუფებს — ბევრად აჩვენებდა მტერს. ბოლოს მეტი ვხე არ იყო, იგიც გადაეშვა ბრძოლაში. სოლომონ მეფეც მას ახლდა. რჩეული რაზმიც.

— შენი ჭირიმე! — დანარჩენს ლომთათა თავით გააგრძელებს... თავად იტყვას... მრავალჯერ მიჰყოლია მხარდამხარ, იცის ერეკლეს ილეთი. ცოტა ირიბად გაჰკრავდა იერიშის გეზს, მტრის წყებას ბოლომდე გაარდევდა ცხენდაცხენ.. ერთობიად გაიტანდა... ახლა შურგიდან დააკრევივინებდა ყოვინას და შემდეგ პირწმინდად იწყებდა არეულ მტრის ფარცხვას. რიყეზე გაეარდნილ თევზებივით ფართხალეზდნენ გადათელილნი. ლომთათას არ ახსოვს, რომ ვინმე გამკლავებოდა ასეთ შემართვას, ვიღაც ჩია — ქოსა კაცი, ალა-მაჰმადი რაღა ბედენაა?! და ესმოდა ლომთათას უცნობის თხრობა:

— ისევე შეენაბადაზე შეერეკეთ სპარსნი. ახლა — ჯაც შეუცვდიდნენ ჩვენები. ალა-მაჰმად-ხანის დროშებსაც მიატანეს. უმაღ აშალეს მისი კარავი და გაბიზნეს იგი. ცხენები შევაპყნეთ შეენაბადას კვერნაქზე, მაგრამ გაგესაწრო წყეულმა. ცხენით გაქტუსლა...

— შენც მათთან იყავ? — უეცრივ შეეკითხა ლომთათა. მოხრობელმა ჯერ თითქოს გერც გაიფო შეკითხვა, მერე კი დაუდასტურა:

— ჰო, დიახ, მეც მათთან! — და მწარედ გაეღიმა. ამან უფრო აღელვა ლომთათა.

— მერმე? მერმე? — როზროზებდა გადაბერებული მებრძოლი და ხელპრუდედ აწვალებდა სატყეარს.

— სოდანლულში ჩავაბრუნეთ... ილტვოდა მტერი, მაგრამ არც ჩვენ-გავაჯა ვარვი დღე... ველარ გაყვებით მღვერად... ასე მიძიმედ ჩამოგვადამდა...

იცის ლომთათამ, კარგად იცის, თუ რას ნიშნავს „მიძიმედ ჩამოგვადამდა“... ეს ღამის თეთრად ტეხვას ნიშნავს. ვადაწყვეტ ბრძოლისათვის სამზადისს, დაჭრილია შევლას, მოკლულთ დამარხვას...

— უღმაზლად მიდიოდა დამე... თენდებოდა... მტერი კი არ იძვროდა სოდანლულიდან. არც წინ — არც უკან...

დადუმდა მოხრობელი... სდუმდა ლომთათაც... ველარ ჰბედავდა შეკითხვას. მაგრამ არ დასანებულა სიჩუმე:

— მე ვიცი, წასვლას ამირებდა მტერი, გამარჯვების იმედი დაჰკარგა. ჩვენი მოჩვენებითი მარქაფების შიშიც ჰქონდა... მაგრამ ამ დროს მოხდა ის დალატი, რომელმაც ვადაწყვიტა ბრძოლის ბედი... ვგონებ, მთელი საქართველოს ბედიც... — უფრო ყრუდ დაატანა სიტყვა მოხრობელმა.

— რომელი დალატი? — შესწყრა ლომთათა...

— მაშინ გაბარეს ნარიყალიდან ალა-მაჰმადის ელჩი... მან, რა თქმაუნდა, ყველაფერი აუწყა გაქცეულ ხოჯას...

მოხუცი ლომთათა მიხედა, თუ რა იყო ეს „ყველაფერი“: შინაშე მის და მოშორნენი, მეფის გაურჩებელი შეილება, ქართველთ ჯარის ჯიბე ნარალი, სრული უმარჩაფობა... ტფილისის დრტეინვა... მოხუცი... შეუძლოდ ყოფნა... კიდევ სხვა ათასი ძირგამომთხრელი აუტრად...  
 — ვინ? ვინ ჩაიღინა ვე ბორთტება? — კბილს დრტეილით შეეკითხა ბრმა და გუმანში იჭვის თვალთ ჩათვალღერა მათი უცნაური საუბარი...

— ქვეყნის ორგულეზბა... — იყო მიფადღალებული პაჟუხი.  
 — შერამე ერეკლემ რა თქვა?  
 — რას იტყოდა... თუ მე მიმტრობდენ — მამულს რაღას ემართლებოდნენო?..

— მაშ შემობორუნდა მტერი... გულიც მოეცა?!  
 — სამსრეთიდან შემოვლს საშიშროება იყო, ამიტომ მეწინავედ იოანე წარვიგზავნა...

— იოანე ბატონიშვილი?  
 — დიან... ხოლო დავითი ზარბაზნებით ტაბახმელა-სოლოლაკის გზა-ჯვარადინზე ჩადგა.

— იქ იყო ჩემი ბატატა... — ყრფდ ჩაურთო სიტყვა ლომთათამ და უშალ ენა მოიკენიტა, შერცხვა თავის დარდის სულწასულობისა...  
 — მეფე-ბატონი სადღა იყო? — ბოღმიანად შეეკითხა.

— ყველგან... უფრო კი შუაგულში, სეიღაბადის მალღობებზე.  
 — შენც იქ იყავი? უნებურად ისევ შეეკითხა ბრმა, მაგრამ მის მოსაუბრეს ან ყურს აკლდა, ან კრწანისის ბრძოლის მოგონებით თავწასულს სულ არ ესმოდა მისი საუბარი. იგი თითქოს უხილავი მსაჯულის წინაშე განაგრძობდა თავის შემფოთებულ ჩვენებას.

— მარცხნივ მუზრან-ბატონი, იდგა, მარჯვნივ — იმერლებით — ზურაბ შერეთელი. მედგრობდა ჯარი, მაგრამ დაღლა დნ დანაკლისი მძიმე ტვირთად აწეა ყველას... თუტანელ ტვირთად. დილიდანვე თოთმეტ წყებად წამოვიდა მტერი. ამ წყებებს კი უკან ზუთი-ექვსი ათასი თურქმენი სეფეჩაფარი ედგა. ჩვენი ერთი მუჟა ჯარი და საქმე განწირული იყო... ამ მარტო თავგანწირვითა და ხერხით ვეღარას გაგზღებოდით. ფარდი ძალა იყო საჭირო... ვაგლახ, მოყვარე ვერ მოყვრობდა, მტერი კი აღარ გვიანობდა.

— თეად მეფეც? — მეფის ბედი აწუხებდა ლომთათას, მაგრამ მთხრობელი თავისას განაგრძობდა:  
 — მე ასზე მეტი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ ეს ყველაზე უფრო ცხარე ბრძოლა იყო...

— ასზე მეტი? — ვაიოცა ძველმა მებრძოლმა.  
 — სპარსელები ბრუნადდენ ჩვენსა და თურქმენებს შორის... უკანდამღრკალნი ისევ გამობორუნდებოდნენ და იყო ჩეხვა უმოწყალო. ბოლოს რჩეულებსაც შეგზღვდით... სეფე-ჩაფრებიც ჩამოღვენენ შუბთა ძვერაში.

— თეად მეფეც? — მეფის ბედი აწუხებდა ლომთათას, მაგრამ მთხრობელი თავისას განაგრძობდა:  
 — მე ასზე მეტი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ ეს ყველაზე უფრო ცხარე ბრძოლა იყო...

— ასზე მეტი? — ვაიოცა ძველმა მებრძოლმა.  
 — სპარსელები ბრუნადდენ ჩვენსა და თურქმენებს შორის... უკანდამღრკალნი ისევ გამობორუნდებოდნენ და იყო ჩეხვა უმოწყალო. ბოლოს რჩეულებსაც შეგზღვდით... სეფე-ჩაფრებიც ჩამოღვენენ შუბთა ძვერაში.

— თეად მეფეც? — მეფის ბედი აწუხებდა ლომთათას, მაგრამ მთხრობელი თავისას განაგრძობდა:  
 — მე ასზე მეტი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ ეს ყველაზე უფრო ცხარე ბრძოლა იყო...

— ასზე მეტი? — ვაიოცა ძველმა მებრძოლმა.  
 — სპარსელები ბრუნადდენ ჩვენსა და თურქმენებს შორის... უკანდამღრკალნი ისევ გამობორუნდებოდნენ და იყო ჩეხვა უმოწყალო. ბოლოს რჩეულებსაც შეგზღვდით... სეფე-ჩაფრებიც ჩამოღვენენ შუბთა ძვერაში.

— თეად მეფეც? — მეფის ბედი აწუხებდა ლომთათას, მაგრამ მთხრობელი თავისას განაგრძობდა:  
 — მე ასზე მეტი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ ეს ყველაზე უფრო ცხარე ბრძოლა იყო...

— ასზე მეტი? — ვაიოცა ძველმა მებრძოლმა.  
 — სპარსელები ბრუნადდენ ჩვენსა და თურქმენებს შორის... უკანდამღრკალნი ისევ გამობორუნდებოდნენ და იყო ჩეხვა უმოწყალო. ბოლოს რჩეულებსაც შეგზღვდით... სეფე-ჩაფრებიც ჩამოღვენენ შუბთა ძვერაში.



ქველობით ვეჯობდით, მაგრამ სიმრავლით გვიანანებდნენ. შორიდან ვი-  
მარჯვებდით და ჯარს კი გკარავდით. ილეოდა ჩვენი გამარჯვებაც... ერთ  
წუთს მხარშემოვლილი აღმოვჩნდით... შეაგულშიაც გატყდნენ ჩვენი...  
სანგარი... და სწორედ მაშინ გაისმა...  
შეხვედნენ

მთხრობელი შედგა... მას თითქოს სუნთქვა შეეკრა და ხმელი ხველა  
აუვარდა. შეშფოთდა ლომთათა...

— რა გაისმა? რა?

მთხრობელმა ხველება ჩაიხშო, განაგრძო მოყოლა, მაგრამ უკვე დაეარდ-  
ნილ, ხიწვეშერეულ კილოთი... რაღაც ჩაუწყდა თითქოს.

— ეს იყო ჩვენი უკანასკნელი გამარჯვება. შორიდან მოისმა ხმა ბარბი-  
თისა, მას ზურნა და ფანდურ-ჭიანური მიჰყვა... ასეთი არაფერი მსმენოდა...  
ცხენზე შემოვბრუნდი და ტფილის-ქალაქს გავეხდე... მეტეხი ჰქუხდა... ყო-  
მაყალა ჰქუხდა... კრწანისის ველზე სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გიშ-  
ვირებდა, ტფილისიდან მომავალ გზაზე კი მოქალაქეთა დიდი ჯგუფი მო-  
ლიოდა, დაფა-ზურნით, ამჭრის დროშა-ხატებით, ცეკვა-თამაშით... ბერიკა-  
ჯამბაზებად და მუშაითებად შორთული... თითქოს რაღაც დღესასწაულს  
ზეიმობდნენ. ერთ წაშს გაშეშდა ყველა—მტერიც და მოყვარეც. გაოცებამ  
დაჰფარა ომის ზათქი. ახლაც მახსოვს რაღაც საოცარ კილოს უკრავდნენ...  
გგონებ—შადიანსა... ვიცან მარბლის კილო—დიდ ნუგეშად მომეფინა,  
ჯარსაც ცეცხლად მოეკიდა...

— ეაცხონე მისი მარჯვენა! — წამოიძახა ლომთათამ და მის „შავეთ-  
შიც“ თითქოს ცეცხლმა იელვა...

— აღფრთოვანდა ჯარი, კვლავ შეუტია მოძალადეს... ჩემი თვალთ ენა-  
ზე — შიშზე დაჭრილებიც წამოდგნენ... ეს კილო მკედარსაც გააღვიძებდა  
სწორედ! შეიქნა არნახელი ჩეხვა... სულ შადიანის ხმაზე ზარავდა თოფ-  
ზარბაზანი, ჩხრილებდა აბჯარ-ჩაჩქანი... ხმიანობდა კაცი და ცხენი... მალე  
პრქალაქენიც წამოგვეშველნენ, ახლა იარაღი იშიშლეს და კრწანისის  
ძიულ სივრცეზე დატრიალდა ახალი, თითქოს პირველი ბრძოლა... აღა-მაჰ-  
მადის დროშებს კვლავ მივატანეთ... შავნაბადას კალთაზე შევიჭერ... კრწა-  
ნისს რომ გადმოვხედე — ფუტკრის აშლილი ბუდე მეგონა...

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი გამარჯვება...

— უკანასკნელი? — ბრბამ ქურდულად მოიწმინდა აცრემლებული თვა-  
ლი. იგი უკვე დიდხანია ფეხზე იდგა და მის გულ-მეგრდს დეღვა დაუფ-  
ლებოდა... შიშით და კრძალვით ელოდა უკანასკნელ, უღმობელ სიტყვას...

— ჩვენი შიში გამართლდა, ზურგიდან დაგვიარეს... გამოჩნდნენ გზის  
მცოდნენიც, ერთნი — ტაბახმელის გზაზე — დიდი რაზმით დავითს დაესხ-  
ნენ თავზე... მაგრამ ვერას ვახდნენ... მეორენი — ყოშაყალას უტრევდნენ  
ამაოდ — მესამენი კი ლელვის ზეგს ჩაჰყვენენ და დაბაღების ხევით ჩვენსა  
და ტფილისის კარიბჭის შორის მოექცნენ...

— შებრუნდა ბრძოლა... — თითქოს ხმაც შეუბრუნდა მთხრობელს, ახ-  
ლა ხველებაც წამოაწვა... ბებრული, მოკლე და ხშირი ხველება

— ირგვლივი ბრძოლა დატრიალდა... მერმე დანაწილდა — დაქუცმაცდა...  
პრავალი კალოები მიწაზეს ალაზნის ველზე... ახლო-მახლოში ლეწავდნენ,  
ლუკების შიშით... მაგრამ ეს, ჩემს ბავშვობაში იყო... ჰოი, რამდენ დროს  
გაუფლია?! რამდენი კალო გალწილა?!

ხმა სულ მიუწყდა მთხრობელს... გგონებ სხვაგან გაუსხლტა ფიჭვიც...

— მერმე იგი სად იყო... იგი? მოხუცი მეფე?

— მეფის რაზმიც ჩაეარდა რკალში... — მეტი ხმა ვეღარ ანიჭებოდა მთხრობელმა, ნერწყვი თუ გადაუცდა სასულეში...

— ჰოი დედასა! მერმე?... — და რომ ვეღარ მიიღო პასუხი, კვლავ მთხრობელს. გულის პირს მოხედა ბრმა ხელი... ღმირი შალაბრეშუმი და სათუთი ბეწვის ქობა იგრძნო თითებით. გაუკვირდა, მაგრამ ახრი და გუმანი სხვაგან ჰქონდა.

— ასე ამზობენ ეახტანგმა და იოანე ბატონიშვილებმა იმარჯვესო, გზა გაუკაფავთ და მეფესთან შეერთებულან?!

— მართალია... — ყრუდ დაემოწმა უცნობი და ლომთათს ხელი მოიშორა.

— ამასაც ამზობენ, არაგველებს უსახელებიათ თავი, ყველას თავი დაუდვია, ხოლო ბრძოლაში მაღლილი მოხუცი მეფე უნებლად გამოუშვანიათ?!

— ეგვეც მართალია... — უფრო ყრუდ დადასტურა მკმუნვარემ... — ბარემ აქ დარჩენა ერჩია. რა პირით მიდიოდა? რა პირით?

— ასეთი რამ როგორ ითქმის?! — იწყინა ერეკლეს ძველმა მეზობელმა. შეერდში მოიზიდა და მხოლოდ ახლა მიხვდა რომ მისი მოსაუბრე მცირე ტანის კაცი ყოფილა, მაგრამ რა დროს ეგ არის, გაწყრა ლომთათა.

— მე სამი შვილი დაგვარე აქ. სიტყვა შეთქმის.. უნდა გამოსულიყო მამა? ერეკლეს ძვირს არაფის ვათქმევინებ? ვინც არ უნდა იყოს — უფრო მჭახელ დასმინა, რადგან შეჭედლილი ხმა-ხანჯალი და სათუთ ბეწვიანი ქობა მოაგონდა.

— შენ ნუ აუვობ.. ახავი მოყვე, გირჩევნია.

— რაღა მოყვე.. ვათავდა ამბავი: ტფილისის კართან დარჩენილებმა ერთი კიდეც ეცადეთ შემობრუნება... და უმრავლესობა იქვე ბქესთან ჩაწვია... იქ ჩაწვია შენი ხეტა-ბიჭიც, სხვას მისცა გზა და თითონ დარჩა... უბედურ შეფესაც მან გაუკაფა საეალი..

— შვილი ხეტა... — ჩაიკვნესა მოხუცმა.

— მე აქაც გადავჩიხი, რაღაც წყევლა მსდევდა, სიკვდილს ვეძებდი და ვერ ვბოვე... ვეძებდი და ვერ ვბოვე! არ იყო სიკვდილი! არ იყო! — ხმა ამოუთავდა მთხრობელს.

მძიმე, ხანგრძლივი, კრწანისის სიჩუმე ჩამოვარდა.

ჭარმა ისევ სიონის გლავის ზარის ხმა გადააგლო კრწანისს... და უეცრივ გახვედა ლომთათა... ელდა ეცა... თითქოს სულ სხვა ხმა მოესმა. ნაცნობი ხმა და ლოცვა მისწვდა მის ყურთასმენას და ძველებურად გული აუნქროლა...

— ღმერთო მშვიდობით მოგვაბრუნებდეს და მშვიდობით დაგვახვედრებდეს! — წყნარი, სასოებით აღსაყვს ხმით აღმოთქვა უცნობმა...

— დიდება შენდა! — ხელები შეჰყარა ბრმამ და ნელა წინ წარზიდა, მაგრამ მოსაუბრეს ვეღარ შეახო... იგი იქ აღარ იყო. შესჩქვიფდა ბრმა... „ნუთუ წავიდა?!“ გაიფიქრა და სმენად იქცა... „არა, აქ არის!“ ქვემოდან. შემძიმებული, ბერიკაცული სუნთქვა მოესმა... ცხადია, უცნობი მუხლმორთბული ლოცულობდა.

ლომთათამ მკლავები დახარა და უცნობს გულ-მკერდზე სასოებით ჩაუყოლა შეძრული ხელი.

ხშირი, ოდესღაც პინანახმარი, მოგრძო წვერი ივრძნო ხელში უნდა ჩაიხიოქა, უფრო სასოებით ქვემოთ ჩააყოლა თითები, მლოცველის ხელი დიქირა და ზედ შუა თითზე ემთხვია... იქ ბეჭედი ეგულეზოდა... ბეჭედი... ბეჭედი... დადი ბეჭედი... ზედ პატრონის სახელი იყო ქარაგმულად ამოტვიფრული და კადვე ყალფზე შემდგარი ორი ლომი. ახლაც ტუჩებზე საღებუნად ივრძნო ძველი სურნელი და თითქოს მისი ვაჟაკური წარსული შემობრუნდა და თვალახილულს წინ წარმოუდგა ისევ.

იგი უფრო ქვევით დაიხარა, ზმალ-ხანჯალზე ემთხვია მრავალგზის, მერბე კრწანისის მიწას შეახო ბაგე და მხოლოდ მაშინ შეკადრა სიტყვა.

— გამოდის, ჩემმა შეილებმა აჯობეს შენსას?..

— აქი გითხარა, ბედნიერი ხარ მეტქი... — ახლა ისევ სიონის ზარივით გაბზარული ხმა ჰქონდა მლოცველს.

ლომთათამ ივრძნო, რომ საჭიროა ნუგეშისცემა... რომ აქ ის კი არ არის ჭირისუფალი არამედ მისი მეინახე... და მისი გლოვა ლომთათისაზე ათასწილად უდიდესი და უძვირესია.. ივრძნო ეს ბრმა, ხელი მოიბრუნა, ხელადა მონახა. ზელმარცხად მოუვიდა, დაუგორდა ხელადა, ქვას მიეხალა, რეჩხი გაიღო, გატყდა. დაიღვარა სასმელი.

— შეინდოს ჩვენი მიცვალებულნი! — ძლივს და აღუღლულდა ლომთათა. ახლა სანთელი მოსინჯა. იქვე ქვაზე ცრემლად ჩამოღვენთილიყო და ჩამჭრალიყო სანთელი.

გული დაიოკა. სქენად იქცა... შორი-ახლოს ისევ იმ გაუპოხავი და ფერსოდაძრულ ურმის ჭრიალი მოესმა...

უეცრივე ისევ მხედრების ხმა დაირბა გზაზე. ახლა მახედა ლომთათა, რომ აქ სადღაც შორი-ახლოს ამაღა ელოდა დიდ ჭირისუფალს, მაგრამ არც იგი და არც მისე თანამოინახე ცოცხლებს აღარ უსმენდნენ, არამედ უსმენდნენ ამ მხედრებს, რომლებმაც უკანასკნელად ვადააგულვეს თავისი ტაიქები კრწანისის ველზე... უკანასკნელად დაატუხეს თავისი თოფ-ზარბაზნები... უკანასკნელად აშიშველეს ხმლები და დაეცნენ... და რომლებიც აღარ აღდგნიან, ვით არ აღგება დაეცემულ კაცის ჩრდილი.

მკმუნვარე მოხუცები გადასულ ჩრდილებს ზედავდნენ და უსმენდნენ.

წლისთავზეა მწუხრის ეამისას, კრწანისის ველზე მუხლმორთხმით და ხელმოხვევით იდგა ორი ადამიანი... ორი მოხუცი... ერთი ვეება ტანისა და ორთავ თვალთ ბრმა, მეორე კი მცირე ტანისა, მაგრამ შორსმჭვრეტელი და შით უფრო უბედური.. და იქნებ მხოლოდ მის მახვილ ყურს ესმოდა ტფილისის მხრიდან, სიონის ზარის გარდა ჩრდილო ქარს მოჰქონდა შორეული, მაგრამ რიზგაბმული პარაბანის ხმა.

მეფე სდუმდა, ხოლო ირაველივ გაშეფებულიყო კრწანისის სვედა.

## 3. კუპრაძე

### ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება \*

1

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მეტეორივით გაიელვა ამ ქვეყანად. ოგ 28 წლისა გარდაიცვალა. ორმოციოდე ლექსი და ერთი პოემა დარჩა მისი ხანმოკლე სამწერლო მოღვაწეობიდან, მაგრამ მშვენიერება და სიდიადე ამ შემკვიდრეობისა ისეთია, რომ წუთიერი მეტეორით ჩვენს სივრცეში შემოტანილი პოეტური სინათლე საუკუნეს წვდება და დღესაც ჩაუქრობელის ელვარებით ანათებს.

ბარათაშვილის შემოქმედება ქართული კლასიკური პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მოვლენაა; ქართველი ხალხის ნაციონალურმა ბუნებამ, მისმა სულმა და გონებამ საზოგადოდ, და კერძოდ ბარათაშვილის ისტორიული ეპოქის იდუმალმა ფიქრმა და მისწრაფებამ — ყველა მისი მწუხარებითა და იმედებით, კპოვეს მასში თავისი შესანიშნავი გამოხატულება.

ჩვენი ხალხის ნაციონალური „მე“-ს ნიშნული თვისებანი, მისი ქედუხარელი პატრიოტიზმი, მისი მაღალი პემანიზმი, ურყევი რწმენა პროგრესისადმი და შეუპოვარი წინსწრაფვა, მისი მგზნებარე სიყვარული თავისუფლებისადმი და რინდული თავგანწირვა — მთელი სისრულითა და სიძლიერით აისახა ბარათაშვილის პოეზიაში. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამოქედილი ხასიათი, კულტურა და თვითშემეცნება — მოსჩანს ბარათაშვილის ყოველს პოეტურ ფრაზაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უდიდესად ნაციონალური პოეტია, ღრმად დაცემირებული თავის ხალხთან, თავის ქვეყანასთან. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი არ არის მარტო ნაციონალური პოეტი. მისი შემოქმედება სცილდება ეროვნულ ფარგლებს და სრულს ხმით ზოგად-კაცობრიულ პოეზიას ეხმარება.

სამართლიანად სწერდა დიდი ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ: „მისნი გულისთქმანი, მისნი გრძობანი, მისნი ჳირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი; მისი კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწედენა სურვილისა — კაცობრიობის უღონობაა-ო“.

\*) მოხსენება, წაკითხული ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილედ აღსანიშნავ თბილისის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივის საზეიმო სხდომაზე 1945 წლის 21 ოქტომბერს.

ნ. ბარათაშვილის მთელი შემოქმედება, კერძო წერილიცაა, რომელიც ული ლექსი თუ პოემა, რაგინდნაირი მსოფლშეგონების გამოხატვად არ უნდა გეჩვენოთ ერთი შეხედვით, არსებითად ერთი შეხედვით უნდა იხილოთ, რომელიც საქართველოს ეროვნული ბედის, სიამაღებელი იდეებისა და მგოსნის პიროვნული განცდის საუცხოვე პოეტური შენაღობია მოცემული.

## 2

გავეცნოთ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ მდებარეობებს და გაეარკვიოთ, თუ როგორ პირობებში ხდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური „მეცნა“, მისი პიროვნების ჩამოყალიბება. ნიკოლოზ ბარათაშვილი, წარმოშობით მაღალ არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა და დედის მხრით მეფე ერეკლეს ენათესავებოდა. მისა მამის, მელიტონ ბარათაშვილის, ოჯახი, სადაც დაიბადა პოეტი 1817 წელს, ქართველური ხელგამლილობისა და სტუმართმოყვარეობის გამო უმწვეო მდგომარეობაში იყო ჩაყარდნილი.

მთელ ქალაქში ნაქები, გადაქარბებულად მდიდარი სუფრა, ხშირი სტუმარი და წვეულება გახდა მელიტონის ოჯახის დაცემისა და გამოუვალ ვალში ჩაყარდნის მიზეზი. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ბარათაშვილის ცხოვრების გზის განსაზღვრისათვის. ახალგაზრდა პოეტის „იმედით აღსავსე ოცნება“ — მიღო საუნივერსიტეტო განათლება — სწორედ ამ ეკონომიური ხელმოკლეობის გამო გახდა მიუწვდომელი.

ბარათაშვილის ოჯახს ახლო ნათესაურ-მეგობრული კავშირი ჰქონდა მამინდელ მოწინავე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. მელიტონის ოჯახში შევხვდებოდით ეგნატე იოსელიანს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ და მიხეილ ფაველინიშვილებს, სოლომონ მეითარ თარხნიშვილს, დეკანოზიტებთან დაახლოებულ პოეტსა და მეცნიერს მიხეილ ბარათაშვილს და მამინდელი დროის ბევრ სხვა განათლებულ ქართველს და აგრეთვე პოლონეთის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს, რომლებიც იმ პერიოდში საქართველოში იყვნენ გადმოსახლებული. ნიკოლოზის მამა მელიტონი იყო ქართულ ენაზე კარგად განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა.

ნიკ. ბარათაშვილის დედა — ეფემია, პოეტ გრიგოლ ორბელიანის საყვარელი და, ყველა ცნობებით იყო მაღალი სულიერი თვისებების ადამიანი, ნაზი, კეთილშობილი, განათლებული და ნათელი პოეტური ბუნების ქალი.

წერა-კითხვა პოეტისათვის დედას უსწავლებია; 1827 წელს, ცხრა წლის ნიკო, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიუბარებიათ, რომელიც მალე გიმნაზიად იქნა გადაკეთებული; ეს სასწავლებელი ერთადერთი ევროპული ტიპის სკოლა იყო იმდროინდელ თბილისში; სწორედ ამ სასწავლებელს ხედა წილად მაღალი დანიშნულება — არა ერთი და ორი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის alma mater გამზდარიყო. 50-ან წლებში აქ სწავლობდა ილია ჭავჭავაძე.

ეს სასწავლებელი, დღევანდელი თბილისის ქალთა პირველი სამშალო სკოლაა.

თბილისის გიმნაზია, თუმცა არ ყოფილა იმ დროს კარგად მოწყობილი სასწავლებელი, მაგრამ აქ იყვნენ დიდად გამოცდილი, საქმის ერთგული და მოყვარული, საქვეყნო საქმისადმი თავდადებული მასწავლებლები, რომლებმაც ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას უძეკროდნენ, როგორც მაგისტრის, ეროვნულ საქმეს. ასეთი იყო უბირველესად დიდი ქართველი მწიგნობარი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი სოლომონ ლაღაწვილი.

გიმნაზიის კედლებში ნიკოლოზ ბარათაშვილი წარჩინებულად მეცადინეობდა. განსაკუთრებით კარგად სწავლობდა ქართულსა და რუსულ ლიტერატურას, ისტორიას; მოსწავლეთა ხელნაწერ კურნალში ათავსებდა არა მარტო ლექსებს, არამედ წერილებს მსოფლიო ისტორიის საკითხებზე.

გიმნაზიის კედლებში, შეიძლება ითქვას, საესკებით მომწიფთა ბარათაშვილის პოეტური გენია. მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად იპოვით მეორე პოეტს, რომელსაც ჰაბუკობის პერიოდში ისეთი სრულყოფილი მხატვრული სახეები მოეცა, როგორც შექმნა გიმნაზიელმა ბარათაშვილმა.

ჯერ კიდევ სასკოლო მერხზე იჯდა ბარათაშვილი, როცა, თავისი სიძლიერით განსაკვიფრებელი, შემდეგი სტროფები შექმნა:

„შთო ცხოველო, ხან მცინაო, ხან ცრემლინო,  
 ვინ მოგხიბლოს, რომელ მყისვე თვის ფიქროა შევბა,  
 არა იპოვოს, ირ ნუღმე მყოს გულსა ვებბა,  
 გულდასურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო.“

ბარათაშვილმა სკოლაში 8 წელი დაჰყო და 1835 წელს დაასრულა იგი. იმ დროისათვის უკვე საბოლოოდ ვალარიბებელი მედიტონის ოჯახი, ხელს ვერ უმართავს ჰაბუკ პოეტს, უნივერსიტეტში განაგრძოს სწავლა. პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მეტად აფასებდა ბარათაშვილის ნიჭს, შეწყუხებული სწერდა ამის გამო:

„რასა იქს ტატო — კიდევ კოკლობს თუ არა, ანდა რას სწავლობს. ურჩიეთ მედიტონს, რომ ეცადოს საბაზინო ანგარიშზე მისი გავზავნა რომელიმე უნივერსიტეტში. სამწუხარო, მეტად სამწუხარო იქნება, თუ იმის ნიჭს განეთიარების საშუალება არ მიეცა.“

ეს სამწუხარო ამბავი მოხდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი უნივერსიტეტში ვერ შევიდა, თავის ოჯახში დარჩა და სამსახური დაიწყო უზენაეს სასამართლოში უბრალო მოხელის თანამდებობაზე.

ცხრა წელი ვაატარა ამ ტიტანიური სულის აღამიანმა უზენაეს სასამართლო მართებლობის კანცელარიაში. ძალიან ნიჭით აღბეჭდილი ოცი წლის ყმაწვილი, ფრთა-შესბმული ოცნებითა და კეთილშობილური მასწავლებლებით აღგზნებული ჰაბუკი-პოეტი, იმარხება ბიუროკრატიული კანცელარიის ჩინოფნიკური აკლდამის სულის შემხუთველ ვიწრო სივრცეში.

ბედისმადიებელ, მეჭრთამე ჩინოფნიკების წრეში უხდებოდა ბარათაშვილს მუშაობა და, თუმცა ვარეგულად თავის მოვლეობას გასაოცარის ერთგულებითა და კეთილსინდისიერებით ასრულებდა, გულის სიღრმეში დიდ ტანჯვას განიცდიდა და ეძებდა გზას, რომ გვერდვია ეს საბედისწერო რკალი და თავის ჭეშმარიტი მოწოდების ასპარეზზე გამოსულიყო.

ასეთ მომწამლავ ატმოსფერაშიაც კი, ბარათაშვილი გულისფანტკალით აღეწებდა თვალყურს ქართული კულტურის მაჯისცემას და თვითვე უნაბიჯი ჩვენი კულტურის აღორძინების გზაზე მის უსაზღვრო სიზარულს

იწვევდა. ასეთი სიხარულის გრძნობით არის გამთბარი მისი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომლითაც ის ატყობინებს პოეტ ბიძას დიმიტრი ყიფიანის შიერ შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“, ხოლო თვით პოეტის მიერ ლიზივეციის ცნობილი ტრაგედიის „იულეტის“ ტიტულის „ქვეყნის“ თარგმნის ამბავს.

გარდაცვალების წინა წელიწადს ნ. ბარათაშვილი მასწავლებლის უფროსის თანაშემწედ გაამწესეს ნახჭევანში, აქედან გადაიყვანეს განჯაში, სადაც იგი 28 წლისა, 1845 წელს 21 ოქტომბერს გარდაიცვალა და იქვე დასაფლავეს ვით უთესტომო, მშობელ-ნათესაეთ-მეგობართაგან დაუტირებელი.

მხოლოდ 1893 წელს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, პოეტის ძვირფასი ნეშტი გადმოასვენეს თბილისს და აქ დიდუბის პანთეონს მიამარეს, ხოლო 1938 წელს დიდის მღელვარებითა და მოკრძალებით გადაასვენეს პისთვის საყვარელ მთაწმინდაზე და აქ მიენიჭა მას სამარადისო სამკვიდრებელი.

## 3

ყველაზე უფრო შთაბრუნებელი თეატრალური მიხედვით ბარათაშვილი რომანტიზმის წარმომადგენელია ჩვენს სიტყუაჯაზმულ მწერლობაში. ბარათაშვილის შემოქმედებაში ჭარბად არის წარმოდგენილი რომანტიული სალიტერატურო სკოლის ნიშნული მხარეები. ცნობილია, რომ ყველა ჭეყნისა და დროის რომანტიზმისათვის დამახასიათებელია ერთგვარი სევდიანობის ფერებით შეღებილი მსოფლშეგრძნება, წარსულის იტალიზირება და მომავლისადმი მეტ-ნაკლები იჭვიანობით გამსჭვალული დამოკიდებულება.

თუ ბარათაშვილის პოეზიას სევდა და კეთილშობილური წარსულისადმი სიმპატიური განწყობილება — გარკვეული ზოლივით მიჰყვება ყველგან, თქვენ ვერ იპოვით მის შემოქმედებაში ვერც ერთს ადგილს, სადაც პოეტი მომავლისადმი უნდობლობით და ეჭვით იყოს შეპყრობილი. პირიქით, უღრმესი რწმენა პროგრესისადმი, მარადიული წინსწრაფვა და მოქმედება უკეთესი მერმისისათვის არის მისი პოეზიის ერთ-ერთი ლეიტ-მოტივი. სწორედ განცდა სულიერი ობლობისა მთელი სისრულითა და სიღრმით და იმავე დროს არ დაცემა სულიერად, არამედ მოწოდება მოქმედებისაკენ უკეთესი სინამდვილის დასამყარებლად — ახასიათებს ბარათაშვილის პოეზიას.

სევდა და კავშირი ბარათაშვილის პოეზიაში არ არის პირადული ხასიათის, ისე როგორც არაპირადულია იგი ყოველი გენიოსის შემოქმედებაში; ბარათაშვილის სევდა საზოგადოებრივი და ეროვნული წარმოშობისაა; მისი სათავეები ქართველი ხალხის ისტორიულ-ნაციონალურ ძნელებულობაშია, იმ ერთეულ დრამაში, რომლის დაუსრულებელი ტრაგიული აქტები ერთი-მეორეს სცელიდნენ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სცენაზე და რომლის წყარო თუ ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და თვითმყოფლობისათვის.

ეს არის პირველი და უმთავრესი წყარო, სადაც საზრდოობს ბარათაშვილის სევდიანი პოეზია; მაგრამ ბარათაშვილი თავისი დროის შვილი იყო და შეცდომა იქნებოდა არ დავგენახა, ერთგვარი, თუნდაც მეორადი გავლენა ბარათაშვილის პოეზიის ხასიათზე ახალი დროის საზოგადოებრივი

განვითარების იმ სოციალურ-ისტორიულ კომპონენტისა, რომელმაც/ვიღამე-რელი ჩალი შეასრულა ევროპის რომანტიზმის შემუშავებაში.

მე-18 საუკუნის მიწურული და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დასაწყისი მთელ ევროპაში აღინიშნა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ცვლილებები. საზოგადოებრივი ცხოვრების რღვევით და სამრეწველო რევოლუციის დასაწყისით, რაც ისტორიის ავანსცენაზე სამრეწველო-კაპიტალისტური ბურჟუაზიის გამოსვლასთან იყო დაკავშირებული.

გაშლილი ფრონტით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სიბრტყეში. იგრძნობა კონფლიქტები და კოლიზიები. ფეოდალური არისტოკრატია გააფთრებით იცავს თავის პრივილეგიურ პოზიციებს, მაგრამ ჰხედავს, რომ მას დღით-დღე ეცლება ხელიდან ცხოვრების სადავეები, რომ ქვეყანას ახალი პატრონი ეუფლება. ეს დიდი სოციალური ტრანსფორმაცია-ვიკანტური ეკონომიკური ძვრა საზოგადოებრივი ორგანიზმის წიაღში, აღინიშნა არა მარტო ბურჟუაზიული იდეოლოგიის მძლავრი ნაკადის შექმნით, არამედ აგრეთვე იმ შიშითა და ძრწოლით, იმ სულერი განგაშითა და მწუხარებებს გოდებით, რომელიც გამოხატავდა მიმაველი კლასის საუკეთესო წარმომადგენელთა განწყობას. ამ კლასის წარმავლობის გარდუვალი ფაქტი მხატვრულს აღქმაში ყოველი არსის უმიზნობად და უპროზოდ იქნა გამოცხადებული. ახალი სოციალური ძალთაწყობით გარიყული, მიმაველი კლასი თავის მშფოთაფრე, აგონიზირებული განწყობილებით ფერებში ამოსავს მთელ სამყაროს. აქ ინსკეება ცნობილი ისტორიული კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის, რომელიც წითელ ზოლივით მიჰყვება მსოფლიო სეველისა და რომანტიზმის ლიტერატურულ სკოლებს.

სხვადასხვა ქვეყანაში ფეოდალური არისტოკრატის ეს სევდა-კეფანი სხვადასხვაგვარ ფორმას იღებს, იმ სპეციალური პირობების შესაბამისად, რომელშიც მიმდინარეობს ფეოდალური წესწყობილების რღვევის პროცესი. სწორედ ამდენად, რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი. შემუშავებული ფეოდალური არისტოკრატისა და ახალი ბურჟუაზიის კლასობრივი შეჯახების პირობებში, თავისებურია სხვადასხვა ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით უნდა განვასხვავოთ ურთიერთისაგან ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული და ქართული რომანტიზმი.

მუხედავად ამისა, ძირითადი ტენდენცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის რომანტიულ სკოლას ერთი მთლიანი ლიტერატურული მოვლენის ხასიათს ანიჭებს, ის არის, რომ იგი ყველგან ასახავს ერთი სოციალურ-კულტურული ფორმაციის მერყეით შეცვლის რთული და გრძელი პროცესის ტყეილებს.

ბარათაშვილის დროინდელ საქართველოში აქვს კიდევ ისე მკვეთრად არ გამოვლენილიყო ის სოციალურ-ისტორიული ბზარი, რაზედაც ზევით ვუჭონდა ლაპარაკი, მაგრამ მისი სუსხიანი სიოს მოახლოება აქაც იგრძნობოდა, მისი ხმა აქაც მოისმოდა. 1832 წლის შეთქმულთა, შემარჯვენე ფრთა სწორედ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელია და ამ ფრთის პოლიტიკური რადიკალიზმი თავისებური გამართლებაა ახალი ვითარების წინააღმდეგ, რომელიც გზას უხსნის საქართველოში სავაჭრო კაპიტალს, უადვილებს მას აქ შემოჭრას; უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართული რომანტიზმის სოციალურ საწყისთა შორის ვგვხვდებით



ის ზნეობრივი ტკივილები, რომელნიც, აღფრედ დე მიიხვს, რომ ვსთქვათ, მოტანილია ვითარებით: „რაც ყოფილა არაა არს, რაც არაა დაღვეს, ჯერ არ დამდგარა“. ამ გზაჯვარედინზე იდგა საქართველოვანთა ნიკოლოზ ბარათაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა; ექსპლუატაციის ხანა, როცა ქართველი ხალხი უიმედობის განწყობილებით იყო მოცული.

იგივე გამეფებული ზერელე, ღრმა შინაარს მოკლებული ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებდა არაჩვეულებრივის მისწრაფებით ავსნებულს ჩვენს პოეტს, რომელსაც იღუმალი ხმა მოუწოდებდა:

„ეპოე, ეპოე, შენ შვედრი შენი,  
ვინძლო იპოეო შენი საშენი“.

და, რა ვსააკვირია, რომ ერთგვაროვანი, უფერული, უიდეო და უმოქმედო ცხოვრების ვიწრო სივრცეში გამომწყვდეული პოეტი განაგრძობს:

„მაგრამ მე შვედრსა ჩემს ვერ ეპოეო  
და მით კეზანს ვერა ვიშორებ“.

ამავე მწველი განცდის შესახებ სწერს პოეტი თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს: „ახლა მე იმას ვაძობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული. ნუ გძინავს. მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამომიყვანოს და დავდგე ვაშლილ ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზს“.

პოეტის გარემო სრულს წინააღმდეგობაშია, მტკივნეულს კონტრასტშია იმ საოცნებო სამყაროსთან, რომლისაკენაც იგი მთელი თავისი არსებით მიისწრაფის და ეს გარემოება პოეტის შემოქმედებას სევდისა და სულით თბლობის თერით ქმნის.

## 4

1832 წლის შეთქმულება მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან ღრმა კვალი გააგდო იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. ბუნებრივია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული და პოლიტიკური კრედიტი ფორმირებისათვის 1832 წლის შეთქმულებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. შეთქმულება, როგორც ცნობილია, მიმართული იყო ცარიისტული რუსეთის თვითმყრობელურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში. ის მიზნად ისახავდა იმ კავშირის გაწყვეტას, რომელიც თავის ჩრდილოელ მეზობელთან დაამყარა აღმოსავლურ ტირანიასთან დაუსრულებელ ბრძოლაში სისხლით დაცლილმა საქართველომ ირეკლე მეფის მეთაურობით.

დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შეთქმულთა ხელმძღვანელ ორგანიზაციაში განიჩეოდა ორი ფრთა.

შეთქმულთა ორგანიზაციის ერთს, ასე ვთქვათ, მემარცხენე ფრთას, ჰქონდა რადიკალური პოლიტიკური პროგრამა, რომლის მიხედვით იველისებებოდა არა ძველი, შამა-პაპური, საშუალო საუკუნოებრივი საქართველოს აღდგენა, არამედ განახლებული, რესპუბლიკურ-კონსტიტუციური

საქართველოს მოწყობა. ამ ფრთის მეათური და სულის ჩამდგმელი ბარათაშვილის მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი.

შეთქმულთა მემარცხენე ფრთის იდეოლოგიაში — ეროვნულ-სოციალისტურ სუფლებს იდეები პირველად უკავშირდება აქ ჩვენში პოლიტიკური თავისუფლების პრინციპებს; მოძრაობის ეს ხელმძღვანელები გაცნობილი არიან იმდროინდელი რუსეთისა და ევროპის ლიბერალურ იდეებს და განიცდიან დეკაბრისტების მძლავრ გავლენას.

შეთქმულთა საქმეში აღმოჩენილია ერთ-ერთი ხელმძღვანელის შემდეგი განცხადება: „მე მინდა საქართველოს თავისუფლება არა იმსათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარისაგან გამეფდეს საქართველოში, არამედ რათა საქართველო შეიქმნას რესპუბლიკად“.

პოლიტიკური განწყობილების ამავდროულად რეალში უნდა მოთავსდეს სხვა შემართებელი ძალებიც, რომელნიც არსებობდა შეთქმულებასა და დეკაბრისტულ მოძრაობას შორის. ცნობილია, მაგალითად, რომ შეთქმულების აქტიურმა მონაწილემ პოეტმა ვრიგოლ ორბელიანმა პროპაგანდისტული მიზნით სთარგმნა რილეევის „ნალივიაკოს აღსარება.“ აღსანიშნავია აგრეთვე ძველი ნოვგოროდის რესპუბლიკური ყაიდის სამოქალაქო წესწყობის იდეალიზაცია მისივე ნაწარმოებში „მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე“.

დეკაბრისტულ მოძრაობასთან ერთად საქართველოში გამოძახილი ჰქონდა 1830 — 31 წლების პოლონეთის გამათავისუფლებელ ბრძოლას. როგორც ცნობილია, პოლონელთა ეს მოძრაობა მარცხით დამთავრდა და 1831 წელს საქართველოში გადმოსახლებული იყო მოძრაობის ბევრი მონაწილე; ამათან ქართველ შეთქმულთ იდეური და ორგანიზაციული კავშირი დაუმყარებიათ.

1832 წლის შეთქმულება დამარცხდა. თვითმპყრობელურმა ხელისუფლებამ დაატყვევა შეთქმულების ყველა ლიდერი.

შეთქმულების დამარცხებას ხანგრძლივი და მძინვარე რეაქცია მოჰყვა; ქართველ საზოგადოებას გამოაკლდა აქტიური ძალები; უმოქმედობის, უიმედობის, დაბნეულობის განწყობილებამ დაისადგურა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 14 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც 1832 წლის „მამულის გამოსხნის შეთქმა“ ჩაიშალა. მან ეს დრამა მტკივნეულად განიცადა, ახალგაზრდა ბარათაშვილის მთელი სიმპატიები და სიყვარული შეთქმულთა მხარეზე იყო; ამათ შორის იყო პოეტის ბიძა ვრიგოლ ორბელიანი, რომლის ლექსებზე იზრდებოდა ბარათაშვილი, აქ იყო ცნობილი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის ოჯახურს წრესთან დაახლოებული იყო ახალგაზრდა ბარათაშვილი. შეთქმულთა შორის იყვნენ პოეტის ყრმობის მეგობრები ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ვიორგი ერისთავი და სხვები.

შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ ბარათაშვილის საყვარელი მასწავლებლები სოლომონ დოდაშვილი და ახალგაზრდა ლიტერატორები დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი. აქედან ჩანს შემდეგი: თუ ჩვენი პოეტი, იმ დროს ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, არ იყო განდობილი შეთქმულების საქმეში, იგი, ყოველშეშხვევაში, ტრიალებდა შეთქმულების

იდგებით შთაგონებულ გარემოში და ინტენსიურად სუნთქვით გარე-  
ნოს იდეურ ატმოსფერას.

1833 წელს, როცა შეთქმულნი დატყვევებული იყვნენ უსუსრულს  
მოელოდნენ, როცა საზოგადოებაში შიშისა და ოპორტუნურობის  
ბილებამ მოიკიდა ფეხი, თბილისის გიმნაზიაში, ბარათაშვილის მეთაურო-  
ბით გამოდის ლიტერატურული აღმანახი, რომელიც აშკარა და გაბე-  
დულს გამოწვევას წარმოადგენს ცარისტული ხელისუფლებისადმი. აღმა-  
ნახში მოთავსებულია შეთქმულების იდეით შთაგონებული ლიტერატურუ-  
ლი მასალა, როგორც ბარათაშვილისა და მისი სკოლის ამბანაგებებს, ისე  
თვით დატუსაღებულ ლიდერებისა.

## 3

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სევდის ნაკადი ნიკოლოზ ბარათაშვილის  
შემოქმედებაში არსებული სინამდვილით უკმაყოფილების გრძნობითა და  
ქართული ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის განცდითაა გამოწ-  
ვეული, რომ იგი ჩვენი ხალხის ტრაგიული, უკუღმართი, ისტორიული ბე-  
დის პოეტური ანარეკლია.

მაგრამ, თავის უმაღლეს პოეტურს განზოგადებაში ეს სევდა გადადის  
შოფლით ზოგად-კაცობრიულ სევდაში, რამაც შოფლით ლიტერატურაში  
იმთავითვე მძლავრად შემოიტანა ცხოვრების მიზნის შეცნობისათვის აღა-  
შაინის მარადიული წინსწრაფვის ცნობილი ფაუსტური პრობლემა.

აღმაინის ხვედრისა და დანიშნულების საკითხი საზოგადოდ — სამშობ-  
ლოს ისტორიული ძნელბედობა და აწმყოს სიდუხჭირე — შეადგენს ბარა-  
თაშვილის პოეტური შთაგონების მუდმივს თემატიკას.

გარემო-სინამდვილესთან უთანხმოებაში მყოფი პოეტის სული იდეალურ  
სინამდვილეს ეძიებს:

„შე შენა მკერტელს, მგონივრება საწუთრობა,  
გულის თქმა ჩემი შენს იქთა ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშოოს აქა იშოება,  
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდიანი განგების ცურს“.

შგონის კეთილშობილური პოეტური აღმაფრენით შექმნილი იდეალი  
მიუღწეველია და პოეტი სულიერ ტკივილს განიცდის:

„შე, ცხო, ცხო, ხატება შენი, ვერ კიდევ გულზე საქვს დაჩნული,  
აწუცა რა თვალნი ლავეარდს გიხილვენ, მყის ფიჭრნი შენდა მოისწრაფვიან,  
მაგრამ შენაშის ვერ მოაღწევენ და პერსივე განიბნევიან“.

პოეტს სჯერა აღმაინის სულის დაუცხრომელი სწრაფვა ცხოვრების  
მიზნის შესაცნობად, მისი ლტოლვა მარადიული ძიებისაკენ, — როცა ამ-  
ბოხს:

„შინაც რა არის ჩვენი ყოფა წუთი-სოფელი  
თუ არა ოდენ საწყაული აღუფსებელი,  
უნ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღვესოს  
და რაც შეიღოს, ერთხელ ნატვრით, იგი გეპაროს?“

ჩვენ ვერ უარყოფთ, რომ საპირადო მოტივები უმკველად ეღერენ პოე-  
ტის სევდიან პანგებში, მაგრამ, როგორც ესტეკით, პოეტის სულიერი დრა-

მის საწყისები ქართველი ხალხის ეროვნული ტრადიციისა და მსოფლიო-უნევერსალური სულის ორი ხაზის გადაკვეთაში უნდა ვეძიოთ. უნდა დავეთანხმოთ ალ. ხახანაშვილს იმაში, რომ „უიმედო სიყვარული“ მსოფლიო უსიამოვნება ცხოვრებაში, უიღბლობა სამსახურში“ მხოლოდ „წყვეტს“ ხეობა იმ ზღვაში, რომელსაც პარათაშვილის სულიერი დრამა ეწოდება.

ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ, ნაციონალური ხასიათით აღბეჭდილი პოეტის მწუხარება — საკაცობრივ გრძნობებით გამსჭვალულ პოეზიად გადაიქცა. პოეტი ვერ ურიგდება ირგვლივ გამეფებულ სულის შემხუთავ გარემოს და მწვავედ განიცდის სულით თბლობას; პოეტი წერს:

„...სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტობით; შენ წარმოიდგინე... სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ თბოლია ამ საგსე და ვრცელ სოფელში. ვინც მაღალი გრძნობის მეჭონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჰად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?“

სულის თბლობის მწვავედ განმცდელი პოეტი განავრძობს:

„საბრალთა მხოლოდ სულით თბოლი,  
მნელი ჰყოფს, რა დაჰკარგოს მან ტოლი...  
მნელი არის მარტობა სულისა;  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვი მწუარისა,  
თბრა არის შებნა უბედურისა!“

შედეგარე სულის დასაცხრობლად პოეტი მყუდროებას ეძიებს:

„არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ჭარმან ენებისა,  
არამედ მოიც მას სადგური მყუდროებისა!“

მაგრამ ამოად, არსებული სინამდვილე უძლურია დააკმაყოფილოს პოეტის სურვილი, მიუჩინოს მას „ნუგეშის კარი“ და სული პოეტისა კვალად რჩება „მწირი და მიუსაღარი“.

„ვერღა იღმიგო სიყვარულმა კვლად ტაძარი  
ვერსად აღვანთე დაშოშილი ნაი ლამპარი  
ესრეთ დამიზმო უფლმარღმა ნუგეშის კარი,  
და დავლ თბლად, ისევ მწირი, მიუსაღარი!“

## 6

პარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ცენტრალურ ნაწარმოებად „მერანი“ უნდა ჩაითვალოს. „მერანი“ ჩვენი პოეტის მხატვრული გენიის ყველაზე სრულყოფილი გამოვლენაა. თვალისმომჭრელი ელვარებით ბრწყინავს საუკუნის სიღრმიდან პოეტური შთავგონების ეს განსაცვიფრებელი ძეგლი, ეს შეუღარებელი სიმღერა ტიტანური ქარტახილით ამბოზებულ ადამიანის სულის შესახებ.

„მერანში“ მთელი სიდიადით გამოქვეყნდა გივანტური აზრობრივ-გრძნობელობითი ენერჯია, რაიც შთამარხული იყო ბარათაშვილის სულში და რამაც ასეთის ძლიერებით გადმოხეთქა პოეტის სუფიქსი **შეუფლებს** და „მერანის“ მხატვრულ სახეებში მოგვევლინა.

„მერანის“ ცენტრალური იდეა არის თავგანწირული, შეუპოვარი შებრძოლება სინამდვილის ბნელს ძალებთან, უკუღმართ ცხოვრებასთან — თავისუფლების მოსაპოვებლად, ადამიანის ღირსების დასახსნელად და ასამაღლებლად; „მერანი“ სიმბოლოა ნათელი აზრის, შემოქმედი იდეისა, ადამიანის ჩაუქრობელი წინსწრაფვისა. „მერანის“ ფილოსოფიური კონცეპცია აღიარებს, რომ ცხოვრების მიზანი და აზრი ადამიანის გამათავისუფლებელ ბრძოლაშია, მის ისტორიულს მოქმედებაში თანამომქმთათვის ბედნიერების მოსაპოვებლად; ამდენად „მერანში“ უმაღლესი მოქალაქეობრივობის პრინციპის გამოხატულებაა მოცემული.

თანამომქმთა უკეთესი შერმისისათვის თვით ბედისწერას ეკვეთება თავგანწირულად ჩვენი პოეტი და თავის ფრთოსანი მეგობრის გიუქურ, ზღვარდაუდებელ სრბოლაში, ადამიანის პროტესტანტული სულის აჯანყებას კვიზატავს:

„მირბის, მამაფრენს, უგზო-უცვლოდ, ჩემი მერანი,  
უკან მომხზავს თვალ-ბედითი შავი ყორანი!  
ვაძსწი, მერანო, შენს ჭენებს არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიცე ფიჭვი ჩემი, შავად მღელვარი!

ვაკვეთე ქარი, ვააბე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
ვაძსწი, ვაკურსებე და შემომოკლე მოლომენელსა სავალნი დღენი!  
ნუ შეეღარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიციხესა, ნუცა აედარსა,  
ნუ შემობრალბე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!”

პოეტის ქროლვას დაუსრულებელ სივრცეში თანსდევს თვალბედითი შავი ყორანი, როგორც უკუღმართი ცხოვრების სიმბოლო.

უანგარო და უხადო ზრუნვა მაღალი, საკაცობრიო იდეალებისათვის ასაზრდოებს ჩვენი პოეტის თავგამეტებულ და შეუპოვარს სრბოლას უსასრულო სივრცეში. როგორც დიდ პატრიოტს და ჰუმანისტს მას მსხვერპლად მიაჭეს მთელი თავისი ნიჭი, სანუკვარი ფიქრები და თვით სიცოცხლეც:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე მწწორთა და მეგობარსა;  
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტბილ მოუბარსა, —  
...ნუ დაემარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, —  
შავი ყორანი გამიბრის საფლავს, მდგლოთა შორის ტიალის მიწდვრის,  
და ქარისშხალი ძელთა შენიღოთა, ზარით, ღრიალით მიწის მამყრის!”

და ეს შესანიშნავი სიმღერა თავგამეტებისა და საკაცობრიო იდეალებისათვის სამსახურისა, მთავრდება პოეტის რწმენით, რომ მისი ბრძოლა მომავალ თაობას გაუადვილებს ბრძოლას:

„ცუდად ხომ მიინც არა ჩივილს ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვლი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მიინც დაჩაბება,  
და ჩემს შემდგომად მომესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰქნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!”

ამ სიტყვებში მოცემულია ჩვენი პოეტის ჰუმანისტური იდეა, მისი კეთილშობილური ოპტიმიზმი, მისი ზრუნვა და რწმენა ხალხის დიდი მომავლისადმი, მისი ფილოსოფიური მრწამსი ადამიანის უბრუნებელი და-ნიშნულებისა და ადამიანობის გამართლებისა. უთუოდ უნდა გავხსოვროთ ის შეხედულება, რომ რუსთაველის გენიალური ქანისების შემდეგ ქართულ ლიტერატურას ბარათაშვილის შემოქმედების ეს მარადუქმნობი ძეგლი უმესანიშნავეს პოეტურ ნაწარმოებად მოეწოდება.

## 7

სამშობლოს სიყვარული ბარათაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივია. ეს მოტივი მოისმის ბარათაშვილის ყველა ნაწარმოებში, მაგრამ მისი უშუალო გამოხატულება მოცემულია ლექსებში „სუმბული და მწირი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და პოემაში „ბედი ქართლისა“.

ცარიტული კოლონიური პოლიტიკით დაკნინებული და დამონებული სამშობლოს ზვედრი სუმბულის მწარე ბედით გამოჰსატა პოეტმა:

„არა მეველება გარე წყარო, ცივი კამკამი,  
არა მეცემის დილით გულსა სიციცხლის ნამი;  
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს  
და მავლის ბუტკი მზისა სხივთა არა მიზრდილებს.“

პატრიოტიზმის იდეა განსაკუთრებული ძლიერებითაა გაშლილი პოემაში „ბედი ქართლისა“.

პოემის ძირითადი თემა — საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია მე-18 საუკუნის დასასრულს, როცა ამ საკითხში ორი ძირითადი მოწინააღმდეგე მიმართულება ურთიერთს დაუპირისპირდა. ამ რეალისტურ-რომანტიულ პოემაში დიდი პოეტური სიღრმით, პოლიტიკური სიმახვილითა და შორსმჭვრეტელობით არის გაშუქებული აღნიშნული ორი თვალსაზრისი. პოეტი ხატავს ერეკლე მეფის დაუვიწყარ სურათს, როგორც დიდი სამხედრო სტრატეგისა და მხედართმთავრისა; ბრძენი პოლიტიკოსი, თავისი ხალხის უსაზღვროდ ერთგული წინამძღოლი ერეკლე მეფე ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ისტორიულად გარდუვალია და ერთადერთი სწორი გამოსავალი იმ ძნელბედობის პოლიტიკურ-ნაციონალური სიდუხჭირიდან, რომელშიც მოეშვევდა საქართველო მე-18 საუკუნის მიწურულში.

„დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,  
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —  
მას შურს, რომ მივეცე მემკვიდრეობა,  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“

ამბობს მეფე ერეკლე. ამ თვალსაზრისს პოეტი უპირისპირებს სოლომონ ლეონიძის შეხედულებას:

„ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს  
არად მიაჩნით უბედურება,  
თუ იპეო თვისთ ჳერთ ქვეშ თივისუფლება!“

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ერეკლე მეფის პოლიტიკური ორიენტაცია ისტორიული სიბრძნე: რუსეთის სახელმწიფოებრივობის მფარვე-

ლობაში მოქცევით, რუსული პროგრესიული კულტურის თანხრებებით, რუსულ სოციალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმით ვართველია ხალხმა შეინარჩუნა თავისი ფიზიკური არსებობა, აღადგინა დამტყდინებული თავისი ნაციონალური კულტურა შერწყმული და განაწესებული რუსული და ევროპული კულტურით, გამოსუქდა თავისი შემოქმედი ერთ-ერთი ძალები და დიდ რუს ხალხთან ერთად თავისი განვითარების საბ-პოურ პერიოდში შესვლით, ნაციონალური თვითშეგნებისა და კულტურის ბრწყინვალედ აღორძინების გზით — მის დღევანდელ ბედნიერ ყოფნას მიღწია.

100 წლის წინათ დაინახა ეს შორეული პერსპექტივა ჩვენმა მგოსანმა მისი მახვილი პოლიტიკური ხილვით და განაცხადა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“:

„თავის ემსებ შენა ნაიდრძებს, წინასწარად თქმულს  
გახსოვს, სიყვდილის ვამ, რომ უხარ ქართლს დაობლებულს?  
აჲ აღსულდა ხელმწიფური აჲ პაზრი შენი,  
და ესტამო ნიყოფსა, მისგან ტყილსა, აჲ შენი ძენი“.

დიდმა რუსთაველმა მე-12 საუკუნეში შექმნა უმშვენიერესი სიმღერა სიყვარულზე, მის ამამაღლებელ, გამაქეთილშობილებელ მნიშვნელობაზე, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში, განსაკუთრებით აღმოსავლური პოეზიის ზეგავლენით, სიყვარულის განცდის ეს მხარე დაიჩრდილა და პოეზიაში წინა პლანზე ვენებიანობა იქნა წამოწეული.

ამ ფონზე საინტერესოა ის სიახლე, რომელიც მოგვცა ბარათაშვილმა.

ზორციელი სილამაზე წარმავალია და მასზე დამყარებული გრძნობა ცვალებადია. ზორციელ სილამაზეს, პოეტი, სულიერ სიმშვენიერეს უძირის-პირებს, როგორც მარადიულს და უცვლელს კატეგორიას:

„მშვენიერება ნათელია ზევით მოსული,  
რომლით ნათლდება ყოელი გრძნობა, გული და სული,  
და კაცსა შორის ვით გერძოსა ღვთაებობისა,  
რად გრწმის არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,  
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.  
მხოლოდ კვშირი ესრეთი სულთა — შრობს სიყვარულსა,  
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!“

პოეტის ესთეტიურ იდეალთან, მშვენიერების რომანტიულ გაგებასთან არის დაკავშირებული პოეტის პანთეისტური რომანტიზმი. პოეტის გაგებით ბუნება ადამიანის მესაიდუმლეა, თანამგრძნობი და მეგობარი, ადამიანის მღელვარე სულის თავშესაფარი:

„წარედ წყლის პარს სევდიანი ფიჭოთ გასართევლად;  
აჲ ვეძიებდი ნაცნობს იდვილს განსასვენებლად;  
აჲ ლბილს მდელაზედ სანტყემოდ ვინამე ცრემლით;  
აჲ ყოფელი ირემარე იყო მოწყენით“.

ამავე განწყობილებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ბარათაშვილის პანთეისტური შეხედულება განსულებურებულსა და გაცნობიერებულს ბუნე-

ბაზე, რომელიც პოეტს გამოთქმული აქვს ფილოსოფიური ლიტერატურის მშვენიერს მეგლში, ლექსში „ჩინარი“:



„განმარტობულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის სისა ნორჩი... მრავალ-შტოვანი, მავრილობელი, პაეროვანი, ტურფი, მილად... სამო არის მის ჩრდილში ოცენა და მისთა ფიოლო შრიალოთა სმენა. და წყალთ დუღუნზე უკუდმარისთა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა. მოჭმულს მტკვარი, მოჭქრის ნიავი და შრიალოთა არბეცს ჩინარსა, და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამძინარსა! პრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოველს სხვითა ენათა არს მნიშვნელობა მათის საბრისი! ვითა მოჭნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა ფერხითა ევლებს, და აღმოარბეცს უფსკრულებიდამ და აღდგოლი კლდეს ეზლებს! მაგრამ ჩინარი, მილად მინარი, დგას მედიდურად და საამაყით, და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა შერბევის სახით. რამდენჯერ ჭირი შერბეცს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს, თითქოს სიშურით შემფოთებული და კლდის ბირებზე ზვირთვად შემქმნავს. ესრედ იდუმალ, მაგრამ ძლიერად, დაიტანჯების მარად მოჯნური, თუ მას ნამდვილად ვგზნების გულსა ტრდილებისა ცეცხლი ცოქრი“.

ბუნებასთან დამოკიდებულება ყველა რომანტიკოსისა ერთნაირი როდი იყო. შატბრიაშს, მაგალითად; სძაგდა ალუბები, რადგანაც მათი სიდიადე მხოლოდ პოეტის დიდების მოყვარობასა და თავმომწონებობას.

ბარათაშვილს, ბაირონის მსგავსად, უყვარს ბუნება, ის ხშირად მიმართავს მტკვრის ნაპირებს, მთაწმინდას, ჩინარსა და ვარსკვლავებს, მაგრამ ბარათაშვილის მისგლა ბუნებასთან არ არის ცხოვრებისათვის ზურგის შექცევა, ეს არ არის ტიკის Waldeinsamkeit (ტყედ გაჭრა — გატყიურება); ბუნებაში ბარათაშვილს თან მიაჭეს ფიქრები ადამიანისა და საზოგადოებაზე. და მის მიერ შექმნილი ბუნების სურათებში ჩვენი ცხოვრების ილუმინალი ზრახვები ამოიკითხება.

8

ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი ფუძემდებელია. მე-19 საუკუნის ქართულს ლიტერატურაში იგი რუსულ-ევროპულ ლიტერატურული კულტურის შემომტანი და დამამკვიდრებელია. მაგრამ, ბარათაშვილის ლიტერატურული სტილი და მანერა ევროპიზმის ეპიგონური მიმბაძველობა კი არ არის, იგი უაღრესად თვითმყოფელია და წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეტური ტრადიციების მშვენიერს შერწყმას რუსულ და ევროპულ მხატვრულ-ინტელექტუალურ კულტურასთან.

ბარათაშვილმა დაიხსნა ჩვენი სიტყვაკაშხელი მწერლობა აღმოსავლური პოეზიის ბრწყვიალა აქსესუარებისაგან, ჭარბად სტილიზებულ სახეთა და სამკაულთა სიუხვისაგან, მისი მეტაფორულობისა, ყვავილოვანი სტილისა და რიტორიკისაგან; განსწმინდა იგი ირანულ-აღმოსავლური გაყინული ნორმებისა და სტატიურ-პოეტურ ფორმებისაგან; ბარათაშვილმა ვაითაფისუფლა ჩვენი ლიტერატურა აღმოსავლური პოეზიის თემატური ცალმხრივობისაგან, გამოიყვანა იგი ვიწრო პროვინციალიზმის რკალიდან და პოეზიის ცენტრალურ საგნად ადამიანის სულიერი სამყარო გაჰხადა მთელი მისი



სისრულთა და მრავალსახეობით. ბარათაშვილმა ენერგიულად მუშაობრუნა ჩვენი იმდროინდელი ლიტერატურა მუჰამბაზური გარეფრენიდან სოფრების საჭირობორატო საკითხებისაკენ. ბედი ხალხისა, ბედი ქვეყნისა — იმ საკითხი, რომელიც მან ლიტერატურის საგნად გამოაცხადა — „იმ ქვეყნის ბედი“ არ არის მარტო ერთი ლიტერატურული ნაწარმოების სათაური, იგი სწორედ ის ახალი რეალისტური პრობლემაა, რომელიც ბარათაშვილმა დააყენა ჩვენს ლიტერატურაში და რომელზედაც შემდგომი დროის ბრწყინვალე ქართული რეალისტური მწერლობა აღმოცენდა. ბედი, არა როგორც ფაქტში, როგორც ფაქტალური გარღვევალობა, არამედ როგორც ერთობლიობა ხალხის რეალურ-ისტორიულ ინტერესებისა, ამ ის თემატიკა, რომელიც შემოიტანა ბარათაშვილმა ჩვენს მწერლობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული პოეზიის უდიდესი ნოვატორია; სწორედ მან პირველმა გადაახალისა ქართული პოეტური ინვენტარი, ახალი ხმითა და მღვლევარებით აღავსო ქართული ლექსის პოლიფონია, აზრობრივად დატვირთული და კრისტალურად გამჭვირვალე გაჰადა პოეტური ფრაზა, არაჩვეულებრივად გაამდიდრა მისი თრეკეტრული ხმოერება. საერთოდ კი, ბარათაშვილი ისეთ შემოქმედთა რიგს ეკუთვნის, რომელთა პოეტური ოსტატობის დაუსრულებელი სიმდიდრე დეფინიციებით არ შეიძლება ამოიწეროს. ბარათაშვილის პოეზიის ძალა და მომხიბლობა მდგომარეობს არა მარტო მის წრფელს პოეტურ მღვლევარებასა და ძლიერ ფილოსოფიურ ხილვაში, არამედ მის პოეტურ საშუალებათა წმინდა მხატვრულ ღირებულებაშიც.

ბარათაშვილის პოეტური მანერა აკეთილშობილებს თვით თემატიურ მისალას, შთაბერავს მას ახალს შინაარსს და ანიჭებს მომავლოებულ იერს.

ცხადია, რომ ბარათაშვილის ლირიკა გვხიბლავს მისი ღრმაზროვანი ფილოსოფიური ხასიათით, მაგრამ ჩვენ გვინდა ამ სწორედ იმას გავუსვათ ხაზი, რომ ბარათაშვილთან ხშირად შინაარსის მხატვრული გადმოცემა სცილდება სიტყვიერი მისალის ლოგიკურ ჩარჩოებს და ჩვენ განვიციდით ამ შინაარსს თითქოს ლოგიკური ცნებების ვარეშე, მათ დაუხმარებლად.

ბარათაშვილის პოეტური მანერის ამ თავისებურებით აიხსნება ნაწილობრივ ის ვარემოება, რომ ჩვენ დღემდე არ გავგანჩია პოეტის შესანიშნავ მშნილებათა მალაღბარისზოვანი თარგმანები სხვა ენებზე და პირველ რიგში რუსულ ენაზე; შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ, ამ მიზეზის გამო, ჩვენი ეროვნული კულტურის ეს სამკაული დღემდე მიუწვდომელი და გაუგებელი დარჩა არა ქართველ მკითხველთათვის.

ბარათაშვილის თარგმნა ძნელი საქმეა; მისი სწორად გადატანა სხვა ენაზე მოითხოვს არა მარტო პოეტის აზრობრივი სამყაროს ზედმიწევნით გაგებას, არამედ აგრეთვე მისი პოეტური მეტყველების წმინდა მხატვრული ფუნქციის იმ ილუმალ კანონზომიერებათა გახსნას, რომელნიც ბარათაშვილის ლექსს თვით ანიჭებენ აზრსა და შინაარსს, როგორც ვთქვით — თითქოს ლოგიკური ცნებების ვარეშეც, თითქოს მათ დაუხმარებლად. აქედან ცხადია, თუ რა რიგ მალაღი მოთხოვნილებანი უნდა წარედგინოს ბარათაშვილის მთარგმნელს. მაგრამ, რავინდ რთული არ უნდა იყოს ეს ამოცანა, მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ იგი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის პირველხარისზოვანი ზრუნვის საგნად უნდა გახდეს.



ჩვენ ზევით არა ერთხელ მივუთითეთ, რომ ბარათაშვილის პოეზიის მთავარი მოტივებია პატრიოტიზმი, ბრძოლის წყურვილი ფანჯარაში, სიკეთისათვის, კაცთმოყვარეობა, საკაცობრიო საქმისათვის უანგარო სამსახური, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, გამამხნეველი რწმენა და ოპტიმიზმი; მაგრამ ეს ხომ სწორედ ის თვისებებია, რაც დიდი საბჭოთა ხალხისათვის არის დამახასიათებელი, რასაც ნერვავს და ზრდის ხალხში ლენინის და სტალინის ბოლშევიკური პარტია, რამაც უზრუნველყო ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ამრიგად, მყარდება ახლა ნათესაური, ზნეობრივი და იდეური კავშირი მე-19 საუკუნის დიდ ქართველ მგოსანსა და ჩვენს თანადროულობას შორის. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც უხვად მიიღო კლასიკური მემკვიდრეობის ყველა საუკეთესო მონაპოვარი, დიდი ხანია ფარზე აზიდა ბარათაშვილი და მისი ძვირფასი მემკვიდრეობის შესწავლას დაეწაფა. ფაქტით ის საყოველთაო-სახალხო ხასიათი, რომელიც მიიღო ჩვენში ბარათაშვილის დღეებმა, ის მასშტაბები, რომლითაც მთავრობამ და პარტიამ აღნიშნეს მგოსნის ძვირფასი სახელი, მოწმობენ იმას, რომ ბარათაშვილი უაღრესად პოპულარულია ჩვენს ხალხში, რომ მისი სახელი აბლობელი, მშობლიური და სანუგეარია ახალი, საბჭოთა საქართველოსათვის.

ბარათაშვილი რთული მოვლენაა და იგი უკერ კიდევ მთლიანად ამოკითხული არ არის. ჩვენს კრიტიკულ მწერლობაში ცოტა როდი იყო მახინჯი და შემცდარი გაგება-შეფასება ბარათაშვილისა; ერთად-ერთი სწორი გაგება-შეფასება კლასიკური მემკვიდრეობისა შეიძლება ლიტერატურათმცოდნეობის მხოლოდ ლენინურ-სტალინური მეთოდოლოგიის საფუძველზე იგი გვასწავლის, რომ საბჭოთა ხალხი ნამდვილი და ღირსეული მემკვიდრეა ჩვენი ხალხის დიდებული ისტორიული წარსულისა, რომ იგი მშობლიურად უვლის კლასიკური მემკვიდრეობის ძეგლებს, გულდასმით სწავლობს მათ ყოველთვის ისტორიული პერსპექტივების დაცვით, ანაყოფიერებს ახალი მეცნიერულ-პროგრესიული შინაარსით და იყენებს ბრძოლასა და შემოქმედებაში. კლასიკური მემკვიდრეობისადმი ამგვარ დამოკიდებულებას გვასწავლის და მოითხოვს ქართველ ინტელიგენციისაგან ამხანაგო ლ. პ. ბერიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება კლასიკური მემკვიდრეობის შესანიშნავი განძია; ამიტომ იგი ქართული საბჭოთა მწერლობის შთამავონებელი და მასწავლებელი უნდა ვახდეს. ბარათაშვილის პოეტური ოსტატობა, მისი ლექსის პოეტური მღელვარება და ფილოსოფიური სიღრმე, გულწრფელობა და მგრძობელობა, მისი ხალხურობა და საზოგადოებრივი აქტუალობა მუდმივად მაგალითი და მოწოდება უნდა იყოს ყოველი ქართველი მწერლისათვის, როგორც პოეტური შთავონებისა და ოსტატობის მისაბაძი ნიმუში.

თავის ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ბარათაშვილმა ბევრი ტანჯვა და იმედის გაცრუება გამოიარა.

„მარტვი, რა იქნენ საკურეღლი ეს იღუმანი?  
რად მომიხაზღე, აღმარე წრდელი ზოიბაიანი?“

ეკათებოდა იმედღაჯარგული პოეტი ბოროტ სულს.

„მინდა მზე ეყო, რომ სხინი ჩემი დღეთა ვარს მოვალე,  
სალამის მის თვის შთავიდე, რომ დღია უფრო ვაცხოველებო“



ნატრობდა პოეტი სიკვდილამდე სამიოდე წლით აღრგანად მის შეუსრულდა: ბარათაშვილი ქეშმარიტად არის ჩვენი პოეზიის ბრწყინვალე მზე, მზე, რომლის სხივები „გარსმოვალე“ „ჩვენთა დღეთ“ და ცხოველყოფელი ვაგლენა იქონია ჩვენი მწერლობისა და ცხოვრების შემდგომს განვითარებაზე.

„მინდა რომ ეყო ვარსკვლავი, ვანთიადისა მორბედი“.

ამბობდა მგოსანი, და ჩვენი პოეზიის ცის ტატნობზე ის მართლაც არის ჩაუჭრობელი ვარსკვლავი, რომლის ბრწყინეალება დღითიდღე მატულობს და იზრდება.

100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უდროოდ შეწყდა დიდებული მგოსნის მაჯისცემა, მაგრამ რამდენადაც ვშორდებით ჩვენ ბარათაშვილის ეპოქას, იმდენად უფრო იზრდება მისი პოეზიის მნიშვნელობა და ვაგლენა.

ეს ერთი საუკუნეა, ეს ასი წელი ბარათაშვილის სახელის ზრდისა და განდიდების წლებია. 100 წლის წინათ განჯაში უდროოდ დაღუპულ „საქართველოს იადონს“ თავისიანნიც არ დასტიროდნენ. 90-იან წლებში კი განჯიდან ბარათაშვილის ცხედრის გადმოსვენებამ აამოძრავა ქართველი საზოგადოება, რომელმაც ცხარე ცრემლებით დაიტირა საყვარელი მგოსნის ნაცრად ქცეული ცხედარი.

და დღეს, ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური კულტურის აყვავების პერიოდში, როცა ლენინ—სტალინის პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგად, ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლავრენტი ბერიამ ყოველდღიური, გულისხმიერი, შეუწელებელი მზრუნველობით ჩვენი ქართული, მრავალსაუკუნეანი ისტორიის მქონე კულტურა კიდევ უფრო უჩვეულოდ გაიზარდა და გაიფურჩქნა, — ბარათაშვილის პოეზიის მთელი სიმდიდრე მისაწვდომი და საყვარელი გახდა ქართველი ხალხის ფართო მასებისათვის.

ეს საყვარელი და პატივისცემა პოეტისადმი გაიზრდება, ამალდება და იარსებებს მანამ, სანამ არსებობს თვით ქართველი ხალხი, რომლის ნაციონალური სულის უმაღლესი და უკეთილშობილესი ღირსებებიც ასახა ბარათაშვილმა თავის პოეზიაში.

ბარათაშვილი ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის იმიტად, რომ მან შეჰქმნა დიდებული სახე გმირისა, რომლის უმაღლეს მოწოდებას ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა და მისი ბედნიერი მომავლის დამკვიდრება შეადგენს.

ბარათაშვილის „მერანი“ ამ გმირის იღეს შეუდარებელი სიმღერა და ოცნება მის დაბადებაზე.

აღსრულდა კიდევ მგოსნის ოცნება: მის სამშობლოში დაირწა აკვანი გმირისა — ვინც ხალხის სანუკვარ ფიქრს და ოცნებას შეასხა ფრთები. ვინც თავისი გენიით წინ წარუძღვა ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს. ვარდაატარა იგი ეპოქის შეებედობის „კლდესა და ღრეებს“ და ისტორიული დიდების თვალუწვდენ მწვერვალებზე აიყვანა. ამ გმირის სახელია სტალინი.

## ბარათაშვილის პოეზია<sup>1</sup>

ინგლისელი პოეტის კოლრიჯის თქმით „პოეზია არის საუკეთესო სიტყვების საუკეთესო დალაგება“. ეს ფორმულა რომ მართებულად მივიჩნიოთ, მაშინ პოეზიის განხილვა მთლიანად პოეტიკის საგანი გახდებოდა. ნამდვილად კი პოეტური შემოქმედების ასეთი განსაზღვრა ცალმხრივია, იგი უწყურადღებოდ სტოვებს იმას, რაც მთავარია, — შინაარსის სპეციფიკას, და მთელი გულსყური ფორმალურ მხარეზე გადააქვს. რომ პოეზიის რაობის ვარკვევა ერთი დრახვით შეიძლებოდეს, ჩვენ ვიტყვით: პოეზია არის ნატვრა იდეალური არსებობისა. პოეტი ცდილობს თავისი ნატვრა საუკეთესოდ დალაგებულ საუკეთესო სიტყვებში გამოხატოს.

რუსთაველის შემდეგ არცერთი ქართველი პოეტი არ ეძლევა სულიერი და ზორციელი სრულყოფის იმგვარ ნატვრას თავის შემოქმედებაში, არა ცდილობს და ვერც ახერხებს ვერაფერს თავისი პოეტური ფიქრი და ოცნება იმდენად ლამაზი, ისე ფაქიზად შერჩეული სიტყვებით გამოხატოს, როგორც ამას ბარათაშვილი სჩადის.

რუსეთთან დაკავშირების შემდეგ საქართველომ ზურგი შეაქცია აღმოსავლეთის არამართო პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ აგრეთვე მის ზელოვნებასა და მწერლობასაც. ქართული პოეზიის ახალი, ევროპული გზით წაყვანა უმთავრესად ნიკოლოზ ბარათაშვილსა ზედა წილად. ახალ თემებსა და შინაარსს პოეზიაში თან მოჰყვა ფორმის რადიკალური ცვლილება, საჭირო გახდა ახალი პოეტური ხერხები და სიტყვიერი მასალის გამოყენების განსხვავებული მანერა. მთავარი, რითაც ევროპული პოეზიის სტილი განსხვავდება საერთოდ აღმოსავლეთურისაგან, ეს არის მეტი კონკრეტულობა საგნებისა და მოვლენების აღწერის დროს, რეალურობის მეტი შეგრძნობა და ამის გამო მეტი სისადავე ენისა.

ქართულ მწერლობასთან ერთად რუსულ პოეზიაზე აღზრდილმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თითქმის თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებისთანავე უარყო არა თუ მის დროს გამეფებული სასიძღვრო შიქსატები და მუხამბაზები, თვით შაირიც კი — ეპიური პოეზიის ტრადიციული ფორმა, რომელიც მან უფრო დინჯი რიტმიული მოძრაობის მქონე თმარცვლოვანი ლექსით შესცვალა. ამასთან ერთად ის ახლოსაც არ იკარებს თავის ლექსებში ენის მოზაიკურ სიჭრელეს, გადაჭარბებულ ფერადოვნებას, მეტყველების პიპერბოლურება და მეტაფორულ სტილს. მთელი მისი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ თავის გრძობებს, ფიქრებს და ხილული სამყაროს საგნებსა და მოვლენებს მოუნახოს ზედმიწევნით მი-

<sup>1</sup>) წაკითხულია მოხსენებად ნ. ბარათაშვილის ვარდაცვალების 100 წლისთავის იუბილე-სადმი მიძღვნილ პლენუმზე.

სგავსებული სიტყვიერი გამოსახულება. იმდროინდელი პოეტისათვის სრულიად უჩვეულო მისი ჩივილი „მოკვდავ ენასა არ ძალუდა უკვდავ გრძობათა გამოთქმა“, მიგვიბრუნებს იმაზე, თუ რამდენად ცდვილულად იგი, რომ რეალურად გადმოეცა თავისი ღირვლი განწყობილება და მუხრებრივი სისადავით, სინამდვილესთან შეფარდებული ტონით მოეთხრო ობიექტური ამბავი.

საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს ენისა და პოეტური სტილის მხრივ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ბესიკის პოემა „რუხის ბრძოლა“, რომ ზემოთ ნათქვამში დაერწმუნდეთ. კრწანისის ომი, რომელიც აწერილია ბარათაშვილის პოემაში, და რუხის ბრძოლა სულ რაღაც ხუთმეტი წლით არის ერთმანეთისაგან დაშორებული, პირველი მათგანი მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე დასავლეთ საქართველოში. მაგრამ იმდენად განსხვავებულად აგვიწერს ორი სხვადასხვა მიმართულების პოეტი ამ ორ ბრძოლას, რომ მკითხველს ეგონება თითქოს მათ აშორებს ერთმანეთს ზღვები, უღბანოები და ათეული საუკუნეები. ბესიკის პოემაში რომ ქართული საკუთარი სახელები არა გვხვდებოდეს, გვეგონებოდა თითქოს იქ აწერილია საოცარი დევგმირების ბრძოლა ზღაპრულ ქვეყანაში. მაგალითად, დადიანის ომს ასე აგვიწერს პოეტი:

„ხმა ლომის გვარად მიშრახი მისჩხდის, იტყვის ამასო:  
ათი ათასი დაფრთხო — ვითა შემოცდი, სიმასო!“  
ზურაბის შეყრა სურდა: ენის ისარი დამასო!  
თუ ვნახე, სისხლით დაფთვრივ, ზორცთა შევაჭნე ჰამასო!“

გიორგი წულუკიძის ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან ბესიკი ადარებს ვიროს ყბით შეიარაღებული ბიბლიური სამსონის ომს ფილისტიმელთა ლაშქართან, მაგრამ თავისი გმირის ვაჟეციობის გამოსახატავად ამას კიდევ საკმარისად არა სთვლის და ჰომიროსის პოემიდან იშველიებს ჰექტორის ბრძოლის სურათს მირმიადონელებთან. მზე და მთვარე გაოცებული დასცქერიან რუხის ბრძოლას, განისმის ვარსკვლავთა რაზმების ყიყინა, ომის ღმერთი მარხი იძრობს ხმალს, ზოდიაკოს ყველა თანავარსკვლავედი (ვერძი, კურო, ლომი, კირჩხიბი, ქალწული, ღრიანკალი და სხვ.) მოქმედობს და თვითეული თავისებურად ეხმაურება იმერ-მეგრელების შეტაკებას აფხაზებთან.

ბარათაშვილი კი თავის პოემას დიამეტრალურად საწინააღმდეგო სტილითა და სულ სხვა პოეტური ხერხებით სწერს. კრწანისის ბრძოლის აღწერას ასე იწყებს პოეტი:

„ამ დროს გამოჩნდა სიშრეთით მტერი.  
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი  
ზედ ანათლიდა ბრძოლისა ველსა,  
და ირაკლიცა ჯვარსა ქართველსა  
განამხნეებდა მამობრივის ხმით:  
„ხედავთ, ვითარის კადნიერებით  
შეკრებების ჩვენზედ უსჯულოება!  
საქართველოს დღეს გარდაუწყდება  
თავისი ბედი და უბედობა!“

ამგვარი უბრალო, სადა ენით, მაგრამ ფაქიზად შერჩეული და ლამაზად დალაგებული სიტყვებით არის დაწერილი მთლიანად „ბედი ქართლისა“.

ერთმანეთს ეომებიან აქ არა დევ-გმირები, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, საქართველოს და სპარსეთის ჯარები. პოეტის ყურადღება მიქცეულია იქით, რომ შესძლოს მან თავის თხრობაში სინამდვილესთან შედარებით დაკერა, რომ ლექსის ტექნიკურმა სიძნელემ არ აიძულოს იგი სთქვას ის, რის თქმაც მის პოეტურ განზრახვაში არ შედის.

ბარათაშვილისათვის მოხსნილია ტრადიციით მომდინარე სახეები ქართულ პოეზიაში, ყოველგვარი შტამი და გამზადებული კლიშეები. იგი ენდობა მხოლოდ საკუთარ თვალს, სმენას და შინაგან შეგრძნობას.

ობიექტიური სამყაროს აღწერის დროს ბარათაშვილი ერიდება, რამდენადაც ეს შესაძლებელია ნამდვილ პოეზიაში, პიბერბოლურ თქმებს. საერთოდ აღმოსავლეთურისა და კერძოდ წინაღობინდელი ქართული პოეზიის უღამაზესი სამკაული — მეტაფორა თითქმის სრულებით არ არსებობს ბარათაშვილისათვის. მეტაფორა შენიღბული შედარებაა და მის ნაცვლად ბარათაშვილი მიმართავს პირდაპირ შედარებას, თუმცა ამასაც იშვიათად. პოეზიაში არსებობს მრავალი ტრაფარეტული შედარება. ბარათაშვილი ერიდება მათ და ცდილობს მსგავსება აღმოაჩინოს იმგვარ საგნებსა თუ მოვლენებს შუა, რომლებიც მანამდე ერთმანეთისათვის არავის შეუდარებია და, ამგვარად, ახალი კუთხიდან გააშუქოს შედარების ობიექტი. აი ბარათაშვილის ერთი ცნობილი შედარება:

„ვინაზეთ სული ჯერეთ უმანკო, მზურვალე ლოცვით მიქანცბული?  
მას ჰგავდა შოვარე, ნახად შოვარე, დისკო ვადახრით შუქ მიზანდული“.

ეს უჩვეულო შედარება მთვარისა ლოცვით დაქანცულ უმანკო სულთან შეფარდებულია იმ ამაღლებულ, საპლოცველო სულიერ განწყობილებასთან, რომელსაც შეუპყრია პოეტი მთაწმინდაზე შემოღამების დროს. აღსანიშნავია ამ შედარებაში დეტალი „დისკო ვადახრით“, რომელიც თითქმის მთვარის მდგომარეობას გვიხატავს. ნამდვილად კი წარმოგვიდგენს ლოცვით დაქანცულ ახალგაზრდა ქალის ვადახრელ სახეს. ამგვარი დეტალებისათვის ყურადღების მიქცევა შედარებაში, ევროპულ პოეზიას ახასიათებს, აღმოსავლეთური პოეზია მხოლოდ ზოგადი მსგავსების აღმოჩენით კმაყოფილდება:

ლექსი „საყურე“ ასეთი შედარებით იწყება:

„ვითა პეპელა  
არბევს ნელნელა  
სპეტაკ შროშანას, ლამაზად აბრილს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აბრდილს“.

ქალის ყურზე დაკიდებული საყურე, რომელიც მოძრაობის დროს ირჩევს ისე, თითქმის თავისსავე ჩრდილს ეთამაშება, შედარებულია აქ პეპელასთან, რომელიც ფრთების ფარფაბით არბევს შროშანას ყვავილს. ეს გრაციოზული შედარება, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანია ქართულ პოეზიაში, შეფარდებულია აგრეთვე მთელი ლექსის ზორციელი სიტურფით გამოწვეულ სატრფიალო განწყობილებასთან.

მიანც ბარათაშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარებას იწვევდად მიმართავს. საგნებისა თუ მოვლენების დასახისიათებლად. მათი ნიშანდობლივი თვისებების გასარკვევად ის უმთავრესად კარგად შეტყუებული ეპითეტებით კმაყოფილდება. აი, მაგალითად:

„ნელა მოდელავს მოდულუნე მტყვარი ანკარა  
და მის ზვირთებში ჰერთის ლაფვარდი ცნა კამარა“.

აქ ეპითეტები „მოდულუნე“, „ანკარა“, „ლაფვარი“ გარკვეულ სურათსა და განწყობილებას ჰქმნიან.

ზოგჯერ ბარათაშვილი ერთმანეთზე მიაწყობს მთელ რიგ ეპითეტებს, რომ დახასიათება საგნისა თუ მოვლენის იყოს, რაც შეიძლება, ყოველმხრივი, მაგალითად:

„პოი, მთა წმიდაჲ, მთა წმიდაჲ, ადგილი შენი.  
და მთა ფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურანი...“

ანი:

„კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის ღელეს  
და შენს მშვენიერს, ილტაცებულს, ვიფურსა ღრულეს“

საერთოდ ბარათაშვილს, როგორც მედამ ფიქრით შებყრობილ პოეტს. მიდრეკილება აქვს განუმარტოს მკითხველს, ეპითეტებით თუ არა, სხვა სტილისტური საშუალებებით მიანც, მოვლენის თვისება, ან მიზეზი. მაგალითად, ზემოთმოყვანილ ლექსში სიტყვები „ტრფობის ნაშთი“, მოკლედ, მაგრამ გარკვეულად მიგვითითებენ იმაზე, რომ პოეტის გულის კენესა გამოწვეულია სიყვარულით და ამავე დროს ეს უიღბლო სიყვარული, როგორც ტანჯვის წყარო, მოტოვებულია უკან. ბესიკის სკოლის პოეტი ამ სტრიქონს ასე დასწერდა: „კენესა გულისა, დაგულისა, მიეცე ზღვის ღელეს“. ამით სტრიქონი შინაარსეულად თვალსაჩინოდ გაღარიბდებოდა, თუმცა თარზე დაკვრის დროს, შესაძლოა, უფრო ემოციური იქნებოდა.

ეპითეტთა შორის ბარათაშვილს განსაკუთრებით სიტყვა „მშვენიერი“ იზიდავს. ერთ ლექსში („რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო...“) ამ სიტყვას იგი ოთხჯერ იმეორებს. მშვენიერებას პოეტი სილამაზისაგან ასე განასხვავებს: „სილამაზეა ნიჟი მხოლოდ ხორციელების“, „მშვენიერება ნათელია ზეციით მოსული“.

არცერთ ქართველ პოეტს არა აქვს გამოყენებული თავის შემოქმედებაში იმდენი სხვადასხვა სალექსო ზომა, რამდენსაც ბარათაშვილის ლექსების პატარა კრებულში ვხვდებით. აქ არის სტრიქონები — ხუთმარცვლოვანი, ექვსმარცვლოვანი, რვა მარცვლოვანი დაბალი, რვა მარცვლოვანი მაღალი, ათიანი, თერთმეტიანი, თოთხმეტიანი ცეზურით შუაში, თოთხმეტიანი ჩვეულებრივი, თხუთმეტი მარცვლოვანი, მაღალი შაირი, დაბალი შაირი და დასასრულ ოცმარცვლოვანი.\*) რიტმიულ მრავალფერობას ზელს უწყობენ

\*) რვა მარცვლოვანი და ათმარცვლოვანი ლექსები, როცა ყველა მათი სტრიქონი ვარიაციულია, რიტმიულად განსხვავდებიან შაირისა და ოცმარცვლოვანისაგან.

ბარათაშვილის ზოგიერთ ლექსში სხვადასხვა მეტრის კომბინირებული გამოყენება. აი, მაგალითად, ათიანი და ხუთმეტმარცვლოვანი სტროფონების შეხამება:

ერაყენული  
გონიერებისა

„შენი მოთქმანი, კავშის ხმანი,  
ხანცა ოხერანი, ხანც ამოსკენანი  
წარსულთა დროთა მოგონებითა ხელს აფიქრებენი“

გამსაყურებით საყურადღებოა ის შერეული სალექსო ზომა, რომლითაც დაწერილია ბარათაშვილის ლექსები „შემოღამება მთაწმიდაზედ“ და „მერანი“. თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის ზეიადი, საზეიმო რიტმი, შეფარდებული პოეტის ლირიულ განწყობილებასთან, სიმეტრიულად ენაცვლება აქ უფრო აჩქარებული ტემპით მიმდინარე ოცმარცვლოვან ლექსს, რომელშიაც ეპითერი თხრობა იშლება:

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,  
ეინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შეება,  
არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვება,  
ველდახერულთა მეგობარო, მთავ დრუბლიანო!“

„ხდღშია ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადევრა ცისა კმარას.  
მთადღეს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარს;  
ვინახავთ სული ჯერეთ ღმანო, მხურვალე ლოცვით მიქანებულო?  
მას მგავდა მთვიარე, ნახად მოარე, დისკო გადახსით შექმინილული!“

ამგვარი იყო მთაწმიდაზე შემოღამება!  
პოი ადვილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი  
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტოვდი!  
მხოლოდ გული ზგომობს, თუ ვითარი ხაღვნით მას შეება!“

ორი აღნიშნული მეტრის ერთიმეორესთან შეფარდება და ამაზე დამყარებული რიტმიული მიქცევა-მოქცევა ლექსში კიდევ უფრო მეტს ხელოვნებით არის მოცემული „მერანში“, სადაც თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის ერთ სტროფს მისდევს ოცმარცვლოვანის არა ერთი, არამედ ორი სტროფი, რის გამო თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის სტროფი რიტმიული რეფრენის მასივითს ღებულობს:

„აქვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის ღღელვას,  
და შესს მშენიერს, აღტაცებულს, გიფერსა ლტოლვას!  
გასწი, მერანო, შესს ჳენებას არ აქვს სამძღვარი  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელღვარი!“

ნუ დავიმარბო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტაროს სატრფომ ვულისა, ნულა დამეცეს ცრემლია მწუხარის;  
შევი ყურანი გამოთხრის საფლავს მღელღოთა შორის ტიალის მიწდგრის,  
და ჳარიშხალი ძეგლთა შთენილთა ჳარით, დრიალით, მიწას მამაყარის!

სატრფოს ცრემლის წილ მეგდარსა, ოხერსა დამეცევიან ციფრნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცელად მივაღალებენ სეგანი მყიფარნი!  
გასწი, გიფერინდი, ჩემო მერანო, გაკდამიტარე ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მგედარი!

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
ვერ შემოშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!  
გასწი, მერანო, შესს ჳენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელღვარი!“



ეს ბრწყინვალე პოეტური ფორმა, რომელშიც პოეტის დიდმა სულიერმა მღელვარება სხვადასხვა ზომის რიტმიულ ტალღებად და ბგერათა/მდიდრულ ორკესტრად გაშლილა ისე, რომ ლექსი მთლიანად ექვემდებარება სიმფონიას დამსგავსებას, არასოდეს ბარათაშვილის შემდეგ მსგავსი პოეზიაში აღარ განმეორებულა.

თუ ბარათაშვილის ამ ორ ლექსს „მერანსა“ და „შემოღამებას მთაწმიდაზედ“, ორი პირველი ადგილი უპირავეს მთელს ჩვენს ლირიკულ პოეზიაში, ამის მიზეზად, ღრმა შინაარსის გარდა, მათი საოცრად მდიდარი რიტმიული წყობაც უნდა ჩაითვალოს.

რიტმიკის ერთერთი საკითხია ლექსის ეფეთიური თვისება, — ბგერათა შერჩევა კეთილზმოდანების თვალსაზრისით. ბარათაშვილი სიტყვების შერჩევის დროს ლექსში დიდ ყურადღებას აქცევს არა მარტო მათ სემანტიკას, ე. ი. აზრობრივ მხარეს, არამედ ბგერითი შემადგენლობასაც. ალიტერაციები, ასონანსები და ბგერათა ჯგუფების ყოველგვარი განმეორება ორკესტრალობის იშვიათ ეფექტს იძლევიან ბარათაშვილის საუკეთესო ლექსებში. ავიღოთ, მაგალითად, „მერანის“ მეორე სტროფი:

„გაჰყვეთ ქარი, გააჲ წყალი, გაზდაიარე კლდენი და ღრენი!  
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სივალნი დღენი!  
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა აფფარსა,  
ნუ შემობროლებ დაქანცულობით თევანწირულსა შენსა მზედარსა!“

ამ სტროფის პირველ ორ სტრიქონში ყურადღებას აქცევს თავსართი „გა“-ს ხუთმაგი განმეორება. სხვადასხვა ცალკეულად გამეორებული ბგერებიდან აღსანიშნავია თანხმოვანი „ქ“, რომელიც გაისმის სიტყვებში „გაჰყვეთ“, „კლდენი“, „გაკურცხლე“, „შემომოკლე“. სიტყვა „გაკურცხლე“ პოეტს შეურჩევია აქ სწორედ ამ ბგერის გასამეორებლად, თორემ სხვაგან ყველგან მერანის „გაფრენაზე“ ლაბარაკობს. სტროფის მეორე ორ სტრიქონში ოთხჯერ ისმის „ნუ“ და ცალკე „ნ“ დამატებით კიდევ ოთხჯერ. გარდა ამისა აღსანიშნავია აქვე „ც“-ს ოთხმაგი გახმაურება („ნუცა სიცხესა, ნუცა აფფარსა“, „დაქანცულობით“). ეფექტიურია ამავე სტროფის მესამე სტრიქონში „ფ“-ს გამეორება („ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო...“)

ავიღოთ ორი შემდეგი სტრიქონი პოემიდან „მედი ქართლისა“.

„დაფიქრებული თვისთა ზრახვათა  
დაცაართობდა ქარვის მარცვლითა“.

ამ ორ სტრიქონში ხუთ ექვსი სიტყვაა, რომელთა შორის ხუთს მახვილი აქვს ბგერა „ა“ზე, ხუთსავე სიტყვაში ისმის ბგერა „რ“, ხუთჯერვე ისმის „თ“, მაგრამ ყველაზე უფრო ელემენტურად მეორდება ბგერა „ც“ („დაცაართობდა... მარცვალითა“); საყურადღებოა აგრეთვე „ქ“-ს გამეორება („დაფიქრებული... ქარვის“). ყველა ამ ბგერათა გამეორებით იქმნება ის იშვიათი მუსიკალობა, რომელიც აღნიშნულ ორ სტრიქონს ახასიათებს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება ბარათაშვილის ლექსებშიდა. აი, კიდევ სანიმუშოდ ორი სტრიქონი:

„სატრფოს ცრემლის წილ მკედარსა, ობერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნაიესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სევანი მყავარნი!“

პირველ სტრიქონში ჯურადღებას იქცევს ბგერა „ც“-ს ოთხშეჯერ/ვახშაუ-რება, მეორეში კი ერთი და იმავე ბგერების გამეორება სიტყვებში „ნათე-სავთ ვლოვისა... სეაენი“. საკმარისია აქ „სეაენი“ შევცვალოთ, მაგალითად, სიტყვით „ორბნი“ და სტრიქონის მუსიკალობა დაირღვევს.

ბარათაშვილის ზოგიერთი სტრიქონების შემორჩენილ ვარიანტებს ემ-ჩნევა, რომ ეს თავის ლექსებს ეფფონიური მიზნით ასწორებდა; მაგალი-თად, ცნობილი სტრიქონი „ნელად მოღელავს მოღედუნე მტკვარი ანკარა“ თავდაპირველად ასე ჰქონია პოეტს—„ლურჯად მოღელავს და ღუღუნებს მტკვარი ანკარა“. ცხადად სჩანს ამ პირველი რედაქციის ნაკლი ბგერათა შეწყობის თვალსაზრისით: სიტყვაში „ლურჯად“ დამახასიათებელი ბგერა „ჯ“ ისე მკვეთრად გაისმის, რომ იგი უნდა გამეორდეს რომელიმე მომ-დევნო სიტყვაში (ვთქვათ ასე „ლურჯად მოღელავს ჯადოსნური...“), ან ეს სიტყვა „ლურჯად“ უნდა შეიცვალოს სხვა სიტყვით, რომლის ბგერები უფრო შეწყობილი იქნებოდა სტრიქონის დანარჩენ ბგერებთან. გარდა ამისა, პირველი ვარიანტის ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ბგერათა უსიამოვნო თავმოყრა სიტყვებში „და ღუღუნებს“ (დაღუღუ). ბარათაშვილი შესანიშ-ნავად ასწორებს ორივე ნაკლს: მას გაუძევებია სტრიქონიდან სიტყვა „ლურჯად“ და მის მაგიერ დაუწერია „ნელად“, რომელშიც გაისმის ერთად ხაზი ბგერა „ელა“ გამეორებული მომდევნო სიტყვაში „მოღელავს“; ამ სიტყვის დანარჩენი ბგერებიც (ნ, დ) მეორედბიან აგრეთვე მომდევნო სიტ-ყვებში. მეორე ნაკლსაც პოეტი ასევე მონერჩებულად იცილებს თავიდან სიტყვები „და ღუღუნებს“ შეუცვლია ერთი სიტყვით „მოღედუნე“ რომ-ლის თავსართი „მო“ იმეორებს წინა სიტყვის თავსართს („მოღელავს“). ამ-გვარად, აქ მიღწეულია სალექსო სტრიქონის იდეალური მუსიკალობა ისე, რომ აზრის გამოხატვისათვის არავითარი ზიანი არ არის მიყენებული, რაც, საერთოდ, პოეტმა შემოქმედებითს პროცესში ერთერთ მთავარ საზრუნავ საგნად უნდა დაისახოს.

აი გასწორების მეორე საინტერესო მაგალითი, — ჯერ ბარათაშვილს ჰქონია: გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, წრფელითა ლოცვით მიქანცებული, მერე ასე გაუსწორებია: გინახავთ სული ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოც-ვით მიქანცებული. ამ გასწორებით შეცვლილია სიტყვა „წრფელითა“ სიტ-ყვით „მხურვალე“, რომლის ყველა ბგერები გამეორებულია სტრიქონში: განსაკუთრებით აღსანიშნავია თანხმოვან „ხ“-ს (გინახავთ—მხურვალე) და ხმოვან „უ“-ს გამეორება. ისიც უნდა ითქვას, რომ სიტყვა „მხურვალე“ აქ შინაარსეულადაც უფრო შესაფერია, ვიდრე სიტყვა „წრფელითა“.

ბგერათა მუსიკალური შერჩევა სტრიქონში ჰფარავს ნაწილობრივად იმ ნაკლს, რომელიც ბარათაშვილის რითმებს ახასიათებს.

კრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოახდინეს წინააღრო-ინდელი ქართული კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი სრული რითმის ლექსონიშაცია და მის მაგიერ ნაკლული რითმა დააკანონეს. ნაკ-ლული რითმა შეცხრამეტე საუკუნემდეც გვხვდება ჩვენი პოეზიის საუკე-თესო ნიმუშებში, მაგრამ როგორც იშვიათი გამოწაკლისი. ბარათაშვილისა და ორბელიანის ლექსებში კი, პირიქით, თითქმის ასეთისავე გამოწაკლისს წარმოადგენს სრული რითმა. მაგალითად, ბარათაშვილის ლექსებში მხო-ლოდ ერთი ოთხსტრიქონიანი სტროფი გვხვდება სრული რითმებით შეწ-6. „მნათობი“, № 10.

ყობილი, აი ეს სტროფი:

„ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა წყალთაგან შენთ,  
დამინთქე მითში საღმობანი გულისა სენთა!  
არა დაქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
არამედ მიეც მას სადგური მყუდროებისა!“



აქა-იქ, ძალიან იშვიათად, წყვილ სტრიქონში ასეთი სრულხმოვანი რით-  
მა დარეკავს ხოლმე:

მოჭმუის მტკვარი, მოჭკრის ნიფი და შრიალითა არხვეს ჩინარსა,  
და გამოსცემენ სახობასა, ტკბილის ოცნებით დამბინარსა!“

ან კიდევ:

„ნო“ მის, არავეი არავეინი,  
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი...“

ნაკლული რითმა დაკანონდა გრივოლ თრბელიანისა და ბარათაშვილის პოეზიაში მათ მიერ ყალბად გაგებული რუსული ერთმარცვლოვანი, ევრეთწოდებული ვაჟური რითმის მიხედვით. მათ ეს რითმა აითვისეს, როგორც ეტყობა, თვალთ, ნამდვილად კი რითმა სმენისათვის არსებობს. იხინი ზედადენენ რუსულ ლექსებში ისეთ რითმებს, როგორცაა, მაგალითად, „волна — луна“, „река — облака“ და შესაძლებლად ჩასთვალეს ქართულადაც ვაერითმათ „გული — თვალი“, „ცრემლი — მოწყენილი“, „ღიმი — ნაში“ და სხვ. ამ შემთხვევაში მათ ვერ გაითვალისწინეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რითმისათვის მახვილს. ზემოთმოყვანილი რუსული სიტყვები, მათი მახვილების გამო უკანასკნელ მარცვლებზე, სრულ რითმებს წარმოადგენენ, ქართული აღნიშნული სიტყვები კი ნაკლულ რითმებს იძლევიან, რადგან ენის ბუნების გამო მახვილი მათ უკანასკნელ მარცვლებს არა ხვდება.

მეორე მხრით, ბარათაშვილს, კიდევაც სწორად რომ ჰქონოდა მას გაითვალისწინებელი ქართული რითმის ბუნება, მაინც არ შეეძლო თავისი ლექსები სრულ რითმებზე აეგო. ამის მიზეზი ის იყო, რაზედაც ამ მოხსენების დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი. ის ევროპული წერის მეთოდი, რომელმაც რუსულ პოეზიაზე აღზრდილი ბარათაშვილი მოხიბლა და გაიტაცა, მეთოდი, რომელიც მოითხოვს ენობრივ საშუალებათა იმგვარ გამოყენებას, რომ პოეტმა ისა სთქვას მხოლოდ, რის თქმაც მას უნდა, ნებას არ მისცემდა ბარათაშვილს გამოსდევნებოდა სრულ რითმებს. სამწუხაროდ ქართული სრული რითმა მეტად ვრცელი შემადგენლობისაა, მას მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ხოლმე პოეტის განზრახვაში და ზოგჯერ ახალი სრულიად მოულოდნელი გზითაც კი წარმართავს შემოქმედის ფანტაზიას.

მთელი საუკუნე გაგრძელდა ბარათაშვილის შემდეგ ბრძოლა ჩვენს პოეზიაში იმისათვის, რომ ლექსს ზელახლა დაპბრუნებოდა სრული კლასიკური რითმა, მხოლოდ საკმაოდ მოთვინიერებული და პოეტური შემოქმედების ახალ მეთოდებთან სავსებით შეგუებული. გამარჯვება ამ ბრძოლაში ჩვენი ეპოქის პოეტებსა ხვდათ წილად.

თუ ბარათაშვილის რითმები ღარიბია, სამაგიეროდ მდიდარია მეტად მათი შეფარდების ფორმები მის ლექსებში. არცერთი ქართული პოეტი არ არის ამ მხრით ბარათაშვილივით მრავალფეროვანი. მაგალითად, მარტო ჩვეულებრივ თოთხმეტმარცვლოვან ლექსში მას აქვს რითმების ზუთნაირი

წყობა. წყვილი, ჯვარედინი, შემოდევდილი, ოთხივე სტრიქონში ერთი რითმა შიარით და კიდევ სრულიად უჩვეულო სტროფი, რომლის პირველი სტრიქონი თავისუფალია, ხოლო დანარჩენი სამი ერთეულზე შეკრული (ლექსი „ნაოლეონ“). ამათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია შემოდევდილი რითმა, რომელიც ბარათაშვილს, ცხადია, რუსული პოეზიიდან გადმოუღია. რითმათა ეს მეტად საამური, მუსიკალური წყობა, რომელიც მხოლოდ გაფაქიზებულ სმენას შეუძლია აითვისოს, ბარათაშვილის შემდეგ სრულიად მივიწყებული იყო ქართულს მწერლობაში თითქმის ჩვენს დრომდე.

აი ამ სისტემით გარითმული ბარათაშვილის ცნობილი სტროფი:

„აი მიწაშიდავ, მთაო წმადავ, იღვილი შენნი,  
დამაფიქრენი, ვერანანი და უდაბურნი,  
ვითარ შენთან, რის შონამენ ცვარნი ცოურნი,  
ოდეს საღამოს დამთენ ამოს ციკანი ნელნი!“

რითმათა ამნაირი წყობა სრულიად ახალგაზრდა ბარათაშვილის ლექსში მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი დაკვირვებული თვალთ სინჯავდა ის რუსულ პოეზიას და ცდილობდა ახალი პოეტური ფორმების გადმონერგვას ქართულ ლექსში.

მეტად საყურადღებოა, რომ ბარათაშვილმა თავისი პოემის დასაწყრად ათმარცვლოვანი და ისიც წყვილ სტრიქონებად გარითმული ლექსის ფორმა აირჩია. ასეთი წყვილრითმიანი პოემები რუსულ მწერლობაში ბაირონის პოეზიასთან ერთად შემოვიდა. ლერმონტოვის „მწიარი“, რომელსაც ამგვარი რითმები აქვს, გამოქვეყნდა მას შემდეგ, როცა „ბედი ქართლისა“ უკვე დაწერილი იყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ფორმა ბარათაშვილმა აითვისა ეუკოვსკის მიერ თარგმნილი ბაირონის „შილიონის ტუსაღიდან“, რომელიც რუსულად 1822 წელს დაიბეჭდა.

საერთოდ, ბარათაშვილმა ახალ შინაარსთან ერთად ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა ახალი პოეტური ფორმები და პოეტური მეტყველების ახალი სტილი. რუსთაველის შემდეგ არცერთ ჩვენს პოეტს არ გაუტარებია პოეზიაში ისეთი თვალსაჩინო საზღვარი ძველსა და ახალს შუა, როგორც გააელო ნიკოლოზ ბარათაშვილმა.

## აღქმის ნაწილი ლიტერატურის დიფერენციალური უმცირესობის შესახებ\*

გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული ლიტერატურის, კერძოდ ბელეტრისტიკის მიმართ კ. აბაშიძემ განავითარა შეხედულება, თითქოს 60-იანი წლების დიდი ლიტერატურული პრაქტიკის შემდეგ მხატვრული სიტყვა დაქვეითდა, დაეცა, დაკნინდა, ჩამორჩა; ახალი დროის მწერლები გამოხატავენ მხოლოდ უიმედობას. „ამ ბოლო დროს, — წერს წულუკიძე, — ხშირად გაისმის სამღერავე ჩვენ მწერლობაზე; მას დაწვრილმანებას, დაკნინებას, უშინაარსობას წამებენ. უმეტესათ მე-90 წლების ბელეტრისტიკას მე-60-ე წლების ნაწერებს ადარებენ; მწუხარებით და გოდვით აღნიშნენ პირველის დაქვეითებას, აღტაცებით იგონებენ მეორეს დიდ-აზროვნებას, დიდ-შინაარსიანობას, მხოლოდ დასაბუთებით არავეს წარმოუთქვამს ჯერ ამის შესახებ თავისი აზრი.“) ამ შეხედულებას წულუკიძე პრინციპულად უარყოფს. ეს ბრალდება 90-იანი წლების მხატვრული პროზის მიმართ მას მიანიჭა ფაქტიურ დამტკიცებას და სიმართლესმოკლებულ მსჯელობად. ასეთი ბრალდება შეიძლება წარმოშობილიყო საგნის მხოლოდ შეუსწავლელობის შედეგად და გამხდარიყო არამეცნიერული კრიტიკის დასკვნა. ეს შეხედულება თავის გამოსავალს პოულობს თავისებურ სიმბატიაში ან ანტიბატიაში, და არა ცხოვრების, მწერლობის შინაარსში, მათ შედარებასა და აწონ-დაწონვაში. „აბა გადაფურცლეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, — წერს წულუკიძე, — თუ დინჯ, მიუდგომელ, ცნობიერ კრიტიკას იპოვით. ვეღვან და ყოველთვის საზოგადო ფრაზებს ამოვიკითხავთ: ჩვენი მწერლობა დაეცა, ის აჩრდილიც აღარ არის თავისი წინაპრისა და სხვ. განა ეს ასეა? მოვიფიქროთ უკანასკნელი წლების მოთხრობები: ე. ნინოშვილისა, მელანიასი, \*\*) დ. ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვის-

\*) დაასრული. „მნათობი“ № 9.

\*\*) ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 11.

\*\*) მელანია მწერალ ნიკოლოზ ნათიძის ლიტერატურული ფსევდონიმი. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობა „ბნელი“, რომელშიაც ავტორმა შაქრს დიდებულობის სახით დაბალანსებული უსაქო, მოჭიფვე და გარყვნილი თავადის ტიპი, როგორც არაინ ნინოშვილის ტარაფი, წერეთლის იერემია წარბა, ტრისთავის ნესტორი, ამავე მოთხრობაში ავტორმა გვიჩვენა გლეხის ილია თვალისაშვილის ტარაფი, პატროსანი, შრომისმოყვარე გლეხი ილია, მამასახლისისა და თავად შაქრის მიერ შევიწროებული, უღანაშალო პატრიარქის შემდეგ ფირალბის გზას დაადგება. მისი ოჯახი განადგურდება, დედა შვილის პატივობას ვერ იტანს და გარდაიცვლება. ცოლს ძალით გაიუპატოვებს შაქრი დიდებულები. „ბნელი“ გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეული წლების რეალისტურ სურათს იძლევა. მოთხრობაში წარმოდგენილია ავრეთვე მომავალი ბერევა მეფეზე არტემის სახით (როგორც დ. ერისთავის გაბრიელ რობაქი). მელანიაც კლამს ეკუთვნის ავრეთვე მოთხრობები „ლაღვი“, „ქრიალოსანი“ და „ნაგარობა“.

პირელისა და სხვა, გავიხსენოთ რა სინამდვილით და ზოგი ხელგუნურათაც ზატავს ცხოვრების სურათებს, რა სიმარტივით და ნათლად აღნიშნავს დიდ-მნიშვნელოვან ფაქტს“. <sup>1)</sup>

90-იანი წლების ქართული მხატვრული პროზის ნიმუშად, <sup>2)</sup> მკვლელის შემო-ჩამოთვლილი მწერლების თხზულებებისა, ალექსანდრე წულუკიძე სახე-ლებს არსენ მამულაშვილის — ლალიონის — მოთხრობას „ფიჩილი და ვ-ლაძე“, რომელიც პირველად 1885 წლის „მოამბის“ 4—5 ნომერში დაი-ბეჭდა. „ამ მოთხრობის ვარჩევა, — წერს წულუკიძე, — მისი სურათების გამორკვევა დაგვანახებს, თუ რამდენათ სინამდვილით არის იგი ცხოვრე-ბის „გულის-პასუხის“ გამომთქმელი, რა საყურადღებო და დიდ შინაარ-სიანი მოვლენაა მასში აღნიშნული, რა ღრმით და სიმარტივით აქვს ავ-ტორს იგი ვაღმოცემული“. <sup>3)</sup>

იმისათვის, რომ ნათელჰყოს თავისი დებულებანი, წულუკიძე ვადმოგე-ცემს ლალიონის მოთხრობის მოკლე შინაარსს. სოფლის გზაზე გამოჩნდა ოთხი კაცი. სამს თოფით შეიარაღებულს მოჰყავს ერთი ახალგაზრდა 22-23 წლის კაცი. იგი კარგად იყო გამოწყობილი, ლამაზი სახე ჰქონდა, სია-მაყესა და გამბედიობას ააშკარაებდა. ეს კაცი აღმოჩნდება ავტორის ნაც-ნობი ივანე დავლაძე. იგი იყო სამსახურიდან დათხოვნილი „პრაპორშნი-კის“ გიორგი დავლაძის შვილი. ერთ დროს გიორგი დავლაძე თავის სოფელ-ში ღარიბ აზნაურად ვერ ჩაითვლებოდა — იმდენი მამული ჰქონდა. შობ-ლები არაფერს აკლებდნენ თავიანთი პატარა ვაჟკაცის აღზრდას. ივანე ისევე ფუფუნებით იზრდებოდა, როგორც ამ წოდების სხვა შვილები. შემ-დეგ ვანოს სწავლის მისაღებად მიაბარებენ ოზურგეთის სამოქალაქო სას-წავლებელში. მართალია, ყმაწვილი ბუნებით ნიჭიერი იყო, მაგრამ სკოლა თავიდანვე შეიძულა და ბოლოს მოითხოვა სასულიერო სასწავლებელში გაეგზავნათ. იქ უკეთესად ვისწავლიო. მისი თხოვნა შეასრულეს. მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ვანო ცუდად სწავლობდა, სკოლაში ცუდი ყოფაქცევის ბავშვად ითვლებოდა და ცუდი ნიშნებიც გამოჰყვა. მასწავ-ლებლის შეურაცხყოფისა და დამუქრებისათვის 18 წლის ყმაწვილი სკო-ლიდან დაითხოვეს. ახალგაზრდა კაცი შემდეგ ბათუმში მიდის სამსახური-ნათვის, მაგრამ დედის სიკვდილი მას ისევე სოფელში დააბრუნებს. სოფ-ლად ის უსაქმოდ დაეხეტება, მეზობლებში ატარებს დროს, ქეიფობს, ოჯახს ეი ხელს არ ჰკიდებს. ერთხელ ვანო დავლაძე მიიწვიეს გლეხის სამ-სონ ტარაძის ბავშვის ნათლობაში. აქვე მიბატყებულაა გლეხის ტიმოთეს შვილი ნიკო კალაძე. ვინ არის იგი? წულუკიძე განზრახ ჩერდება დაწერი-ლებით ნიკო კალაძის ბიოგრაფიაზე. ეს უკანასკნელი მისთვის წარმოად-გენს არსებით მასალას საზოგადოებრივი კლასების დიფერენციაციისა და ელასობრივი ანტაგონიზმის დასახასიათებლად. გლეხმა ტიმოთე კალაძემ თავისი შვილი ნიკო თორმეტი წლის იყო, როცა ოზურგეთში ერთ ვაჭარს მიაბარა შემდეგი სიტყვებით: „შენი ღვთის ვულისა, აი ბალანაი გამიზარ-დე. ვაჭრობაში გამოაჩენე და ხუთი, ექვსი წელი ტყუილად იმსახურე; ეგე-ბა რამე ღროში კაცი შეიქნეს“. ნიკომ მალე შეისწავლა ვაჭრობის წესები,

<sup>1)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 11.  
<sup>2)</sup> იბმ., გვ. 12.

ვაიგო ვისგან შეიძლება მერტი ფულის აღება და ისე დახვლოყმად აღებ-  
მიცემობაში, რომ „ხაზეინმა“ ორი წლის შემდეგ მას ჯამაგირი დაუნიშნა.  
ნიკოს დიდი სურვილი აღძრა გამხდარიყო ფულიანი კაცად. წლის  
შემდეგ ბათუმში გადავიდა მდიდარ ვაჭართან. მალე მასვე „კაცობის სკლა“ და-  
ახლა, როცა ის 27—28 წლის კაცია, ბათუმში უკვე საკუთარი ვაჭრობა  
აქვს გამართული. ის მდიდარია, თაემომწონე, ევროპულ ტანსაცმელში გა-  
მოსწყობილი. ეს კაცია ნათლიად მიწვეული გლეხის სამსონ ტარაძის სახლ-  
ში. აქვეა ტარაძის მეუღლის დისწული, ახალგაზრდა ლამაზი ნინო. ეს ქა-  
ლი უყვარს ივანე დავლაძეს. ამიტომ როცა ივანე ხედავს ნიკო კალაძეს,  
უშინია, რომ მდიდარმა, ფულიანმა კაცმა არ მოხიბლოს მისი სატრფო,  
ლამაზი ნინო. წულუკიძე მკვეთრად გამოპყოფს მოთბრობიდან იმ სცენას,  
რომელიც ლალიონს დიდი დამაჯერებლობით აქვს აღწერილი. სულიერი  
მდგომარეობის ოსტატური ჩვენებით აეტორი საფეხებით გასაგებს ხდის იმ  
უთანხმოებას, რომელიც ამ ორი საზოგადოებრივი კლასის შვილთა პირვე-  
ლი შეხვედრისთანავე იჩენს თავს: „რა ამბავია, კაცო, ალენხანს რომ  
გვაკადიე, პაწაი ადრე არ გეკადრებოდა მოსვლა, სიდაური დიდი კაცი შენ  
ზარ? ძალდატანებულის ხუმრობის კილოთი უთხრა ივანემ.—შენთან კი ვარ  
უკაცრავად, — ირონიულად უპასუხა ნიკომ. — უკაცრავად კი ხარ, ყაზახო.  
მეტი არაფერი, წარმოსთქვა ივანემ გაბრაზებით, მხოლოდ სხეები ჩაერი-  
და სინამეხე ჩამოვარდა“. შემდეგ წულუკიძე აგრძელებს მოთბრობის შინა-  
არსის გადმოცემას, თუ სადილობის დროს როგორ ჩამოვარდა ისევე უთან-  
ხმოება ივანესა და ნიკოს შორის, იმის გამო, რომ ივანეს მიერ მიწოდე-  
ბული სადღეგრძელო ნიკომ არ დალია. ამიტომ ივანემ ღვინით სასტე ბოთ-  
ლი შეგ თავში გაატყა ნიკოს.

ამ ინციდენტის შემდეგ გავიდა ხანი, ნიკო კალაძემ ფულით მოისყიდა  
ნინოს მამა და ცოლი შეირთო, სწორედ ისევე, როგორც ეს საერთოდ  
ხდება ბურჟუაზიულ სინამდვილეში, როგორც ეს ასწერა ტოლსტოიმ „კრე-  
იცერის სონატაში“, როგორც ეს დაახასიათა წულუკიძემ თავის პირად წერ-  
ილში ნაღვედა ერისთავისადმი. ივანე დავლაძე დარჩა გარიყული. სო-  
ფელში ავაზაკობის გამოჩენის დროს ეჭვს ივანე დავლაძეზეც მიიტანენ და  
მას აპატიმრებენ. ივანე გაიქცევა სატუსალოდან, ხდება ფირალი, ბრბოს  
მეთაური. იგი მოჰკლავს ნიკოს. ამის შემდეგ დიდხანს აღარც ივანე დაე-  
ლაძე ცოცხლობს. დამე მიმავალს ჩაუსაფრდებიან და გამოასალმებენ წუ-  
თისოფელს.

ალექსანდრე წულუკიძე რუსთაველის სიტყვებით აღნიშნავს, რომ „და-  
სრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისაო“. მაგრამ ეს შინაარსი შეუბ-  
ღალველი და უმწიკვლო ფაქტია ცხოვრების გულიდან ამოღებული. ვინ  
არის ივანე დავლაძე? აყენებს კითხვას წულუკიძე და იჭვე უპასუხებს —  
იგი არის „ნაშთი ძველი დიდებისა“. არსებობს თუ არა ასეთი ტიპი ცხოვ-  
რებასა და ლიტერატურაში? რომ ცხოვრებაში არსებობს, ეს არ შეიძლება  
საღაო იყოს, მაგრამ თუ იგი არსებობს ცხოვრებაში, ხოლო ლიტერატუ-  
რა წარმოადგენს ცხოვრების გამოხატვას, მაშინ მხატვრულ მწერლობასაც  
უნდა მოეცა იგი. რომ არაფერი ვსთქვათ გიორგი წერეთლის მიერ ოსტა-  
ტურად დახატულ იურემია წარბაზე, რომელიც „პირველ ნაბიჯში“ ასე  
ტიპურად წარმოგვიდგინა აეტორმა, წულუკიძე მიუთითებს რამდენიმე

მწერალზე და მათ მიერ მოცემულ ლიტერატურულ ტაბეზე. „წინაშე-  
ლის ტარიელი, დ. ერისთავის“) ნესტორი ამნაირათვე ცუდ-უბრალოთ,  
უარყოფს.

\*) წერილებში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ და „ვიკონტრუირებ“  
„წულუკიძე იხსენიებს ნაკლებად ცნობილ ქართველ პროზაიკოს დიმიტრი ერისთავს  
და მის მოთხოვნას „ვისი ბრალია?“. ეჩინაოდნ ეს მწერალი ფართოდ არ არის ცნობი-  
ლი ჩვენს ლიტერატურაში, ხოლო მის მოთხოვნა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის  
ბუნებრივად, ჩვენ თავს ნების მოცემით მოკლედ ვადმოვიცეთ ამ მოთხოვნის შენარჩუნს;  
მოთხოვნა პოეტ ი. გრიშაშვილმა მოგვამოდა.

დიმიტრი კონსტანტინესძე ერისთავის კალამს, ვარდა მოთხოვნისა „ვისი ბრალია?“,  
რომელიც „მომავალ“ 1894 წლის № 6 დაბეჭდა და 1911 წელს ცალკე წიგნად გამოი-  
ცა ქ. ოზურგეთში, გუბერნიის მოთხოვნა „ნაცთები“, აგრეთვე დღემთავრებული რომი-  
ნი და მთელი რიგი ნაშრომები მედიკონის სხვადასხვა საკითხებზე. დ. ერისთავი გარ-  
დაიცვალა 1925 წელს. მოთხოვნაში „ვისი ბრალია?“ ავტორი აგვიწერს ქვიანელი გლე-  
ხის დათქმა გორდელაძის ოჯახს. დათქმა მარჯვე და შრომისმოყვარე გლეხია. მან სი-  
წყლისა და სიბრძნის ოჯახი ისე კარგად მოაწყო, რომ მეზობლები განცვიფრებულნი არიან მისი  
მუსიკით. დათქმას ყვეს ლამაზი, ერთგული, შრომისმოყვარე ცოლი ნინო. ამავე  
სოფელში ცხოვრობს ვახტანგ უქმიანვილი. ის საშუალო შემოსების აზნაურია, აღზრდილი  
ბატონყმობის დროს. მას განათლება მერტ ბარვად მიანდა. თავისი ერთადერთი შვილი  
ნესტორი მამის ხელში აღზაბთ იმავე სკოლას გაივილიდა, რასაც მამამისი: ცხენოსნობა.  
თოფის სროლა, სიმახრე, მწვერარ-მეძებრები, კორ-მიწინო. ვახტანგის გონების საღაროს  
ავტორი ასე გვიხსნისათვის: „ვეფხვის ტყავისნი“ ჩამდენივე ალაგის შეპირად ცოდნა.  
საღამო წერილის ზოგიერთი ფაქტები და საარსებო შიშები, ზოგი საკუთარი და ზო-  
გიც განაგონ — იი, მივილი შენაახლი ვახტანგის გონებრივი საფუძვლის“ („ვისი ბრალია“,  
გვ. 26), სამი წლის იყო ნესტორი, როცა ძიძის მოაზრობის და სახლში მოიყვანეს, მამა-  
მისა პატარა ბავშვი სანადიროდ წიყვანა. ნადირობამ ნესტორზე წარსულელი შთაბე-  
ჭება დასტოვა. ყმაწვილის საშინლად შეუფერადა მამინო და მთელი დღეობით ვარს  
უტრიალბდა. ეს ძლიერ ახარებდა მამას, რომელიც სამაყობით ეუბნებოდა ბოლოც ცოლს:  
„უტრიალბდა ჩემი შვილი, — ნადირობა უყვარსო“. ათი წლის იყო ნესტორი, მაგრამ უკვე  
ახუთმეტისას გაედა. ამ დროს გარდაიცვალა მისი მამა. ბავშვი მხოლოდ იმას დარდობ-  
და, რომ „წინა წამიყვანს აწი სანადიროთ“. ბიძის პავლე უქმიანვილის რჩევით  
დედა თვლავდ დიდის ვივიანობით თანხმობა განსტობა, რომ ნესტორი სასწავლებ-  
ლად გაეგზავნა ქუთაისში. მაგრამ ბავშვი სასწავლებელშიც მხოლოდ ნადირობასა და  
ლეკაცობაზე ფიქრობდა, სწავლა, მეცნიერება მის არც გულს ეკარებოდა, არც გონებას.  
ზოგჯერ სოფლით ყმაწვილი სოფელში ჩამოდიოდა. ერთხელ სრულიად მოულოდნელად  
მოვიდა, ლამაზად გამოწყობილი. დედის კითხვაზე — „სწავლა გაათავე ნინა თუ?“, ნესტორი  
პასუხობდა: „— სწავლა, სწავლა, რაფერ გავათავებდი, რომ სული კილამ ამომხადის ისე  
უბნებდნ“. ამის შემდეგ ნესტორი სოფელში რჩება, უძმოზილიდება თავის ნათესავს  
ფარნა მავაშვილს, რომელიც სკოლიდან ასევე გამოგდებულია და უქმიან ატარებს დროს.  
თავს რაოთხს აზარტული თამაშით, ქეიფით, ეწევა გარდნულ ცხოვრებას. ნესტორი და  
ფარნა ხშირად ერთად ბეივობენ გაპრიელ როხაძის დუქანში. ისინი უკავშირდებიან  
სოფლის მწერალს ანტონ მელოძეს — განთქმულ გაიძვერას და გაპრიელ როხაძის უძირ-  
ველეს მეგობარს, რომელიც როხაძის ყველა ბნელ საქმეს აწყობს და გამოჩინავს  
სოფელგვარ საჩივრებს სწერს, ყალბ თამაშუქებს ადგენს, ჩისთვისაც კარგ ვასამრეცლოს  
უბუბულობს, ფარნა გარყვნილ ცხოვრებას ეწევა სოფელელ ქალ კესასთან. ახალგაზრდა  
ნესტორიც ცდილობს ასეთივე ურთიერთობა დამყაროს დათქმა გორდელაძის მეუღლე  
ნინოსთან. ავტორი აგვიწერს ნესტორის გატაცებას ვლუხის კალით და შემდეგ გვიჩვენ-  
ებს, თუ როგორ მიიწვიეს იგი ნათლიად გორდელაძის ოჯახში. ამ ნათლობით ნესტორი-  
მა ხშირი მომოსვლა გამართა გორდელაძეებთან. ნესტორი ცდილობს დიმიტრი-  
ნიო. წერილსაც უგზავნის, აქედანაც არაფერი გამოდის. ერთხელ, როცა მთერალი ნეს-  
ტორი მან ბრუნდებოდა, დაინახეს, რომ დაღამებხას ნინო ძროხას ეძებდა ტყეში. ის  
მივარდათა ქალს და ძალით ვაუბატიურებს. შეურაცხყოფილი ქმარი დათქმა გორდელა-  
ძე თოფით კვლავს გაპრიელა როხაძის დუქანში მყოფ ნესტორს. ამის გამო დათქმას  
კატორღაში ვაგზავნიან. ნესტორი უქმიანვილის სიყვდილით, დედასთან ერთად დიდ



უპრობო, უშინაარსოთ აბოლოგებენ თავის ხანმოკლე სიცოცხლეს, აბრძვიან მკლავ-ღონიერნი, მხოლოთ ყველგან და ყოველთვის მარცხდებიან. ნუთუ ეს უბრალო, შემთხვევით გამოწვეული დამარცხებანი არ არის. დრო, როცა ეს ადამიანები მოქმედებენ, მოითხოვენ ცხოვრების არა იმ საშუალებებს, რომლებსაც ისინი იყენებენ, არამედ სრულიად ახალ ღონისძიებებს. ჩაუქი, მკლავღონიერი ადამიანი თუ მთელ ცხოვრებას ფლობდა მხედრობის ეპოქაში, როცა სამშობლოს იცავდა თავად-აზნაურობა, ხოლო გლახობა წარმოადგენდა მის საკუთრებას, მისთვის შრომობდა, ახლა ქვეყანა გამოცვლილია და დაიანგებული ფარშმალი მარტოოდენ კედელზე ჰქვია. ბატონყმობის გადაფარდნის შემდეგ „ხშირათ გუშინდელი ბატონი იმის ყმა ეკონომიურათ, რომელსაც გუშინ თვითონ ბატონობდა. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, დღევანდელი ცხოვრების ხორც-მეტია. მას მხოლოთ სახელი შერჩენია, უშინაარსო, უპრობო, სახრავი მისი აღარ არის.“<sup>1)</sup> ვინდა განაგებს ცხოვრებას, ვინ ფლობს მის ღოვლათს და სიკეთეს? ის ადამიანი, რომელსაც უპოვია ახალი ცხოვრების უსაღებობი, იყენებს მას და იმარჯულებს მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ალექსანდრე წულუკიძემ ამ ანტაგონიზმის დასახსნადათებლად გამოიყენა ლალიონის მოთხრობის ის ადგილი, სადაც ბურჯუა ნიკო კალაძე და აზნაური ივანე დავლაძე ერთმანეთს ეკამათებიან, თუ ვინ არის ნამდვილი კაცი, ვინ არის პატივისცემის ღირსი. ნიკო კალაძე ამტკიცებს, რომ პატივისცემა ახლა მხოლოდ იმ ადამიანს აქვს, ვისაც ბევრი ფული გააჩნია, შეძლება მოეპოვება, ის განათლებულიც არის, კარგადაც იცვია და ახურავს, მტერს რიგინად დაუხვდება და მოყვარეს. „ერთი სიტყვით განათლებული ცხოვრება აქვს. ფული რომ არ ჰქონდეს, ამას ხომ ვერცერთს ვერ იზამს? ბევრი ეიცო მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქვთ თავი და მჭადი გენატრება.“

— აბა მე გეტყვი შენ, — დაიწყო ივანემ ათრთოლებული ხმით, — კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მთარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდე ოქროში რომ ჩასვა იმისთანა კაცი მაინც თავის ზნეს არ შეიშლის.“ — ამბობს ივანე დავლაძე. ეს შეხედულება სასაცილოდაც კი არ ყოფნის ბურჯუა ნიკო კალაძეს. მან იცის: „ყმა ხანია წავედა უწინდელი დროი, ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარჯა, ვისაც რამე გააჩნია: მართუაი აზნაურიმშვილობა სულ არაფერი არაა, იგი ტყულად არ თქვას ეინმე.“ ამ მეტად ტიპურ დიალოგს წულუკიძე ცალკე გამოყოფს, როგორც

შეხარებას ვანიცდის ვაბრიელ როზაძე, რომელსაც „ახლა კარგა შემომრგვალებული სამფლობელო აქვს და ფულთაიც ისე მდიდარია, რომ სოფლის დეჰანა აღარ დასჯერდა და სამი უწველებელი ჭეის მალაზია გამოჰიმა ჭლაქში, საზოგადოდ, ის ძალიან ცხუოფილია თავის ბედისა, და მხოლოდ ცოტაოდნად იმაზე აკლია გულს, რომ ნესტორ უქმიაშვილი ასე უდროოდ გამოასალმა ამ წუთი-სოფელს „გეგმა“ დათიკი ვიარდელატემ, და ამ მიზეზით ოთხიოდ ჰქცევა მერის მეტი ველარაფერი გამოსტინელა“ („ესი ბრალია?“, გვ. 157). ამით მთავრდება მოთხრობა. ავტორი ვარკვევით გვეუბნება, რომ ისეთი ადამიანები, როგორც მედუნე ვაბრიელ როზაძე, ეკონომიურად მძლავრდებიან, ისაკუთრებენ თავადებისა და აზნაურების მამულებს. ეს ისეთივე ტიპური სურათია, როგორც გვიჩვენა ვიარგეა წერეთელმა, ევგენი ნინოშვილმა, ლალიონმა და 90-იანი წლების სხვა პართიელმა მწერალმა.

<sup>1)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 14.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 15.

მოთხოვნის მთავარ შინაარსს და ახალი ცხოვრების ძირითად ნიშანს იგანესა და ნიკოს დილოვს ალექსანდრე წულუკიძე მეტად მახვილშენიშვნას უკეთებს:

„ხედავთ, როგორი ანტაგონიზმია ამ ორ ქართველთა შორის. ერთი წუხს ძველი დროის დაკარგვის, ცდილობს წარსული დაიბრუნოს, ეჯავრება ყველაფერი, რაც მის დიდებას უარპყოფს, ბრანშორეული ამტკიცებს: „ჩაცოთუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მთარჯუნებს და ვერც ვერაფერი“, არ უნდა გამოტყდეს ხმამაღლა, რომ ჩამომავლობა სულ არაფერია, თუმცა ყოველთვის და ყველგან გაბედული და შეუბოგარი სულ უღონობას, დამცირებასაც კი გრძნობდა“. წულუკიძე შენიშნავს, რომ „იგანესი და ნიკოს მორიგება შეუძლებელია, რადგან თვით ცხოვრებას გადაუმტკრებია ერთი მეორისათვის. ერთია ძველი, ფეოდალური დროის წარმომადგენელი, მეორე — ახალი, ფულის მეურნეობის ხანის შვილი; ერთია რაინდი, მეორე — წვრილფეხა ბურჟუა, რომელიც გასხვილფეხებას, გადიდებას აპირებს. ამ ორ ტიპთა შორის მოუერიგებელი ბრძოლაა გამართული“.

რა წარმოდგენს თანამედროვე ცხოვრების ზამბარას, რომელმაც ასე გადაჰკიდა ერთმანეთს ეს ორი აღამიანი? წულუკიძე მას ისე შესანიშნავად ახასიათებს, რომ ჩვენ მხოლოდ ვრცელი ამონაწერით დავამყოფილდებით. ეს ამონაწერი ამავე დროს არის როგორც საერთოდ, ისე საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარების ბრწყინვალე მარქსისტული დახასიათება:

„— უწინდელი ნატურალური მეურნეობა ფულის მეურნეობამ შეცვალა, — წერს წულუკიძე. — საჭირო საგნის შესაძენათ, არსებითი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად „ფული“ საჭირო. წინეთ, როდესაც მოთხოვნილება, კარნაკტილი ცხოვრების გამო, მეტათ მეორე, განსაზღვრული იყო, ყველა ოჯახშივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის საჭიროებას. არაფრისთვის გადაღმა გადასვლა არ სჭირდებოდათ. დღეს, რაკი ძველი, პატრიარქალური წეს-წყობილება გართულდა, ყველასფერს თითონ ვეღარ იმზადებდენ, გადაღმა გადასვლა აუცილებელია, ბაზარი საყოველთაო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი გახდა. ამ ხანაში ფულიც საჭირო ხდება, როგორც საყოველთაო საზომი საქონელი. „ლითონი“ ყველასათვის გამოსადეგი ნივთია, რადგან მით ყველაფრის შეძენა შეიძლება. ფული აუცილებელი ხდება იმ მეურნეობაში, სადაც საქონლის წარმოება დაიწყეს. იგი ყველასათვის ვერაია, ყველა მისკენ მიისწრაფის, ყველა მის მოპოებას ცდილობს, რომ ცხოვრება გაუჭირვებლათ გაატაროს. ამ სურვილს საზღვარი არა აქვს, იგი დღითიდღე მატულობს, მის დასაკმაყოფილებლათ ყოველნაირ საშუალებას იკონებენ. ზოგი ძალით ცდილობს ამას, ზოგი შრომით და ზოგი ხერხით, მოტყუებით. პირველს ეკუთვნის იგანე დავლაძე, მეორესს მწარმოებელი მუშა და მესამეს ნიკო კალაძე. უკანასკნელი თრი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების დვიძლი შვილია, მხოლოდ პირველი „ნაშთი ძველის დიდების“, საზოგადო ცხოვრების ნადიმზე შეუფერებელი, უცხო სტუმარია; ცხოვრებას მისთვის გაუსწრია ბევრათ წინ, ის ჯერ კიდევ ძველ საზღვარს ვერ გადმოცილებია და უნებურათ უნდა დაიეწყოს წარსული ბატონობა. დიწჯი სიარული სირბილათ უნდა შეცვალოს, თუ უნდა დღევანდელი ცხოვრების საზოგადო ფირხლში წაერა“.

ოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დღეები დათვლილია, მისი არსებობა მეტად ხანმოკლეა და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „სადაც შობილა, გაზრდილა“, იმ მხარეს სამუდამოთ უნდა გამოესალმოს.“<sup>1)</sup>

ქართულმა ლიტერატურამ შესანიშნავად ასახა ეს პროცესი. ასე გამოვსალმა ცხოვრებას ვიორჯი წერეთლის იერემია წარბა. ასე გაქპრა ეგნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე, ანასტასია ერისთავ-ნოშვილის მორიტი მაკინე, დ. ერისთავის ნესტორ უქშიაშვილი და ფარნა მაყაშვილი. ეს ადამიანები გარდასული დიდების ჩრდილში ნებივრობდნენ, არ ეძებდნენ ახალი ცხოვრების ახალ საშუალებებს, ისევ ძველს მისდევდნენ და ვერ ხედავდნენ, რომ ცხოვრება გამოიცვალა, მის ბერკეტად ფულის გადაძვევა საამისოდ საჭირო ხერხებს მოითხოვდა. ისინი კი ფულისათვის ქონებას ყიდდნენ, ავირავებდნენ, ან ძალმომრეობას მიმართავდნენ. ასე იქცევა ლალიონის გმირიც. და წულუკიძე შენიშნავს:

„ივანე, სანამ მამა-პაპეული ჰყოფნის, ადგილებს ჰყიდის და ფულს შოულობს, რომ მითი თვისი ფუქსავატი ცხოვრების მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, ზეიმი და ლხინი განაგრძოს, ქორ-მეძებრები შეიძინოს და სხვა. მხოლოთ, როდესაც მიმული ხელიდან ეცლება, ავზაყოების გარდა სხვა სალსარი აღარ რჩება ფულის საშოვნელათ. ის ამ საშუალებას მიმართავს, უკანასკნელ ცდასაც აღარ აკლებს, მაგრამ ამათი სხვის საკუთრების ძალადობით მოპოვება აკრძალულია. იგი ვერ ეწყობა თანამედროვე წესწყობილების მოთხოვნილებას და ცხოვრება მას ისტუმრებს.“<sup>2)</sup>

კაპიტალისტური სინამდვილე რთულია და მის ფონზე სულ სხვა ადამიანია ივანე დავლაძის ანტიოდი ნიკო კალაძე. იგი ახალი ცხოვრების შეილია, ამ ცხოვრების ყველა საიდუმლოების მცოდნე და ამ ცოდნას მოხერხებულადაც იყენებს. წულუკიძე ლალიონის მოთხოვნილების მაგალითზე სრულყოფილად წარმოგვიდგენს ამ ახალ ტიპს ცხოვრებაში. ნიკო „დიდი სიღინჯით ამტკიცებს თავის დიდ ვინაობას: „ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარჯა, ვისაც რამე გააჩნიაო“. თუმცა ნიკო ამას თავის საქებრათ, იგინეს წიშზე უპირატესობის დასამტკიცებლათ ამბობს, მაგრამ მის სიტყვებში თანამედროვე ცხოვრების ნამდვილი დედა-აზრია გამოთქმული. ის, რაც პუბლიცისტი-ეკონომისტებს მრავალი კვლევა-ძიებით დაუსაბუთებიათ, ნიკომ მოკლეთ და მარტივათ გამოთქვა. ამ სიტყვებშია მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების შინაარსი. წოდებრეცი დანაწილების უარყოფა, კარ-ჩაკეტილი, პატრიარქალური ცხოვრების საუკუნო მოსვენება და მის ნაცვლათ კლასიური დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა, საურთიერთშორის ვაჭრობა-მრეწველობის ფეხის შემოდგმა ჩვენს სამფლობელოში. იმ რა არის ჩვენი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების დედა-აზრი.“<sup>3)</sup>

ამ ეკონომიური ცხოვრების დედა-აზრს განასახიერებს ნიკო კალაძე მთელი თავისი საქმიანობით, შეხედულებებით, მორალით. ამ ეკონომიურმა ცხოვრებამ წარმოშვა იგი და უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეუძლიათ. ამიტომ ამბობს წულუკიძე: „რაკი საზოგადოებაში საქონლის წარმოება იწყება, ე. ი. ფულის მეურნეობა გამეფდება, ნიკოც აუცილებელი შუაპა-

<sup>1)</sup> ილ. წულუკიძე, „ახსოვნები“, გვ. 18.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 18 — 19.

<sup>3)</sup> ილ. წულუკიძე, „ახსოვნები“, გვ. 20.

გალია, მომხმარებლებსა (потребителს) და მსხვილ კაპიტალსა, სოფელსა და მეფაბრიკეს შორის. სოფელის ნაწარმოებს, შალს, ღირსის და სხვას, იაფად ყიდულობს, რადგან სოფელს არ ძალუძს პერფორირებული და პროცედებულემა იჭონიოს მეფაბრიკესთან; ჰყიდის ერთიანად ფულს იქენს, თავის კაპიტალს ამნაირი ოპერაციით სარგებელს გამოაღებინებს, ქარხნიდან საქონელს ბაზრის ფასით იბარებს, რადგან ნიკომ კარგად იცის როდის რა ღირს ეს და ეს საქონელი, მხოლოდ იმავე საქონელს ერთიორად ასაღებს, სოფელმა საქონლის ნამდვილი ფასი არ იცის, „მსოფლიო ბაზრის ფასების რყევის“ (колебание рыночных цен) მას არა გაეგება რა, გლუხს საქონელი ეკირება და ყიდულობს. აქაც ნიკო რჩება. აქაც მის კაპიტალს ემატება. თუ ბანკში ვისიმე გალატაკებული თავადის მამული იყიდება, ნიკო იქითკენ მიეშურება და დაუყოვნებლივ ახალ ქონებას იქენს“. ასე შეიძინეს ქონება ვიორგი წერეთლის ბაბუა ფულავამ თავად თავფეკილიძისაგან, პეტრიელამ—ბაქურაძისაგან, ეგნატე ნინოშვილის დაეთ დროიქემ, შიო არაგვისპირელის ისაკამ, დ. ერისთავის გაბრიელ როსაქემ. ძნელია აქ წარმოვადგინოთ მთელი გალერეა ამ ტიპებისა, რომლებიც ქართულმა მხატვრულმა პროზამ მოგვცა. ეს პროცესი რეალისტური სიმართლით აისახა ჩვენს ლიტერატურაში. ასევე რეალისტრად გადაიშალა მკითხველის წინაშე ბურჟუაზიის ამორალიზმი. თუ ლალიონის ნიკო ამპარტავანია, იმავე დროს იგი წარმოადგენს წვრილმანსა და ბილწ ანგარებას. ბაზარში იგი ფულით იმარჯვებს და ამ ფულითვე ცდილობს შოიპოვოს ის გრძნობა, რომელიც, როგორც წულუკიძე შენიშნავს, „მხოლოდ სულიერი გრძნობით, გონებრივი თანასწორობით, ზნეობრივი სიფაქიზით შეიძლება“ მოპოებულ იქნას. ნიკო ფულით შონსყიდის მაკრინეს, რომელიც დაეხმარება მას ოთახში ჩაჰკეტოს ნინო და დაიმორჩილოს. წულუკიძე ამ სცენის ანალიზის დროს იხსენიებს ანალოგიურ ეპიზოდს დ. ერისთავის მოთხრობიდან, ნესტორის მიერ დათიკას ცოლის გაუპატიურებას. ნინოს მამა მაქსიმე თანხმდება ყაზახ ტიმოთე კალაძის შვილს ცოლად გაატანოს თავისი ქალი, ვინაიდან მას ფული აქვს და ცხოვრებაც ბედნიერი ექნება. წულუკიძეს მოჰყავს ნინოს სიტყვები მამისადმი: „სა-ცოდავო ბაბა, გაგიჭირდა და მყიდი“. ნიკოსაგან მაქსიმემ 40 თუმანი შიძლო, ყველაფერს წიხლი ჰკრა, შეურაცხყოფასაც, ქალის სურვილსაც, ჯავრსაც—„ჩქეყანა რას იტყვის“ და ქალიშვილი ფულად გაჰყიდა. ამ სცენის გადმოცემის შემდეგ წულუკიძე გვაძლევს კაპიტალისტური სინამდვილის კლასიკურ დახასიათებას:

„თუ ვინ აღწინა ჩვენ სოფელს ზნეობის განათახსირებელი, ტრადიციების წამშლელი; ვინ დაიწყო მშობლური გრძნობის ეპკრობა, ვინ დაურღვია მას მშვიდი, მყუდრო ცხოვრება, ვინ წააკიდა შვილი მამას, ცოლი ქმარს და მეზობელი მეზობელს—ფულმა და მისმა პატრონმა ნიკომ, ნიკო აღარიბებს გლუხსა და აზნაურს, მერე თვითონვე ყიდულობს მამისაგან ქალს. ეკონომიურში ევოლუციამ დღეს მას მიანიჭა უფროსობა. დღემდე, თუ სოფლის ბატონი თავადი ანუ აზნაური იყო, დღეს მისი პატრონი, მბრძანებელი ნიკოა. რა რომ სოფელი ამნაირ ეკონომიურ ბადეში გაება, მისი წარსულისაგან დაბრუნება შეუძლებელიდაა, მან უნებურათ უნდა იაროს ამ გზით. ცხადია, რომ ამნაირი მდგომარეობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგია; საეპკრო კაპიტალი აუცილებლათ

ჩნდება იქ, სადაც საქონლის წარმოება ახალი დაწყებულია. „როცა უფრო ნაკლებათ არის განვითარებული წარმოებათ“, — ამბობს კარლ მარქსი, — „მით უფრო მეტი ფული გროვდება ვაჭრის ხელში“ (კ. მარქსი, *კაპიტალიზმი* ტ. 3, გვ. 260, რუს. გამ.). მაშასადამე, წარმოების განვითარების ზრდა ვაჭრის ასპარეზს უპატარავეს, რადგან მის ადგილს მსხვილი კაპიტალისტი იჭერს; მხოლოდ პირველი წინამორბედია მეორესი, ის გზას უკაფავს მეორეს დაახლოვებას, რასაკვირველია, დღევანდელ ცხოვრებაში, როდესაც ყველა ქვეყნებმა ერთმანეთში რკინიგზებით გადაბმულებმა, მსოფლიო ბაზრის საბმულში შეყვეს თავი და გაეერთიანებინა გზას და ადგენ. აი, რას ამბობს იგივე ავტორი ამის შესახებ: „მისი (ვაჭრული კაპიტალის) არსებობა და განვითარება, დანიშნულ დრომდე, ისტორიული პირობაა კაპიტალისტური წეს-წყობილების განსაკითხვებლათ, 1) როგორც ერთ ადგილს მეტი ფულის შეგროვების დასაწყისი ხანა და 2) რადგან კაპიტალისტური წეს-წყობილების დროს წარმოება სავაჭროთ ხდება, საქონელი ერთბაშით ბევრი უნდა გასაღდეს და არა თითო-თითო, მაშასადამე, ვაჭარიც საჭიროა; ის თავის საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ როდი ყიდულობს, არამედ ის ერთათ მიტომ ყიდულობს, რომ შემდეგ სხვა ბევრს მიჰყიდოს. მეორე მხრით, ვაჭრული კაპიტალის განვითარება ხელს უწყობს იმ ვარემოებას, რომ წარმოება თანდათან მხოლოდ საცელელ საქონელს აკეთებს, მისი მეოხებით უფრო და უფრო მეტი წარმოები საქონლათ ხდება.“<sup>1)</sup>

ასე რომად და მეცნიერულად განიხილა ალექსანდრე წულუკიძემ კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოში. ეს განხილვა მან მკიდროდ დაუკავშირა იდეოლოგიური რივის ზედნაშენების ანალიზს. მან პირველმა გვიჩვენა მარქსისტულ-ლენინური მეთოდის გამოყენება ქართული ლიტერატურის მასალებზე.

წერილის ბოლოს ალექსანდრე წულუკიძე მიუთითებს: „ეს მოსაზრებანი, ჩვენი ფიქრით, ნებას გვაძლევენ დაეასკენათ, რომ ნიკო კაპიტალისტური წეს-წყობილების მომასწავებელია, იგი ახალი დროის მერცხალია, რომელიც ასე მშვენიერათ დაბატა „ფირალი დავლამის“ ავტორმა.“<sup>2)</sup> ლალიონმა ვადაილო ის სურათი, რომელიც ცხოვრებაში ჰპოვა. წულუკიძე აქვე განსაზღვრავს მეცნიერული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ავიხსნას და გამოგვიჩვენოს მისი (ლიტერატურული ტიპის—გ. ჯ.) აწმყო, მოგვიხსნოს ამ ცნობილი ფრინველის თავგადასავალი სხვა ერებში, რომ მით საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის მსურველს შრომა გაუადვილოს, ნამდვილი მკურნალობა ასწავლოს“. ეს მითითება ძვირფას შენაძენად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურულ კრი-

<sup>1)</sup> ილ. წულუკიძე, „ოხზულებანი“, გვ. 22 — 23.

<sup>2)</sup> ეს შეხედულება სწრაფად დამკვიდრდა ლიტერატურაში, რისაც მოწმობს ილ. ხახანაშვილის შემდეგი სიტყვები: „მოთხრობამ „ფირალი დავლამე“, რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში“, სახელი მოუპოვა ავტორს და მეთხველის უტრადღებდა მიიპყრო. მოთხრობას გმირი აღიარებულ იქნა კაპიტალისტურის წეს-წყობილების წინამორბედად („ეკალი“, 1898 წ.).“ (ილ. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ტ. II, გვ. 264). ექვს გარეშე, რომ ხახანაშვილი აქ გულისხმობს ალექსანდრე წულუკიძის წერილს ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, რომელიც „ეკალის“ 1898 წლის № 44, 45 და 46 ნომერში დაიბეჭდა.

ტიკაში, ვინაიდან იგი აფართოებს კრიტიკოსის მოქმედების სფეროს, არ სჯერდება ფაქტის მართოდენ აწმყოს ანალიზს, მოითხოვს მის ყოველმხრივ, ფართო განხილვას სხვა ერების მაგალითზეც. წულუაძემ მარტო ამ დებულების წამოყენებით ამქადაგებს თავის თავს, როგორც: „ცხოვრებულნი, ფართო დიაპაზონის მქონე ადამიანი, როგორც დიდი მასშტაბის მოაზროვნე, რომლისთვისაც ხელოვნება და მისი თეორია ისევე გრცელი ასპარეზია, როგორც პოლიტიკა, ფილოსოფია და ეკონომიური მეცნიერებანი.

## IV

ალექსანდრე წულუაძემ კლასიკურად განმარტა, თუ რა საზოგადოებრივ ეკონომიურ პირობებს შეეძლოთ გამოეწვიათ ლიტერატურაში მოთხრობა „ფირალი დავლადე“. ასეთი მხატვრული ნაწარმოები ვერ შეიქმნებოდა რომანტიზმის ეპოქაში, მას თავისი წყარო შეეძლო ეპოქა მხოლოდ ფულადი მეურნეობის დროს, კაპიტალისტურ სინამდვილეში. აქედან გამომდინარეობს სავსებით სწორი ლოგიკური დასკვნა, რომ ხელოვნება, ლიტერატურა საზოგადოებრივი ცხოვრების გამომატველია, მას ემსახურება და გავლენას ახდენს გარკვეული მიმართულებით. ეს იგივეა, რასაც მარქსი სწერდა შესავალში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“:  
 „ხელოვნების საგანი, — აგრეთვე ყოველგვარი სხვა პროდუქტი, — ჰქმნის საზოგადოებას, რომელსაც ესმის ხელოვნება და უნარი იქვს დასტუმესი-ლადაზით. წარმოება ჰქმნის ამიტომ არამარტო საგანს სუბიექტისათვის, არამედ სუბიექტსაც ამ საგნისათვის“. წულუაძეს ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ იდეოლოგიური ზედნაშენების, როგორცაა პოლიტიკა, უფლება, ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება, განვითარება და ფუძნებულია ეკონომიურზე, მაგრამ ყველა ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ეკონომიურ საფუძველზედაც. ეს თავიდან ბოლომდე სჩანს წულუაძის წერილებში — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ და „მოითხველის შენიშვნები“. მას, როგორც მარქსისტ-ლენინელს, დიდი სტალინის თანამებრძოლს საზოგადოებრივი განვითარების კანონების შემეცნების ერთადერთ მეცნიერულ მეთოდად მიანდა ისტორიული მატერიალიზმი, რომელმაც „მრავალი ფაქტორები ისტორიული პროცესისა უარჰყო და აღიარა ერთი ფაქტორი — საზოგადოების ეკონომიური შენობა. „ეს სრულიად არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთ ჩვენ უფიც პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას“. 1) ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რა ღრმად და სწორად ესმოდა ალექსანდრე წულუაძეს ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკური ურთიერთმიმართება, თუ რა ისტატურად აკრიტიკებდა იგი ვულგარულ სოციალოგებს, მარქსიზმის ფალსიფიკატორებს. წულუაძეს ბოლომდე ღრმად ჰქონდა შეგნებული ის, რასაც ენგელსი 1894 წლის 25 იანვარს სწერდა შტანკენბურგს: 2) „საქმე სრულიადაც არ არის ისე, რომ თითქოს მხოლოდ

1) ილ. წულუაძე — „თხზულებანი“, გვ. 30, „საუბარი მოითხველთან“, ხაზი ჩვენი. — გ. 2.

2) იბ. ფრ. ენგელსის წერილი შტანკენბურგისადმი 1894 წლის 25 იანვრის თარიღით.

ეკონომიური მდგომარეობა წარმოადგენდეს ერთადერთ ამტკიურ მიზეზს, ხოლო დანარჩენი წარმოადგენდეს მხოლოდ მასიურ ფაქტორებს. არა, აქ ურთიერთმოქმედებაა ეკონომიური აუცილებლობის საკუთრებაზე, რომელიც ბოლოსდაბოლოს გამოვლინდება ქვეყნისაკითხს ენგელსი უფრო ადრე შეეხო იოსებ ბლოხისადმი წერილში. 1899 წლის 21 სექტემბერს ენგელსი წერდა ბლოხს: „მარქსი და მე ვიყავით ნაწილობრივ დამნაშავენი იმაში, რომ ახალგაზრდები (მარქსისტები) ზოგჯერ აძლევდნენ მეტ მნიშვნელობას ეკონომიურ მხარეს, ვიდრე ეს საჭიროა. ჩვენ გვიხდებოდა, ვეკამათებოდით რა ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ხაზი გავგესვა მთავარი პრინციპისათვის, რომელსაც ისინი უარყოფდნენ, და ყოველთვის ვერ ვაძულებდით საკმაო დროს, ადგილს და საშუალებებს სათანადო მიგვეზღო დანარჩენი მომენტებისთვისაც, რომლებიც მონაწილეობენ ურთიერთმოქმედებაში.“<sup>1)</sup>

ალექსანდრე წულუკიძე ბოლომდე თანმიმდევარი მარქსისტი-ლენინელია და ასეთად გვევლინება იგი ლიტერატურულ კრიტიკაშიც. მისი ესთეტიკური იდეალები ემყარებიან მეცნიერულ მოძღვრებას საზოგადოების, ბუნების, აზროვნების განვითარებაზე, ეკონომიური ბაზისისა და იდეოლოგიური ზედნაშენების დიალექტიკური ურთიერთმოქმედების სწორ შემეცნებას, ხელოვნებისა და ლიტერატურის არსობის, მისი ფუნქციის მოწინავე, პროგრესიულ გაგებას. ერთერთ წერილში წულუკიძემ მიუთითა, რომ ახალგაზრდობაში იგი განსაკუთრებით გატაცებული იყო „მესამოცე წლების იდეალებით.“<sup>2)</sup> ამ იდეალებმა დაამკვიდრეს ლიტერატურაში ხელოვნების ცოცხალი, აქტიური, პროგრესიული გაგება. ეს იყო მარქსისტული ესთეტიკის წინამორბედი მთელს რუსულ ლიტერატურაში, მისი წინააღმდეგე. ამ ნაყოფიერ ნიადაგზე აღზრდილ წულუკიძეს, შემდეგში მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ღრმად მცოდნეს, მის მიმდევარს, შეეძლო არამარტო სწორად, მეცნიერული სიღრმით ჩასწვდომოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის არსობას, თეორიას არამედ ასევე ბრწყინვალედაც გაეკაფა გზა ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის. ამიტომ შეეძლო მას თავიდანვე სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა დოგმატიური ანუ მეტაფიზიკური ლიტერატურული კრიტიკისათვის, რომელიც არ სცნობს ლიტერატურის განვითარებას და ხელმძღვანელობს მზამზარეულად მოცემული დოგმებით. წულუკიძე დიდი მეცნიერული ერთდროიანად ამტკიცებდა, რომ „ყოველი თვალ-საჩინო სოციალური ცვლილება თავის ელფერს ღებს გონებრივ მოძრაობას, რის გამო ლიტერატურაც ფერს იცვლის, ახალ მიმართულებას ადგეა. რა თქმა უნდა, წარსული წეს-წყობილების სოციალური ფსიქოლოგია უფრო დღეგრძელია თავის მშობელზე და ამიტომ მწერლობაც რამდენიმე ხანი აშფისიზოლოგის გაელენის კერეში იმყოფება, სანამ ახალი საზოგადოებრივი განწყობილება სრულიად თვალ-საჩინო ახალ სოციალურ სფერას არ შექმნის.“<sup>3)</sup> ამ სიტყვებში დიდი ისტორიული კვება-

<sup>1)</sup> ე. მარქსი და ე. ენგელსი „ხელოვნების შესახებ“, გვ. 16 (რუს. გამოც.).

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>3)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 279.

<sup>4)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 28. წერილი „საუბარი მკობელონი“. ხაზი ზემოთ — გ. ჯ.

რიტებაა გამოთქმული, ეს არის კლასიკური დებულება, რომელიც მეცნიერულად განგვიმარტავს გარდამავალი პერიოდების ხელოვნების რაობას, იმ რთულ სოციალურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ პირობებში, რომლებშიც ყოველთვის ბრძოლით, შეჯახებით, ზოგჯერ დიდძალ ტყუაყალბებით იბადება ახალი ხელოვნება. მოიგონეთ ლენინის კლასიკური ფორმულები ახალი თეატრის შექმნისათვის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მოიგონეთ ხელოვნების ისტორია და ეს დებულება თქვენს წინაშე მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოსდგება.

„მწერლობა სარკეა ცხოვრების. განვითარებული, რთული საზოგადოებრივი განწყობილება უფრო განვითარებულ რთულ ცოდნას და შეგნებას მოითხოვს, და თავისი ხანგრძლივი ვითარების განმავლობაში კიდევ შექმნის, აღზრდის გონებრივით საღ, განვითარებულ იდეოლოგიას.“<sup>1)</sup> ეს არის მთელი ხელოვნების ისტორიის მოკლე, ლაკონიური, მაგრამ მეცნიერული დახასიათება. „მწერლობა სარკეა ცხოვრების“. ასე განმარტავენ ლიტერატურის რაობას მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი. თავის კლასიკურ წერილებში ლევ ტოლსტოის შესახებ ლენინმა დიდი რუსი მწერალი დაახასიათა, როგორც „რუსეთის რევოლუციის სარკე“. მან პირველმა გენიალურად ახსნა ტოლსტოის ტრაგედია, პირველმა გვიჩვენა, რომ „ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებებში წინააღმდეგობანი შემთხვევითობა კი არ არის, არამედ ესაა გამოხატულება იმ ურთიერთსაწინააღმდეგო პირობებისა, რომელშიც ჩაყენებული იყო რუსეთის ცხოვრება მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში“.

ასეთივე წინააღმდეგობანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსახა ვასილ სუჟკუნის 90-იანი წლების ჭარბულმა მხატვრულმა პროზამ. მასვე განეკუთვნება დავით კლდიაშვილის მოთხრობები, რომლებიც წულუკიძემ ლალიონის მოთხრობის მსგავსად ღრმად განიხილა. დავით კლდიაშვილს წულუკიძემ სამართლიანად უწოდა „ყოფაცხოვრების ნიჭიერი მწერალი“. სტალია „მკითხველის შენიშვნები“, დაბეჭდილი პირველად რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ 1900 წელს, მრავალ საგულისხმო საკითხს აყენებს. შესავალში ავტორი კვლავ აკრიტიკებს 90-იანი წლების ლიტერატურაზე კ. აბაშიძისა და არ. ჯორჯაძის ყალბ შეხედულებებს და ამტკიცებს, რომ არ არის მართალი, თითქოს „ჩვენი ბელეტრისტიკა დაწერილმანდა, დაჰკარგა თავისი ძალა; ჩვენმა მესამოცეწლიანელებმა თითქოს დამთავრეს მხატვრული ლიტერატურის განვითარება და რომ ჩვენ ვეღარ დავიბრუნებთ უკვე იმ ძველ კარგ დროს, რომ ჩვენ თითქოს განწირული ვართ ვიკითხოთ უშინაარსო, უგვიანო, ზოგჯერ მავნე მოთხრობები—ერთი სიტყვით, ემჩნევა გაუარესება, რეგრესი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.“<sup>2)</sup> ეს დებულება წულუკიძეს მიანიჩა თავიდან ბოლომდე ყალბ შეხედულებადა. ის უპასუხებს კითხვაზე, თუ რა მოეთხოვება მწერალს, ლიტერატურას. ხოლო თუ მოთხოვნა ვამართლებულია, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი მწერლობის დაკნინებაზე, მის დაქვეითებაზე, როგორც ამას ცრუ პათეტიური ტონით, საგნის შეუსწავლელად ამტკიცებდენ ზოგიერთი ლიტერატო-

<sup>1)</sup> იქვე, გვ. 29, ხაზი ჩემია.— ვ. ვ.

<sup>2)</sup> ალ. წულუკიძე, „ობზრენიანი“, გვ. 71.



რები. ბელეტრისტს მოეთხოვება „მხოლოდ სინამდვილის სწორად გამოხატვა ცოცხალ, მხატვრულ ფორმად“, — ამბობს წულუკიძე. ასეთ გამოხატვას წარმოადგენს ეგნატე ნენეშვილის ცხოვრებიდან ამოკრეფილი მოთხრობები „ჩვენი ქვეყნის, ჩვენს ქვეყნსეში“<sup>1)</sup>, „სიმონა“, „გოგია უიშვილი“, ლალიონის „ფირალი დავლაძე“. დიმიტრი ერისთავის „ვისი ბრალია?“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც წულუკიძის აზრით „ბრწყინვალე ფსიქოლოგიური გამოხატულებაა ჩვენი მარტივი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობისა სოფლად“.<sup>2)</sup>

წერილში „მკითხველის შენიშვნები“ ალექსანდრე წულუკიძე ვრცლად განიხილავს დავით კლდიაშვილის „უკანასკნელ ნაწარმოებს“, „ქამუშაძის გაქირვებას“, რომლის წაკითხვა მას მიაჩნია „სასიამოვნო და სასარგებლო“ საქმედ, არა იმიტომ, რომ „დასტკბებ სტილის სილამაზით ან პოეტური შედარებებით გაამახვილო შენი გონება, — არა თუ თქვენ, მკითხველო, გაინტერესებთ არა იმდენად პოეზიით, რამდენადაც ცხოვრებით, თუ თქვენ გულის ფანქვალთ ადევნებთ თვალყურს ხალხის მატერიალურ და სულიერ განვითარებას, თქვენ ბევრ საინტერესოს იპოვით თქვენთვის „ქამუშაძის გაქირვებაში“.<sup>3)</sup>

ნინოშვილისა და ლალიონის ტიპებისაგან განსხვავებით წულუკიძე დავით კლდიაშვილის მოთხრობის მთავარ გმირს ოტია ქამუშაძეს ახასიათებს როგორც სრულიად ახალ, განსხვავებულ მოვლენას. ოტიაც აზნაურია, მაგრამ ტარულ მკლავაძისა და ივანე დავლაძის მკლავის ღონეს კი არ მისდევს, არამედ შრომით ცდილობს არსებობას. ის ღარიბი და გაქირვებულ მდგომარეობაში ჩაეარდნილი ადამიანია. რაინდული წინაპრების ამჟამი შთამომავლიდან იგი გადაიქცა უბრალო მიწის მუშად, რომლის შრომა არ ნაზღაურდება. ოტია ცდილობს თავისი ოჯახის მდგომარეობა გამოასწოროს ცოლის შერთვით. იგი ცოლად ირთავს ქალაქელ ქალიშვილს სონიას. სოფლად მათი ცხოვრება აუტანელი ხდება. ამას უფრო მწვავედ განიცდის ქალაქელი ქალი, რომელიც თავის ქმარს ეუბნება: „ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... ამდენი ხანია გიცდი... ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას...“ დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ოტია ქამუშაძე სტოვეებს თავის მამა-პაპის ადგილს. გაიზინება ქალაქში და სახლდება გარეუბანში, სადაც მასზე აღრე სხვები უკვე დასახლებულან. ავტორი მოთხრობის დასასრულს აღნიშნავს: „ჯერ კიდევ ვერ მოეწყვენ, მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლ-ქმარს, რომ მოკლე ხანში იმ ახალ ნიდაგზე სოფლისაზე უკეთესად წაიყვანენ საქმეს“.<sup>4)</sup>

ავტორის ამ სიტყვებს ალექსანდრე წულუკიძე საესებით სამართლიანად არ ეთანხმება და შენიშნავს, რომ მისი „გადაკრული სიტყვები დამაჯერებლად არ გვეჩვენება. იქნებ ავტორი ფიქრობს მათი ცხოვრება უზრუნ-

<sup>1)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 72. ხაზი ჩემია. — გ. ჯ.

<sup>2)</sup> იქვე. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წულუკიძის წერილს დავით კლდიაშვილის შემოკლებითი ზრდასთვის, გვიჩვენებს ქართველი სერვანტისის ცნობილი „მემუარები“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ნოვოე ობოზრენიეში“ საშა წულუკიძის წერილმა იგი პირდაპირ წააქეზა და გაიწვია საბუშაოდ (იხ. დ. კლდიაშვილი, ტ. II, 1935 წ., გვ. 347). ხაზი ჩემია. — გ. ჯ.

<sup>3)</sup> დ. კლდიაშვილი, „მოთხრობები“, ტ. I, 1933 წ., გვ. 329.

ველყოფილად და ბედნიერად მოაწყოს? არა გვეგონია. იგი ხომ სინამდვილეს გვიხატავს, სინამდვილეში კი ეს არ ხდება.<sup>1)</sup>

კაპიტალიზმში, რომელიც სოფელში შეიქმრა, მრავალი ადამიანი აპყარათავისი მიწა-წყლიდან და ქალაქში გახიზნა. ეს პროცესი სანდროს კანონი აღმოჩნდა ყველა ქვეყნისა, სადაც კაპიტალიზმი განვითარდა. მსაგებნი მე-19 საუკუნის საუკეთესო ინგლისური რომანები. უფრო ადრე ტომას მორმა, უკვდავი „უტოპიის“ ავტორმა, შესანიშნავად გამოხატა, თუ როგორ შთანთქმეს ცხვრებმა ადამიანები, როცა წინანდელ სამოსახლო ადგილებზე მრეწველობისათვის საჭირო მატყლის მომცემი პირუტყვების საძოვრები გაშენდა. მოიგონეთ ფრანგი მწერლის ალფონს დოდეს რომანები, განსაკუთრებით „პატარა მამაკაცი“, სადაც ავტორმა შესანიშნავად გვიჩვენა ქალაქში ჩამოსული ოჯახის, თუნდაც დანიელის ტრაგედია. რუსულს ლიტერატურაში ამ საკითხს ცნობილმა მწერალმა ფეოდორ რეშეტნიკოვმა სპეციალური რომანი მიუძღვნა სათაურით „Где лучше?“, ამ რომანში მან ასახა სოფლად დაბრუნებული ადამიანები თუ როგორ უყენებენ თავის თავს კითხვას: „სად არის უკეთესი?“ მათ ჰგონიათ, რომ უკეთესია ცხოვრება ქალაქად. მიდიან ამ უკეთესის საძიებლად, მაგრამ ქალაქშიაც აუტანელ მდგომარეობაში ვარდებიან და კითხვაზე, თუ სად არის უკეთესი?—ასეთ პასუხს პოულობენ: „ალბათ იმ ქვეყანადაა უკეთესი“. რეშეტნიკოვის ეს რომანი ვრცლად განიხილა ცნობილმა ლიტერატურულმა კრიტიკოსმა პეტრე ტაჩოვმა, რომელმაც ამავე რომანის სუჟეტის მიხედვით თავის კრიტიკულ წერილს ასეთი სათაური მისცა „Разбитые иллюзии“. მართლაც დამსხვრეული ილუზია იყო კაპიტალისტური ექსპლოატაციის, ძარცვა-გლეჯისა და გაყვლეფის პირობებში სოფლიდან ქალაქში წასვლა უკეთესი ცხოვრების საძიებლად. წულუკიძემ ეს ბრწყინვალედ იცოდა. მას ჰქონდა ზუსტი მეცნიერული ცოდნა საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ და ამიტომ არ შეეძლო შენიშვნა არ გაეკეთებინა „ქაშუშაძის გაქირვების“ ავტორისათვის „გადაკრული სიტყვების“ გამო.

რეფორმის შემდეგდროინდელ სინამდვილეში ჩვენ არსებითად ფეოდალური არისტოკრატის სამი ძირითადი ტიპი მოგვცა ცხოვრებამ და ლიტერატურამაც ეს ტიპები გამოხატა. წულუკიძეს ამ სამ ძირითად ტიპად მიაჩნია: ეგნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე, არსენ მამულაიშვილის ივანე დავლაძე და დავით კლდიაშვილის ოტია ქაშუშაძე.

„პირველი—ქართველი მეომრის სუსტი ნაშვირია, რომელიც მთელ თავის ენერჯიას ღვინოსა და ჩხუბში ანიავებს; ბრძოლისთვის მას აქვს ხანჯალი და პერკულესის მკლავები; ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ქედს იხრიდეს მის წინაშე, როგორც დიდი წინაპრის შთამომავლის წინაშე; პიროვნების გაქვლევა მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი „არწივისებური ფრთები“ გაშალოს, ესაა მისი სიამოვნება და თვითონვე ამ სიამოვნების მსხვერპლი ხდება, როცა სუსტი, მაგრამ თავმოყვარე, მის მიერ უსამართლოდ შეურაცხყოფილი სოფლის მასწავლებელი სპირიდონ მცირიშვილი რევოლუციურიდან გასროლილი ტყვიით პკლავს მას. მეორე—დავლაძე, მისი ორეულია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თავისი წოდებრივი უპირატესობის შესანარჩუნებლად „ვაკრის შვილთან“ ბრძოლაში იგი მიმართავს

<sup>1)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 75.  
7. „მნათობი“, № 10.

სხვა საშუალებას — ფულს. მაგრამ როგორ იშვოვოს ის? შრომა მას არ „შეშენის“ და აი მან გადასწყვიტა ძველი იარაღით—ხანჯლით და ძალით—მოიპოვოს ახალი იარაღი—ფული. იგი ეწევა ყანალოვნობას, ყანალოვნობა არ იბმენს განვითარების პროცესში მყოფი სამთავროვნო საზოგადოება და მისი გზა ციმბირისკენაა.

ოტია ქაშუშაძემ ფაქტურად უარი სთქვა თავის წოდებრივ პრივილეგიებზე, მას შრომით სურს წაართვას ბუნებას საარსებო საშუალებანი, მაგრამ „შიშშილისაგან“ დევნილი ვარბის ქალაქში. უკანასკნელი ტიპი უფრო სიცოცხლუნარიანია და მისი ცხოვრება ზდება სერიოზული დაკვირვებისა და კვლევის საგნად.“<sup>1)</sup>

ალექსანდრე წულუკიძე ღრმად ჩასწვდა დავით კლდიაშვილის შემოქმედებას, მისი მხატვრული ოსტატობის სპეციფიკას და ყველა შეზღუდულობა, რომელიც ამ ნიჭიერი მწერლის შესახებ გამოსთქვა, მომავალში მთლიანად გაამართლა. საყვებით სწორი იყო მითითება, რომ „დ. კლდიაშვილი სოფლური ცხოვრების კარგი მცოდნეა და ყველა მისი მოთხრობები ამ სფეროდან მახვილი დაკვირვებებით ბრწყინავენ“, რომ „თავის უკანასკნელ ნაწარმოებში ავტორი არ დაკმაყოფილდა ამ ამოცანით და ქალაქის ცხოვრების კონტური მოხაზა“, რომ შესაშვ ტიპი უფრო სიცოცხლისუნარიანია, და იგი სერიოზული კვლევის საგანი ზდება.

ლიტერატურას ალექსანდრე წულუკიძე უტყუროდა არამართო, როგორც ცხოვრების ასახვას, სინამდვილეზე შემოქმედების საშუალებას, არამედ ბრძოლის იარაღს. თავის წიგნში „ოცნება და სინამდვილე“ ანუ „კრიტიკული შენიშვნებ“ ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის“ გამო“, რომელიც 1903 წელს გამოვიდა, მან „გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ბელადის—არჩილ ჯორჯაძისა და ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა“ ზელადის—ნოე ჟორდანიას „საერთო ნიადაგის თეორია“... დასაბუთა, რომ ენა კლასების და პარტიების „საერთო მოქმედების ნიადაგს“ კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ჯორჯაძე ამტკიცებდა, არამედ კლასობრივი ბრძოლის იარაღს“<sup>2)</sup>.

წულუკიძემ ბრწყინვალედ დაასაბუთა, რომ ენა არის სულიერი ურთიერთობის იარაღი, რომელსაც მოხმარება ეჭირება და წარმართვა უნდა. ენა არის კლასობრივი ბრძოლის იარაღი. მას შემდეგ, რაც საზოგადოება ჯგუფებად დაიყო და ამ ჯგუფთა შეტაკება გახდა ისტორიის შინაარსი, მათი ცხოვრების ძარღვი, ცხოვრების ამ იარაღსაც—ენას, რომელიც ამ ჯგუფების სოციალური ურთიერთობის სულიერი მხარის გამოიმტკიცელია, თავისებურად ხმარობდა თვითთელი საზოგადოებრივი ჯგუფი და იმარჯვებდა თავისი ინტერესების დასაცავად. და თუ ლიტერატურას ენის გარეშე არსებობა არ შეუძლია, ენა წარმოადგენს მის არსებობაში საშუალებას, იარაღს, მაშინ ბუნებრივია, რომ ლიტერატურაც, ხელოვნებაც არის ისეთივე კლასობრივი ბრძოლის საშუალება, როგორც თვით ენა. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ალექსანდრე წულუკიძე საყვებით იცავს მარქსისტულ-

<sup>1)</sup> ილ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 74.

<sup>2)</sup> ლ. ბერიი, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 34.

ლენინურ თეზისს—ლიტერატურა კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივ მოვლენაა.

ხელოვნების კლასობრივობის პრინციპით მიუდგა ეს ღრმად განათლებული მარქსისტი ლიტერატურული საკითხების ანალიზს კლასობრივ განავითარა მან ცნობილი საზოგადო მოღვაწის და მწერლის გიორგი წერეთლის შესახებაც. „ლია წერილში ბ-ნ გიორგი წერეთელს“ წულუკიძემ გამოაშკარადა „პირველი ნაბიჯის“ ავტორის ბურჟუაზიული იდეოლოგია, დაამტკიცა რომ სტატიაში „ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები“ გატარებულია აშკარად ბურჟუაზიული კლასობრივი იდეოლოგია. მეტად მახვილი და სავსებით სწორი შენიშვნით თავდება წერალი. წულუკიძე უსაყვედურებს გიორგი წერეთელს: „მიიხარით როგორ მოვითავსოთ ერთად: ერთას მხრით, ცნობილი მეცნიერის (ე. ი. კარლ მარქსის— გ. ჯ.) სწავლა კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახაეთ და, მეორე მხრით, თქვენივე მფარველობითი კილო, „ახლათ აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველის კლასის“ შესახებ?“<sup>1)</sup> ეს იყო სავსებით სწორი და ამასთან გიორგი წერეთლის იდეოლოგიის მთელი სახის გამოაშკარაება.

ლიტერატურაში კლასობრივი პრინციპი, რაც ლენინმა მოითხოვა 1905 წელს დაწერილ ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, სავსებით დაიცვა, გაატარა და განავითარა ალექსანდრე წულუკიძემ „სრული და მთლიანი ფორმით“. იგი იბრძოდა იმისათვის, რომ ლიტერატურული საქმე საქართველოშიც ნამდვილად გადაეყვანა საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართული მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას, ერთ-ერთმა პირველმა დანერგა მისი ძირითადი პრინციპები, ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა მისი კლასიკური ნიმუშები. ალექსანდრე წულუკიძე ლიტერატურულ კრიტიკაშიც ისევე თანმიმდევარი და ღრმად განათლებული მარქსისტი დარჩა, როგორც პოლიტიკური ეკონომიის მკვლევარი, მებრძოლი რევოლუციონერი, კაცობრიობის ბედნიერ მომავლისათვის თავდადებული ადამიანი, რომელიც კომუნისტების სამსხვერპლოზე უშიშარ რაინდად დაიფრულა.

<sup>1)</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, გვ. 27.

## ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და მარჯორი უორდროვი

მე-19 საუკუნეში საზღვარგარეთ საქართველოს ნაკლებად იცნობდნენ და ბევრს მის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სულ სამი-ოთხი კაცის მეოხებით გაიცნეს ევროპელებმა ჩვენი მხატვრული ძეგლები, როგორც ხელოვნების ნაწარმოებნი და ამ გზით შეიქმნენ საუკეთესო მეგობრები საქართველოსი და ქართველი ერისა. ამით ევროპელ მკითხველს საშუალება მიეცა გაეცნო დიდ ქართველ მწერალთა თხზულებანი და დაინტერესებულიყო მათი სამშობლოს დიდებული წარსულით. ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი ევროპელთაგანნი, რომელსაც უდიდესი დეაწლი მიუძღვის ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხის წინაშე, არის მარჯორი სკოტ უორდროვის ასული. მარჯორი სკოტ უორდროვამა შესისწავლა ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია, არამც თუ შესისწავლა, არამედ გაიმსჭვალა უადრესი სიყვარულით ქართველი ხალხისა და ქვეყნისადმი. მარჯორის ბუეითი შრომის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ინგლისის საზოგადოება გაეცნო საქართველოს ზოგიერთ ლიტერატურულ ძეგლს და მის ისტორიას.

ქართული მწერლობისა და მისი თარგმნების შესახებ მაშინ მრავალი აზრი გამოითქვა ინგლისურ და ამერიკულ პრესაში.. ქვემოთ მოგვყავს ციტატა, რომელიც დართული აქვს „ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების“ ჟურნალში მოთავსებულ წერილს. (1900 წ. № 562 და 566).

„ეს ქვეყანა (ესე იგი საქართველო) კი უტურჯესი კუთხეა დედამიწაზე... მცხოვრებნი ახოვანნი არიან; ერი ღირსია თვისის ქვეყნისა... ყველაზე უმესანიშნავესი, აწინდელი დროის პოეტთაგანი თავადი ილია ჭავჭავაძეა... ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, თარგმნილია რუსულად და აგრეთვე ინგლისურადაც, რომელიც გადმოიღო მარჯორი უორდროვამა... შეიძლება დადგეს დრო, როდესაც ინგლისში უფრო მეტს ყურადღებას მიიპყრობენ ამ შესანიშნავ ერს, ბედნიერს, თავისუფლების მოყვარულს, რომელმაც მრავალი საუკუნე იბრძოლა თავის მთავორებს შორის, და ამაყობს თავისი ნაადრევი ქრისტიანობით, რომელიც მიიღო მე-IV საუკუნეში ქრისტეს შემდეგ“. ჟურნალი „Atheneum“ (ივ. 1915 წლის 3.515 №-ი) სწერს: „რასაკვირველია ყველას ადვილად დაატყვევებს და მოჰხიბლავს მშვენიერი ქვეყანა თავისი დიდებულის ადგილ-მდებარეობითა და მამაცი მცხოვრებლებით, თავის ლეგენდათა და გადმოცემათა განუსაზღვრელი სიმდიდრით“.

— 3 —

ვიდრე მარჯორი უორდროვის ქართულ თარგმნებზე მუშაობის დახასიათებას შევეუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ შევეხოთ მის ბიოგრაფიას. მ. უორდროვი დაიბადა ლონდონში 1869 წლის 26 ნოემბერს და გარდაიცვალა ქალაქ ბუქარესტში 1909 წლის 7 დეკემბერს. დაკრძალული იქნა ბელმონტ-

ში, სევენოუკში, ინგლისში. საქართველომ დაჰკარგა ღრმად მოსიყვარულე და ერთგული მეგობარი, რომელიც სიცოცხლობდა საქართველოს სინბრუნ-ლით და კეთილდღეობით.

მარჯორი უორდრობს სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე უკვე წყვეტილი მუშაობა საქართველოს ლიტერატურისა და ისტორიის შესასწავლად და ყოველდღიურად აღედგებდა თვალყურს ქართულ გაზეთებში მოთავსებულ მასალას ქართველთა ცხოვრების შესახებ. უკანასკნელ წუთებში მყოფი, ენაჩაყვანილი, მწოლიარე, ჰაერში ხელით ხატავდა სიტყვას, „საქართველოს“, რომელიც მისთვის გადაქცეული იყო სახარუნი-საოცნებო საგნად. იგი მთელი თავისი არსებით გამსჭვალული იყო საქართველოს სიყვარულით. მარჯორი უორდრობის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხარა ქართველობა. მისი სიკვდილი მოულოდნელი იყო ყველასათვის, რადგან ის ჯერ ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე ქალი იყო, გულმოდგინედ მუშაობდა ახალი თხზულებების გამოსაცემად ქართველთა შესახებ. მასზე ნეკროლოგი და გარდაცვალების ცნობა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იყო მოთავსებული. უამრავი სამხმირის დეპეშები იყო გაგზავნილი განსვენებულ მარჯორი უორდრობის ძმის სახელზე.

მ. უორდრობი ჯერ კიდევ 24 წლის არც კი იყო, რომ უკვე შეისწავლა ქართული ენა, ისე რომ კითხულობდა და თარგმნიდა ქართულ თხზულებებს. მას საფუძვლიანი და ყოველმხრივი განათლება ჰქონდა, რომელიც თავის ოჯახში მიიღო. გარდა თავისი მშობლიური ენისა (ინგლისურისა), ქართული, ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული და რუმინული ენებიც იცოდა და იკვლევდა ამ ენებს და მათ ლიტერატურას. თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე მან უცხოეთში გაატარა. ის იყო იტალიაში, საფრანკეთში, სამხრეთ აფრიკაში, რუმინეთში, რუსეთსა და საქართველოში. მიუხედავად მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლების შესწავლისა და ცოდნისა, ყველაზე ღრმად და ნამდვილა გატაცებით მან შეიყვარა ქართველი ხალხის დიდება — შოთა რუსთაველი. პირველად დაინტერესდა საქართველოთი მაშინ, როდესაც მისმა ძმამ ოლივერ უორდრობმა გამოსცა თავისი მოგზაურობის აღწერა შემდეგი სათაურით — „the Kingdom of Georgia“ („საქართველოს სამეფო“), გამოცემული „ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების“ მიერ 1888 წელს. აი, მარჯორი უორდრობის სიტყვები გამოთქმული რამდენიმე წლის შემდეგ:

„რამდენიმე წლის წინათ პირველად მიიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და აღმიძრა გულში ინტერესი საქართველოსა და მისი მხნე და მშვენიერი ერისადმი ჩემის ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა — „საქართველოს სამეფო“ („ივერია“, 1894 წ., № 138).

ყველა აღნიშნულ თვისებებთან ერთად მარჯორი უორდრობი იყო მხიარული ბუნების, საღი გონებისა და მხურვალე გულის ადამიანი. ამავე დროს თავმდაბალი და მორიდებული.

თვრამეტი წელიწადი იმუშავა მარჯორი უორდრობმა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურაზე. ქართული ენის შესწავლა მან დაიწყო ქართული სახარების. გამოიყენა ლითოგრაფიულად დაბეჭდილი ბროსეს გრამატიკა და ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. ქართული ენის შესწავლა მან ჯერ კიდევ ინგლისში დაიწყო და თავდაპირველად შეისწავლა არა თანამედროვე, არამედ ძველი ქართული ენა. შემდეგში კი ისწავლა თანამედრო-

ვე ქართულიც. საინტერესოა მარჯორი უორდროპის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილი წერილი, სადაც ნებართვას სთხოვს „განდევლის“ ინგლისურად თარგმნის შესახებ. გაკვირვებას იწვევს, რომ ქართული ენა, რომელიც უცხოელთათვის ძნელად შესათვისებელ ენად არის მიჩნეული, ასე შეესწავლა ახალგაზრდა ქალს და ისიც ინგლისში. ამ წერილი, გამოგზავნილი 1894 წელს:

„მოწყალეო ხელმწიფეო,

ინგლისურად თარგმანი ვქმენ თქვენსა „განდევლისა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში, რომ მე მკითხველს და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

„მე დიდი სურვილი მაქვს გაუზიარო ჩემს თანამემამულეთა ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძობინა. ამისათვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად. ვცადე სიტყვათა სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

„ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა ჩაოდენმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომლისკენ მე გულწრფელი სიყვარული ვბრძანებ და სურვილი მაქვს, რომ მერე მე შევძლებ პირდაპირ გამოთქმა უაღრესი პატივისცემა თქვენის ნიქისათვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსთვის.

„მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა.

„თქვენი პატივისცემელი მარჯორი უორდროპი“

ეს წერილი სიამოვნებითა და აღტაცებით იქნა წაკითხული ქართველი საზოგადოების სხვადასხვა წრეებში.

ილია, რასაკვირველია დიდად ნასიამოვნები იყო ამით. მან თანხმობის წერილი გაუგზავნა მარჯორი უორდროპს. ის სწერდა: „გუპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგხვდებით. იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა“.

მარჯორი უორდროპი მართლა ჩამოვიდა საქართველოში. ის პირველად ესტუმრა საქართველოს 1894 წლის დეკემბერში და ქართველობა დიდი აღტაცებით დაუხვდა მას. 1895 წლის 6 ნოემბერს, მარჯორი და მისი ძმა ვემგზავრნენ ლონდონისაკენ. ოდესის რკინიგზის სადგურზე მარჯორი უორდროპისათვის ქართველ საზოგადოებას მიუროთმეფია მშვენიერი თაიგული, რომლის ლენტზე ყოფილა წარწერილი:

„რომ ბედში მყოფი შენ მად მიგაზღვს,  
ის ვერადერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, რომ ის გიყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დაზავრულია“.

მარჯორიმ თავისი ოჯახით შემოიარა საქართველოს ყველა კუთხე და გატაცებით ათვალიერებდა საქართველოს წარმტაც ბუნებას. საქართველო იმდენად მოსწონებია, რომ ის მეორედ ჩამოსულა ძმითურთ და დედამამით. მარჯორის უთქვამს მათთვის „მე ვიამბეთ ამ საოცნებო ქვეყნის შესახებ, და რის თქმაც მე ენით ვერ მოვახერხებ, თქვენ თქვენის ზვალით იხილეთ“.

და აი ამ მ. უორდრობის მეორედ ჩამოსვლამ საქართველოში სამუდამოდ განამტყიცა მისი ურყევი კავშირი, პატივისცემა და სიყვარული ქართველი ხალხისადმი. ქართველ საზოგადოებას შეუნიშნავე არ დარჩენია მწერალი ქალის ეს გრძობიანი და ალტაცებული შეხედობა და სწორედ ამ ურყევის შერაობის ის მუდამ ცდილობდა გასცნობოდა ყოველივეს, რაც ქართველთა შეხებობდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო მარჯორი უორდრობი, ქართველ ნაცნობებთან თუ მეგობრებთან, ცდილობდა ქართულად ელაპარაკა. „მხოლოდ ხანდისხან მარჯორის უყვირდა, რომ თანამობაასეთა, განსაკუთრებით მანდილოსნების სახეზე გაცივრებების ნიშანს ჰკითხულობდა და სწუხდა, ნუ თუ გარკვევით ვერ გამოვსთქვე ქართულად აზრგო. თითქო იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ლაპარაკობდა და დიდ ხანსაც გაგრძელდებოდა მისი გაცემა და დარდიცა, რომ არ აეხსნათ ეს გაუგებრობის მიზეზი. („სახალხო გაზეთი“, 1912 წ. № 633-634-635).

როგორც აღვნიშნეთ, მან პირველად შეისწავლა სახარების ენა, და ამიტომ საუბრის დროს ხშირად იტყოდა ხოლმე „გარკვეით“ „გითხარით“-ის მაგიერ, ან „არ ძალმედეა“ — „არ შემეძლოს“ ნაცულად. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც გაიგო მაშინდელ ქალების სისუსტე ძველი ქართული ენის ცოდნაში.

საქართველოში ყოფნის დროს მ. უორდრობმა ბევრი გულწრფელი მეგობრები გაიჩინა და მათთან მიწერა-მოწერა ჰქონდა გამართული. აი წერილი რომელიც „მოსავლის“ რედაქტორს ე. რეხილაძეს გამოუგზავნა მ. უორდრობმა მაშინ, როდესაც მან თანამედროვე ქართულიც უკვე კარგად შეისწავლა. „დიდად პატივცემულო ბატონო რეხილაძე, დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი წერილი და ნაწუქარი ჟურნალ-გაზეთები; მადლობას მოგახსენებთ. თქვენი თხზულებანი საყურადღებო შემატება იქნება ჩვენი ქართულ წიგნთა-კრებულისა. ჩვენი სურვილია ყველა ქართულ წიგნის შეკრება, რაც, შეიძლება შემდეგში მივართმევთ ერთ ინგლისელ მუზეუმს, ასე რომ ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა ადვილად შეიძენს საჭირო მასალებს. ერთი საათის წინად, რომ მივიღე თქვენი წერილი გამოგვგზავნე მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მინდოდა და იმედია მალე მივიღო. უკვე მომსგლია რამდენიმე სიმღერები.

ბოდიშს ვიხდი, რომ ავადმყოფობის გამო ამდენ ხანს თქვენი კეთილი წერილი უპასუხოთ დარჩა. რასაც სწერთ საქართველოზე, ფრიად მაწუხებს. თქვენი მშვენიერი სამშობლო სულით და გულით მიყვარს და ვეძრებ მისს ბედნიერებას. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

თქვენი ღრმად პატივისცემელი — მარჯორი უორდრობი“.

მარჯორი უორდრობმა სთარგმნა აღნიშვლის და სხვათა მიერ შეკრებილი არაკები, რომელიც გამოცემულ იქნა ლონდონში 1894 წელს. ილია ჭავჭავაძის „განდევილი“ ლექსად (გამოიცა ლონდონში, 1895 წელს), „წმიდა ნინოს ცხოვრება“ (გამოიცა ოქსფორდში 1900 წელს), „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა თარგმანები ზელნაწერების სახით დარჩა. ეს ნაშრომები გამოცემულ იქნა „ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების“ მიერ.

წმიდა ნინოს „ცხოვრების“ თარგმანი არის მეცნიერული ნაშრომი. ჯერ მთარგმნელმა შეისწავლა რამდენიმე ისტორიული წყარო წმინდა ნინოს



ნოს შესახებ და შემდეგ შეუდგა მუშაობას. ამ წიგნს დარღვეული აქვს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. კონეზიის წერილი.

უორდროპის მიერ თარგმნილი „ქართული ზღაპრები“ ზრუნა მონტეჩესით იყო მიღებული ინგლისის საზოგადოების მიერ. ინგლისელი მეცნიერების დიდი ყურადღება მიუქცევიათ ამ თარგმანისათვის და აღძვრიათ სურვილი, შეესწავლათ საქართველოს წარსული და მისი კულტურა. ინგლისურ ჟურნალ „Atheneum“-ის № 3515-ში დაბეჭდილია რეცენზია ხსენებულ თარგმანზე და აქვე აღნიშნულია მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. აი ორიოდე სიტყვა ამ რეცენზიიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო ხსენებულ ჟურნალში:

„ბევრმა ჩვენმა მემამულემ ნახა მთები ამ მშვენიერი ქვეყნისა. მარჯორი უორდროპი პირველია, რომელმაც დაჰბადა აზრი, რომ სახალხო ზღაპრები დიდად საინტერესოა და იმის წიგნს ვინც წაიკითხავს, მართლაც გულში მადლობა აღძვრება მისადმი... ვურჩევთ ჩვენს მკითხველებს, წაიკითხონ ის ზღაპრები და დასტებნენ, რადგან შიგნით მდებარე ფანტაზიის და ბევრს გადაკრულს სიტყვას ძველ ცრუ-მორწმუნოების შესახებ, რომელიც ქრისტიანობამ, წმიდა ნინოდან — მეოთხე საუკუნიდან დაწყებული, ვერ აღმოფხვრა აღამიანთა გულიდან“...

არა მარტო ინგლისელების ყურადღება მიიპყრო ამ ზღაპრებმა, არამედ ამერიკელებისაც. ასე, მაგალითად: ნიუ-იორკის გაზეთ „Nation“-ში 1914 წლის 27 დეკემბრის №-ში დაბეჭდილია რეცენზია ამ წიგნის გამო. სწორედ ამ წიგნის („ქართული ზღაპრების“) წინასიტყვაობაში, მარჯორი უორდროპი პირველად საზოგადოებას გააცნოს შოთა რუსთაველი.

უნდა ითქვას, რომ შ. უორდროპის მოღვაწეობის უდიდესი ნაყოფი იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, რომელზეც დაიწყო მუშაობა 1891 წელს კენტში (ინგლისში) და შავად დაასრულა ქერჩში 1898 წლის ნოემბერში. მას შემდეგ, 1909 წლამდე ის დაუღალავად შრომობდა, რომ თარგმანი ყოველმხრივ შეესწორებინა და გაეუმჯობესებინა. არ ზოგავდა არც დროს და არც ენერჯიას, რომ უნაკლო თარგმანი შეესრულებინა. მის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზედმიწევნით სიფრთხილით და სისწორით აქვს თარგმნილი. მრავლადაა სწოლიოები ამა თუ იმ სიტყვის მეცნიერულად ასახსნელად, რაც მოწმობს მთარგმნელის დაუღალავ და გულმოდგინე მუშაობას. თითქმის ოცი წელიწადი მონაღობა მასალების მოგროვებას. მარჯორი უორდროპი ჰკრეფდა ყოველ ცნობას, რაც კი არსებობდა ამ პოემისა და მისი ავტორის შესახებ ქართულად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და სხვა ენებზე. თარგმანი დახვეწილი პროზით არის შესრულებული. გამოცემულ იქნა „სამეფო სახიო საზოგადოების“ მიერ 1912 წელს, მაშინ როდესაც შ. უორდროპი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ნაშრომს წინ უძღვის 15-გვერდიანი ვრცელი წინასიტყვაობა და ბოლოში აქვს დამატება, რომელიც შეიცავს: 1) ტექსტში ქართული სახელწოდებით დატოვებულ სიტყვათა და სახელწოდებათა ინგლისურ შესატყვისებს. 2) აკადემიკოს მარის მიერ რუსულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვის ახსნა-განმარტებას. 3) ბიბლიოგრაფიას „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დაწერილი წიგნებისა და საგაზეთო წერილებისა, რომელნიც მთარგმნელს შეუგროვებია (რიცხვით 84) და ახლა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კუთვნილებას შეადგენს. 4) მოხსენებულია ყველა პირი,

ცხოველნი, მცენარენი, ლითონნი, სარწმუნოება, ადგილნი და სხვა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება.

პოემის წინასიტყვაობა წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას და ამჟამად სჩანს ზედმიწევნითი ცოდნა ქართული ენისა და დიდძალმა მკვლევარ-თველი ზალხის სიძველეთა მიმართ. შესავლის ავტორი დიდი სიმპატიით იხსენიებს იმ ზალხს რომელმაც აღზარდა რუსთაველი. „რუსთაველი“ — ამბობს შესავლის ავტორი, — „პოეტია მთელის ერისა, „ვეფხისტყაოსნის“ სიფაქიზე და სინაზე ერთი კლასის კუთვნილება კი არ არის, არამედ თვისებაა ყველასი“... „ალბათ არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ეპყრობიან ქალს ისეთი სიწმინდითა და მეგობრობით, როგორც საქართველოში“... „ასეთი განწყობილება (ქალსა და ვაჟს შორის) მიეწერება ზალხის მაღალ ციცილიზაციას, ქალის პატივისცემა — ნიშანია კულტურის სიძველისა“.

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე თარგმნილი, დაბეჭდა ლონდონში 1895 წელს. დიდი ინტერესი გამოიწვია ამ პოემამ ინგლისურ პრესაში. ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებმა საგანგებო წერილები მიუძღვნეს ხსენებული პოემის თარგმანს.

„ეს პოემა ნათარგმნია ქართული ენიდან. დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო მწერლისა, თავადი ი. ჭავჭავაძე, უძველია, საუკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიადი ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა“ სწერდნენ იქ. ცნობილ ჟურნალ „Academia“-ის 1896 წლის 4 აპრილის ნომერში არის მოთავსებული პოემის შინაარსი. აქ უორდროპის თარგმანი და წინასიტყვაობა არის გარჩეული. საყურადღებოა ერთი წინადადება ამ წერილისა:

„უორდროპი სრულ საშუალებას გვაძლევს ისეთი ქართველი ნიჭიერი პოეტი, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე, საცხებით გაეთვალისწინოთ და პატივი ეცეთ მის შესანიშნავ მოღვაწეობას“.

„განდეგილის“ თარგმანის წინასიტყვა ეკუთვნის მ. უორდროპს, რომელიც სწერს:

„ინგლისელ მკითხველთა დიდი რაოდენობა იცნობდა სპარსულ ლიტერატურას მაშინ, როცა სულ ორი-სამი ინგლისელი მკითხველისათვის თუ იყო საქართველოს ლიტერატურის არსებობაც კი ცნობილი. ქართული ლიტერატურა ქეშმარიტად ღირსია ყურადღებისა. მე-12 საუკუნის დიდი ეპოქის პოეტ რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არაფერს დაკარგავს ფირდოუსის „შაჰნამესთან“ შედარებით. მაგრამ აბა რომელი თანამედროვე სპარსელი პოეტი შეედრება ბარათაშვილს და ჭავჭავაძეს?“

ბუნების მიერ განსაკუთრებულად დაჯილდოებულმა კავკასიის საქრისტიანო სამეფომ თანაბრად აითვისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურა. ძალიან ადრე მიადწია განათლებისა და კულტურის უმაღლეს საფეხურს“.

შემდეგ აღწერილია ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფია. მისი მოღვაწეობა და ლიტერატურული მიმართულებანი. გამოთქმულია აგრეთვე მთარგმნელის აზრი პოემის შესახებ. „განდეგილში“, განაგრძობს უორდროპი: „ჩვენ არ გვაქვს საქმე თეატრალობასთან, არც ბრწყინვალე სიმღიდრესთან, არც ძლიერების ოცნებასთან, რომელთაც შეეძლოთ მარტოობაში, სიღარიბეში და წვალება-წამებაში მყოფი მწირის ცდუნება. აქ არ იყო არც კლოპატრასი და არც სემირამიდის მოჩვენებანი, რომ წაეტყუებინათ იგი მის ყოველდღიურ მო-

ვალეობიდან, არამედ უბრალო მოხდენილი უმანკო ქალიშვილი, რომელიც უთხოვს ბერს კაცობრიობის წმინდა სიყვარულსა და ცხოვრების/სიხარულზე. მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ ვგარბობთ, რომ სწორედ ეს უბრალოების გამო ცდუნება ბერისა არის ძლიერი და ფაქიზი პოეტური ფიგურა ნალში სტილი არის მაღალი და ჰარმონიული, აღწერილობანი სავსეა პოეზიით. აქვეა გამოხატული ნაწი სიმბატია ბუნების ყოველგვარ სახეობასთან“.

მ. უორდრობი განაგრძობს: „მე ვწუხვარ, რომ ჩემი თარგმანი დედნიდან შორს სდგას, მაგრამ შეიძლება მომიტევათ ჩემი ნაკლულოვანებები, თუ კი მხედველობაში მიიღებთ იმ სიძნელეებს, რომელნიც შემხვდა დასავლეთში დღევანდლამდე უცნობი ენის შესწავლის დროს და მისი ილიომების გადმოცემისას, რომელთაც არაფერი საერთო არ გააჩნიათ ენის ცნობილ გვარებთან“.

ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ავტორის უაღრეს მოკრძალებას და პასუხისმგებლობას.

ახლა შევეხოთ თვით თარგმანს: მ. უორდრობმა „განდევილი“ სთარგმნა ლექსად და არა პროზად, როგორც შეცდომით ფიქრობს იაკობ მანსვეტაშვილი: „განდევლის“ უკვდავმა იდეამ, სწერს მანსვეტაშვილი, უფრო მიაჯაღოვა ქალის გული, ვიდრე „ვეფხისტყაოსანის“ გმირთა გულის ტკივილმა და სულისკვეთებამ. ორივე თარგმანი შესრულებული იყო პროზად და არა ლექსად, მარჯობი არ იყო პოეტი“ (იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებანი“. 1935 წელი, გვერდი 141).

მ. უორდრობი ეკუთვნის წარსულ ეპოქას. ის მოღვაწეობდა და ვითარდებოდა მაშინ, როდესაც „თავისუფალი თარგმანი“, „მიბაძვა“ და „გადამღერებითი“ მეთოდები სუფევდა. მიუხედავად ამისა, უორდრობი იყო დიდად განათლებული და ზედმიწევნითი შეგნებისა და აზროვნების მოწინააღმდეგე, მან თარგმანებს მოჰკიდა ხელი ისე, როგორც მოითხოვს დღევანდელი ჩვენი ახალი ეპოქა, რის შედეგადაც მოგვცა ნიმუშები ნამდვილი მაღალ მხატვრული თარგმანისა.

ი. ჰეკეჰაჰის „განდევლის“ თარგმანით უორდრობმა გაამდიდრა ინგლისური თარგმანითი ლიტერატურა.

სტროფული მოცულობის მხრივ უორდრობის თარგმანი „განდევლის“ ტექსტის სრული შესატყვისია. ორივე შეიცავს 560 ტაქსს. ამ მხრივ უორდრობი, როგორც მთარგმნელი ნაკლებ თავისუფლებას აძლევს თავს და გაცილებებისათვის არ მიმართავს სტროფულ ცვალებადობას.

თარგმანში არ არის არც ერთი შემთხვევა, სადაც მომოჯნავე სტროფების სტრიქონები იყოს გადასმული.

რაც შეეხება თარგმანის ლექსიკურ სიზუსტეს, ამ შემთხვევაში უორდრობი ინგლისური სიტყვის უთუოდ დიდი ოსტატია. თარგმანში არ მოაპოვება არც ერთი სტროფი, სადაც სიტყვათა არაზუსტი გადაცემის ნიადაგზე მოცემული იყოს დედნის აზრისაგან გადახვევა.

მართალია არის შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის სახე თარგმანში შეცვლილია სხვა რომელიმე სახით, მაგრამ ყოველთვის მიახლოებულთ, რომელმაც თარგმანში უნდა გასწიოს დედნის სახის ექვივალენტობა. ასე, მაგალითად, მე-7 თავის მე-7 სტრიქონი იკითხება ასე: „და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი“. თარგმანში ასე ეღერს: „And round the peak, like fan of flaming bird“. „ბორბალი“ შეცვლილია სიტყვით: „fan“ „მარაო“.

მართალია სხვა სახეა გამოყენებული, მაგრამ იგივე შთაბეჭდილება იძლევა და შეიძლება ითქვას, „მარია“ უფრო ლამაზია, როგორც მხატვრული სახე, ვიდრე დედნის „მორბალი“.

23-ე თავის მეორე სტრიქონი შემდეგნაირია: „დაუცხრა <sup>ენიქნენული</sup> ~~ქველად~~ <sup>ქველად</sup> ~~ქველად~~“; თარგმანში: „The stormy waves that tossed his heart were still“.

რაც ნიშნავს: „მღელვარე ტალღები, რომლებიც მის გულს ატოკებდნენ, უკვე დაცხრნენ“.

აზრი იგივეა, მხოლოდ უფრო მძლავრად გამოცემულია. მხოლოდ და მხოლოდ ეს ორი მაგალითია, როდესაც მთარგმნელი ნებას აძლევს თავის თავს გადაუხვიოს დედანს. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ გააძლიეროს მხატვრული შთაბეჭდილება.

„განდევილის“ 28-ე თავიდან უორდრობს სრულყოფილად აქვს ნათარგმნი მე-3, 4, 5, 6, 9, 10, 13, 14, 16, 18, 19, 20, 21-ე, 22, 23, 24, 25, 26, 27 და 28-ე თავები. აქ აზრი მთარგმნელის მიერ შესანიშნავად არის გაგებულნი. შენარჩუნებულია საცესებით დედნის შინაარსი, კეთილზმონება და მხატვრული ფრაზის პლასტიურობა. რაც შეეხება დანარჩენ თავებს, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელიც კარგადაა ნათარგმნი. მხოლოდ აქა-იქ გაპარვია მთარგმნელს მცირეოდენი შეცდომა და ზოგჯერაც შეგნებულად შეუუტანია ცვლილებანი. მაგალითად, 1-ლი თავის მე-11-12 სტრიქონი იკითხება ასე:

„და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს  
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ირი“.

უორდრობს შემდეგნაირად აქვს თარგმნილი:

„Of that old temple still the folk hold dear  
And Bethlehem is still, to-day, its name“.

თარგმანი დედნის შინაარსს ზუსტად ვერ გამოგვეცემს. უორდრობს ვერ მოუხერხებია აზრის ისე ლაკონიურად გამოცემა ორ სტრიქონში, როგორც ეს ილიას აქვს. მთარგმნელი მრავალსიტყვაობას: „ამ ძველი ტაძრის დიდებას ხალხი კვლავ ეთაყვანება და მისი სახელი კი კვლავინდებურად ბეთლემია დღესაც“.

როგორც ვხედავთ, თარგმანს აკლია პოეტური სახე: „ყინულში შეთხრილს“, რომელიც ტაძრის სრულყოფილ სურათს გვაძლევს და ნათლად წარმოგვიდგენს თვალწინ განდევილის ყინულოვან სამყოფელს. ამ ტაძრის დიდებასა და მნიშვნელობაზე ილიას ლაპარაკი ქვემოთ აქვს, ამდენად საჭირო აღარ იყო მისი აქ განმეორება მთარგმნელის მიერ.

მეორე თავში ვკითხულობთ: „აქ ჰღირსებთან მართალთა თანა საეანესა მას საუკუნოსა“.

ინგლისურად არას:

„And, in that everlasting dwelling, sought  
To fit themselves for Gods eternity“.

რაც ნიშნავს ქართულად: „და იმ მუდმივ სამყოფელში ისინი ცდილან გამხდარიყვნენ შესაფერნი ღვთაებრივ უკვდავებისა“.

აზრი ოდნავ დამაზინჯებელია, რადგან დედნის მიხედვით ნათლად სჩანს, რომ წმინდა ბერები „არა თუ ცდილან“, როგორც მთარგმნელს აქვს, არამედ უკვე ღირსებთან საუკუნო საეანეს.

ილიას აქვს:

„განსულან ამა ჭვენიო მამანი  
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...“

ქ რ ა მ ე ნ შ ლ ი  
გ ი მ ლ ი რ ი თ ი ა ს

მთარგმანში სავსებით გამოტოვებულია ეს სტრიქონები. ორიგინალის მე-7 თავის უკანასკნელი სტრიქონი იკითხება ასე:

„შვიდ ღრუბელი დაიძრა ნიმიეთ“.

ნათარგმნია შემდეგნაირად:

„A darkly low'ring cloud, swift gliding passed“.

აქ სწორად არ არის გადმოცემული სიტყვა „ნიმიეთ“. მის მაგივრად მთარგმანში ნახმარია „სწრაფად“ — სავსებით საწინააღმდეგო მოქმედების გამოხატველი სიტყვა.

მე-8 თავში მთარგმნელს გამოტოვებული აქვს მთელი ფრაზა: „ცრემლით აღბობდა ღვთისმშობლის ზატსა“.

მე-15 თავის მე-8 სტრიქონი შემდეგნაირად არის ორიგინალში: „გვიანლა იყო, ვერ მოვასწარი“.

მთარგმანში:

„—'twas too late, the way I could not find.“

ესე იგი: „გვიანლა იყო, გზა დამეზნა“.

მთარგმნელს თვითნებურად შეუტანია, „გზა დამეზნა“, რაც აზრს არ ამაზინჯებს, მით უმეტეს, რომ ილიას ასეთივე ფრაზა გამოყენებული აქვს მე-17 თავში — „თურმე ნუ იტყვიო — გზა ამერია“.

სამაგიეროდ თვით მე-17 თავის მთარგმნის დროს ეს ფრაზა შეცდომით აქვს ნათარგმნი უორდროპს:

„Nor canst thou say that I mistook my way“.

რაც ნიშნავს: „არც იმის თქმა შეგიძლიათ, რომ გზა ამერია“.

რაც სავსებით ასხვადფერებს დედნის აზრს. საფიქრებელია, რომ უორდროპმა ვერ გადმოგვცა სპეციფიკური ქართული გამოთქმა „თურმე ნუ იტყვი“. და მით უმეტეს ინგლისურ მთარგმანში ჩამატებულმა სიტყვამ „that“ (რომ) სავსებით შესცვალა დედნის აზრი.

მე-20 თავის უკანასკნელი სტრიქონი „ხოლო გზა ხსნისა, ესეთი მერგო მე.... უბედურსა“ შეცვლილია გამოთქმით: „a way of woe!“. „გზა უბედურებისა“.

აქ აზრი, რომელიც უშუალოდ პიროვნებას შეეხება, სავსებით სხვა მოვლენაზეა გადატანილი.

რაც შეეხება თარგმანის ლექსწყობას, უნდა ითქვას შემდეგი: როგორც ინგლისურს, ისე ქართულ ლექსს თავისი სპეციფიკური კანონები მოეპოვება. ამოდ უნდა ჩაითვალოს ყველგვარი ცდა მონახოს საერთო, მთავრეტიკური საზომი ამ ორი ენის ლექსთაწყობის შორის. ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ მ. უორდრობი პირველ რიგში უპირატესობას აძლევდა ორიგინალის დამახასიათებელი რითმისა და მუსიკალობის გადმოცემას. ავიღოთ, როგორც ნიმუში მუსიკალობის გადმოცემისა, ორიგინალის მე-5 თავის პირველი 8 სტრიქონი.

„არ იყო ხნირ, მაგრამ ვით წმინდანს  
სულის სიმაღლე ზედ დასწნევოდა,  
ზედ გტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეპიზნებოდა,  
სახე გამზდარი, კუჭტი და მწყალი,  
სიწმინდის მიდლით დაშვენიებოდა  
და მაღალ შებლსა, ნაკად შერულს,  
შარავანდედი გადაძენოდა“.

ეს სტრიქონები ნათარგმნი უორდრობის მიერ, შემდეგნაირად უღერს:

„He was not old—upon his saint-like face  
His souls nobility was pictured fair,  
It could be seen his spirit was the home  
Of other thoughts than those of wordly care.  
His features melancholy, thin and sad,  
Yet beamed with loveliness of grace divine,  
Which from his deeply wrinkled, lofty brow,  
Like bright encircling halo, forth did shine“.

ინგლისურ ლექსთწყობაში ყველაზე უფრო გავრცელებულია იამბიკური ზომა. თითქმის ყველა ეპიური, დრამატული ან აღწერითი ხასიათის ნაწარმოები იამბიკურ პენტამეტრული ზომით არის დაწერილი. უორდრობსაც „განდევილი“, როგორც ეპიური პოემა, ამ ზომით უთარგმნია, ამასთან ერთად აქატალექტიკურით.

რაც შეეხება რითმას, თარგმანში სტრიქონები ისე ირითმება, როგორც დედანში (მეორე მეთხესთან), მაგალითად, მე-12 თავის უკანასკნელი 4 სტრიქონი ქართულად იცითხება შემდეგნაირად:

„მშობა მტრქვევსა მის შავსა თვალეს  
თვით ცეცხლი სითბოს ეცობოდა,  
მის ელფერთავან თვით ცეცხლის შუქი  
ვითა ძღუელი, უკუ მკრთებოდა!“

იგივე ინგლისურად:

„The beauty shed abroad from her black eyes  
Disputed with the warmth cast by the glow  
Of firelight, and beneath that conquering gaze  
It yielded up to her, and flickered low“.

კიდევ მე-12 თავის პირველი 4 სტრიქონი ქართულად შემდეგნაირად  
 აღწერს:

ერყენული  
 გიგლიძისა

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
 ხორცსმულად გლენა ოდესმე ქვეყნად,  
 უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა  
 თავის სიციცხლის გამომსახველად“.

იგივე ინგლისურად:

„The grace of love herself, if she desired  
 To picture forth the beauties of her mind,  
 And if she dwelt incarnate on the earth,  
 A fairer semblance could not wish to find“.

და ასე შემდეგ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მ. უორდროვის მიერ შესრულებული თარგმანები უაღრესი ყურადღებისა და დაფასების ღირსია, რადგან თავისი შესანიშნავი თარგმანებით მან ქართული კულტურა ფართო ევროპელ წრეებისათვის მისაწვდომი გახადა.



წიგნი ნაკაშიძე

## ილია ჭავჭავაძის გარშემო \*

1903 წ. დაებრუნდით მოსკოვიდან. რადგანაც გურიაში მოძრაობამ თან-  
დათან მწვავე ხასიათი მიიღო, მთაწერობამ 1905 წლის გაზაფხულზე გუ-  
რიაში გაგზავნა სულთან კრიმგირეი გურიის ამბების გამოსაკვლევად და  
გამოსარკვევად. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ კრიმგირეისთან  
კორესპონდენტად გაგზავნა ილიკო ნაკაშიძე, რომ მიეწოდებინა გაზეთი-  
სათვის კრიმგირეის მუშაობის შესახებ წერილები.

იბეჭდებოდა ის შესანიშნავი კორესპონდენციები გურული გლეხების  
მოთხოვნილებათა შესახებ, რომელშიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.  
მაგრამ კრიმგირეის კიდევ არ ჰქონდა მთელი გურია შემოვლილი, რომ  
აღარ მისცეს საშუალება დაესრულებინა საქმე, გამოკვლევა შეაწყვეტინეს  
და უკან გამოუძახეს.

ილიკო ამბობდა, რომ კრიმგირეი გურულების მოთხოვნას სამართლი-  
ანად სთვლიდა და ფიქრობდა, მთაწერობა, თუ საესებით არა, ბევრ რამეს  
დაუთმობს და დააკმაყოფილებს იმათ მოთხოვნასო, და, როდესაც გამოუ-  
ძახეს, ეწყინაო.

კორესპონდენციები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაშიც“, მაგრამ ილია  
ჭავჭავაძემ მაინც დაიბარა ილიკო და ყველაფერი დაწვრილებით გამოკ-  
ვიტხა.

— ილიამ დიდი ყურადღებით მომისმინა და შემდეგ კარგახანს სდუმ-  
დაო, — მიაბო ილიკომ. მერმე თავი გაიქნია და მკითხა.

— შენ როგორ ფიქრობ, მართლა მოითხოვდნენ გურული გლეხები იმას,  
რასაც შენ სწერდი, თუ პროპაგანდისტები იყვნენ გადაცემული გლეხების  
მაგერ და ისინი მოითხოვდნენო.

— მხოლოდ ორ შემთხვევაში. ორ სოფელში იყო თითო პროპაგანდისტი.  
სხვაგან ყველგან გლეხები იყვნენ.

— ილია ჭავჭავაძე დიდხანს ელაპარაკა გურიის მოძრაობის შესახებ ილი-  
კოს და შემდეგ ჰკითხა:

— რას ფიქრობს კრიმგირეი, მოჰყვება რაჲ შელავათი მის გამორკვე-  
ვას თუ არაო. და როდესაც მე ვუთხარი, რომ თვითონ კრიმგირეი, რად-  
განაც შეაწყვეტინეს გამოკვლევა, ისე რომ გურიის მთლად შემოვლაც არ  
დასცალდა და დაიბარეს, ფიქრობს რომ დიდი იმედი არ უნდა ექონო-  
თო, — ილია დაიკმუხენა და თქვა: მეც ასე ვფიქრობო. ისევე დაჩუმდა და

\*) დასასრული. „მნათობი“ № 7—8.



შემდეგ დაღონებით წარმოსთქვა: რაღაც უნდა ვქნათ, ეს მართალია, მაგრამ რა და როგორ, აი საკითხი. ყველანი დაქსაქსული ვართ... პარტიები... ერთმანეთის ენა არ გვესმის... და ცოტა სიჩუმის შემდეგ დადგა: კონია, გოეტეს თქმისა არ იყოს, ბევრი რამ აღრეა ჯერ.. დღესვე დავწავდა.

— ჩემთვის ცხადი გახდა ამ ლაპარაკის შემდეგ, — ამბობდა ილიკო, — რომ როგორც გოეტეს შესახებ ფიქრობდნენ თანამედროვე რევოლუციონერები, გულგრილად უყურებს რევოლუციას და სცდებოდნენ, ილია ჭავჭავაძის შესახებაც სცდებიან, როდესაც ამბობენ, რომ ილია ხალხის მოძრაობას გულგრილად უყურებს და ძველი წესწყობილების მომხრეაო.



1905 წელს გურიაში დამყარდა ის საოცარი, საოცნებო ცხოვრება, რომელიც განახორციელა მაშინდელმა გლეხობამ. ამ ცხოვრების შესახებ სხვა აღგილას მექნება საუბარი. მხოლოდ ჩვენ მაშინ ისე გაგვიტაცა ამ ცხოვრებამ, რომ გადაწყვეტეთ მთელი ოჯახით გურიაში გადავსახლებულიყავით საცხოვრებლად და გადავსახლდით კიდევაც.

მართლაც ოქტომბრის მეორე ნახევრამდის გურიაში ცხოვრება ახალი და საინტერესო იყო. მოსპო ქურდობა, აყალმაყალი მეზობლებში, სასამართლოებში და პოლიციაში ჩივილი და დავიდარაბა. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში კი მოხდა ნასაკირალზე პლასტუნებსა და გურულ გლეხებს შორის შეიარაღებული შეტაკება, რის შედეგადაც პლასტუნებმა გადასწვეს ნასაკირალიდან მოკიდებული ოზურგეთამდის (ცხრა კილომეტრზე მეტი მანძილია) გზის პირას მდებარე მოსახლეობის სახლკარი, არ დაერიდნენ ადამიანის მსხვერპლსაც-კი.

ახლომახლო მოსახლე გლეხობა, შეშინებული, რომ იმათაც გადაწყვედნენ, გაიხიზნა სხვადასხვა სოფლებში და ტყეებში. დიდ გასაჭირში ჩავარდა ხალხი, განსაკუთრებით გადამწყვარი უსახლკარო წვრილშვილიანი მცხოვრებნი და ამ დროს საქართველოს მთელმა ხალხმა გაუწოდა გურიის დაზარალებულთ ძმური დახმარების ხელი; მოვიდა შემოწირულება, ფულით, ტანსაცმელით, წაშლით. დაარსდა „დამწყვართა კომიტეტი“. ამ კომიტეტის თავმჯდომარე იყო აღგილობრივი ექვ. გ. ჭოლოშვილი, მე კი ვიყავი ხაზინადარი, დ. ცეცხლაძე მოლარე. შემოსულ დახმარებას ვანაწილებდით დამწყვრის წარალისა და ოჯახის რაოდენობის შემადგენლობის მიხედვით. კომიტეტის კრებაზე ვკითხულობდით შემომწირველთა სიას, ვადგენდით შემოსული თანხის რაოდენობას, ვანგარიშობდით, თუ ვის რამდენი ერგებოდა და მაშინვე ვურიგებდით. კრებებზე გარეშეებსაც შეეძლოთ დასწრება.

გაზეთები არ მოგვდიოდა ოზურგეთში. მატარებლების გაფიცვა იყო და მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ესცხოვრობდით ჩვენთვის.

1906 წლის 1 იანვარს ოზურგეთის სასწავლებლის ბიუროს სხდომა გეწონდა. ამ ბიუროს მდივანი მე ვიყავი. (სამწუხაროდ მთელი ოქმები შემდეგში, რეაქციის დროს, როდესაც დამატუსაღეს, პოლიციამ წაიღო და

აღარ დამიბრუნა). ამ სხდომაზე გამოიჩინა, რომ სკოლისათვის არავითარი სახსარი არ მოიპოვებოდა და არც ახალი შესაფერი პროგრამა გეჭონდა. ახალი პროგრამის შედგენა იქისრა მასწავლებელმა კიკვაძემ, კედენ სახსრების შესახებ კი იმავე კიკვაძემ შემოიტანა წინადადებები: მიგვეშაბთო ჭავჭავაძისათვის, რომ ბანკის შემოსავლიდან გამოეთხოვა ჩვენი სკოლისათვის დახმარება. გამოითქვა ის აზრიც, რომ ქუთაისის ქალაქის მმართველობისათვისაც მიგვემართა, — მაგრამ თურმე ჩვენ რომ სკოლის გახსნის გეგმას ვაწყობდით, იმ დროს იწვოდა ყვირილა და დამსჯელი რაზმი უკვე ქუთაისშიც იყო შესული. 8 იანვარს წამოვიდა ოზურგეთისაკენ. მოდიოდა ნატანების სადგურიდან და გზადაგზა წვაგდა მოსახლეობას (ნატანებიდან ოზურგეთამდე 18 კილომეტრზე მეტია). რაზმმა ღამით სოფ. ვაშლნარში დაისვენა. დილით 9 იანვარს კი ჭიანჭველასავეთ შემოესია ოზურგეთს ჯარი და დაიწყო ქალაქის დუქნების და კერძო სახლების ძარცვა. ხალხი, ქალაქისა და ახლომახლო მცხოვრებნიც თითო ოროლას გარდა, ჯერ კიდევ 8 იანვარს გაიბიზნა სოფლებში, მთებში, ტყეებში. ვინც ვერ მოასწრო, 9 იანვარსაც მირბოდნენ თავქუდმოვლევჯილნი. 9 იანვარს ღამით კი წაუკიდეს ცეცხლი ქალაქს და გადასწვეს ყველა დუქანი და ახლომახლო სახლები. მთელი ღამე იწვოდა ოზურგეთი ჩუმად, უხმოდ... ავირდა ცაში ვეება ხანძარი და ახლომახლო მიდამო მზიან დღესავეთ განათდა.

ჯარით გაივსო მთელი ოზურგეთი და მეორე დღეს აუარებელი ხალხი დაატუსაღეს. გამწარებულნი ეძებდნენ პარტიის კომიტეტს.

ამ გადაწყვის გამო დამწვრებულ რიცხვს კიდევ უფრო მოემატა. შემოწირულებამ კი რეაქციის შემდეგ ძალზე იკლო. იანვარში დიდი მიტინგი აღარ მომხდარა.

გავიდა დრო, ხალხი თანდათან დაბრუნდა.

„დამწვართა კომიტეტში“ მონაწილეობის მიღებას პირველად ვერავენ ბედავდა. შემდეგ დაზარალებულნი შეიკრიბნენ, აირჩიეს წარმომადგენლები. ამ წარმომადგენლებში ვიყავი მეც.

ჩამოეყალიბეთ გამგეობა და დაეიწყეთ შემოწირულების შეკრება. მაგრამ თუ უწინ შემოწირველები თვითონ გვიგზავნიდნენ, ახლა მოგონება სჭირდებოდათ. კაცები გავგზავნეთ ბათუმის ქალაქის თვითმმართველობაში და მოგონების შემდეგ გამოგვიგზავნეს დაპირებული თანხა. შემდეგ სამი კაცი, უჯმაჯურიძე, გოგელია და მე გავგზავნეთ თბილისში გაზეთების რედაქციებში შეგროვილ, აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობასა და საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გადადებული ფულისათვის.

თბილისს რომ ჩამოვედით, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს მიემართეთ. თავმჯდომარე თამარ გრუზინსკაია<sup>1)</sup> იყო. მან დანიშნა სხდომა და ჩვენც მოგვიწვია. სხდომა მოწვეული იყო ბანკის შენობაში.

<sup>1)</sup> თამარ დავითის ასული გრუზინსკაიას მშობლები იყვნენ საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი მე-XII შვილის ილიას ასული ანა და პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი დავით ჭავჭავაძე. მეუღლე კი იყო მეფე ერეკლე II შვილის ალექსანდრეს შვილი არაკლი.

ფრეილინის ქუჩაზე. დაესწრო მთელი გამგეობა. ჩვენი მოხსენებრი შეზღვევ ილაპარაკა ილია ჭავჭავაძემ. როგორც ყოველთვის, ილია დინჯად ლაპარაკობდა, მხოლოდ მე როგორღაც უკმაყოფილო და შეწუხებული მოსულეყენა. ილია ამბობდა:

— მე ძალიან მწყინს და მაკვირვებს, რომ ამდენხანს არ გავგზავნეთ დაპირებული ფული, ნუთუ საჭირო იყო მოგონება. ის თანხა, რომელიც ჩვენ გადავდევეთ, ისე მცირეა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ უნდა იზრუნოს და გამოიხსოს საშუალება და კიდევ მიაწოდოს დროთი-დრო, თორემ ოთხასს წერილწვილიან გადამწვარ ოჯახს ამა რა დახმარება უნდა გაუწიოს ოთხასმა თუმანმა. თითო თუმანი ოჯახს არ ააშენებს. ეს უნდა ვიცოდეთო — სთქვა მან.

დიდი დრო არ დასჭირებია ჩვენი საკითხის გადაწყვეტას. სხლომამ, ერთხმად დაადგინა მიეცათ დაპირებული თანხა და შემდეგშიაც მიეღოთ ზომები და გაეწიათ დახმარება, როგორც ფულადი, ისე წამლებით, ექიმით და ტანისამოსით.

როგორც ჩვენი საკითხი გათავდა, ავდექი და წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ილია ჭავჭავაძე აღგა, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— ამ საქმისათვის ჩამოდით?

— დიახ.

— ერთი დანამდვილებით მიახმეთ, რა ხდება გურიასი? მე ვკითხულობ ყველა კორესპონდენციებს გაზეთებში, მაგრამ ვადაქტებული ხომ არა არის რა?

— «ცნობის ფურცელში» ჩემი კორესპონდენციები არის და მე ვცდილობ ყოველთვის სიმართლე დაეიცვა. — ვუთხარი მე.

— ნუ თუ მართლა ისე გადაწვეს მთელი ოზურგეთი, რომ ხმა არავის ამოუღია.

— არავის, სრულ სიჩუმეში გადაიწვა.

მან თავი გააქნია და მითხრა:

— მე მაინტერესებს ნასაკირალის ამბავიც, წავიკითხე თქვენი წერილი.

— ჩემი წერილი სავსებით არ გამოხატავდა ხალხის იმ სულიერ განწყობილებას რასაც ძინი განიცდიდნენ... და მე ვუამბე, რა ალტყინება იყო ხალხში, როგორ ეხმარებოდა და უწყობდა ხელს დიდი და პატარა ნასაკირალის თავდაცვის საქმეს. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა დამარცხდება და იძულებული იქნება დამომობის გზას დაადგეს.

დიდი ყურადღებით მისმენდა და გაკვირვებით მითხრა:

— როგორ, ნუ თუ სამოცდაათი წლის ბებერი დედაკაცი მიდიოდა ნასაკირალზე ფეხით და მიჰქონდა სანოვაგე? თქვენ თვითონ ნახეთ?

თამარ გრუზინსკაია დაიბადა 1851 წელს.

როცა 1854 წ. შამილის რაზმელებმა დაარბიეს წინანდლი და ტყვედ წაიყვანეს დ. ჭავჭავაძისა და ილ. ორბელიანის ოჯახები, სამი წლის თამარიც ტყვეობაში მოხვდა. 1894 წ. დაქვრივებული თამარი საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა იქ დაემთავრებინა სწავლა-განათლება მის ორ ქალს — ელისაბედს — შემდეგში «ფეხბისტყაოსანის» მთავრწინულ ფრანგულად და, ეკატერინეს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ თამარი ენერგიულად მუშაობდა საქველმოქმედო საზოგადოებაში, ქართველთა შორის წერიკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სათავადაზნაურო გიმნაზიის სამხრეთნელო კომიტეტში და სხვ. გარდაიცვალა 1933 წ.

— დიახ, თვითონ ვნახე. მოჰქონდა სოფ. მაკვანეთიდან ადვის მცოლები-  
სა და შვილიშვილებისათვის მკადები, ქათმები, ღვინო.

— მას ძალიან აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა ხალხი ჩინოვანთა გო-  
ფიცულები იყვნენ მთავრობის წინააღმდეგ და დაწესებულებებში არ  
დადიოდნენ. სხვათა შორის მე ვუამბე, რა სასიამოვნო ცხოვრებას ეწეო-  
და ხალხი სექტემბრიდან იანვრამდე.

— დიახ, ამ სამი თვის განმავლობაში ნამდვილი კომუნისმი იყო გუ-  
რიაში. თითქმის კერძო საკუთრება აღარ არსებობდა და რადგანაც სანო-  
ვების კრიზისი ჩამოვარდა, როგორ ეხმარებოდნენ მცხოვრებნი ერთმანეთს,  
მოჰქონდა ერთს მეორესთან სანოვავე რაც მას ჰქონდა და სამაგიეროდ  
იღებდა იმას, რაც მას არ ჰქონდა, სულერთია, იყო შინ თუ არა მასპინ-  
ძელი.

ილია ცოტა ხანს ჩუმად იყო და შემდეგ ღიმილით მიხსრა:

— ეს კომუნისმი არ არის, ეს ურთიერთ დახმარებაა.

მე შემრცხვა. პასუხის დრო აღარ მომიცა.

— აქ დაესხდეთ ცოტა ხანს. მინდოდა ალიხანოვის შესახებ მეკითხა.

სხდომა გათავდა. გოგელაა წამოვიდა ჩვენსკენ და მოშორებით გაჩერდა.  
დავეუძახე, და გავაცანი ილიას. ვუთხარი, რომ მას სახლკარი გადაუწვევს  
და ამჟამად დამწერების რწმუნებულია. ილიამ იმასაც გამოჰკითხა ნასა-  
კირალის ამბავი.

— რა მიზეზი იყო, რომ გურულები თავს დაესხნენ პლასტუნებს ნასა-  
კირალზე?

— ბატონო, ჩვენ გვეგონა, ჩვენ დაგვესხა, თვით ჩვენ როგორ დავეცე-  
მოდით. ჩვენ, ბატონო, ძმობა გვინდა ყველასთან. ჩვენი პროგრამა... — და  
მოუყვა სხაპასუხობით პროგრამა „მინიმუმს“. ილია ღიმილით უღებდა  
ყურს და ჰკითხა:

— ახლა რას ფიქრობენ გურულები?

— ახლა, ბატონო, თქვენ უფრო მოგეხსენებათ, მაგრამ უნდა მოგახსენ-  
ნოთ, რომ ჩვენ ჩვენი ახალთაობის ძალას ეგვრძობთ. ან უნდა გავიმარ-  
ჯეთ, ან უნდა შევავადეთ მტერს. იარაღი გვაკლია, იარაღი თვითონ...

კრება თანდათან დაიშალა. თავმჯდომარე თამარ გრუზინსკიამ ჩვენს-  
კენ გამოსწია. ილია სწრაფად აღგა, მიეგება და ორივენი მოგვიახლოვ-  
დნენ.

— ძალიან მოხარული ვარ, — გვითხრა თამარ გრუზინსკიამ, — რომ  
ფულს თქვენი სურვილებისამებრ პირდაპირ ჩქარა გადაგვზავნით ოზურ-  
ვეთში.

ილიამ გააცნო გოგელია და უთხრა:

— იი, ეს გურული, მართალია, სახლკარი გადაუწვევს, მაგრამ მთავრო-  
ბასთან საბრძოლველად იარაღს არ ყრის. ნამდვილი რევოლუციონერია. —  
მერმე მიუბრუნდა გოგელიას და უთხრა:

— თქვენ იცით, ეს კნეინა გრუზინსკიია, ჩვენი თავმჯდომარე, საქარ-  
თველოს რომ თავის მეფე პყოლოდა, ეს ახლა ჩვენი დედოფალი იქნე-  
ბოდა?

გოგელიამ სწრაფად შეხედა გრუზინსკიას.

— თქ, ბატონო, ეს რომ ჩვენი დედოფალი ბრძანებულყო ერთ წელი-  
წილს კიდევ მოვითმენდი, დავიციდიდი და რევოლუციას არ მოვახდენდიო.

ილიას გაეცინა.

— რა თქვა? — იკითხა თამარ გრუზინსკაიამ, რომელიც გოგელის წყარ ლაპარაკს და გურულ კილოს ვერ მიხვდა. ქავეკაძემ *საქართველოს* ლაპარაკს და გურულ კილოს ვერ მიხვდა.

გრუზინსკაიამ გაეცინა და უპასუხა ქართულად:

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთი შეწუხება არ მოგაყენეთ და არ გალოდინეთ რევოლუციის გაკეთება.

თუ წელან თამარ ვერ მიხვდა გოგელის ლაპარაკს, ახლა გოგელიამ ვერ აითვისა თამარის ფრანგული აქცენტით ნათქვამი.

და როდესაც ილიამ იმასაც განუმარტა, სწრაფად წარმოსთქვა:

— რას ბრძანებთ, ბატონო, თქვენისთანა დედოფლისათვის შეწუხებას ბედნიერებად ჩაეთვლიდი.

ილიას გაეცინა და სთქვა:

— რით არ არის ახლა ეს გურული გლეხი „СВЕТСКИЙ“ კაცი. — და მიუბრუნდა ისევ გოგელიას:

— თქვენ გურულს რომ არ გიყვართ მეფეები და თავადები?

— თქვენისთანები გიყვარს ბატონო, თქვენი „კაკო ყაჩაღი“ ჩვენ ყველამ ზებირად ვიცით.

ილიას ესიამოვნა მისი სიტყვები და მხარზე ხელი დაადო.

— სად გისწავლია?

— სოფლის სკოლა გავათავე და შემდეგ მუშად ვიყავი ბათომში — როტშალდის ქარხანაში.

ხალხი წაიფიქრებდა, გრუზინსკაიაც გამოგვეშვიდობა.

— მთავარი ისაა, — განაგრძო ილიამ, — რომ ახლა დიდი მოთმინებაა საქართველოსათვის, რომ ამ საშინელ დროს ფიზიკურად გადაარჩეს.

— მთავარი, ბატონო, ჩვენთვის იარაღია.

— იარაღი კარგია, მაგრამ ახლა მთავრობა გეპირდება, ყველას მოგისმენთ და ცხოვრებას გაფუადვილებთ ხალხსო.

— თქვენ გჯერათ, ბატონო?

— მჯერა? დაჯერების რა მოგახსენო, — სთქვა ილიამ, — მაგრამ ჩვენი აზრი მაინც უნდა გაგაგებინოთ და შეიძლება ნაკლები მსხვერპლის გაღება დაგვეპირდეს. იცით თქვენ თუ არა, ყმაწვილო, რომ ცხოვრება ისეთი რამ არის, რომ არასოდეს არ ეწყობა პროგრამის მიხედვით...

— ჩვენი პროგრამა არ მოგწონთ, ბატონო?

— მე არ მიიქვამს არ მოწონს-მეთქი, მაგრამ საქმე ჩემ მოწონებაზე კი არ არის. უფლებას მთავრობა ასე ადვილად არ დასთმობს. მე ძალიან ვწუხვარ, რომ არ ვიზიარებ გურულების ზოგიერთ დებულებას, იმ კუთხის ხალხისა, რომელსაც თქვენ ეკუთვნით.

— გაიზიარეთ, ბატონო, გაიზიარეთ!

ქავეკაძეს გაეცინა და ლაპარაკის საგანი შესცვალა:

— ალიხანოვი რომ ჩამოვიდა და კრება მოახდინა, იმ კრებაზე იყავით?

— აჰ, არა ბატონო, როგორ შეიძლება არა, იქ ჩვენ ვაგზავნეთ მოხუცებულები: ოთხმოც-ოთხმოცი წლის კაცები. იგინიც ტალახში ჩააჩოქეს და ჩვენ რომ ვყოფილიყავით...

— ალიხანოვ-ავარსკი განათლებული კაცია და მე მიკვირს როგორ სთქვა, სჯობდა ათი უდანაშაულო კაცი ჩამოეპარათ, ვიდრე ერთი დამ-

ნაშავე გავანთავისუფლოთო. კარგია, რომ გურულებმა თავი შეიკავეს და წინააღმდეგობა არ გაუწიეს. ძალიან უღმობელი კაცია ალიხანოვი.

ჩვენ უკანასკნელი გამოვედით "შენობიდან, გამოვიარეთ ქუჩაში და ჩამოვედით მაშინ სასახლის ქუჩაზე.

— მე მინდა კიდევ ვნახოთ, — მითხრა ილიამ. — კიდევ ბევრი რამ მინდა გკითხოთ. თქვენ ვერ წარმიდგენთ რა დანაკლისია ჩემ ცხოვრებაში ის, რომ არასოდეს დრო არ მქონია მთლიანად გამეცნო ჩვენი ქვეყანა; ავიღოთ თუნდა გურია, აჭარა, სამეგრელო. არ მქონია საშუალება მეცხოვრა ამ კუთხეებში ცოტა ხნით მაინც. და ერთი საუკეთესო ჩემი მეგობართაგანი კი გურული იყო, პეტრე ნაკაშიძე, ილიკოს მამა. ახლა არც კი ვიცი სად არიან მისი შვილები. ვიცი, რომ თქვენ და ილიკო რუსეთში იყავით, რომ ახლა გურიაში ხართ, მაგრამ სხვები? მინდა ყველას ამბავი გავიგო. იქნება გამოიაროთ ჩემთან. ჩვენ ბევრ რამეზე ვერ მოვასწარიოთ ბაასი. ოღლასაც ძალიან ესიაზრებოდა თქვენი ნახვა. — გამომემშვიდობა და გასწია ერევნის მოედნისაკენ. გოგელია და მე კარგა ხანს ვუცქეროდით, თუ როგორ მიდიოდა ის ნელი ნახიჯით, თავაწეული, პაპიროსის წვეით.

1906 წელს დამატესადეს. მე მამბრალეზდენ გურულებსათვის იარაღის საყიდლად ფულის შეგროვებას, ჩემს მეუღლეს კი — ტოლსტოის იდეების გავრცელებას ხალხში, "რომელსაც "უმეცარი" სოციალდემოკრატები ხელს უწყობდნენ, რადგანაც თვითონაც არ იციან რა უნდათ". პირდაპირ ასე გამომიტხადა პოლკოვნიკმა ტოლმაჩეგმა, როცა დატუსაღებული მიმიყვანეს მასთან. ტოლმაჩეგი იყო დამსჯელი რაზმის უფროსი, გამოგზავნილი გურიაში ალიხანოვის შემდეგ.

მერე მკითხა:

— თქვენ ჯაქვთ მიწერ-მოწერა პოეტ ილია... — კარგა ხანს ეძება ქალღელეში და ბოლოს ამოკითხა გვარი, — ჩავ-ჩავ-ჩავაძესთან? არა? წავიკითხავთ მისი ნაწარმოები? მოგწონთ? თანაუგრძნობთ თუ არა, ჩავ-ჩავაძეს? ქართულებს უყვართ ჩავჩავაძე?

— უთუოდ უყვართ, სახელმწიფო საბჭოში რომ აირჩიეს, — ვუთხარი მე. დაჩუმდა. პატარა ხანს მერე ისევ მკითხა:

— თქვენ რა ილაპარაკეთ მიტინგზე ჭავჭავაძის შესახებ?

— არაფერი არ მილაპარაკნია ჭავჭავაძის შესახებ, — ვუთხარი მე. არ ვიცი დამიჯერა თუ არა, მაგრამ მეტი აღარაფერი უკითხაეს. შემდეგ მელაპარაკა დამწერების შესახებ. ერთი თვის შემდეგ გამანთავისუფლეს სატუსაღოდან და ჩემი მეუღლე და მე ორივენი გადმოგვასახლეს გურიიდან.

გადმოვიბარეთ ისევ თბილისში.

1907 წლის გაზაფხულზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების გამგეობამ თავის სახსრების გასაძლიერებლად განიზრახა დიდი სეირნობის გამართვა. დიასახლისად მოწვეული იქნა ილიას მეუღლე ოლდა. ოლდას სახელმა აფარებელი ნიეთები შეკრიბა ლატარიისათვის. ნიეთები შემომწირველებს თვითონ მოჰქონდათ, ვაგროვებდით დაეით სარაჯიშვილის სახლში, იმ სახლში სადაც ახლა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახლია. იმ დროს ამენებდენ ბაღს, რგავდნენ ხეებსა და ყვავილებს. ნიეთები გვქონდა დაწყობილი შუშაბან-

ლიან აივანზე, მეორე ღია აივანი არ იყო ჯერ დასრულებული. შუშაბან-  
დი დაკეტილი გვეჩინდა და ვასალები ოლღას ჰქონდა შენახული. სარაჯი-  
შეილის მეუღლე ხშირად ჩამოდოდა და გვეხმარებოდა წყურვებს. ჯდარი-  
ჩევაში და დანაწილებაში, ლატარიის ბილეთებისათვის. შიხლიძისა

ერთხელ სადილად აღარ გამომიშვა სარაჯიშეილის მეუღლემ და მეც  
დავრჩი. დავით სარაჯიშეილიც სწორედ ამ სადილზე გავიცანი. ჩემს გარდა  
კიდევ იყო სადილად ჩვენი სასიქადულო მსახიობი ქალი ნატო გაბუნია —  
ცაგარელი. ვისხედით მალლა სართულში, პატარა სასადილო ოთახში, რო-  
გორც ისინი ეძახოდნენ იმ ოთახს, სადაც ახლა მწერლების კავშირის გამ-  
გეობის თავმჯდომარის კაბინეთია. სადილის დროს ლაპარაკი სულ ილიას  
ირგვლივ იყო. დავ. სარაჯიშეილი ძალიან უკმაყოფილო იყო პარტიებისა  
და განსაკუთრებით ფედერალისტების პარტიის სიჩუქით. მხოლოდ ფ-  
გოგინაშეილის გაზეთმა „ივერიამ“ ამოიღო ხმა, რომელმაც უფერულად  
ჩაიარაო. ილია ერთობ თავმოყვარეა რომ თვითონ ილაპარაკოს თავის  
დამსახურებაზე ხალხის და სამშობლოს წინაშე და დაიცვას თავის თავი.  
ეს ისედაც ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, მაგრამ არაუშავს შოვა დრო  
და საქმენი მისნი არ დარჩებიან ხმად მლაღადებელისად უდაბნოსა შინაო.  
და დალია ილიას სადღეგრძელო, „შეუდარებელი ილიას, ერთადერთი ნან-  
დვილი ქართველი პატრიოტის, ხალხის მოამაგის, დიდი ადამიანის და  
მწერლის“ სადღეგრძელო. მერე მიუბრუნდა ნატოს და უთხრა:

— ნატო, რა მხიარული სიცილი იცის ილიამ. გახსოვს შენ რომ ის აზ-  
ნაურის ქვრავი წარმოადგინე, როგორ იცინოდა.

— ეს რად გინდა, ბატონო დავით, აი, აბა ამას წინათ ვენახა, როგორ  
ვაციენე, ისეთი ფარსი მოუწყვე შენ ნუ მომიკვლები, რომ...

— რა ფარსი? აბა, ჩვენც გვიპზე, — სთხოვა დავითის მეუღლემ.

— ამას წინათ ი. რ-ს ცოლი მოუყვდა. ჩემი დიდი მეგობარი იყო ის ქა-  
ლი. ძალიან კარგი ქალი იყო. ქმრის პატივისმცემელი. ქმარსაც ძალიან  
უყვარდა, მეგონა, იმ ვასალებელს. თბილისში არ ვიყავი. როდესაც  
დავბრუნდი, გავიგე, რომ ეს ქალი გარდაცვლილა. ძალიან მეწყინა, შეგ-  
წუხბდი. უფრო ქმარი მებრალებოდა, რა ეშველება, თავს მოიკლავს-მეთქი.  
საქმე არა ვაქვსო, — მითხრეს, ქმარმა, ერთი კვირა არც კი გასულა, ცოლი  
შეირთო, ახალგაზრდა ქალი და არხეინად გრძნობს თავსო. ისე გამაბრაზა  
ამ ამბავმა, ადამიანო, რომ აღარ ვიცოდი რა მექნა. წავედი შინსიკენ, მიგ-  
დივარ ერენენის მოედანზე ტრამვაიში ჩასაჯდომად და ვფიქრობ, რაინაირად  
ამოვიყარო რ-ს ჯავრი-მეთქი. ვხედავ ჩემსკენ მოდის ილია, მინდა დავე-  
ლაპარაკო რამ და ამ დროს ვხედავ მეორე ტრამვაიდან ჩამოხტა ი. რ. და  
ისიც ჩემსკენ მოდის. რა ქალი ვიქნები, შენ თუ არ გაბტუნავე-მეთქი, ვა-  
ვივლე გულში და ილიას საჩქაროდ ვუთხარი: — ილია, შენ გენაცვალე,  
პატარახანს დაიცადე ერთ ფარსს გაჩვენებ მეთქი და თავში ცემით და  
მოთქმით გავექანე ი. რ-საკენ. ი. რ. მოდიოდა ახალ ტანისამოსში, თეთ-  
რი ეილეტით და წითელი გალსტუკით გამოწყობილი. წავეშინე თავში ხე-  
ლი: „ვთქვ შენ საცოდავო, ვთქვ შენ უბედურო, რა ვითხრა, როგორ განუგე-  
შო, იმისთანა ცოლის დამკარგავი-მეთქი. სად არის შენი ცოლი! სად არის  
ჩემი ნინო? რაღა გეშველება უიმისოდ? აღარ ვიცი შენ ვიტყვი თუ იგი-  
მეთქი? ხალხმა მოიყარა ჩვენს ირგვლივ თავი. გავიხედე ჩუმაღ, რასა-  
კვირველია, ილიაც დგას და გვიყურებს. მე კიდევ უფრო და უფრო უნატი

მოთქმას, ჩემებურად დაეყარე შესაბრალოსი სიტყვები, ვტირი. ~~ერთად~~ ამ ჩემ რ-ს რაღაცას თქმა უნდა. ხალხი შეწუხებული აქნევს თავს. გოლოს, როგორც იყო მივეცი სიტყვის თქმის საშუალება.

— ჰო, რასაკვირველია, ცოლი დაეკარგე, მაგრამ რა ~~მეტი~~ <sup>ეკონომული</sup> ~~მეტი~~ <sup>მეტი</sup> ცოლი შევირთე.

— სხვა ცოლი შეირთე! მომილოცავს შენი ჭირიმე-მეთქი. გლოვა ძველი ცრუმორწმუნეობა-მეთქი. ჩვენ დროში გლოვა რა საჭიროა-მეთქი. გენაცვალე, ქალი ყველა ქალია. „იგი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ მეთქი. და დაეყარე და დაეყარე ჩემებურად ამგვარი სანუგეშო რეჩები. უნდა გენახათ, როგორი ხარხარი ასტყდა ირგვლივ და რა მხიარულად იწყო ხალხმა დაშლა. გავიხედე ილიასაკენ ისიც კვდება სიცილით. ამდენხანს ვცდილობდი რ-ს არ დაენახა ილია, მაგრამ ახლა ისე მოტრიალდი, რომ დაეინახე. ოჰ, უნდა გენახათ როგორ გაბრაზდა, გამომწვიდობებდაც კი დაავიწყდა, ისე გაიქცა. მე კი გული მოვიფხანე. მა რა იყო, ერთი კვირაც არ იგლოვა, გეთაყვა. ილიაც ზომ ვაციენ.

დავითიც და მისი მეუღლეც გულიანად იციროდნენ. მე მგონია ნატოს განსაკუთრებული მანერა თბრობისა მხდოდა ამ ამბავს უფრო სასაცილოდ.



როგორღაც უცებ მოულოდნელად გრივალივით შემოიჭრა ხმა ჩვენს ეზოში, ილია ჭავჭავაძე მოკლესო.

— სადი როდის! — გაისმა მეორე ეზოში.

ყველა ახლომახლო ეზოებიდან გამოვიდა ხალხი.

— სად მოკლეს, რად მოკლეს? — კითხულობდა ყველა.

— ტყუილი იქნება!

— ილიას ვინ მოკლავდა?

— აბა რას არ გამოიგონებენ!

მაგრამ ის, რაც არ იყო დასაჯერებელი და რაც ელვის სისწრაფით მოედო ჩვენ უბანს, მაგრამ ჩვენ მაინც არ დაეიჯერეთ, დასაჯერებელი ვახდა, როდესაც მარიამ ივანეს ასული დემურია ამოვიდა ჩვენს აივანზე შეწუხებული.

— მართალია?..

— მართალია. ილია მოკლეს გუშინ საღამოს.

— შეუძლებელია, იქნება შეცდომაა.

— შეუძლებელი შეიძლო ვიდაცას წყეულმა ხელმა, — სთქვა მარიამმა და ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან. — აი გაზეთშიც სწერია და მან მოგაწოდა ვაზ. „ისარი“ სადაც ეწერა, რომ „საგურამოს გზაზე გუშინ მოკლეს ილია და დაჭრეს მისი მეუღლე“. აქეთ მოვდიოდი და შემოვიარე, იქნებ არ იციან მეთქი. შეგატყობინეთ. რედაქციაში შემოიარეთ, კრება უნდა დაენიშნოთ. ახლა რედაქციაში შეჩქარება, — სთქვა მან და საჩქაროდ წავიდა.

ჩვენ, ილიაო და მე, მაშინვე გავიქეციით რედაქციაში. ვინც გვხვდებოდა ყველა შეწუხებული შემოგვძახებდა:

— გაიკეთ?..

— ნახეთ ვინ მოკლეს!..



— ხედავთ რა სირცხვილი ვჭამეთ..

შეწუხებული, გაფითრებული, პირდაპირ გიყვივით შეგვედგათა წინ, თმა-  
გაბურძენული და უქუდიოდ იროდიონ ევლოშვილი. ერთ წუთს შეჩერდა.  
თრთოდა, ცრემლები სცივებოდა თვალებიდან: „ღმერთო ჩემო! ჩემო! ჩემო!  
ჩემო!“, — სხვა რამის თქმა ვერ მოახერხა და გაიქცა.

„ისრის“ რედაქციაში პირველ ოთახში ხალხს მოეყარა თავი. იაკობ  
გოგებაშვილიც იქ იჯდა შეწუხებული. მეორე ოთახში არავის უშვებდნენ  
ახლო თანამშრომლების გარდა. ილია ავლაძე თავჩაღუნული იჯდა და  
რადაცას სწერდა ვანჭარებულს.

ერთწუთს გიორგი ლასხიშვილი მოგვებრუნდა და სთქვა:

— აბა, ვინ მოიფიქრებდა, ილია, რომ ვინმეს ხელი აღიმართებოდა  
ილიას მოსაკლავად?

სტამბიდან ვილაცამ მოიბრინა, ჯაბადარს თხოულობენ ასოთამწყობნიო.

დიოშიდე კილაძემ ამოწყობილი ფურცლები ამოიტანა.

— ხომ აწყობენ მუშები ახალ ცნობებს? — ჰკითხა გიორგი ლასხი-  
შვილმა.

— აწყობენ, მაგრამ ის ავაზაკი ჯაში მოვიდა.

— არ შეუშვათ არაფერ სტამბაში, — გასცა განკარგულება ლასხიშვილმა.

თბილისი ახმაურდა, ყველგან კრებები, დეპუტაციების არჩევნები, პა-  
ნაშვიდები, სიტყვები. ქალების კრებაც იყო ძურნ. „ნაკადულის“ რედაქ-  
ციაში. ამ კრებაზე აკვირჩიეს სამი ქალი: მწერალი ეკატერინე გაბაშვილი,  
მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი და მე. ჩვენ უნდა წაესულიყავით სა-  
გურამოში და იქიდან გამოვყოლოდით ცხედარს.

გავემგზავრეთ ეტლით. მწუხარე მგზავრობა იყო ჩვენი მგზავრობა. ეკა-  
ტერინე იჯდა და ხშირად წამოიძახებდა მწარედ: „მოკლეს ღვთაებრივი  
ილია“, — და დაირტყამდა მუხლებზე ხელს, თავის ქნევით.

— „ვაი, ვაი, რა კაცი მოკლეს“. — იძახდა ელისაბედ ჩერქეზიშვილი და  
ირტყამდა ხელს ხან ერთს, ხან მეორე ლოყაზე.

მშვენიერი დარი იყო, გადახრილი მზე ამუტებდა მყინვარს და ეკატე-  
რინე იგონებდა მყინვარის შესახებ ილიას დაწერილ ლექსებს. მთელ თავ-  
ებს „აჩრდილიდან“, „განდგილიდან“ და სხვ. მტკვარს რომ გაფუსწორდით,  
წარმოსთქვა: „აჰ, ღვთაებრივო ილია, კვლავ შენი „მტკვარი“ „მირბის ქუ-  
ხილით“ და შენ კი არ გესმის მის ქუხილში „მშობლიური გრგვინვა“, აჰ,  
ღვთაებრივო ილია, გავიმეორებ შენვე სიტყვებს: „შევკვნეს, შევსტირი მე  
ამა ზვირთთა, თითქოს მათ შთანთქეს ჩვენი წარსული“.

მთელი გზის მანძილზე ის ლაპარაკობდა მხოლოდ ილიას შესახებ.  
გვიამბობდა, თუ რა ბრძენი იყო, რა კეთილი, როგორ ეხმარებოდა და  
ამხნევებდა დამწყებ მწერლებს.

— ის რომ არა, იქნება მე არც არაფერი დამეწერა ჩემ სიცოცხლეში,  
ყველაფერს მოგისმენდა და გასწავლიდა.

სხვათა შორის მან გვიამბო, როგორ დააარსა ქართველი ქალების ერთმა  
ჯგუფმა სამკერვალო სკოლა ილიას რჩევით.

— ქალებმა შეეგაროვეთ ცოტაოდენი ფული, გვიწოდდა სკოლის გახს-  
ნა, მაგრამ იმდენი არ იყო, რომ გვეყოფნოდა და განვიხრახნეთ რამე სა-  
ვაჭრო მალაზია გაგვეხსნა, და პატიოსანი ვაჭრობით შემოსული ფული

მოგვეხმარა, მაგრამ ჩვენ ამის შესრულება ვერ გავბედეთ და ჩვენთან საკითხავად წავედით.

ილიამ გულდასმით მოგვისმინა, ცოტახანს დაფიქრდა და გვეუბნება:

— რა საეპტოს გახსნას აპირებთ?

— კოლონიალურს, — ვუთხარიოთ ჩვენ.

— არ გირჩევთ, — გვითხრა მან, — სად შეგიძლიათ თქვენ ქალებს მეტოქეობა გაუწიოთ გამოქნილ ვაჭარს. ის ბრინჯში სილას გაურევს, ლობიოში მიწას და კენჭებს ჩაყრის, ფქვილში ქერის ფქვილს და მტვერს აურევს. წონაში მოატყუებს მყიდველს. უკანასკნელი ხარისხის საქონელს პირველ ხარისხად ვასაღებს, დაქირავებულ ხალხს ექსპლოატაციას გაუწევს. თქვენ კი, რასაკვირველია, ამას ვერ შესძლებთ და, რომც შესძლოთ, ვერ იკადრებთ და თუ იკადრებთ, მაშინ რაღა ახალი და პარტიოსანი ვაჭრობა გამოვა. მაშასადამე, თქვენ საქონელი უნდა გაყიდოთ უფრო ძვირად და მაშინ ხალხი თქვენთან კი არ იღოს, წავა იმასთან, სადაც უფრო იაფი იქნება. გამოცდილი ვაჭრები გაიმარჯვებენ, თქვენ კი ჩქარა გაკოტრდებით და ვაივავალახით შეგროვილი თანხაც ხელიდან გამოგეცლებათ. უმჯობესია სახელოსნო სკოლა გახსნათ. მაგალითად, შრა-კერვის სკოლა. ხელობასაც შეასწავლით ქალებს, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ და შემოსავალიც გექნებათ.

ჩვენც დავუჯერეთ ილიას და გავხსენით შრა-კერვის სკოლა.

როდესაც საგურამოში ჩავედით ჯერ კიდევ ადრე იყო, ილიას მოურავი ჯაში შეგვხვდა, რაღაც ჩალამებული თვალებით, შეშფოთებული. იმ საღამოს ილიას ცხედარი არ გვინახავს. გავედით კაკლას ხის ძირას, სადაც რამდენიმე კაცს მოეყარა თავი. ზოგი თბილისიდანაც იყვნენ ჩამოსულნი. კაკლის ზემოდ საფუტკრე იყო და საფუტკრეს ზემოდ გენახი. კაკალთან ერთი ჩემი ძველი ნაცნობი მეფუტკრე მასლოვი ვნახე, რომელიც ახლა თურმე ჭავჭავაძისთან მუშაობდა მეფუტკრედ. მასლოვი ძალიან შეწუხებული იყო.

— აჰ, რა კაცი მოკლეს, რა კაცი! — ამბობდა ის, — უკვიანი, განათლებული, პარტიოსანი, სამართლიანი, ხალხის მოამაგე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დახმარებას უწევდა ის ახლო მახლო ხალხს რჩევით, დარიგებით, თუ საქმით. მართალია, სოციალისტი არ იყო, საკუთრება სწამდა, მაგრამ რა პარტიესციემით ეპყრობოდა სხვის საკუთრებასაც. ერთი ფუჩეჩი რა არის, სხვისას არ ინდომებდა, მაგრამ თვითონაც ბეჯითად თხოულობდა სხვასაც პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. პირდაპირ გაუგებარია, რატომ უნდა პყოლოდა მტრები ასეთ ადამიანს!..

დაღამდა. დაგვიძახეს სახლში. ძირს სართულში დიდ ოთახში რაღაც პატარა ბეჟუტუნა ბეჟუტავდა. ოთახში შეგროვილი ხალხი ლანდებივით მოჩანდა.

— დაბრძანდით, ვახშამი მიირთვით, — გვითხრა ვილაყამ.

თითო პატარა ნაჭერი, შავი უხარშავი ხორცი და თითო ნაჭერი პური მოგვითანეს და უთედუმოდ დაგვიდევს ვადაუფარებელ მაგიდაზე.

— თედუები? — იკითხა ელისაბედმა.

— სად არის ბატონო თედუები, — დაიძახა იმავე ხმამ, ამბობდნენ ჯაშის ხმაო, სიბნელეში არ ჩანდა.



— დანა-ჩანგალი?  
 — არც დანა-ჩანგალი.  
 — არც დანა-ჩანგალია, — გაუქვირდა ელისაბედს, — აბა, რა უნდა ვგლიჯოთ.

სამსახურისა

— არ არის, ბატონო, არა, — სთქვა წყრომით იმავე ხმაში.  
 გათავდა ვახშაში, გაგვიყვანეს ერთ ცარიელ ოთახში, მადლა სართულზე, არც ქვეშაგები, არც ბალიშები, რაღაც ფალასი მოგვეცეს ქვეშდასაგებად.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო, ამას რას ვხედავ, — ამბობდა შეწუხებული ელისაბედი. — ილიას დღეობაზე ხუთასამდე კაციისათვის ყველაფერი იყო, დანა-ჩანგალიც, ჩაისს კურკელიც, თფშებიც. ასი კაცი რომ დარჩენილიყო დამე, — ლოგინიც ყველასათვის ჰქონდათ და ასე უცებ ყველაფრის დატოვება გაგონილა! რას უყურებს ნეტავი ის ავანაკი ჯაში?..

ღილით აივანზე გავედით, მშვენიერი მზიანი დღე იყო. საუცხოო ხედი გადაშლილიყო შორს, შორს: მზის სხივებით გაბრწყინებული არაგვი ოქროს ზოლივით ბრჭყვინავდა დაბლა ქალაში სოფლის გასწვრივ. მყინვარი თითქოს უცინოდა მზეს თავის ჭაღარა მწვერვალით. სოფელში აქა-იქ ქალოები მოსჩანდა, მაგრამ ხალხი არ მუშაობდა.

— აჰ, მოკლეს ღვთაებრივი ილია, და აქაურობა აღარ დაატკობს მის თვალებს... — სთქვა ეკატერინემ ცრემლმორეულმა.

დავეიძახეს ძირს, ჩაი დაგვალევინეს, მაგრამ როგორი ჩაი? არც ლამაზ-ქები, არც კოვზები, ზოგს ჭიჭა ერგო, ზოგს გატეხილი ფინჯანი. ოთახებშიც თითქმის დაცარიელებული იყო. რაღაც საშინელი ძარცვისა და ტოციობის სუნის სდიოდა ყველაფერს. ჩაის შემდეგ ყველანი გამოვედით გარეთ. უკვე ცხედარი უნდა გამოესვენებინათ ოთახში.

რომ გამოვედით დავინახეთ ეზოში სახლიდან ზოშორებით იდგა მწკრივად რამდენიმე გლეხი. მე ვფიქრობ ათი-თორმეტი იქნებოდა, უფრო ხანში უკლებელი იყვნენ. ქალი კი არც ერთი არ იყო.

ჩვენ მივედით გლეხებთან და სალაში მივეცით. ეკატერინემ მიმართა გლეხს, რომელიც ჯობზე დაბჯენილი უფრო წინ იდგა.

- აქაურები ხართ, საგურამოელები?
- აქაურები გახლავართ, საგურამოელები.
- მართო თქვენ ხართ?
- დიას.

— ცუდი კაცი იყო ილია?  
 — რას ბრძანებთ, ცუდი რად იქნებოდა? ძალიან კარგი კაცი იყო.

ცხედარი გამოასვენეს, დაასვენეს ოთახში და ჩვენც შიგ შევედით. ეკატერინემ დაიჩოქა თავთან.

ილია იწვა კუბოში, გამხდარი, მაგეებ ჩაცვნილი. შუბლზე ცალ მხარეს, დაჭრილ ადგილას ყვავილები ეფარა. სახეზე რაღაც გაკვირება აღმეჭლოდა. მე თითქოს ახლა პირველად ვიგრძენი მტკივნეულად, რომ სამუდამოდ დადუმდა ეს ჩაცვნილი ბაგეები, დაიხუჭა მისი მეტყველი თვალები, და გაშეშდა მისი ხელები, რომლებითაც სწერდა „გლახის ნაამბობს“, „განდევ-ვილს“, „აჩრდილს“ და თვალთაგან უნებურად გადმოშვებულა ცრემლები. ხალხმა იწყო დენა ოთახში, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს რა ხალხი შემოვიდა. მე ახლაც ვერ გამოვიტოვებ რა მომივიდა, მაგრამ ნათლად ვხედავდი, როგორ შემოდიოდა უცნაური ხალხი ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფადაც: ყვე-

ლაზე უწინ შემოვიდნენ გაბო და პეპია, კაკო და ზაქრო ყაჩაღები დიმიტრი თავდადებული, მღვდელ-მთავართა და დიდებულებითა, ნელა და შეილი, ოთარაანთ ჭერები. — ყველა ვინც ილია ჭავჭავაძემ გააკეთა თავის უკვდავ ნაწარმოებებში. ყველანი მწარედ სტიროდნენ, მწარედ სტიროდნენ უფრო გულამოსკენით ჭეითინებდნენ ოთარაანთ ჭერები, ნელა და ორი ობოლი ბიჭი: ბეჟანი და მისი ძმა. ყველაზე ბოლოს, ნელა, აღჩქარებულად შემოვიდნენ ლუარსაბი და დარეჯანი. თითქოს გაკვირვებით დასცქეროდა ილიას მღვდმარე სახეს ლუარსაბი, თითქოს რაღაც უნდა თქვას.

შემოვიდა მღვდელი საცეცხლურით.

— მიიწიეთ ცოტათი, — სთქვა ვილაცამ. ვილაცამ მოჰქიდა ხელი ეკატერინეს და გაეწივით. დავინახე რომ თბილისიდან ჩამოსული ხალხით იყო ოთახი სავსე.

ყველაზე წინ იდგა ივ. რატიშვილი, დ. თ. ნიქარაძე, სეით იაშვილი, ვ. ზდანოვიჩი. გამოასვენეს ილია. გამოყვევით ძვირფას ცხედარს, ეკატერინემ კარებთანვე ტირილით წარმოსთქვა ის სიტყვა, რომელიც უთუოდ ყველას ჩარჩა გონებაში და რომელიც წინასწარმეტყველებად გადაიქცა.

— ოჰ, დიდო ილიავ, — სთქვა მან, — შენ ვერ დაგაფასა თანამედროვებამ და ტყვეით გავიხვრიტა მაღალი შოაზროვნე შუბლი და სამშობლოსათვის შემტყვიარი გული, მაგრამ მომავალი თაობები გაიგებენ, რა დიდი ადამიანი იყავი, რა გააკეთე ქართველი ხალხისათვის და რა ამაგი დასდევს შენ საყვარელ სამშობლოს. შენი დიდი ღვაწლის დაფასება მომავალს ეკუთვნის. მომავალი განამტკიცებს შენს დიდებას და არ დაგიოწმებს ქართველი ხალხი არასოდეს. იყავი დამშვიდებით დიდო, ღვთაებრივო ადამიანო.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სხვებმაც. ეზოს თანდათან ემატებოდა ხალხი. ვანაპირას დავინახე შავ ჩოხებით შემოსილი ახალგაზრდა ცხენოსნები. ესენი იყვნენ საპატიო მცველები. თეთრ ცხენზე იჯდა იმათი მეთაური. ვინ არის, ვფიქრობდი, ეს უცნობი ნაცნობი და უცებ გაიელვა ჩემ წინ მუდამ მხიარულმა, მოცინარმა გიგო მაღალაშვილის ფართო, ფეროვანმა სახემ; ღმერთო ჩემო, როგორ გაფთხრებულა, როგორ გამოუცვლია მწუხარებას, რა ძნელი საცნობი გამხდარა მისი შეწუხებული სახე. ტირის?

ამ საერთო გლოვაში გრგვინვსავით ისმის „საუკუნოდ იყოს ზსენება მისი“ და ვანშორების ტყვილი მწარედ ატირებს ყველას.

სამწუხარო პროცესია დაიძრა.

დროშები, ძვირფასი ცხედარი, ირგვლივ მგლოვიარე ცხენოსანთა საპატიო მცველები, ხალხი, დელეგატების ეტლები.

წინამურში, საშინელი მკვლელობის ადგილას, იროდიონ ევლოშვილის სიტყვა ქრუანტიელს ჰგერის ყველა იქ მყოფთ. ვზადაგზა გვემატება ხალხი. მცხეთაში, საუკუნოების განმავლობაში ჩვენ წინაპართა მოწამებრივ ცხოვრების მეთვალყურე ჯერის ძველი მონასტერი დასცქერის თავს მცხეთელების მწუხარებით შეხვედრას „დიდ მოღვაწე პოეტთან“, მათ „მეზობელთან“.

სტახათ-გვერდის კოშკთან ავკალელები—მსახიობ ადამიანთა მეთვალყურეობით. ყველგან სიტყვებით მიაცილებენ ძვირფასი მასწავლებლის ცხედარს. რომელიც დამშვიდებით მიემგზავრება თბილისისაკენ.

მზე დაგვექოთებებს მაღლიდან. მყინვარწვერი გასხივოსნებულ სტიქი-  
ბა. მტკვარი კი კენესის. მივდივართ ჩუმაღ, აუჩქარებლად.

გამოვედით საბურთალოზე. მოვატანეთ ხილს. ღმერთო ქვეყნის ყველა-  
ნი ისმის, რა ჩამობნელებულა ყველაფერი.

— რა ამბავია?

— რა მოხდა?

— ხალხია, ხალხია შესახვედრად მოსული, — ისმოდა ხმები.

მართლა რა ხალხი მოჯარებულა ზღვასავით. ახლომხლო ხეები, სახ-  
ლების აივანები, სახურავები, ფანჯრები საცსეა. ყველა დღელავს, ისწრა-  
ფვის წამოიწიოს წინ, ჩვენსკენ.

არ უშვებენ.

ჩვენ კი მივდივართ ნელა, აუჩქარებლად, რადგანაც ის ვისაც ვახლ-  
ვართ წვეს წყნარად, არსად არ ეჩქარება, მაგრამ საზე კი გაკვირებული  
აქვს, შეშინებული კი არა; ეს უნდა დაეცხსოთ... მხოლოდ გაკვირებული.

მივედით ჯვართან, ხომ უნდა ნახოს ხალხმა ილიას მადლიანი საზე. გად-  
მოიღეს, დაასვენეს მომზადებულ ადგილას და გაისმა ისევ სიტყვები,  
სიტყვები გულის ასაჩუყებელი, რისხვით აღსავსე, გასამხნეებელი. სიტ-  
ყვების ლეიტმოტივი იყო, რომ ილია საქართველოში უკვდავი იქნება მუ-  
დამ. «ვინა სთქვა საქართველოზე ეგ არის ლომი კვდება?» — არაინ!

— კი არ მოკვდა, აღსდგა — ისმის ტირილში აქეთ-იქიდან ხმები. ისევ  
დავიძარით. ოღლას ქუჩა ხალხს ვერ იტყვდა. სახლების აივნები, ფანჯრე-  
ბი, სახურავები აქაც საცსეა. მივდივართ ნელა, აუჩქარებლად, სიჩუმეში  
მხოლოდ ისმის მგალობელთა გულასაჩუყებელი გალობა, ქეითინი. წინ  
ცხენების ფლოქეთა თქარათქური ქვებზე. თვითონ ის, ვისაც მივყვებით,  
წვეს წყნარად...

ჩამოვედით ეტლიდან, მივყვებით ფეხით. ეკატერინე ტირის შეუჩერებ-  
ლივ.

— დაიპირეს თუ არა მკვლელები? — ისმის ხალხში.

— უნდა ჩამოაბრჩონ!

— რა გამოვიდა, ეს დიდებული ადამიანი კი ჩაგვაცლეს და ახლა...

— მამულა საყვარელო, შენ როსლა აყვავდები? — ამბობს ვიღაც  
მწუხარედ.

— ვერ მოესწრო მამულის აყვავებას!

— «გთხოვ შეუნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან».

— შენდობა? არასოდეს! — ამბობს ვიღაც ახალგაზრდა.

მოვდივართ გოლოვინის პაროსპექტზე.

— ბოლო ბრ ჩანს, ზედაც რა ხალხია!

— ამბობენ, პარიზში ვიქტორ ჰიუგოს დასაფლავებას დაესწრო ასეთი  
აუარებელი ხალხიო, პასუხს აძლევს მეორე, — ვინ იცის ხალხი იქნება აქ  
კიდევაც მეტია, მხოლოდ პარიზში მაშინ ყველა სვეტები შავი ქაძებით  
იყო შემოსილი და ქუჩებში ყველგან ცოცხალი ყვავილების თაღები იყო.  
იქ მთავრობამ მოაწყო მისი დასაფლავება.

— სწორედ ეგ არის აქ კარგი, რომ მთავრობა არაერთარ მონაწილეობას  
არა ღებულობს, ხალხი კი ასაფლავებს თავის მწერალს, ზედაც მალაზიებიც  
კი დაკეტილია.

სასახლის ქუჩაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბინა შავი ძაბით არის შებურვილი. შევებთან იტყობება ილიას სურათი. მწუხარების შევ ფონზე ფანჯრიდან გადმოსვლა ჩვენი სასიამოლო პოეტი აკაკის მშვენიერი თავი, მისი მწუხარე სველიანი სიტყვა ატირებს ყველას.

ერევნის მოედანი გაქედლია ხალხით. ვერცხლის ქუჩის თავში გადაბმულია ცოცხალი ყვავილების თაღი და მთელ ქუჩაზე სიონამდის ყველა სახლების აივნები და ფანჯრები შავი ბაიარაღებით არის დამგლოვიარებული. სახლის აივნები, ფანჯრები აქაც საესეა შეწუხებული ხალხით. ქუჩების შესართავებში მოჯარებული ხალხი, ლამის ძალით გადმოსკდნს ქუჩაზე. ყველას უნდა დაინახოს ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც თურმე ასე უყვარდა, რომელსაც თურმე ასე აფასებდა და რომელიც ახლა აძლედა ყველას საშუალებას ეყურებინათ მისთვის, ელაპარაკათ მის შესახებ და ბოლოს აეყვანათ და შეესვენებინათ სიონის ძველ ტაძარში. სიონის ტაძარში მიიღო იგი იქ, სადაც ღებულობდა საქართველოს ძველ მოღვაწეებს და მოამაგებს მოსასვენებლად.

მეორე დღეს არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოში, რომელსაც თავის დელეგატების სახით არ ენახოს სიონის ტაძარში ილიას ცხედარი, მისი დამწვინებული, მაგრამ გაკვირებული სახე.

ისევ დაიძრა სიონიდან ილია და მასთან მთელი საქართველო და საქართველოს გული — თბილისი. ისევ ისე ხალხით გაქედლს სიონისა და ვერცხლის ქუჩით, ერევნის მოედნით და ვოლოვანის პროსპექტით. „წინ მიპქონდათ გვირგვინები, გვირგვინები... რამდენი? ორასი, სამასი. უთუოდ მუზეუმში თუ დაითვალეს. შემდეგ... დროშები, ამქრები, მგალობლები...“

კატაფალკზე კი დამწვინებით ასვენია ის, ვისაც აცილებს დღეს ასეთის პატვიისცემით და სიყვარულით მთელი საქართველო. მგლოვიარე, ჩუმი ზღვა ხალხი აღიდებულ მდინარესავით მიიგრანება და არ ეტყევა ქუჩის კალაპოტში. სამეგრელოდან ჩამოსული ქალთა დელეგატები, თმაგაშლილი მოთქმით ტირიან საქართველოს დაობლებას.

დაბ, მთელი საქართველოა დღეს აქ. არ არის მხოლოდ ილიას მეუღლე საბრალო ოღდა, რომლისთვისაც ღვთაებრიობა იყო მისი მეუღლე დიდი ილია. მხოლოდ ის, ერთი არ არის აქ. ახლა ის წევს ავაზაკების მიერ ნაცემი, დაქრილი, გონებადაკარგული მოხუცი ოღდა და ებრძვის სიკვდილს. პროცესიამ გაიარა ვოლოვანის პროსპექტი, ჭავჭავაძისა, ლაბორატორიის ქუჩა და შეჩერდა მთაწმინდის მოედანზე. აქედან ეტლები ვეღარ მიდიან და ხელით უნდა წაასვენონ ცხედარი.

აქ გამოვეთხოვე მეც უკანასკნელად ჩემი უძლური სიტყვით.

ჩემი გული თრთოდა და დღეავდა. „განა საფიქრებელია რომ ადამიანმა, ვისი ხელიც არ შედრკა და სასიკვდილო ტყვია აძგერა ილიას გულს, იმ გულს, რომელმაც სიყვარულით ამოაკვნესა „გუთნის დედა“, „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი“, „ლოცვა“, „ქართველის დედა“, „აჩრდილი“ და სხვანი, იცოდა მაინც ერთ-ერთი ამ ნაწარმოებთაგანი? და ახლა კი, როცა დაგვარგეთ საუნჯე, ვტრით; მაგრამ ილიას ღია სამარის წინაშე უნდა ვიგლოვოთ არა ის ადამიანი, რომელიც მუდამ იცოცხლებს ქართველი ერის გულში, არამედ ის საბრალონი, რომელნიც დღეს ირგვლივ ზიზღს და რისხვას იწვევენ, ვიგლოვოთ ის უბედური დედა, რომელსაც

შემა ბედმა ასეთი შეილის აღზრდა არგუნა და იმათთან ერთად ჩვენი თავიც.

«გეთხოვებით, ძვირფასო მასწავლებლო, შენისავე სიტყვებით, ჩონჩხ-ლიც ყველა ქალმა — დედამ მცნებად უნდა გაიხადოს:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...

ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს:

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...

წასვენეს ხელით მთაწმინდის მონასტრამდის (ქართველ მოღვაწეთა ბან-თეონში). დროშები, ხალხი, ამქრები, მგალობლები... მოტირალები ისევ ისე მიჰყვებოდა, ყველა, საწყალი ოღლას გარდა.

როდესაც მალა ავედი, ვალავანში ხალხის ტევა არ იყო. ერთი თავდახუ-რელი დარბაისელი ქალი ეკამათებოდა იმას, რომელიც მხოლოდ ბილეთი-ნებს უშვებდა შიგნით.

— არ არის, ბატონო, ადგილი, უბილეთოდ არავისი შეშვება არ შეი-ღება, — ეუბნებოდა შეშვები.

— შე, ქართველი დედა ვარ, — ამბობდა ქალი, — ქართლიდან ჩამოვიყ-ვანე ჩემი სამი შვილი, ჩვენი დიდი მწერლის ილიას სანახავად და ნუთუ ვერ უნდა ნახონ მისი ნათელი სახე? ნუთუ ისევ ისევ უნდა წავეყვანო შინ, რომ ვერ ნახონ ის დიდი ადამიანი, რომელმაც კალმით და საჭმით ვმსახურა ქვეყანას?

ბოლოს ქალი ბავშვებით შეუშვეს.

როდესაც მივალწიე საფლავთან, ის იყო ილია უკვე ჩაუშვეს საფლავში. ირგვლივ ყველა ტიროდა.

ხალხი კიდევ ამოდიოდა და ამოდიოდა აღმართში. და ბოლო არ ჩანდა.

და ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, მესმის იმ დროს ამ ხალხში გაგონილ სიტყვების სიმართლე. დიახ, ვინ იტყვის ახლა რომ ილია კავკაზ-ძემ არ გაიმარჯვა. რენანის თქმისა არ იყოს „ნამდვილი ფილოსოფოსი მამაცია. ის უფრო ადვილად გადადებს თავს სასიკვდილოდ, ვიდრე სხვაო“. და განა ილიას ცხოვრებაც მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ფილოსოფოსის მამაცობა არ იყო? განა მთელი მისი მწერლობა და მოღვაწეობა მიმართული არ იყო მაშინდელ ხელისუფალთა და მეტო-ქეების წინააღმდეგ, მაგრამ ილიას არასოდეს არ მოუდრეკია ქედი მათ წი-ნაშე, განაგრძობდა მის მიერ დასახულ მიზნების სამსახურს და მოკვდა მა-მაცად და ქედუხრელად.

ხშირად მომინდება ბოლშე მივიდე ილიას საფლავზე და მოწიწებით ჩაეძახო: „დიდო ილიავ, გაიხარე, შენი საყვარელი მამული აყვავდა!“

## პ. კაპანაძე — „ბელადის გავშვობა და ყმობა“

საბლიტბაში — 1945 წ.

ახალგაზრდობის კომუნისტრად აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარსულში ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ამა თუ იმ ეტაპის საფუძვლიანად შესწავლას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ბელადის ცხოვრების ყოველმხრივად შესწავლას, ვინაიდან იგი ორგანიზულად დაკავშირებულია ჩვენი ხალხის დიდ რევოლუციურ ბრძოლებთან.

ბელადის ცხოვრებასა და მის რევოლუციურ მოღვაწეობაზე შექმნილი ნაწარმოებები — ისტორიული ხასიათის ნარკვევი იქნება ის, პოეტური, თუ ბელეტრისტული (მოთხრობა, ნოველა, რომანი) სულერითა, დიდი ილუმინაციონითა ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობის გონებრივი პოზიტივის გაფართოების, ცოდნის დონის ამაღლებისა და საერთოდ მისი იდეოპოლიტიკური სიმტკიცის ჩამოყალიბებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ასეთი ხასიათის ნაწარმოებს.

ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც თვითონ არ შესწრება ძველი, რევოლუციამდელი პოლტიკურ-საზოგადოებრივი ვითარებას, რომელსაც არ მოხვედრია მისი სუსები და არ ვინწყდია იმდროინდელ სკოლაში გაშვებული აღზრდის სასტიკი, არაადამიანური რეჟიმი. აუცილებელიც უნდა გაეცნოს მას.

ამს. ლ. პეტრიას შესანიშნავი წიგნია „ამირ-კაცკასის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა ჩვენი ხალხის ისტორიაში. ამ მოხსენებამ ახალი ნაკადი შეიტანა ჩვენს ახალ მწერლობაში, მან ძლიერი იმპულსი მისცა ჩვენს პოეტებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მოქანდაკებს, გაჩნდა დიდი ოქმა — ბელადის წახე ბელოვებაში.

ამ თემაზე დაწერილ მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებს უკანასკნელ ხანებში მივმართე პ. კაპანაძის მოკონებანი — „ბელადის ყმობა და ბავშვობა“. ეს ნაწარმოები განკუთვნილია მოზარდთათვის, მაგრამ მას ყოველი მოზრდილი მკითხველიც უდიდესი ხალხით წაიკითხავს.

ბელადის გრანდიოზული, ნათელი და წარმტაცი პორტრეტის სრულყოფილად დახატვისათვის საჭიროა დიდი მასშტაბის ტილოები. ცნობილია, რომ დიდი ტილოების შექმნას ატორი ვალდებულია ღრმად ჩასწვდეს, ყოველმხრივად გააშუქოს ისტორიული ვითარებაში და დრამატულ კოლიზიების ფონზე დავესატოს დიდი ისტორიული პიროვნება.

ამს. პ. კაპანაძის ასეთი პრეტენზიები არა აქვს. იგი პროფესიული მწერლის ირც ერთ ასეთ მეთოდს არ მიმართავს. ატორი თავის მოგონებებს ბელადზე სწერს ყოველგვარი ფანტაზიის მოშველებების გარეშე.

საესებით სამართლიანად აღნიშნავს თავის წინასტყვობაში ამ წიგნის რედატორი ამს. ე. ევნატაშვილი: „ამ წიგნში აღნიშნული არც ერთი ფაქტი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენს. ამიტომ პ. კაპანაძის ეს პატარა შრომა ძვირფას მასალად უნდა მივიჩნიოთ ბელადის ბიოგრაფიის შესწავლისათვის.“



უნდა ითქვას, რომ ეს წიგნიც სწორით ამით არის საინტერესო.

ცნობილია, რომ ამხ. პ. კაპანაძე დიდი სტალინის ყრბობისა და ქაბუჯობის შეგებაში, მისი გულის მესაიდუმლე, ამიტომ ყოველი წერილშიანიც კი პ. კაპანაძის წიგნებშია დასაღწევი მასალა ბელადის ბავშვობის პერაოდის შესწავლისათვის.

ამხ. პ. კაპანაძის დიდი ღირსება, პედაგოგიური მიდგომა აღებული თემისადმი მდგომარეობა იმაში, რომ იგი ყოველგვარი მაღალფარდობის სიტყვების, რთული სატელევიზიო გარეშე, მარტყავად, სადად, უაღრესი გულწრფელობითა და უშეაღობით გვიხატავს დიდ სტალინს ბავშვობისას. პატარაა ეს წიგნი, სულ რამდენიმე ნაბეჭდ ფორმას შეიცავს იგი, მაგრამ თითქოს ტომები წაგეთხოხოს, ისეთი შთაბეჭდილება ვერცხვას, როცა მას ზოლომდე ჩაიკითხავ. შეუძლებელია აღვღვინებლივ წაიკითხოთ მასში მოთხრობილი სხვადასხვა ეპიზოდები.

ამხ. პ. კაპანაძის ამ წიგნის მეორე ღირსება იმაშია, რომ მას პირველ სტრიქონებიდანვე ვადასტურებარით გასული სატყუნის თხზულებითი წლების ვარში. კითხულობთ ამ წიგნს და თითქოს თქვენ კვალდაკვალ მისდევთ პატარა სოსოს — ბეჯეთის, შეგობრების უაღრესად მოსყვარულეს, ტოლამანაგების ტომავს, ცელქს, სიცოცხლით სავსეს, დაუდგომელს. კითხულობთ ამ წიგნს და თითქოს ნათლად ხედავთ — თქვენს წინ ზის პატარა სოსო, მას იმეცადინებს მისი მეზობელი ქაბუჯი კოტე ჩარკვიანი თავის დასთან ერთად, სმენდა ტყეული ბავშვი ყურს უფდებს ვაკეთილის აბსნა-განმარტებას, ყოველ შეკითხვაზე სწორ პასუხს იძლევა... თქვენ ხედავთ, — სოსო ბავშვებთან ბურთის თამაშობს, კოკაობს, ჭიდაობას აწყობს გორის მოედანზე — ზღვა ხალხის წინაშე... სოსო და პეტა (პ. კაპანაძე) თუთის ბეზე სხედან, თუთით გული იჯერებს, პეტა ზის ტანით ჩამოდის, სოსო კი ტოტებს გადამყვია, ხელი მაგრა ჩააღლო და ძირს ჩამოსრილიდა... სწავლისაგან თავისუფალ დროზე ქაბარში წიგნებგამართი სოსო ამხანაგებთან ერთად მიეშურება გორის ციხის ნანგრევებისაკენ. აი — ავიდა მაღლა, სულ მაღლა შედგა ციხის ნანგრევულ ტონგურზე და იქიდან გასატყუნის კავკასიონის, რომელიც ფართვისდერ ცას ჩამოაგენია თავისი მარად თოვლიან-ყინულიანი მწვერვლებით... სოსო დაწყურებს შტეკავს, მარად მოუსვენარ, შორეგე ლაბებს, იგი გასატყუნის ამწვანებულ მთავორებს, ქართლის ხავერდოვან წარმტაც ველებს და „დმეის ბურთზე“ შედგარი ამბობს ლექსს: „იზარდე მწვანე ვეჯეილო...“ სოსო ზნ არის, იგი გატაცებით კითხულობს სკოლის გარეშე წიგნებს: „ამირანიანს“, „ყარამანიანს“ და ეგ. ნონოშვილის „კოვია უიშვილს“. მერე მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს ამხანაგებს. აი, თითქოს თქვენს წინ დგას კოვლიჩიძის მომღერალთა გუნდი. მთელი გუნდის სამღერაში გამოირჩევა პატარა სოსოს ხმა, იგი მშენიერი დისკანტი მღერის თავის საყვარელ ხალხურ სამღერებს: „გლესავ და გლესავ ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო“, „ყველა სდუმს ზემს ვარშემო, ისინი ხმა გამოხმობას“, „გადრინდი შავო მერცხალო...“ აი, კიდევ — ახალგაზრდა სოსო ილიას კაბინეტში „ივერიის“ რედაქციაში. სოსო თავის ლექსს მოკრძალებით უკითხავს დიდ პოეტს, ისიც აღფრთოვანებული, მოპლიმარე სახით შესტყობს ქაბუჯს, მერე წამოადგება პოეტის, მიუთხლოვდება სოსოს, მხარზე ზელს დაადებს და ეტყვიას: „— კარგი ლექსია, ახალგაზრდაც, იმეცადინე, წერე და კარგი მწერალი დადგები“.

ამ წიგნში ერთი დაღვიწყარი ეპიზოდია მოთხრობილი:

„ერთხელ კლასში არალეგალური წიგნის კითხვის დროს ჯელაშვილს თავს წაადგა ინსპექტორი, ბერი დიმიტრი აბაშიძე. წიგნის კითხვით გატაცებულმა ბერი ვერ შეინიშნა.

— ჯელაშვილო, ვგრე რათა ხარ გაათული? აა, მომეცი ეგ წიგნი!

სოსოსთვის ეს შეხვედრა მოულოდნელი იყო.

არ დაიბნა, ბერმა წიგნს წასართმევად ხელი წაატანა. სოსომ წიგნი არ დაანება. ბერი გამარხვდი და შესძახა: — ეერა ხედავ, ეინა ვარ? (Не видишь кто я такой?).

— როგორ არა, ვხედავ შეგ წერტილს! (Как-же, вижу черную точку!). დიმიტრი ბერი ძალზე აღვლევებული და გამარხვებული გავარდა კლასიდან“.

კითხულობთ ამ სტრიქონებს და წამებრად შორდები ამ გარემოს, რომელსაც აგრე ავეიწერს ამხ. პ. კაპანაძე, შორდები პატარა სოსოს და უტყობდ თვალწინ გადაიშლება ბელადის მთელი შემდგომი გასაოცარი შეუპოვრობით სავსე ცხოვრება, გასაოცარი ბრძოლების გზა: ბათონი, ჭიათურა, თბილისი, ბაქო, პეტროგრადი — შორეული ციშხირი, ტურქმანის შმარე, გადამახლებანი, გამოქცევები... კითხულობთ ბერი აბაშიძისადმი სოსოს მოკრილ, მო-

მაკედონებელ პასუხს — „Как-же, вижу черную точку“ — და გავიწმინდა ბელარუსის შუა-პოვარი ბრძოლები მთელი მისი რევოლუციური მოღვაწეობის გრძელ მანძილზე.

ბერა ბაშაისადმი პატივს სცემს ამ სარკაზმით სავსე პასუხში მოხიზნა ნაშრომისა იმ გამანადგურებელი პასუხებისა, რომლებსაც დიდი სტალინი ამღვდელა თავის მკრეწველდგებებს ბოლშევიკური პარტიის მთლიანობისა და მისი ლენინური საშუალებების განმართულ ქარიშხლიან პოლემიკების დროს.



ასეთია ანტ. პ. კანანაძის მოგონებანი დიდ ბელადზე.

დიდა შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ამ წიგნის წაკითხვისას. იგი საუკეთესო საბჭოკარია ჩვენი ნორმი თაობისათვის. ამ შესანიშნავ წიგნს ყოველითვის ერთნაირი სიამოვნებითა და ინტერესით წაიკითხვენ ჩვენი ქვეყნის მკითხველთა მობარდი და მოზრადელი თაობები.

პოლიო აბრამია.

**ლევან ებანოიძე — „ალექსანდრე წულუკიძე, ცხოვრება**

**და მოღვაწეობა“**

თბილისი, 1945 წელი.

ლენინატკალინის პარტია, მეშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია მუდამ პარტიისცემით მოიხსენიებენ მგზნებარე რევოლუციონერს, კომუნისტის საქმისათვის თავდადებულ ალ. წულუკიძეს, რომელმაც მთელი თავისი უმწიკლო სიცოცხლე უკლებლივ შესწირა თვითმკურნებლობისა და ბურჟუაზიის კლანჭებისაგან მეშათა კლასის განთავისუფლების დიდ საქმეს. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მაგრამ მოკლე ხნის განმავლობაშიც მან იმდენი გააკეთა, რომ სამარადელად ხსოვნა დასტოვა. ალ. წულუკიძე ამ აღწერილობის რიგებს ეკუთვნის, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს“ (სტალინი).

ამხ. ლევან ებანოიძის წიგნი „ალექსანდრე წულუკიძე“ სერიალულ ნაშრომს წარმოადგენს ალ. წულუკიძის ცხოვრებისა და მისი თეორიული შემკვდრეობის შესასწავლად.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში მოხსობილია ალ. წულუკიძის ბიოგრაფია, ხოლო მეორეში, გარბეულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ზოგიერთი საკითხები.

მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მოუბდა მოღვაწეობა ქართული ხალხის ამ სწამყო შეიღ. ეს უროლესი ხანა იყო საქართველოს ეკონომიური განვითარების, საზოგადოებრივი აზროვნებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. დიდი ჭრები ხდებოდა მაშინ აზიერკაცების ხალხთა ცხოვრებაში: ჩამოყალიბების პარციეს განიცდიდა, ერთის მხრივ, ბურჟუაზიული იდეოლოგია და, მეორეს მხრივ, უაღრესად რთულ და წინააღმდეგობრივ პირობებში გზას იკადგედა რევოლუციური მარქსიზმი. ნაროდნიკების წინააღმდეგ მიმართული ისტორიული ბრძოლები, რაც რუსეთში გ. ე. პლენაროვმა დაიწყო და დიდმა ლენინმა ბოლომდე მიაციანა, უდიდეს გავლენას ახდენდა საქართველოს მეშათა მოძრაობაზე და განსაზღვრავდა მის იდეურ მიმართულებას, ცხოვრების ასპარეზზე ახალი საწარმოო ძალების გამოჩენა, კლასობრივი ბრძოლის, სოციალური კონფლიქტების გაღრმავება რთულ საკითხებს აყენებდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე და მოითხოვდა მათს სსწრაფოდ გადაჭრას.

„მესამე დასი“ შეიცავდა პასუხი ვაცია ამ კითხვებზე, მაგრამ იგი მისი ოპორტუნისტული უმრავლესობის სახით „ლევალური მარქსიზმის“ გზას დაადგა და იმ დონესაც ვერ მიადწია, რომელზეც რუსეთში „შრომის განთავისუფლების“ აჯგუფი იყავდა. „მესამედანსელთა“ უმრავლესობა ეარდნაის მეთოდობით... ხედავდა უმთავრესად კამიტალიზმის მხოლოდ დადებითსა და პროგრესულ მხარეს, იტაცებული იყო კამიტალისტური პროცესით, რომლისგანაც მოელოდა, ქართველი ხალხის აღორძინებას და არ აყენებდა კამიტალიზმთან რევოლუციური ბრძოლისა და ბურჟუაზიული წყობილების დამხობის საკითხს“ (ლ. ბერია, „აზიერკაცების ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 11, 1938 წ.).

9. „მშათობი“, № 10.

საქართველო ამ ყალბი და მეშათი მოძრაობის განვითარებისათვის საზიანო შემართულების დროულად გამოიშვებებოდა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა „მესამე დასის“ უმცირესობამ, რომელშიც შედიოდნენ იმანაგები ი. სტალინი, ა. წულუკიძე და ლ. კეცხოველი. ლენინური მეშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ნიშნის მქონე „მესამე დასის“ უმცირესობამ საფუძველი ჩაუყარა ლენინურ-სიკრულ სოციალ-დემოკრატიულ კრგანიზაციებს საქართველოში და ამიერ-კავკასიაში.

დიდა წულუკიძის ღვეწი ამ საქმეში. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ლ. კეცხოველთან ერთად იგი აგებდა საქართველოში მეშათა კლასის ახალი ტიპის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას, ეწეოდა დაუნდობელ ბრძოლას „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის (ნ. უორდანიას) და ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის (ა. ჯორჯაძე) წინააღმდეგ.

ამ. ლ. ებანოიძის წინეში ამ დადი ბრძოლებს მრავალი შესანიშნავი ბანიზოდა მოტრობილი. თვით წულუკიძის წახელა მოსკოვში სწავლისათვის „მესამე დასის“ უმცირესობის სურვილის წინააღმდეგ მოხდა. „მესამე დასის“ პრაქტიკაში ჰქონდა შემოღებული მარქსიზმის შესასწავლად ახალგაზრდობის გავზავნა საზღვარგარეთ, უმთავრესად — გერმანიაში, სადაც რეპეტიული პრუსიული შოგინიზმი იყო გამეფებული და უკვე დაწყებული იყო მარქსიზმის რევიზია. ამის გამო იტვინ ბრუნდებოდნენ ბერნშტეინის, ფოლმარის და სხვა ოპორტუნისტების იდეებით გაფლნთილი „თორეტიკოსები“. წულუკიძემ გადაჭრით უარყო „მესამე დასის“ ტრადიცია ამ დარეში და მარქსიზმის შესასწავლად მოსკოვში გავზავნა, რადგან იცოდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატის ოპორტუნისტული ეფლენბოდა, ხოლო რუსეთი რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ხდებოდა.

„მოსკოვში გატარებული წლები უადრესად მნიშვნელოვანი პერიოდაა ა. წულუკიძის ცხოვრებაში. დიდი ბუნებრივი ნიჭის, უადრესად ენერჯული და ბეჯითი მეშათობის წყალობით ამ. წულუკიძემ შედარებით მცირე ხნის განმავლობაში შესწავლილ მარქსისტული თეორიის ღრმად დაუფლება“, სწერს ლ. ებანოიძე. ამ იგი უსმენდა პოლიტიკური ეკონომიის პროფესორებს ჩუბროვსა და მანუილოვს და აგრეთვე „ლევალური მარქსიზმის“ ცნობილ წარმომადგენლებს სტრუვეს, ტუგან-ბარანოვისს და სხვებს. მაგრამ არცერთი მათგანი არ ამყარებდა უკვე სიმწიფეში შესულ მარქსისტს. „სამაგეროდ ა. წულუკიძე თავის სანტყარ სულიერ საზრდის პოულობდა რუმინელების შეზღუდის მდინარ ბიბლიოთეკაში, სადაც იგი დაუღალავად და გატაცებით მეშათობდა“. რუმინეცვის ბიბლიოთეკაში ის საფუძვლიანად ეცნობა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას (სმითი, რიკარდო) და კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიას (კანტი, ჰეგელი), განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობს მარქსის, ენგელსის და ზელტოვის (პლენანოვის) შრომებს. ამ პერიოდში წულუკიძე პირველად ეცნობა და სწავლობს ლენინის გენიალურ შრომებს, მიმართულს ნაროდნიკების და ლევალური მარქსისტების წინააღმდეგ. ლენინის ამ შრომებმა გიშნულვრეს დიდი რევოლუციონერის იდეოლოგიური კრედო და პოლიტიკური მიმართულება.

ამ. ლ. ებანოიძის შრომის სინტერესო თავებს წარმოადგენს: „მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ“, „მათეში“, „1902 — 1904 წლები“, „ბრძოლა პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისათვის“ და სხვა.

განსაკუთრებით სრულად აქვს დამუშავებული ავტორის 1902 — 1904 წლებს პერიოდის უადრესად რთული და საპასუხისმგებლო პერიოდაა ამ. წულუკიძის პრაქტიკულ-რევოლუციური და თეორიულ მეშათობაში. ეს იყო წლები, როცა ეკუთხის მეშათი მოძრაობის ბედადი იმანაგე სტალინი პატიმრობასა და გადასახლებაში იყო აყვებოდა, ხოლო ლელო კეცხოველი 1903 წლის 2 სექტემბრიდან დაპატიმრებული იყო და 1903 წლის 17 აგვისტოს გრაგულად მოკლეს თვითმყრობელობის იფრებმა მეტების ციხეში. „ესეთი მდგომარეობა ა. წულუკიძის, როგორც „მესამე დასის“ უმცირესობის წევრის პასუხისმგებლობასა და მოვალეობას განდიხებულად ზრდიდა და იგიც მთელი თავისი ენერჯითი და შესაძლებლობით ემსახურებოდა რევოლუციის წმიდათა-წმიდა საქმეს“ (სარეცენზო წიგნი, გვ. 63).

იმანაგე სტალინი ამ პერიოდში მათეშისა და ქუთაისის ციხეებში იყო აყვებოდა და იტვინ აძლევდა სახელმძღვანელო მითითებებს ამ. წულუკიძესა და მხარდი რევოლუციური მოძრაობის სხვა ხელმძღვანელებს. იმანაგე სტალინის მითითებები ამ. წულუკიძისთვის წარმოადგენდა სამოქმედო პროგრამის, რომლის განხორციელებისათვის იგი მთელი თავისი რევოლუციური მგზნებარებით იბრძოდა.

მრავალი შესანიშნავი დოკუმენტი, რომლებიც დღემდე უცნობი იყო და მხოლოდ არქივების საკუთრებას წარმოადგენდა, ამხ. ლ. ებნოიძეს პირველად გამოაქვეყნის სიხითლებზე.

ამათ რიცხვს გუთონის *Самизд*-ის (ა. წულუკიძის მეტასხელი) მუქვინებელი კავკასიის კავშირის კომიტეტში 1904 წელს (გვ. 75). ეს მოხსენება იმის ნათელ სურათს იძლევა, თუ რა მძალად დონეზე იყო რევოლუციური მუშაობა ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლის ალ. წულუკიძის ხელმძღვანელობით არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლიადაც.

თბილისის ობზრანის მიერ 1903 წლის 11 დეკემბერს შედგენილ „თბილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მუშაობის მიმოხილვაში“ (გვ. 67) ვეღვან (ჩიკინგზის მთავარი სახელისწო, სადგურის დეპო, სტამბა და სხვ.) „დანაშაულებრივი მუშაობის“ მთავარ ხელმძღვანელად დასახელებულია „ინტელიგენტი წულუკიძე“. კავკასიის კავშირის კომიტეტში ამ პერიოდში მართლაც გვიღაზე აქტიური და მოქმედი ხელმძღვანელი იყო ალ. წულუკიძე, რომელიც „ქუთაისის ციხეში მყოფ ამხანაგ სტალინისაგან მიღებულ მითითებითა საფუძველზე დიდ მუშაობას აჩაღებს როგორც ქალაქებში — მუშათა შორის ისე სოფლად გლეხობაში“. პარტიის მესამე, ბოლშევიკური ყრილობის რეზოლუციებში ეხვედებით ამ დიდი მუშაობის ბრწყინვალე შედეგებს.

აეტორის უმუშევრია ა. წულუკიძის პირადი ზიბლიოთეკის შესწავლაზეც. „წინების უმრავლესობის გვერდების ცარიელ ფონზე, — სწერს აეტორი, — მას საკუთარი შენიშვნები აქვს გაკეთებული... და უმკვლად საინტერესოა აეტორის შემოქმედებითი მუშაობის დასახასიათებლად“ (გვ. 68): ესაა მინაწერები ს. ნ. ბულგაკოვის, თავად ე. ნ. ტრუბეტკოვის, ს. ნ. ფრანკის სტატებზე და ე. ედუნიზის და სხვ. წიგნებზე. წულუკიძის მინაწერებში მოცემულია მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა გამანადგურებელი კრიტიკა. საქართველოში დროულად იქნის შესწავლილი და გამოქვეყნებული.

შესანიშნავი ბოლშევიკის, ალ. წულუკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები ამხ. ლ. ებნოიძის მონოგრაფიაში ცოცხლად და მიმზიდველად არის გადმოცემული. აეტორი თანმიმდევრობით მიყვება მოვლენებს და მკაფიოდ აშუქებს მას, მაგრამ ყოველთვის ვერ იცავს ამ პრინციპს. აღენიშნავთ ერთ ფაქტს.

მუშათა კლასის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლი ალ. წულუკიძე წარმოადგენს ერთ მთლიან გაუმზარავ პიროვნებას, როგორც თავის პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაში, ისე მთელი ბიოგრაფიის გასწვრივ. ალ. წულუკიძის ბიოგრაფიის სწორედ ეს მონოლიტობა არ არის დაცული მონოგრაფიაში. აეტორს თავის წიგნში განვითარებული აქვს ის აზრი, თითქოს წულუკიძე 18 წლის ასაკშივე სულ სხვა სამყაროს გუთონიდა და სხვა აზრებითა და მისწრაფებებით იყო გატაცებული, ვიდრე შემდეგ, როდესაც ის პრაქტიკულად ჩადგა მუშათა კლასის ინტერესებისათვის, პროლეტარულ რევოლუციისათვის სამსახურში. აეტორის აზრით, გინაზიდიან გამოსვლის შემდეგ წულუკიძე დადგა „არბევანის“ წინაშე (საქმე შეეება ცხოვრების საშოღაწყო ასპარეზის არჩევას, — გ. ს.) და მაშინ მხოლოდ „უღიღესი შინაგანი ბრძოლის პროცესში“ შეაქცია ზურგი „თავიდაზნაურთა მყარლ წუმპეს“ (გვ. 10). ამ საკითხს სპეციალურ თავსაც უღღენის აეტორი („გარდატეხა წულუკიძის ცხოვრებაში“).

სინამდვილეში საქმის ეთიარება ასე არ არის.

საშა წულუკიძის პირველი მსწავლელბლისა და მეგობრის ა. ნაკაშიძის მოგონებებში ეხვდებით ჯერ კიდევ განებრივად მოუშფიფებელი ბავშვის შესახებ ნეტად საინტერესო ეპიზოდებს, რომლებიც აბტიციებენ, რომ ცნობიერების პროცესის პირველი გაღვლებიდანვე საშა ზიბლით უყურებდა თავი: წერს. „ეს რა არის ამ გემრიელ შხაღზე? — ეკითხება ის მსწავლელბელს ფოთრის/მესახებ და, როცა კარგად ეცნობა მუქობობრა მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებას, პატარა ბავშვი თვითონ პოულლობს ანალოგიებს აღამიანთა ცხოვრებაში და მამას პირდაპირ ეუბნება: „მამა, შენ და ბაბუა კონსტანტინე მუქობობრები ყოველბიბით, სხვის ნაშრომს მიირთმევთ, თქვენ კი მიმინაოთი და ძალღებით დასეირნობთ“ (ი. ნაკაშიძე, „საშას ბავშვობის წლები“, ვაზ. „კომუნისტი“, 1539 წ. 6 ივნისი).

პროგნოზიანიაში და გიმნაზიაში სწავლის პერიოდში საშას შეხედულებები უფრო ჩამოყალიბებულნი და მკვეთრი ბუნებაა, გულზე ნესტორ წერეაგის მოგონებებში ეკითხულობთ: „ბავშვობიდანვე საშას ჩვენთან ყოფნა უფეარდა, მიუხედავად მისი თავიდაშვილობისა. როდესაც საშა ზონში დედ-მამასთან ჩამოვიდა, ის ზშირად ლაპარაკობდა — ყველა აღამიანი ერთნაირი უღლებით უნდა სარგებლობდესო. ამის გაგონებაზე გ. წულუკიძე იტყოდა —

ეს ბავშვი გვანი ჰყვარებ "შეიშალა" (ლ. ებანიძე, ალექსანდრე წულუკიძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 9).

თეთი გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან ცნობილია, რომ იქ საშუალო სკოლაში იყო არალეგალური ლიტერატურის კითხვა, რისთვისაც მას სავეფურეო კი გააოცებდა გიმნაზიის იდენტიფიკაციამ და ვანა მის მიერ გიმნაზიის მიტოვებაც პროტესტი არ იყო თვითმპყრობელობის მიერ სკოლებში გამეფებული იმპერატორი რეჟიმის მიმართ?

სწორედ 18 წლის ასაკში მიატრია წულუკიძემ გიმნაზია და ამავე ასაკში შევიდა იგი ჭუთასში არსებულ „მესამე დასის“ წრეში, იქ წულუკიძე გაეცნო ცნობილ რევოლუციონერს მ. ცხაკაიას, რომელმაც მასში უმაღლესი შედეგისა და „ნათელი მოაზრებები“ და „რევოლუციური ნერვი“ „მასაც მოკლებული იყო მესამე დასელი ნ. ჯორდანიას, კ. ჩხეიძე და სხვები“ (აშხ. მ. ცხაკაიას მოგონება ვახ. „საქართველოს კომუნისტი“ № 3, 1920 წ.).

როგორც ვხედავთ, ალ. წულუკიძის მთელი ცხოვრება ერთი უწყვეტი ძლიერი არის შექმნილი. ეს არის ბრძოლა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისთვის. იდეა, რომელიც მის მგზნებარე გონებაში ბავშვობიდანვე ჩაინერგა, თითქმის იმ პერიოდიდან, როცა მან დიორის გაჩენვა ისწავლა „გემრიელი მსხლის“ სტელზე, ხოლო 18 წლის ასაკში არამც თუ რყევა, ყოყმანი და „შინაგანი ბრძოლა“ განიცადა ამ იდეებისათვის, არამედ მთელი თავისი არსებით გადაეშვა რევოლუციურ მოძრაობაში და პრაქტიკულად შეუდგა მათ განხორციელებას.

აშხ. ლ. ებანიძე ალ. წულუკიძის ბიოგრაფიაში პოულობს პატარა „ხარგებს“, როცა თურმე „შეგვერებანი, მოხდენილი საშუალო წულუკიძე ცოცხალი „ჩრქვესკით“ გამოეწყო და თვითმდინარეობას გაეცა“ (გვ. 10). ავტორს მხედველობაში აქვს პერიოდი, როცა წულუკიძემ გიმნაზია მიატრია, ვიდრე ის „მესამე დასში“ შევიდოდა, ეს პერიოდი სულ 3 თვეს გაგრძელდა. მაგრამ მოხდა თუ არა ამ პერიოდში რაიმე ცვლილებები წულუკიძის შეხედულებებში?

არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1905 წ. 1 (14) ივლისს წულუკიძის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ წერილში ასე ამსაბუთებდა ამ პერიოდს: „მაგრამ ის არ შიანთბე ტარდებდა „სახელოვან“ თავადუნაერობის ტაობში, როგორც მრავალი მისი წრის შეილება“. ამავე პერიოდს ეხება წულუკიძის პირადი წერილი ნაღვედა ერისთავისადმი. ამ წერილში გვითხრობთ: „ყოველ ახალ აზრს წიგნში ამოკითხულა, მესამოც წლების იდეალებს (განსაკუთრებით) გატაცებით ეძლეოდა და ამ გზით აწინაიდა დღემდე მივდივარ და ამ გზითვე მინდა მომავლისაკენ გზა გავიყავო“ (ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 279, 1943 წ.). ამგვარად, ამ პერიოდში წულუკიძის შეხედულებებში არამც თუ უკან დაბრუნება აქვს იდეალი, არამედ არსებული წყობილებისადმი ზიზღი და სიძულვილი უფრო მეტად იდგამს ფეხებს.

თავისი შრომის 70-ე გვერდზე ავტორი სწერს: „დასანიშნავია ის გარემოება, რომ ა. წულუკიძე მთლიანად 60-იან წლებს იდეალებით გატაცებამ (ლამარიათა წულუკიძის 1397 წლის 2 ნოემბრის წერილზე ნაღვედა ერისთავისადმი. — გ. ს.) და არა 70-იან წლების და შემდგომი პერიოდის ნაჩადინების იდეოლოგიის გავლენაზე“. წიგნის პოპულარიზების ინტერესები მოითხოვდა, რათა ავტორს აქვებ მოეხსენებია და განემარტა, რომ 60-იანი წლების მოღვაწეთა იდეალები პოპულარული და რევოლუციონერი იყო, ხოლო 70-იანი წლების ნაჩადინების იდეალები — რეაქციული და მავნებლური: ეს კიდევ უფრო ამაძღვრებდა მკითხველის თვალში წულუკიძის როლს.

წიგნში განხილული არ არის ალ. წულუკიძის ეკონომიური შრომები, რომლებშიც იგი ბრწყინვალედ იკავდა მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის დებულებებს.

მთხებდავად აღნიშნული ნაყოფანებებისა აშხ. ლ. ებანიძის მონოგრაფია სსსრ-გვებლო და კარგი წიგნია. იგი დიდ დახმარებას გაუწევს მარტულ და სამკოთა აქტივის კომუნისტების საქმიანობის დაფარვლად მგზნებარე რევოლუციონერის, დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის ალ. წულუკიძის ცხოვრებისა და მისი მდიდარი თეორიული შემეკიდრეობის შესწავლის საქმეში.

ქურონალი „პიონერი“, 1945 წ. № 1 — 6.



კვლავ განახლდა საბავშვო ქურონალი „პიონერის“ გამოცემა, რასაც ჩვენ ექვემდებარება უდიდესი ილუსტრაციებით შევსება.

ქურონალი „პიონერი“, როგორც დროთა, ასევე შინაარსის მხრივ, ამის წინადადობის დღე „პიონერთან“ შედარებით არსებითად განსხვავდება — მას თვალსაჩინო გაუმჯობესება გვჩვენება.

პირველყოფლისა — ილხანშინავია ის გარემოება, რომ ქურონალის ირგვლივ შემოკრებილია ჩვენი საუკეთესო მწერლები, სამეცნიერო ძალები და მხატვრები. რედაქცია სცდილობს ანგარიში გაუწიოს ბავშვთა ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებებს და საერთოდ მკითხველს მოთხოვნილებას.

მაგრამ ყველაფერი მიიწვინებოდა არ არის და ქურონალის ამჟამად გამოცემულ ექვს ნომერს მრავალ დადებით მხარესთან ერთად ნაკლებ თან ახლავს. ამიტომ ჩვენ უმთავრესად ქურონალის ძირითად ნაკლებ გვინდა შევხედოთ.

1. — ქურონალი „პიონერის“ გარეგან მხარეს ერთი შეხედვით არაფერსაა, მაგრამ, პირველყოფლისა, რაც თვალში ეცემა მკითხველს, ეს ფერების სიჭრელაა, რომელიც ქურონალის გარეკანზე მოთავსებულ ილუსტრაციებს ახასიათებთ. წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე და სხვა ფერები ისე ეხამებიან ერთმანეთს, რომ ბუნებაში უფრო ასეთ შემთხვევაში არასოდეს ადგილი არა აქვს. საერთოდ ჩვენი საბავშვო ილუსტრაციების მხატვრებს რატომღაც უჭირთ ჭარბი ბავშვის დახატვა. მე-5 ნომრის გარეკანზე, როგორც საჩვენებელი ეკითხულობთ, უნდა იყოს მოთავსებული სურათი „ნორჩი ნატურალისტი“, მაგრამ არცერთი სურათი ამ თემას არ უპასუხებს. შეიძლება უნაკლოდ ჩათვალოს მხოლოდ მარტისა და აპრილის ნომრის გარეკანი, რომელიც მალამომხატვრულად არის შესრულებული და ანეითარებს ბავშვის ესთეტიკურ გემოვნებას. რაც შეეხება თვით ქურონალში მოთავსებულ სურათებს, გარდა მცირეოდენი გამოკაცობისა (მაგ. № 2—3, გვ. 3, 31, № 5, გვ. 23) დამკვიფრებელია.

2. — ჭართული დამწერლობა ოთხხაზოვან სისტემას ემყარება. ასეთი სადიდის სხვადასხვაობა შესაძლებლობას გვაძლევს სწრაფად აღვიქვათ საკითხავი მასალა და ასევე სწრაფად გამოვსთქვათ იგი. ქურონალი-ი ხშირ შემთხვევაში მასალას ბევრად რუსული დამწერლობის სისტემით (ყველა ასოს ათავსებს ორხაზს შორის). მაგ., ა. გრიშინის „ქურონალი პატარა მკითხველს“ (№ 1), მ. გველიშვილის „მეზობელი დედა“ (№ 2—3), და სხვ. ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ჭართული ანბანის დამახინჯებას, მოზარდს კითხვას უძნელებს. კითხვას აძნელებს აგრეთვე ლექსის ტექნიკურად ბევრად იმგავად, როგორც რ. მარგინის ლექსია დაბეჭდილი (№ 2—3, გვ. 19). პირველი ორი სტროფის წაკითხვის შემდეგ ბავშვმა იღარ იცის ტექსტით განაგრძოს კითხვა, თუ ამ ორი სტროფის მარჯვნივ მოთავსებული სტროფების კითხვას შეუძლებს.

ქურონალის მხატვრები ასოებს სათაფრისათვის იმგავად სწერენ, რომ ამგვარი წერა არ შედევრება ჭართული დამწერლობის არავითარ წესს. ასობი დიდრეკილი და დამახინჯებულია. ასობი მოვლენა-ი საბავშვო ქურონალში დაუშვებელია, რადგან ბავშვი მიმხმეველი არსებობს და ამ არანორმალური წერის ნიმუშს თავის რეცეპტში გააღიბებს, რის შემდეგაც სკოლაში უნდა იზრდოს ამ დეფექტის აღმოსაფხვრელად.

3. — რედაქცია უნდა სცდილობდეს, რომ ქურონალის თითოეული ნომერი თავისი თემითკითხვით რაც შეიძლება უფრო მრავალფეროვანი იყოს. პირველ ნომერში აღარებელი მასალა ომზე, რაც ქურონალს სამართლო ომის თემაზე შედგენილი კრებულის ხასიათს აძლევს. იგივე ითქვინ მეოთხე ნომრის შესახებაც, სადაც 23 მასალიდან 15 ომის დამთავრებას ეხება. ამ მასალიდანაც მეტი წილი ლექსებია, რომელიც ასახავს ომის დამთავრებით გამოწვეულ ბავშვის სიხარულს. განსაკუთრებით ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქურონალი „პიონერის“ რედაქციამ ნომერში ლექსები სეპარატურად მოთხოვნილებს, მაგ., პირველ ნომერში 9 ლექსით და 7 მოთხრობა, მეორე და მესამე ნომერში — 8 ლექსია და 7 მოთხრობა, ანდა მოთხრობები და ლექსების შედარება არაპროპორციულია, მაგ., მეოთხე №-ში 23 მასალიდან 11 ლექსია. ჩვენი აზრით ასეთი მოვლენა არ შეიძლება ნორმალურად ჩათვალოს, რადგან, საერთოდ, ლექსის მთავებულებითი ძალა ბავშვზე მოთხრობებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია და მისი შინაარსიც წაკითხვის შემდეგ დიდხანს არ რჩება მოზარდის მეხსიერებაში.

რაც შეეხება პროზულ მასალას, აქედანაც მოთხოვნები შედარებით მეტად რაოდენობით გვხვდება, ეურნალი განსაკუთრებით წერილებზე და ნარკვევებზე ამბვილებს ყურადღებას და ერთი და იგივე ნომერში ათავსებს სამოთხე წერილს უმოთხრესად ისტორიულ თემაზე.

ეურნალის დიდ მიღწევად უნდა ჩითვალოს გეოგრაფიულ სახელმწიფოებში [ქვე] მჭირ-ლოგიური ლექსიკონის ბეჭდვა, მაგრამ ვინაიდან ახელი დღემდის არსებული ლექსიკონები ილდაბეტის თანამიმდევრობით სდგება, ამიტომ სასურველი იყო, რომ ეურნალსაც ერთგვარად დაეცვა ილდაბეტური თანამიმდევრობითი სისტემა ლექსიკონის შედგენის დროს. ახელი თანამიმდევრობის დაცვა ბავშვს გაუადვილებდა საჭიროების შემთხვევაში სასურველი სიტყვისა თუ ცნების მოძებნას და ამთავითვე მიიწვევდა ლექსიკონით სარგებლობის წესს, რასაც ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მოზრდილ ასაკშიც ვერ ეუფლებოდა.

4. — ქართული ხალხური შემოქმედება მდიდარია ბავშვებისათვის საინტერესო და საყურადღებო მასალით, რომელსაც უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ეურნ. „პიონერს“ — კი ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები მეტად იშვიათად არის დაბეჭდილი. ეურნალში შეხედებით ვოლტერის გამოცანებს წიგნიდან „ზადიგი, ანუ ბედი“, თარგმ. გ. დოლიძისა, შოტლანდიურ ხალხურ ბალადს „სერ პატრიკ სპენსი“, თარგმ. გ. გაჩეილაძისა თუ სხვ., რომელთა თარგმანიც საკმაოდ მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული და მათი მოთხრობა ეურნალში აუცილებლად საჭირო იყო, მაგრამ მხოლოდ უცხოური ხალხური შემოქმედებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ქართული ხალხური შემოქმედება ქართულ ნადავზე აღზრდილი ბავშვისათვის უფრო ნაცნობი, მახლობელი, იდეალად დასაძლელი და მეტის მოქმედი, ამიტომ შემდგომ მუშაობაში ეს გარემოება იუკლებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და ეურნალი მხოლოდ ქართული ხალხური გამოცანების ბეჭდვით არ უნდა დაკმაყოფილდეს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური შემოქმედების ახელი ძეგლის უცვლელად ბეჭდვა საბავშვო ეურნალში დაუშვებელია. მაგალითად „პიონერს“ მეოთხე ნომერში დაბეჭდილია გამოცანა:

„დილით მზე ხარ მოდრებულელი,  
ელვა-ჰეჰა შენზედ ვნახე.  
ცხრა საათი ღამე იყო,  
რთილს აგდებდა — მაშინ ვნახე,  
ან ეს უნდა გამოიქნო,  
ან საღვინით ღვინო ნახე“.

ამ შემთხვევაში საჭირო იყო რედაქციას ამ გამოცანის უკანასკნელი სტრიქონი გადაეკეთებინა და ნაცვლად ბახუსის ვულტის გადაგებასა მორალური რჩევა-დარიგება მიეცა მოზარდისათვის, რასაც ხშირად მიზნობრივად დიდი ჰარტიული პედაგოგი და საბავშვო მწერალი ი. გოგებაშვილი (იხ., მაგ., ი. გოგებაშვილის მიერ გადაკეთებული ხალხური ლექსი „ყაყაროსა სიწითლითა“...).

ეურნალის რედაქცია ვარგად იქცევა, როდესაც „პიონერს“ ფურცლებზე ათავსებს საბავშვო გასართობებს, რბუსებს, ანდაზებს, ჩინეორდს და სხვ... ყოველივე ეს ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას და მოზარდს ფიჭრისა, დაკვირვებისა და აზროვნების უნარს უნეითარებს, მაგრამ საჭიროა რედაქციამ ანგარი მიხალა შერჩევით მოათავსოს და ანგარიში გაუწიოს მკითხველის მომზადების დონეს. მაგ. პირველ ნომერში მოთხრობული პირველი სერიის („გინ გიმარჯვენს“) პირველი და მეორე კითხვა (გვ. 32). და პირველი გამოცანისათვის მოსახსნელი აღგებრელი მოქმედებანი (ახარისხება, ფესვის ამოღება და სხვ...) ჯერ სრულიად უცნობია ბავშვისათვის და ის პაუზსაც ვერ გასცემა.

საჭიროა აგრეთვე რედაქციამ ყურადღება გაამახვილოს მხატვრული მასალის შერჩევაზედაც. მაგ. შ. მრველიშვილის ლექსი „შებრძოლი დედა“ (№ 2—3), ფორმითაც და შინაარსითაც დაშაკმაყოფილებელია, მაგრამ იგი საბავშვო არ არის. კ. გოგებაშვილის იგავი ერთ მოქმედებად „რუხი მგელი“ უფრო ოქტომბრულია ასაკის ბავშვთათვის არის განკუთვნილი.

საერთოდ დღემდის გამოსულ ექვს ნომერში მხოლოდ ეს ერთი პიესა გვხვდება, რაც რა თქმა უნდა ძალიან მცირეა, ვინაიდან ჩვენი საბავშვო ლიტერატურა პიესებით მეტად ღარიბია და ბავშვებსა გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ურნალის სრულყოფის მიზნით ბუცილებელ საჭიროებად მივაჩნია, რომ ჩვენს ადგილს დაეთმოს ფანტასტიკური ეპიკის ნაწარმოებებს, საბავშვო თხზულებებს, ზოგ-პიონერთა შემოქმედებას და გამოკვლას ურნალში სპეციალური მუსიკალური განყოფილება, სადაც ადგილი დაეთმობა ნოტებზე გადაღებულ საბავშვო სიმღერებს, სიმღერებს და სხვადასხვა მრავალფეროვან ხასიათს მისცემს.

5. — მხატვრული მასალიდან ურნალში მოთავსებული ლექსების დადი ნაწილი დამკამყოფილებელია. განსაკუთრებით გამოირჩევა ი. გრიშაშვილის, ილია მაშაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ი. აბაშიძის და ე. კუპაბიძის ლექსები.

ილია მაშაშვილს, ი. გრიშაშვილსა და ი. აბაშიძეს ეხერხებათ ბავშვებისათვის წერა. მათ შესწევთ უნარი მოხდენილად შეარჩიონ ბავშვებისათვის შესაფერისი თემა და ადვილად გასაგები მსუბუქი ენით მიაწოდონ იგი მკითხველს. ამიტომ მათ უფრო სამწუხაროა, რომ მათი მუსიკალობით აღსავსე ლექსები საბავშვო ურნალის ფურცლებზე იშვიათად გვხვდება.

რაც შეეხება კ. კალაძის პოემის „საიდუმლო ბართი“, — ეარგია, მაგრამ სასურველია, რომ ავტორი მოერიდოს განმეორებებს. (განმეორებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მე-17 გვ-ზე ვკითხვლობთ: „დარჩა მხოლოდ მიხაილო ბიჭი, ცხრა, თუ ათი წლისა“ და მე-18 გვ-ზე: „გამოიჭრა მიხაილო ბიჭი, ცხრა, თუ ათი წლისა“). ურნალში ურადლება უნდა მოაქციოს ავრთვეთ იმ გარემოებას, რომ აზრი რაც შეიძლება უფრო გასაგებ ფორმაში მიაწოდოს მოზარდ თაობას. მაგ., ბავშვს უკუბრუნდება ვაიფოს ვის შესახებაა ლაპარაკი, როცა შერჩაობა წერს: „შედი დღე და შვიდი დღე უკვე ტყეში ვაიფენდათ“ (გვ. 17). აქ საღმარაა ბებერზე და შვილაშვილებს, წითელ არმაში მყოფ ორ ძმანზე, თუ მამა-შვილებზე, რომლებიც პარტიზანებად ვაიფენენ? პასუხს ამ კითხვებზე ბავშვი მხოლოდ შესაძლოა თავში იპოვის, რაც არათულებს წინა თავის გაგებას.

მოთხრობებიდან საყურადღებოა ნ. ნაკაშიძის, ს. კლდიაშვილის, გ. ნატროშვილის, რ. ჭოროქიას და დ. შამათიას ნაწარმოებები.

ნ. ნაკაშიძე დამახორბული საბავშვო მწერალია. მისი „თბილისი“ (ლექცია, „პიონერი“ № 1, 2—3) დიდი ინტერესით იკითხება და მრავალ საინტერესო ცნობას აწვდის ბავშვს. მხოლოდ ცოტა არ იყოს დაუკერებელია, რომ ირანის შაჰის შვილს, პატარა ხოსროს, ისე კარგად სჯიანოდა ჭარბული, რომ თავისუფლად ესაუბრა მამისაგან. მეტად მგრანობიარეა მისივე „აჩიშა“, რომელიც ბავშვებს აღწვდის ეგრეთე მტრის მიერ საბჭოთა მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოების სურათს და საბჭოთა ედამიანების, ღრმა ჰუმანიური გრძინობებს. ყურადღებას იპყრობს ავრთვეთ ბავშვებისათვის დამუშავებული ხალხური ზღაპარი „სუნჯა“, მხოლოდ სასურველი იყო მწერალს მოქმედ პირობათვის ტიპური ჭარბული სახელები შეერჩია, რადგან ისეთი სახელები, როგორცაა: ხანემზე, შიბაი, სუნჯა, ლერწამი, საბური და სხვა, ერევათ ბავშვებს ერთმანეთში და ზღაპრის პირველ ნაბიჯებში თავისუფლად ვერ ერევიან მათ ნათესაურ კავშირში.

საინტერესოა გ. ნატროშვილის მოთხრობები „ვარშავაზე გადასვლა“ (№ 2—3) და „ჩვენ სოფელში“ (№ 4). ისინი აქტუალურ თემას ეხებიან და მხატვრული თვალსაზრისით დამაკამყოფილებელია, მაგრამ სასურველია, რომ ავტორი მოერიდოს ბავშვისათვის გულგებარე სიტყვების დიდი რაოდენობით ხმარებას, რასაც, მაგ., პირველ მოთხრობაში აქვს ადგილი. ისეთი სიტყვები, როგორცაა კომუნიაკია, ესკადრონი, ბატარია და სხვ., ბავშვისათვის გაუგებარია. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ სიტყვებს სქოლიოში სათანადო ახსნა-განმარტება ჰქონდეს, რაც ხელს შეუწყობს, ერთს მხარე, ნაწარმოების შინაარსს გაგებას, ხოლო, მეორეს მხრივ, გამდიდრებს ბავშვის მეტყველებას. ამავე პირველი მოთხრობის შესახებ უნდა ითქვას, რომ წითელარმიების მიერ გერმანელი ჯარისკაცის მკვლელობის სურათი ბავშვებისათვის მეტად მძიმეა.

დ. შამათია თამბე არსებული საბავშვო ურნალების ერთ-ერთი აქტუალური თანამშრომელი იყო. ეარგია მისი მოთხრობა „ნათესავები“ და პოპულარული ნარკვევიდან „ნინო ნაკაშიძე“.

წერილებიდან საყურადღებოა აკად. ნ. კეცხოველის „გაქცეული მიწა“, „როგორ დამარცხა ბალახმა მუხა“, დოც. გ. ლომიათიძის „ქართული კულტურის ძველი კერა“, ლ. ასათიანის „აკ. წერეთელი“, კ. ჯავახიშვილის „გაქვავებული ტყე“, დოც. ნ. კანდელაკის „თამარ მეფე“, „ერეკლე მეორე“ და სხვ.



ამ წერილების ღირსებას, პირველყოფილსა, ის ვარემოება წარმოადგენს, რომ ავტორებს ეზრებებათ ღრმა მეცნიერულ თემებზე სწერონ ბავშვებისათვის გასაგებ და პრაქტიკული ენით, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას აკად. ნ. კეცხოველისა და დოც. ნ. კანდელაკის შატერულ ენას და თბრობის თავისუფალ მანერას.

ამრიგად, ეურნალი საერთოდ კარგია. იგი ბავშვებში აღვიძებს პატივსაცემს სწავლებას, ანვითარებს მათს ესთეტიკურ გემოვნებას, პოპულარულ ფორმაში აწვდის მეცნიერულ ცოდნას, ხელს უწყობს ბავშვის აზროვნების განვითარებას და ჰუმანიტარ გრძნობათა აღზრდას.

მაგრამ ეურნალი მაინც საჭიროებს შემდგომ გაკანსაღებას, ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებათა და მათი ინტერესებისა და მოთხოვნების უფრო ღრმად გათვალისწინებას. რედაქციას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „საბავშვო ეურნალი, რომელშიაც აუცილი ეძლევა მხოლოდ ნიჰიტრ ნაწარმოებთა, აზრითა და გრძნობით სავსეთა, ბევრ საკუთეს დასთვის მოზარდ თაობაში, ბევრ მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრი კეთილ-შობილური, ჰუმანიტარი მისწრაფებით შეამკობს და სხვა დატკორებთან ერთად სამშობლოს მოაუზადებს ბევრ მშენს და გულწრფელ მამულის-შვილსა“. (ი. გოგებაშვილი).

დოც. ი. გოგებაშვილი.



# შინაარსი



პეტრე შარია — დიდი ქართველი პოეტი . . . . .

3

## მხატვრული ლიბრეტოზა

პოვანეს თუმანიანი — ბარათაშვილის საფლავთან (ლექსი, თარგ. დ. გაჩეჩილაძისა)	9
ვარლამ შურული — მთაწმანდის დიდება. დაკარგული ლექსი. ცის-ფერი თვალები (ლექსები)	10
მარიკა ბარათაშვილი — საყურის ჩრდილი (ლექსი)	13
იოსებ ნონეშვილი — ბარათაშვილის სურათი (ლექსი)	14
ალიო აღაშია — ნაპერწკლები. ჭავჭავაძის ასულივით ელავს (ლექსები)	16
ვახტანგ გორგანელი — ბარათაშვილის ჩვენება (ლექსი)	17
დეო ქიაჩელი — ხეთიანის საიდუმლოება	19
დევან გოთუა — კრწანისის სევდა	45

## კრიტიკა და ლიბრეტოზის იხტორია

ვ. კუპრაძე — ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება	59
კონსტ. ჭაჭინაძე — ბარათაშვილის პოეტიკა	75
ვიარგი ფიხნაძე — ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი (დასასრული)	84
ვენერა ურუშაძე — ი. ჭავჭავაძის „განდევილი“ და მარჯორი უორდროპი	100

## მოზღნებანი

ნინო ნაკაშიძე — ილია ჭავჭავაძის გარშემო (დასასრული)	111
---	-----

## ბიბლიოგრაფია

პოლიო აბრამია — ვ. კაპანაძე — „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“	127
გ. სიხარულიძე — ლევან ებანოძე „ალექსანდრე წულუკიძე, ცხოვრება და მოღვაწეობა“	129
ი. პოცვაძე — ეფრელი „პიონერი“, 1945 წ. № 1 — 6	133

8360 8 805.

*30/10/55*



144136940  
818-211701333



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

**„ШНАТОВИ“**

**ГОСИЗДАТ ГРУЗИИ**